

1951/3

ბ.
საბჭოთა
საგარეო
აღმოსავლელი

მნათობი

4

საკვილო



1951

ენათმეცნიერება

საქართველოს ლიტერატურულ-მეცნიერული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შტაბი

საქართველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

წიგნის მისამართი

4

*

ს ა რ ი მ ი

19

საბჭოთა
თბილისი

51





იაპინეთ ლისაზმირი — ერთელება, რომანი, გაგრძელება	17
ვლ. შარაქოშვილი — ამერიკელს უკვირთ, ლექსი, თარგმანი კ. შახარაძისა	17
ალექსანდრე მუთათელი — პირისპირ, რომანი, წიგნი მეოთხე, გაგრძელება	17
გიორგი კახანიძე — სამი ლექსი	17
ნიკოლოზ ბრინჯაიანი — ემ არ სენი, თარგმანი ზ. ლორთქიფანიძისა და ვ. გორგაძისა	39
ორდო დგაბუაძე — დიდ ვახუშტ, მოთხრობა, გაგრძელება	47
ვახტანგ გომბოლაშვილი — ორი ლექსი	58
ვასილ ქოჯანაძე — ახალი ნაილეარი, მოთხრობა, თარგმ. რ. გვეტაძისა. გაგრძელება	60
ალექსანდრე პუშკინი — რუსლან და ლიუდმილა, პოემა, დასასრული, თარგმანი კონსტ. ჭიჭინაძისა	72
—	
ბივი ბაჩანიძე — თარგმანის ენისა და სტილის საკითხისათვის, წერილი	84
ლ. გომილი — მათემატიკის დარგში მუშაობის იდეური დონის ამაღლებისათვის, წერილი	90
ზორბა რაზვიანი — გოტჰოლდ ვერაიმ ლესინგი, წერილი	97
პროფ. ნ. იაშვილი — კოლხეთის მელორაციისა და სამეურნეო ათვისების შედეგები, წერილი	106
—	
აბ. თოფჩიანი — გ. კაჭახიძე „ახალი ლექსები“, ბიბლიოგრაფია	116
ბ. შიბუაძე — დ. სულაშვილი „მეორე დღე“, ბიბლიოგრაფია	120
მ. გომილი — დ. ფანჯღლიძე „წერილები ლიტერატურაზე“. ბიბლიოგრაფია	122
ირ. ფაჩულიანი — დიმიტრი ალექსიძე „მსახიობის აღზრდის საკითხ- ისათვის“, ბიბლიოგრაფია	124
ფურაძე პუმბურიძე — შ. კეკელია „ქართული ენის სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლების რუსული განყოფილებისათვის“, ბიბლიო- გრაფია	127
ი. ასათიანი — აპოლონ ნუცუბიძე „ფინანსური კაპიტალი სოფლის მეურნეობაში“, ბიბლიოგრაფია	129
პროფ. იმ. სურგულაძე — ალ. ვაჩიშვილი „ნარკვევები ქართული სა- მართლის ისტორიიდან I და II ტ“, ბიბლიოგრაფია	133
მედიკ. კვარაცხელიანი — „ახალგაზრდა მწერლების კრებული“, ბიბლიო- გრაფია	139
ახალი წიგნები	143

პასუხისმგებელი რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე
სარედაქციო კოლეჯია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი,
შალვა აფხაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაზვი-
ლი, შალვა რადიანი, ლეო კიანაძე, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ
ჩხიმიძე, სერგი ვილანი.

ზელმოწერილია დასაბეჭდად 9/IV-51 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 9,
შ0 00561. შვე. № 241. ტირაჟი 5.500.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიკამოცემლობის საქმეთა
სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილი ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელ. 3-23-42.



ერთგულება

რომანი *



ნინომ ფრთხილად მიხურა ჭიშკარი. სოფლის მთავარ გზაზე გავიდა. მიდიოდა, ყურადღებას არაღვის აქცივდა. ზოგჯერ ზღვას გახედავდა და მის გონებაში თამარის სიტყვები შეორლებოდნენ:

„გვიანაა. არაფერი გამოვა, დაბრუნდი, ნინო“. დიახ, ნინოც, რამდენ ნაბიჯს გადადგამდა, უფრო რწმუნდებოდა, რომ „გვიან“ იყო. გატეხილი არ გამართელდება, —სამუდამოდ დაკარგულს დაბრუნება არ მოხერხდება. ფეხს ანგარიშშიშეუცემლად მიიბიჯებდა, — მაინც მიდიოდა თამაზთან, იწადა მისი ნახვა, მისი საბოლოო აზრის გაგება. იქნებ შემდეგ უფრო გარკვეულ გზას დადგომოდა, სხვანაირად ეშველა თამარისათვის.

მზე ეშვებოდა. ზღვის ნიავე სახეზე ეფინებოდა. საითაც გაიხედავდა, მისთვის აქ ყველაფერი ნაცნობი იყო და ყველაფერი უყვარდა.

როცა ნაცნობ კარმიდამოს თვალს შეავლებდა და იმ ადამიანებსაც მოიგონებდა, რომლებიც სამუდამოდ წასულიყვნენ აქედან, სინანულით გულს ეკუმშებოდა, ნინო ამ გზაზე პატარა მგობართა შორის გარბოდა სკოლისაკენ. ჭყიოდნენ ბავშვები, როგორც გახეხულის მზით გამოთბარი ჩიტები.

თამაზის გზოს მიუახლოვდა, აი კარმიდამო: აი ჭიშკარი, აქ შესვლა ისე უმძიმდა, როგორც ცეცხლში ჩაქარდნა. გულში შეხვდა თამაზი, მაგრამ მასწინ თავი ნინოს უფრო თავისუფლად იჭირა. ახლა სახლში მიდიოდა თამაზთან, თანდათან უფრო დამამიჯობლად ეჩვენებოდა მასთან შეხვედრის მიზეზი და აწუხებდა, გულს უღრღნიდა. ჭიშკართან შეჩერდა.

— მასპინძელო!

ეზოში ხისძირას ვილაც წამოდგა, ჭიშკარისკენ გამოეშურა.

— მობრძანდით! — გაისმა თამაზის ხმა.

„მელოდებოდა. ვინ იცის რას მეტყვის? იქნებ მთელი გულის წყრომა თავს დამატეხოს“, — გაიფიქრა ნინომ. დამნაშავეის გამოამეტყველებით შესცქეროდა მისკენ დინჯად მომავალ თამაზს.

თამაზმა ჭიშკარი გაუღო. თუმცა მისი სახე რაიმე საყვედურს, ან წყენას არ გამოხატავდა, მაინც იგრძნობოდა, რომ მას რალაც მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო და ამ გადაწყვეტილებას აღარ შეცვლიდა. ეს გადაწყვეტილება თითქოს თამაზის ხმასა და ნაბიჯებშიაც იგრძნობოდა. ამიტომ, როცა ნინომ ეზოში ფეხი შედგა, თამაზს სახე მოაჩიდა, გაწითლდა.

თამაზმა შეატყო, როგორ დაიბნა ნინო და გასამხნეველად ჰკითხა:

— ხომ კარგად ბრძანდებით?

— გმადლობთ, კარგად, — თქვა ყრულ, ეზოს გადახედა, — რა კარგი ეზოა...

— დიახ, აქ შეიძლება ცხოვრება.

— შინ მარტო დაგტოვიეს?

— მუდამ ავრეა, დილით ყველა სამუშაოზე გარბის და საღამომდე არ ბრუნდებიან. ბაბუაჩემი და წიგნები მართობენ.

— კარგია. თქვენ დასვენება გპირდებით. მაგრამ, ჩანს, ბევრს კითხულობთ. აი, მაგიდაზე რამდენი წიგნი გავიშლიათ...

— დაბრძანდით, — უთხრა თამაზმა. მაგიდასთან დასხდნენ.

ხმის ამოღება ორივეს უმძიმდა.

თამაზი ახლა უფრო თვალნათლივ ხედავდა იმ ღამის სურათს, როცა ფრონტზე გამგზავრების წინ აქ თამართან ერთად ნინოც იყო, საუბრობდნენ

* ვაგრძელება, იხ. „მნათობა“ № 3.

და სახეში პირდაპირ შეცქეროდნენ ერთმანეთს. მათ შორის მაშინ უხერხული გრძნობის ნატამალიც არ არსებობდა, მხოლოდ თამართან დაშორება უმძიმდა.

ნინო წიგნებსა და ხელნაწერს აცქერდებოდა და იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეძლია უხერხული სიჩუმე. წინასწარ მომზადებული სათქმელი ახლა უადგილოდ ეჩვენებოდა. ბოლოს გადაწყვიტა: რაზე ხომ უნდა ვთქვაო და ასე დაიწყო:

— კარგია სოფელი, როგორი სიწყინარეა...

— მშვენიერია.

— თქვენები როგორ ბრძანდებიან, დედა თქვენი როგორ ბრძანდება?

— კარგად.

— დიდი ხანია არ მინახავს.

— ასე თქვა დედამაც.

— თმმა დაგვაშორა. შინ დარჩენილებსაც ერთმანეთის მოკათხვის დრო არ გექონდა.

— დაგვაშორა. — გულისტყვილით წარმოსთქვა თამაზმა და თამარი მოაგონდა.

— მიძნელებდა, არ ვიცო რა ვთქვა, როგორ დავიწყო. თამაზ, მინდოდა თქვენი აზრი ვამეგო, რას ფიქრობთ, თამაზ? — როგორც იყო გაბედა ნინომ.

თამაზს თითქოს პირი გაუშრაო, სიტყვა ვერ უთხრა, *ნინოსაკენ მიიხედა. მერმე თვით შეეცითხა:

— მე შეეცითხებო?

— დიახ, თქვენ, თამაზ.

თამაზმა ერთხანს ვერაფერი უპასუხა, შესაფერი სიტყვა ვერ იპოვა. ბოლოს თავი ასწია და მოკლედი უთხრა:

— მე ვიცი, თქვენ ღირსეული ქალი ბრძანდებით, მაგრამ ვერაფერს გეტყვით... არა ღირს, ნინო.

— მე ვიცი. თამაზ, რაც მოხდა, მაგრამ იქნებ არსებობს გამოსავალი?

— უფიცილი საჭიციელი ცუდი სიტყვებით გამოითქმება. ამიტომ არ ღირს ამაზე ლაპარაკი. თქვენთან მაინც არა ღირს, ნინო. შედმეტია, აზრი არა აქვს...

ახლა საბოლოოდ დარწმუნდა ნინო, რომ ამ არასასიამოვნო საუბრის გაგრძელებას არავითარი აზრი არ ჰქონდა. თამაზის მტკიცე გადაწყვეტილების შერყევა აღარ შეეძლო; დარწმუნდა, რომ თამაზი თავის ნება-სურვილის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა.

„ნეტავი არ მოვსულიყავი“, ფიქრობდა ნინო; სირცხვილის გრძნობამ შეიპყრო. უკანასკნელ სიტყვებს ემეჭრა, რა ვსთქვაო წასვლის წინ; მშ უკანასკნელ სიტყვებზე იყო დაძოვებული, შეძლებდა თუ არა ოდნებ მაინც შეემსუბუქებინა თავისი უხერხული მდგომარეობა.

— მე ჩემი მოვალეობა მოვიხადებ. დამერწმუნეთ ორთავესთვის სიკეთე მინდოდა. ვგრძნობ, რამდენად დიდი ჩემი დის დანაშაული. მშვიდობით, თამაზ! — თქვა და წამოდგა.

— გაგაცილებთ, — წარმოსთქვა ყრუდ თამაზმა და ისიც წამოდგა. ქიშკართან რომ მივიდნენ, ნინოს ხელი ჩამოართვა და ხმადაბლა უთხრა: — ჩვენ მუდამ კეთილი მეგობრები ვიქნებით, იმიტომ არ დამპრახავთ.

— არა, არა, პირიქით! დამერწმუნეთ უფრო იმ სატყვივარზე ვწუხვარ, რაც ჩემმა დამ თქვენ მოგაყენათ. მშვიდობით, თამაზ!

— მშვიდობით ნინო!

ნინო უკანმოუხედავად მიდიოდა. ეგონა თამაზი ჩემს ზურგს შემოსცქირისო და ჩქარობდა.

კარცა მანძილი რომ გაიარა, ნაბიჯი შეანელა, თავისთავს უსაყვიდღურა: კიდევ ბევრი რამ შეემძლო მეთქვა, მაგრამ ვერ შევძელი, სირცხვილმა დამაბნიათ:

„მართალია თამაზი: იქ, სადაც თქმას აზრი არა აქვს, უთქმელობა ჯობს“. ფიქრობდა ნინო და ასე ეგონა მის გაწმინდულ სურვილებს ქვეყანა ხედავდა. თავი ასწია, გზაზე აღამიანის ქაქანება არ იყო და შეიბაიგრძნო.

მზე ჩასულიყო, მხოლოდ დასავლეთით ჯერ კიდევ წითლად მოჩანდა ცისკიდური.

როცა ნინო ეზოში შევიდა, უეცრად რაღაც ახალმა საგონებელმა შეაჩერა: თამარს რა უთხრას? გადაწყვიტა, სანამ შეძლებდა, სიტყვას არ დარჩავდა თამაზისა და მის საუბარზე.

ასეთი გადაწყვეტილებით სახლში შევიდა. თამარი სარკმელთან იჯდა, მობრუნდა, ნინოს თვალები მიანათა და უცებ თავი დახარა. ნინომ კარგად იცოდა, რას ეკითხებოდნენ თამარის თვალები. ქუდი მოიხადა, განჯინაში შეინახა, თავს ძალა დაატანა და მოჩვენებითი უღარდლობით ჰკითხა თამარს:

— დედა სად არის?

თამარმა არაფერი არ უპასუხა. ყველაფერს მიხედა. უხმოდ წამოდგა, დასწურავი შეაქცია და კართან შედგა. ფრთხილად გააღო, გარეთ გავიდა. გაფითრებულ სახეზე ხელს ისევამდა. კიბე ჩაირბინა. თვალს ისე აცვეცებდა, თითქოს ვინმეს ეძებდა. ეზოში არავინ იყო. წითლად მოეღვარე ზღვას მიაყარო თვალი, მაგრამ ზღვას ვეღარ ხედავდა, ყურები უწიოდა. მუხლებში ძალა ერთმეოდა; შეიძლება დაგიცო, და ცაცხვს მიეყრდნო.

ისევ ნინოს ხმა შემოესმა:

— თამარ, სადა ხარ?

გამორეკვა. თვალი გაახილა, ბაღებში ჩაიკეცა და თავი ჩააძალა. ო, რა კარგი იქნებოდა, რომ ასე დაეძალა, თავისი ცხოვრების ჩრდილმოყენებელი დღეები... არა, კი არ დაეძალა, არამედ სულ ამოეშალა თავისი ცხოვრებიდან, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო.

თამაზი ეზოში გამოსულიყო. ზღვა კომციმებდა, თითქოს ხმელეთს, უღიმოდა. თამაზს ენით გამოუთქმელი გრძნობით უვსებდა გულს: სიბარული, კერძანი, სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარული და რაღაც სიამაყე იყო ჩაქსოვილი ამ გრძნობებში.

ბუნების ხელთქმნილი სურათებით შთაგონებულ თამაზს სჯეროდა, თითქოს ის, რასაც ხედავდა, რასაც განიცდიდა, არაოდეს არ მოკვდებოდა, არ წაიშლებოდა, რომ ყოველივე მარადისობით იყო აღბეჭდილი.

„შვილო თამაზ!“ შემოესმა დედის ხმა.

დედა ახლო მისულიყო, განუსაზღვრელი სიყვარულით მიჩერებოდა შვილს.

— შვილო, ცილასთან წაიდი, — უთხრა დედამ.

თამაზს წარმოუდგა ცილა. პატარა ვაგონი, რომელიც თავის რგოლთან ერთად ღამითაც კი კოლმეურნეობის სახლში რჩებოდა, იმ ახალ სახლში, ჩაის პლანტაციის რამდენიმე ჯიშის მფარველი.

— დედა, წაიდი! — დაგვიანებით უპასუხა თამაზმა და დედას გაყვა.

— შვილო, შენ ბელადისკურთხეველს ასრულე, გაიმარჯვე, ახლა ცილაზე უფრო მოვიდა. განა შეგვარცხენ? პატარებმაც იციან რას ნიშნავს სიტყვის შესრულება. — განაგრძობდა დედა.

თამაზი ილიმებოდა დედის სიტყვებზე. იცოდა, გრძნობდა, როგორ დედა იცოდა, როგორ ახარებდა ცილას წარმატება.

სწორედ ამ დროს, ჩაის პლანტაციაში, ღამის სათვეი შენობის მახლობლად ცილა და გიდეგანი ისხდნენ.

ცილა ზღვას გაჟყურებდა. გიდეგანი ცილას დაჟინებით მიჩერებოდა. ვაჟი ლელავდა, ზოგჯერ, როცა სურდა თავისი სიტყვებისათვის უფრო მკვეთრი და ენერგიული ხასიათი მიეცა, ნახშირით შეშავებულ თმას თავის აქნივით უკან გადაიყრიადა, ფეხზე დგებოდა; ხელს ისე მოიქნევდა, თითქოს სადაო საკითხი ამით გადაჭრაო.

ცილა უსმენდა. მხოლოდ ხანდახან ეტყოდა თორიოდ სიტყვას და უარყოფის ნიშნად თავს გაიქნევდა. მას სახეზე მტკიცე გადაწყვეტილება აღბეჭდებოდა, ვაჟს არაფერს უთმობდა.

— განა შენ სხვა ვერ შეგკვლის? განა ხალხი გათხოვებას დაიკვლის? ნუ ჯიუტობ, ცილა, გამოიყვიე ქალაქში. სიტყვა ხომ მომეცე. ქალაქში უშენოდ რა მომსვენებს ხომ საქირთა შენც განაგრძო სწავლა საშუალო სკოლა რომ დაამთავრე, განა ეს საქმარისია?

— არ შემიძლია, გიდეგან,

— ცილა, ვერ გამოგიბა რა მოგდის?! ჩემი ბრალი ხომ არაა, რომ ქალაქში დავრჩი? არ გამომიშვა უნივერსიტეტში. ბევრი იმსჯელებს, ითათბირებს და გადაწყვეტებს, რომ კათედრაზე დამტოვდეს. ხომ არ შემიძლო უფარი მეთქვა, ამას არც შენ მომიწონებდი.

— რა ექნა, გიდეგან, ბელადისათვის მიცემულ სიტყვას ხომ ვერ ვაგებთავ, უარს ხომ არ ვიტყვი ჩემს ვალდებულებებზე?

— რგოლში სხვა შეგკვლის, ცილა. წელსაც ნუ გადადებ უნივერსიტეტში შესვლას. თორემ იცოდა, მერე ინანიებ.

— არა, მე რგოლში ვერავინ შემცვლის.

— ისე გაჯიუტდი, ცილა, რომ ექვი მეპარება, იქნებ ჩემზე გული გაგიციო-

და, განშორების მიზეზს ეძებ... სამი წელია, რაც სიტყვა მომეცი და ახლა ზურგს მაქცევ? ის მაინც მითხარი რა დაგიშავე, ასე რამ შეგცვალა?

— დამიჯერე, გელევან, კიდეც უფრო მიყვარხარ. შენ ყველაფერი იცი, ჩემზე მეტი იცი და არა ვსურს გაივლო!

— არა მსურს, ცილა, რადგან შენ ცლები! — თქვა გელევანმა, ზეზე წამოიჭრა და მტკიცედ დაასვენა: — მაშინ დავრწმუნდები შენს ერთგულებაში, თუ დამიჯერებ და წამოხვალ. თანახმა ხარ? — შეეკითხა და სუნთქვა შეიკრა, პასუხის მოლოდინში გაქვავდა.

— არა, არა! არ შემიძლია! — უთხრა გადაჭრით ცილამ. გელევანი ელდანაცემივით შეტრიალდა, მარცხენა ხელი იქვე მიგდებულ ქუდს დასტაცა, სახეზე მიიფარა, თითქოს არ სურს განშორების წუთებში ცილას მიუკარებელი სახე დაინახოსო, მარჯვენა ხელი გაუწოდა და ცივად უთხრა:

— მშვიდობით, ცილა!

ცილა შეკრთა, ვაჟს ანგარიშმიუცემლად ხელი შეაგება, მაგრამ არა გამოსათხოვებლად, არამედ შესაჩერებლად. გელევანის შეჩერება მაინც ვერ შესძლო.

გელევანს ცილას ხელი მისივე სიტყვებით ცივი ეჩვენა, ამას ვერ გაუძლებო — გაიფიქრა, ხელი გამოსტაცა და გზას გაუდგა.

ცილამ შიშით მიმოიხედა, ერთხელ კიდეც შეავლო თვალი უკვე შორს წასულ ვაჟს, შემდეგ მიწაზე დაეშხო, და გულამომჯდარი ქვითინი აუვარდა.

სახლიდან გამოვიდა ცილას მეგობარი ელენე, იგი ცის ტარტნობში აცურებულ მთვარეს ჩიჩერებოდა, ქვითინი შემოესმა, თვალები დააცეცა და იქითკენ გაქანდა, საიდანაც ქვითინი მოისმოდა. თხელი, თერთი კაზბი ამარა, თმაგაწეული გოგონა მთვარიან ღამეში შეშფოთებით გაბზოდა, ბურქებს აბრუნოდა, ჩქარობდა, პირქვე დამხობილ ცილასთან მიიჭრა და შედგა:

— ცილა რა დაგემართა?

ცილამ წამოიწია, სახე მოარიდა ელენეს.

— ცილა, რა მოხდა? რა მოგივიდა?

— არაფერი.

— არაფერი კი არა... — ელენე გვერდით მიუჯდა, ხელი მოხვია, — სიმართლე მითხარი, მე რას მიმალავ? ჩვენ ხომ დები ვართ.

— ჩიტი მყავდა და გამიფრინდა!

— ხუმრობ ცილა? არც ესეუფაყენი ხარ! — საყვედურით უთხრა ელენემ, და გაიცინა, — მითხარი დაიქო, იმ ჩიტს ქუდი ხომ არ ეხურა?

— რაო?! — გამწარებით მიამახა ცილამ და შავად მოელვარე თვალები მიამყრო,

— ეს არაფერი! გასაფრენი, რაც მაღლი გარფინდება ისა ჯობია, არაფერს წააგებ, ცილა... მხოლოდ მითხარი, გვედრები დაიქო, რათ წაინხუბეთ?

ცილამ თელზე ხელი აიფარა, ცოტაოდენი ღუმილის შემდეგ ჩურჩულით წარმოსთქვა:

— რგოლს ვერ ვუღალატე, ქალაქში ვერ გავყვივი, სხვა არაფერი,

— მერე ამისათვის დაგტოვა?

სიტყვა „დაგტოვა“ ცილას ლახვარით ეცა გულზე, სუნთქვა შეიკრა.

— დამშვიდდი, ცილა! თუ ღირსეულია, არ მიგატოვებს. თუ არა და უღირსს ნუ სტირი! — აღერსიანად უთხრა ელენემ და ხელი მოხვია.

— ჩემო, ელენე! — უთხრა ცილამ, და ელენეს თავი კალთაში ჩაუდო, თითქოს შესცივდაო, თრთოლვა დაიწყო.

— დამშვიდდი, დაიქო! მართალს გუბნები! ჩვენ ხომ შენთან ვართ! — უაღერსებდა, აშშვიდებდა ელენე მეგობარს, ცილას სიმტკიცემ ელენე აღაფრთოვანა, მისდამი კიდეც მეტი პატივისცემის გრძნობა აღუძრა, უფრო შეაყვარა იგი.

— ცილა, ცილა — მოისმა ძახილი.

ცილამ ხმით იცნო, ვინც იყო. უცებ წამოდგა, ტრემლები მოიწმინდა, გაიქცა და ელენეს გასძახა:

— ბებია მოვიდა, წავიდეო, ელენე! ელენე სირბილით დაიდევნა.

ცილამ სახლის წინ ბებია ასმათის გვერდით თამაზი დაინახა.

— ბიძიაც მოსულა, — თავისთვის წარმოსთქვა. ნამტირალევი თვალები რომ დაეშალა, თავი დახარა.

— ხილი და გაზეთები მოგიტანეთ, ბები, — უთხრა ასმათმა, მხარზე ხელი მოხვია და თავზე აყოცა.

— ხილი რათ გვენდოდა, ბებია? ყველაფერი გვაქვს.

— გამარჯობათ, ქალიშვილებო! — მიესალმა თამაზი ცილას ირგვლივ თავმოყრილ ქალიშვილებს. ისინი ღიმილით შეპყურებდნენ ახლადმოსულებს.

იქვე ცადატყორცნილ ეკვალიტების ძირას მერხზე ჩამოსდნენ.

ციალამ სუფრა მოლზე გააფინა და ზედ ხილი დააწყო. მერე ბებიას გვერდით მიუჯდა, ილიაში თავი შეუყო და მიეხუტა:

— მიირთვიო! — უთხრა ასმათმა ქალიშვილებს.

ხილს შეექცნენ ქალიშვილები. დროდადრო გაისმოდა მათი ხალისიანი სიცილი. ციალა ხმას არ იღებდა, გულწაახრობილი უსმენდა მეგობარ გოგონებს და ბებიას ეკვროდა.

ასმათი თავზე უსვამდა ხელს. რაღაც საგრძნობ ცვლილებას ამჩნევდა ციალას და ხმადაბლა ჰკითხა:

— ავად ხომ არა ხარ, ციალა?

— არა, ბებია! — სწრაფად უბასუხა ციალამ, რომ მისი პასუხის სისწორეში ბებიას ეჭვი არ შეეტანა.

— ისე ავადა ციალა, რომ დღეს ოთხმოცდაათი კილოგრამი. ფითოლი მოჰკრიცა, — ჩაურთო ასმათის მეორე გვერდით ჩამომჯდარმა, ქერა გოგონამ. მთვარის შუქზე სიხარულით ციმციმებდნენ მისი თვალები.

თამაზი ღიმილით მისჩერებოდა, უსმენდა სიცოცხლითა და ხალისით საესე გოგონებს. „ეს უბრალო, ერთი შეხედვით სუსტი ქალიშვილები, — ფიქრობდა თამაზი, — რა დიდ საქმეს აკეთებენ, შრომით სასწაულებს ახდენენ. რამდენი არიან ასეთები. ყველაზე, ჩვენი ვეყნის ყოველ კუთხეში. აი, რატომ გავიმარჯვეთ ჩვენ. რატომ ეშინიათ ჩვენი ჩვენს მტრებს. რატომ იზრდება და ძლიერდება ჩვენი ქვეყანა ასე სწრაფად“.

ნიავეა შეარხია, შეამრიალა ეკვალიტები, თათქოს ეს შინ დაბრუნების ნიშანი არისო, ასმათი წამოიღვა.

— წავიდეთ, შვილო! — უთხრა ფიქრში წასულ თამაზს, მერე ქალიშვილებს მიუბრუნდა, — აბა, თქვენ იცით, მთელი სოფელი თქვენ შემოჯამებით, მარტო არა ხართ შეილებო.

ქალიშვილები წამოიშალნენ, თამაზს შემოეხვივნენ. თამაზს ფრონტის სურათი წარმოუდგა. საღამოობით მელიციონის დები, ზოჯაერ სწორედ ასე შეგროვდებოდნენ თამაზის გარშემო, ბაასობდნენ გოგონები, ეხვეოდნენ ერთმანეთს, იცნობდნენ, თუმცა ყოველ წუთს

სიკედლოს ელოდნენ. აქაც ფრონტი იყო, შრომის ფრონტი, მხოლოდ თუ იქ მედიცინის დები მტერს ებრძოდნენ, აქ ჩაის მკრეფავი გოგონები კოლექტივის პლანტაციებში თავაულებლად შრომობდნენ. მიზანი კი ერთი იყო — გამარჯვება.

— გამარჯვებას გისურვებთ, ქალიშვილებო! — უთხრა თამაზმა ქალიშვილებს, დედას მკლავში ხელი გამოლო და გზას დაადგა.

ქალიშვილებმა თვლით გააცილეს ისინი. მერე უეცრად შეიტყარცალეს, შეხტნენ, შეტრიალ-შემოტრიალდნენ და ახლად დასამულ ბალახში გაინავარდეს.

ციალა იდგა, მეგობარ გოგონებს გულწაახრობილი მიჩერებოდა. მასთან ელენე მივიდა, ხელი მოხვია და სახლში წაიყვანა.

— წავიდეთ, ციალა, გაზეთებს გადაეხედოთ.

ციალას და ელენეს სხვებიც გაჰყვნენ. სახლის აივანზე ავიდნენ, შუქი აანთეს, გაზეთების კითხვა დაიწყეს. პირველ რიგში მეჩაიეთა მიღწევების ამბავს ეძებდნენ დედაქალაქის, თუ რაიონულ გაზეთებში. ხმამაღლა კითხულობდნენ, ხან ერთი, ხან მეორე დაიძახებდა:

— ასოცი კილო! ხომ დაინახეთ ასოცი კილო!

— მოლ და შეეჯობრე ასეთებს, — მერე რას ვახდები? მხოლოდ შერცხვები. გვაჯობებს. აი ქალი ის ყოფილა.

— ჩვენც მალე უფრო მეტს მოვკრეფთ.

— მართალია, მოვკრეფთ. ისინიც ჩვენისთანები არიან. სადაც ასი კილო მოვკრიოთ, იქ მეტსაც მოვკრეფთ.

ციალას მეგობრების საუბარი ესმოდა, კუთხეში კედელს მიყრდნობოდა და ეზოს გადაყურებდა.

ქერა, მალალი ტანის, ცისფერთვალეა გოგონამ გაზეთი დაღო. მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ციალა მათ საუბარში არ ერეოდა, გაზეთშიაც არ ჩაუხედავს.

— გეძინება, ციალა? ადრია. გამოფინილდი, რა მოგვივიდა?

— დავიდალე, ასინეთი, — უბასუხა ციალამ.

— რადიოს შეეაერთებ და გამოგაფინილებს. — წარმოსთქვა ასინეთმა.

რადიოს ზონარი აიღო, ჩართო და რეპროდუქტორში ამტყდარ ბათქსა და ხრიალს მოყვა მშვიდი, ამ მთვარიან ღამესავით მინაზებულ მუსიკა.

— დასტები, ციალა! — უთხრა ასინეთმა, მაკიდის ლოყით დაეყრდნო და სძენდა იქცა.

მუსიკა ეღერდა, ეგვალბატები ნელა შრიალებდნენ, თითქოს არ უნდოდათ ღამის მყუდროება დაერღვიათ. ეზოში ბაღსავით გაშლილი ჩრდილი მიწაზე ირხეოდა. უფრო შორს, ვორაკების ქვემოთ, მთვარის შუქზე ვალაქებდა შავი ზღვა, მხოლოდ ზოგჯერ ყრუ ხენეშა ამოხდებოდა. ახლა არა მარტო ადამიანი ისვენებდა, არამედ ბუნებაც. რამდენადაც უფრო მშვიდი და მიმზიდველი იყო ღამე, იმდენად უფრო აღელვებდა ციალას. მაგრამ იგი არ ამხელდა ამ მღელვარებას, გულში იკლავდა. მხოლოდ ელენემ იცოდა, რა დარდი აწუხებდა ციალას, გულისტვივლით შეკუყურებდა მეგობარს, ეშინოდა სხვებს არ შეეჩინებინათ და არ გაეგოთ, რასაც გულში ფარავდა.

რეპროდუქტორში სიმღერა გაისმა, ღამის სიწყხარეში ყოველ კიდით გაიფანტა ნარნარი ხმები: „ჩემო ციციანათლა, გაფრინდი ნელა-ნელა...“ მღეროდა გუნდი.

ციალა გარინდებული უსმენდა. თვალი დაეხუჭა. აქ პლანტაციამ, თბილისიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის მოშორებით, ისე ისმოდა ეს საყვარელი სიმღერა, თითქოს აქ მღეროდნენ. ღამის ბინდ-ბუნდში ციციანთლებიც წამოიშალნენ ციალას თვალწინ, ჩაის ბუჩქებზე დაფრინავენ, ბრწყინავენ, ერთმანეთში ირეოდნენ.

ციალამ სული მოიბრუნა და უფრო თავისუფლად ამოისუნთქა.

— დროა დაეძინოთ! — წარმოსთქვა ელენემ და ოთახის კარი შეაღო.

— მარტო არა ხართ ბებია ასმათმა რომ გვითხრა, ხომ ხედავთ, მართლაც მარტო არა ვართ, დედაქალაქშიც ჩვენი თვის მღერიათ — გაიცინა ასინეთმა.

— კარგი, გეყოფა, დილით ადრე უნდა გავიდეთ! ყველაფერი მოვამზადოთ და ისე დავწვეთ! — გააფრთხილა მეგობრები ელენემ და როცა ოთახში შევიდნენ, ქალიშვილებს ხმადაბლა უთხრა: — ციალა ცოტათი შეუძლოთაა. ნურაფერს იტყვი. მე თვითონ მოვუძლი.

— რა დემატა?

— თუ გააცივა?

— იქნებ შეუძლოა? მარტო

წაგვეყვანა. — რატომ აქამდე არ თქვი? — მოაყარეს შეკითხვები, მაგრამ ელენე პასუხს არ აძლევდა, ქალიშვილებს სიტყვა ბანზე აუგდო და ყველას სათითაოდ მიმართა:

— მაყვალა, შენი კალათები დილია, შენ პატარა ხარ და ჩაის ბუჩქებზე მიართევ, — აი, შენ ესენი გამოადგება! — უთხრა და მომცრო კალათები საწოლთან დაუწყო. ბოლოს ოდნავ გამხდარ, მაღალ გოგონას მიმართა: — თინა, მე ასე მგონია, მაყვალას კალათები შენთვის ხელგამოჭრილი იქნება, — აიღე, თინა!

— კარგი, გავსინჯავ, — მიუგო თინამ და ორი კალათი აქეთ-იქით წელზე შეიკრა, გაიარა-გამოიარა და დაიძახა: — იშვითათა! რატომ მე თვითონ ვერ მოვიფიქრე? ამ კალათებში ერთი ქორწილის საჯნალს ჩავატე! — იხუმრა, კალათები მოიხსნა და კუთხეში მიაციყო.

ქალიშვილები დაწვნენ.

აივნზე, კუთხეში მიმჯდარ ციალასთან ელენე ფეხაკრეფით მივიდა, გვერდზე მიუჯდა და ჩურჩულთ უთხრა: — დიკო, გეყოფა. დამიჯერე. ჩემი სიტყვები წინ დაეხედება.

ციალა შეიშმუნა, წამოდგა ელენეს მხარს დაეყრდნო და ოთახში შევიდა.

— ტყბილად ლაბარაკობ, ელენე; გული კი შეწვის. — წარმოსთქვა ციალამ და საწოლზე ჩამოჯდა. კაბა გაიხადა და ლოჯინში დაწვა.

დაწვა ელენეც და მამინეი ჩაქინა.

ციალას ლოჯინი ფანჯარასთან იდგა, აქედან მთელი პლანტაცია მოსჩანდა. მთვარიან ღამეში უმოძრაოდ იდგნენ ხეები. ეტყობოდა ნიავეც აღარ იძროდა. ბუნებაც ეძინა. აქ მამლების ყვივლი და ძაღლების ყვივც არ ისმოდა სოფლიდან. ციალამ უეცრად ისეთი მარტობა იგრძნო, რომ შინმა აიტანა. ნუთუ მიმატოვა გედევანმა და არ დაბრუნდება? არა, ეს შეუძლებელია, გედევანი ამას არ ჩაიდენს, ახლა ისე წარმოუდგას, თითქოს იქ, სადაც გიდევანი თვალს მიეფარა, ბურუსი იდგა, ეს ბურუსი მის სულში შეჭრას ლამობდა, მაგრამ რაღაც დიდი ძალა აჩერებდა იმ ბურუსს, ახლო არ უშვებდა. ის,

რაც ამ საღამოს მოხდა გუდგენასა და მას შორის, ამაღლებდა ციკლას; საბოლოოდ გაიმარჯვა იმ გრძნობამ, რომელიც მის სიამაყეს იწვევდა, — ამიტომ ახლა უფრო მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ის მართალია, — სხვანაირად არ შეიძლება მოქცეულიყო, — მაინც ვერ დამწვდილა. ბოლოს თავისი სიმართლის რწმენამ სიმშვიდე მიანიჭა და ტბილად ჩაეძინა.

თავი მეთხუთსი

I.

დილით ადრე ამღვარი თამაზი აივანზე გამოსულიყო, ჭიშკრისაკენ იხილებოდა, ეტყობოდა, სტუშარს ელოდა. აგერ, თავის სახლისაკენ მომავალი აგრო შენიშნა. არ დააყოვნა, ქული აიღო, ავნიდან ძირს ჩავიდა.

— დედა წავედი! — გასძახა დედას.

— მოიცა, შეილო! — გამოეხმაურა ასმათი და საშზღადიდან რაღაც შეხვეული გამოუტანა, — წაიდე, შეილო!

— ეს რაა, დედა?

— დაგჭირდებათ, შორი გზა გელით!

— რათ მინდა, დედა? არც ისე შორს მივდივართ.

— დამიჯერე, წაიდე! — სთხოვა და შეხვეული გადასცა.

თამაზს ის დრო მოაგონდა, როცა დედა პატარას დილაადრიან თბილ კვირსა და ჭყინტ ყველს ატანდა ყანაში. იმ კვირში დედის მადლიანი ხელების სითბოც იყო. ახლაც იმ შეხვეულიდან მოხარული ქათმისა და ახლადგამომცხვარი ხაჭაპურის თბილი ოსშივარი ამოდიოდა.

სანდრო თამაზს ეზოში შემოეგება.

— გამარჯვებით! თქვენ უკვე მზადა ხართ? ალბათ შორიდან შემნიშნით. თამაზს სახეზე დიმილი უთამაშებდა. იგი სანდროს მიესალმა და ავტოში ჩაჯდა.

— გელოდებიან! ეტყობა, მე დღეს ვარდენი რაიონში აღარ წაიყვანს. საუქს თვითონ დაუჯდება, ააყვორებს მანქანას და გააქროლებს. მანქანის ყვირილზე შოფრები, თუ მეურმიები, თავზარდაცემულნი ერთმანეთს მიამახებენ: „თავს უშველეთ, ვარდენი მოდისო!“, მაგრამ ვარდენი გუშინ უნდა გენახათ ქუედაზე, ხალხს რომ მთელი თავისი პრეტარე ხმით უყვიროდა თქვენს ამბავს: „მეზობლებო და მეგობრებო! ჩვენ ერთი შეცდომა დავეშვით! საკუ-

თარი ძალები ვერ შევაფასეთ, ჩვენა მოთხოვნილება და შესაძლებლობა: ვერ ეიანგარიშეთ. ბევრი შეგველენოფრუტურ ტას გაკეთებას ვაპირებდით. ფრონტიდან ჩამოსულმა თამაზს ვამაყვამემ გამარჯვებასთან ერთად გამოცდილებაც ჩამოგვიტანა, მეტი გამბედაობა და გაქანება ჩამოგვიტანა! ჩვენც მოვიხიბლეთ და უფრო დიდი საქმე დავიწყეთ!“ — ხალხი იძღენად ვაიტაცა ამ ახალმა გეგმამ, რომ ვარდენს შეცდომა აპატიეს, ვააფროთხილეს და დაადგინეს: თამაზის წინადადება მიღებულ იქნასო. ნატოც იქ იდგა, წითლდებოდა, ხან ილიმებოდა. შესაძლოა, ხალხის საყვილურს თვითონაც თავისთავზე იღებდა, მაგრამ როცა თქვენ ქებას გაიგონებდა, დიმილს ვერ ფარავდა! თეიმურაზი კრების თავმჯდომარე იყო. ახმაურებულ ხალხში ზოგჯერ ოამხიანად დაიბუხებოდა, მაშინ ხმაურიც მიწყდებოდა.

როცა ავტო კოლმეურნეობის შენობასთან შეჩერდა, ვარდენი თვითონ მიუჯდა საკებს. მანქანაში თეიმურაზი, ხარბონი და ნატო ჩასხდნენ.

ვარდენმა მანქანა გააქროლა და მართლაც ისე ააყვირა, გეგონებოდათ, მუხანძრეთა რაშიმ მოდისო.

უკან რჩებოდნენ აფერადებულნი გორაკები, ბალებში ჩაფლული ოდა-სახლები; დიდის სისწრაფით ახლოვდებოდნენ ასეთივე გორაკები, ბალები, სახლები, კრამიტით დახურული თალიანი ჭიშკრები, კამკამა წყაროები, ზღვას შორდებოდნენ, მთისკენ მიიწვიდნენ, მაგრამ თამაზს ისე ეჩვიებოდა, თითქოს კვლავ ზღვასთან იყვნენ.

მომსთალტებულ გზაზე გავიდნენ. თეთრ ქვიშაში ჩხრიალით მოვიდინებოდა ანკარა მდინარე ნატანები.

ვარდენმა ახლა საყვირი რაღაც სახე-იმო კილოზე აახმაურა.

— ყურის ბარაბანი ნუ დაგვიხეთქე, ვარდენ! — გაიღმა სოფლსამქოს თავმჯდომარემ.

აი, მდინარე ქუესა და მდინარე ბახვს შუა აგარაკით გაშლილი ქალაქი ტყეში! ავტო უკვე ქალაქის მთავარ ქუჩაში შეიჭრა და ბალის წინ ორსართულიან სახლთან შეჩერდა.

— იმებეთ, ჩამობრძანდით, ძვირფასო! — მგზავრებს ჩვეულ სუბრობით მიმართა ვარდენმა და პირველი თვითონ გადმოვიდა მანქანიდან. — აბა, ძვირფასო, ხარბონ და თეიმურაზ,

თქვენ ჩვენი მთავრობა ხართ და წინ უნდა იარათი მიბრძანდით, ვთხოვთ! — გაულო რაიკომის შენობის კარი მეგობრებს.

ხარიტონი რაღაც საამო ოცნების გამოხატველი ღიმილით მიდიოდა, ხოლო თეიმურაზი სერიოზული და დაფიქრებული იყო.

მოსაცდელ ოთახში მაგიდასთან იჯდა ტანმორჩილი გოგონა და გადაშლილ წიგნს ჩაჩერებოდა. იგი სტუდენტების დანახვაზე მკვირცხლად წამოიღია. მოსულთ მიესალმა, კედლის გასწვრივ ჩალაგებულ სკამებისაკენ ხელი გაიშვირა:

— დაბრძანდით!

მოსულთა შორის იგი, თამაზის გარდა, ყველას იცნობდა, ამიტომ მათთან მინაწირვით ეჩირა თავი, ხოლო უცნობ ჰაბუკს ფარული ცნობისმოყვარეობით შეეჯდა თვალი.

— მარო, გაიცანით! ჩვენი მშენებლობის ინჟინერი, თამაზ!

ისე გაისმა ხარიტონის სიტყვები: „ჩვენი მშენებლობის ინჟინერი“, თითქმის ხარიტონი რომელიღაც მსხვილ მშენებლობაზე ლაპარაკობდა. ამიტომ გოგონამ გაოცებით აათვალიერა-ჩაათვალიერა თამაზი, მოკრძალებით ხელი ჩამოართვა და მრგვალ სახეზე ვარდისფერი დაედო. მერე ისევ ხარიტონს მიუბრუნდა, ჩვეულებრივზე სმადაბლა კითხვა:

— გრიგოლთან, არა?

— დიახ!

— ახლავე განთავისუფლდება. — უთხრა ხარიტონს მარომ.

ხუთი წუთის შემდეგ ისინი ყველანი ერთად შეიღინნ პირველი მდივანის — გრიგოლ მდინარაძის ვრცელ კაბინეტში.

— თამაზ, მოხარული ვარ, — წამოიღია და მიეგება რაიკომის მდივანი თამაზს. — მომილოცავს ძმარ, მშვიდობით დაბრუნება. — ხელი ჩამოართვა. — მოსვენება არ გაცალის და საქმეში ჩაგაბეს. — ვარდენს და ხარიტონს გადახედა. მერე ისევ თამაზს მიუბრუნდა, ღიმილით უთხრა: — მტერი ჩავარდა ამთ ხელში, ინჟინერს კი არა, ჩიტსაც გაუჩინე ესენი საქმეს. მაგრამ უნდა გამოგტყდეთ, მეც მიმიძღვის თქვენს შეწყობებაში ბრალი. როგორაა ახლა საქმე, ნატო? — კითხვა ნატოს. — აღბად ნაწყენი იყავით ჩემზე, მაგრამ რო-

გორც ვადმოძიებს, ჩემი აზრი და ამხანაგვი თამაზის აზრი ერთმანეთს დეფილტავს თქვენი პროექტის ფრთხილად რიანტზე. ასეა არა?

— ასე გახლავთ, ამხანაგო გრიგოლ. — უთხრა ღიმილით ნატომ. —

— აი, ხომ ხედავთ, ამხანაგებო, როგორი უნდა იყოს ომისშემდგომი ჩვენი მშენებლობა. ეს არც ჩემი აზრია, არც თამაზის. ეს ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ხალხის მოთხოვნებია. დაბრძანდით, მეგობრებო, — მოვიდა თამაზსა და ნატოს ხელი, მაგიდისაკენ წაიყვანა.

ყველანი დასხდნენ. სინამდვილე ჩამოვარდა.

— მე უკვე ზოგადად ვიცი თქვენი მოსაზრებანი. ამხანაგმა ხარიტონმა გამაცნო. ეს ის არის სწორედ, რაც ჩვენ გვჭირდება. ასე არაა, ნატო?

ნატო ხან წითლდებოდა, ხან ფითრდებოდა. თამაზი კი მშვიდად უსმენდა გრიგოლს. მან მხოლოდ ახლა გაიგო, რომ მისი ამ საქმეში ჩაბმა რაიკომის მდივანის ინიციატივა ყოფილა.

— მაშ, დავიწყეთ. — თქვა გრიგოლმა და დაჯდა.

ნატო წამოიღია, პაპია გახსნა, საპროექტო დავალება და ნახაზები ამოალავა, რაიკომის მდივანს წინ დაუდვა.

— აჰა! — ემყარებოდა წარმოსთქვა გრიგოლმა და „საპროექტო დავალების“ კითხვა დაიწყო. ნატო სახეში შესტყვროდა რაიკომის მდივანს. დღევანდელ ისე როგორც მოწაფე გამოცდისას.

— კარგია, კარგი ამხანაგებო. — ამბობდა ღიმილით რაიკომის მდივანი. ხან თამაზს შეხედავდა გაბრწყინებული თვალებით და ხან ნატოს. მერე თეიმურაზს და ვარდენს მიუბრუნდა. — აქ ახლა ყველაფერი ნათელია, პროექტი გვექნება. თქვენ ალბათ უკვე იზრუნეთ სამენ მასალაზე. რა გაქვთ, რა გჭირდებათ?

— საშენი მასალის უმეტესი ნაწილი კოლმეურნეობას ადგილობრივად მოეპოვება. — დაიწყო თამაზმა ვარდენისა და თეიმურაზის მაგივრად, — რაც შეეხება მშენებლობის საორიენტაციო ღირებულებას, შეგიძლიათ ახლავე გაიცნოთ. იგი უკვე მზათ აქვს ამხანაგ ნატოს.

— ოჰო, აი ტემპები ამასა ჰქვია. — წამოიძახა გრიგოლმა, — თქვენ თუ ასე იმუშავებთ, მშენებლობას მალე დავემთავრებთ! რას იტყვით, ვარდენ?

— უნდა დავამთავროთ, ამხანაგო, გრიგოლ. თამაზი პროექტზე მუშაობის შემდეგაც არ დაგეტოვებს უყურადღებოდ. ნატო უხელმძღვანელებს მშენებლობას, თამაზის მეთაურობით იგი სასწაულებს მოახდენს.

— ამხანაგი თამაზის წინადადება რომ მისაღებია, ახლა ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ ყოველივე ამაზე აღრევი უნდა გეფიქროთ. კარგია, რომ ახლა გამოსაწორეს თქვენი შეცდომა, თორემ სახსრები დაიხარჯებოდა და ის მაინც არ გვიქნებოდა, რაც საჭიროა — წარმოსთქვა გრიგოლმა.

ყურებამდე გაწითლებული, შემცბარი ნატო საკუთარ ხელებს უხერხულად დასჩერებოდა. ვერ ფარავდა მღელვარებას. ასე ეგონა, ყველა მი შემომტყორისო.

ეს იგრძნო გრიგოლმა და გაამხნევა. — თქვენ, ჩემო ნატო, ახალგაზრდა ინჟინერი ხართ და თამაზის ხელმძღვანელობით დიდ საქმეს გააკეთებთ. სჩანს მას თქვენი სჯერა.

— მე ვეცდები, ამხანაგო გრიგოლ. — თავი მალა ასწია ნატომ.

— თუ დაგვირდებ, მე ყოველთვის მზადა ვარ, — თქვა გრიგოლმა, — როცა გენებოთ მომმართეთ, დამირეკით, მოდით.

საუბარი დასრულდა. თითქმის ყველა ერთად წამოდგა.

— აბა, თქვენ იცით, თუ ამ ერთუზიანს ბოლომდე შეინარჩუნებთ, — ისევ გრიგოლმა დაარღვია სინჟმი და ყველას რაღაც მგზნებარებით შეხედა. — რადგან დავიწყეთ, არ უნდა შევრცხვით! — კარებამდე მიაცილა ყველა, — ცოტა მოისვენეთ და ერთ საათში მეც თქვენთან წამოვალ, სასტუმროში დამელოდეთ.

მარო თვალდაცეცებით შესცქეროდა მდივნის ოთახიდან გამოსულთ. იგი ხედავდა კმაყოფილებით მომღიმარ მათ სახეს და გრძნობდა, რომ მდივანმა მოუწონა ის საქმი, რისთვისაც ჩამოვიდნენ. ყველაზე მეტად ვარდენის მხიარული სახე ხიბლავდა ქალიშვილს.

მდივნის ოთახიდან გამოსული თავმჯდომარე მთელი ტანით შემოტრიალდა

და მაროს გამარჯვებული ადგილსა და სახეში გამომეტყველებით მიაჩერდა.

— მამ ასე, ძვირფასო, სასახლეს უნდა შენებოთ. წინასწარ გვატიფებთ-მას! სახეში იმე გახსნაზე. ლოცაში ორი ადგილი, პირველ რიგში, თქვენთვის გვიქნება. გთხოვთ გვიწვიოთ, თქვენი დანიშნულებით. ნუ გაწითლდით, ძვირფასო, ვიცო, ყველაფერი ვიცი. — მამ, წილს ამთავრებს სასოფლო-სამეურნეოს? მე უკვე მივწერე თბილისს, რომ ჩემს კოლმეურნეობაში გამოვზავნონ. — მიმოიხედა ყველანი გასულიყენენ. — ნახვამდის, ნახვამდის, ძვირფასო, — შესძახა ყურებამდე გაწითლებული მაროს და ოთახიდან გავიდა, მაგრამ კვლავ შემობრუნდა, — ქორწილი კლუბში გადავიხადოთ!

— ბიძია, ვარდენ, აბა რას ბრძანებთ? — ბუტბუტებდა მარო. — ვინ გითხრათ? რა დროს ქორწილია, მე ჯერ უნდა ვისწავლო.

— ისწავლო? მერე ვინ გიშლის სწავლას. ჩვენ ყველანი ვსწავლობთ. დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა. მეც დღეს მეტი ვიცი, ვინმე გუშინ, ხელ კიდევ უფრო მეტი მეცოდინება. ცოლი არ მიშლის სწავლას. არც მე ვუშლი. პირიქით, ვიხმარებით ერთმანეთს, ძვირფასო. — თქვა მხიარული სიცოლით ვარდენმა და კიბეზე დაეშვა.

მარო ერთხანს კარებში იდგა, თვალს არ აშორებდა მიმავალ ვარდენს. სიხარულით და ბედნიერებით უცემდა გული. თვალები უბრწყინავდა. მერმე შემობრუნდა, მაგიდასთან დაჯდა და კვლავ წიგნი აიღო. მაგრამ არ შეიძლო კითხვა. ვარდენის სიტყვები უტრიალებდა თავში.

ვარდენი თამაზს, ნატოს, ხარიტონს და თეიმურაზს სასტუმროსაკენ გაუძღვა.

თამაზი დიდი ინტერესით ათვალისწინებდა ამ პატარა, თავისი ადგილმდებარეობით მეტად თავისებურ ქალაქს. ეს ქალაქი ომის დროსაც გაზრდილიყო, დამშვენებულიყო.

სასტუმროს სასადილო დარბაზში შევიდნენ და სადილად დასხდნენ.

ვარდენმა თამაზის საგზალი გაშალა, ჯერ ისევე თბილი ნაჭაპურები და მოხარული ვარი მაგიდაზე დააწყო.

— ოჰო, ასმათის ნაჭაპურები. — შესძახა თეიმურაზმა — ასეთი ნაჭაპურები მარტო ასმათის ხელიდან გამოვა.

— განა მართო ხაჭაპურები, ძვირფასებო? საცივს, როგორს აკეთებს, ამოლესილ ლობიოს, ფხალს. ვარიას დახედეთ. ამასაც სხვა ფერი და გემო აქვს.

ისაილიუს, ის იყო ბაღში აბირებდნენ შესვლას, რომ ამ დროს რაიკომის მღვიანო გამოჩნდა, იგი მანქანით მოვიდა. გრიგოლმა თამაზი და ნატო თავის მანქანაში ჩაისვა და სოფლისაკენ გაემგზავრნენ. გასცდნენ მდინარე ნატანების ზღვას.

— მდინარე ნატანებზე ჰიდროსადგურის მშენებლობა გვიანდა დაიწყეთ, — თქვა გრიგოლმა. — ჩვენი ელსადგურის ენერჯია უკვე არ გვეყოფნის. საოცარი. ისეთ რამეებზე ვფიქრობთ ჩვენ ახლა, რაზედაც მაშებს ოცნიბაც არ შეეძლოთ. მძიმედ მიდიოდა ცხოვრება, ერთ საუკუნეში იმდენს ვერ აკეთებდა ადამიანი, რამდენსაც ახლა ერთ ხუთწლეულში ვაკეთებთ.

II

ნინო და თამარი აივანზე გასულიყვნენ, ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ სკამლოგინზე და საუბრობდნენ.

საუბარი ორივესათვის მეტად მნიშვნელოვან და მწვავე საკითხს შეიხებოდა.

ნინოს დღეს თამარისათვის გული გაეღო და რასაც გრძნობდა, ყველაფერს დაუფარავად ეუბნებოდა.

თამარი ღელავდა, სახეზე სასოწარკვეთილება ეხატებოდა. მაინც იძულებული იყო მოესმინა ნინოს მკაცრი სიტყვები.

ნინოს აშკარად ეტყობოდა, რომ თვითონაც არაზავლები სიმწვავეთ განიცდიდა ყველაფერს, რასაც უმცროს დას, თამარს, უმხელდა. მაგრამ მას მტკიცედ გადაეწყვიტა: დრო იყო ეთქვა, ბოლომდის ეთქვა, რასაც ფიქრობდა, განიცდიდა, რისი თქმაც გარდუვალ აუცილებლობად მიიჩნდა.

— პატარა იყავი, მეშინოდა შენთვის არაფერი დამეკლო, ზოგჯერ პურიც არ გვექონდა, შენთვის გმოულობდი. თვითონ ვმომშილობდი, შენ კი არ გიმხელდი, არ გაგრძნობინებდი, მეცოდი-ობდი და როცა ცრემლებს ვერ ვიკავებდი, გემალავებოდა. მეტრე ჩვენი მდგომარეობა გამოკეთდა, შენთვის ყველაფერს ვაჩენდი. რა გამოვიდა? უნდა გამოგიტყდი მაინც მე გაჯობი. გაპირ-

ვებში რომ ვიზრდებოდი, იმერამ გაჯობე. შენ განებიერებდი, ყნებოყნებოდა მოგიღუნა, გონება დაგეფლუნა, დაეფლამჩა... ახლა შენ იცი, თამარ, მე ოჯახი მაქვს, ქმარშვილი მყავს და ვიღარ დავრჩები, უნდა წავიდე. კახეთში მართო ქმარშვილი არ მელოდება, არამედ სამსახურიც, გაპირებებამ იქნებ ახლა მაინც გასწავლოს ქეუა. ან სწავლა უნდა განაგრძო, ან სამსახური დაიწყო. ვერავის ვერ დააბრალებ შენ რაც მოგივიდა, ვერც გენრიეტას. არაფერი არ უნდა დაზოგო იმისათვის, რომ რაც შეიძლება ჩქარა გამოასწორო შენი შეცდომა. წესიერ გზაზე დადგე.

— ნინო, რას ამბობ! — გამწარებით შესძახა თამარმა და გაფითრებულ სახეზე ხელები აიფარა. ახლა თითქოს ვეღარ ცნობდა მულამ გულისხმიერ დას, არა სჯეროდა, რომ ის ელამბრაეობოდა ასე მკაცრად, ასე ცივად. ისეთი უმწიგო გამომეტყველებით უტყვერდა ნინოს, თითქოს მორჩევი იძირებოთ, და გაბრძოლებასაც ვეღარ ბედავდა.

— მივდივარ, თამარ, — განაგრძო ნინომ, — უნდა ვახსოვდეს, რომ ჩვენი საყვარელი მშა ვლადიმერი, ცოლშვილს ველარასოდეს დაუბრუნდება, იგი დაიღუპა. მისი პატარებიც საპატრონო და ყურადღება ჰქონდათ.

— ვიცი, ნინო, ვიცი!

— აბა, შენ იცი. მე მივდივარ, მაგრამ იმედი მაქვს მომავალში უფრო მზიარულნი შეგხვდებით ერთმანეთს. — უთხრა ნინომ თამარს და წამოდგა, — დამავიანდა მგონი. — ოთახში შევიდა.

იქ დედა და რძალი ჩემოდანში ბარჯს ულაგებდნენ. ბავშვები ეხმარებოდნენ უფროსებს.

— ახლა როდის ჩამოხვალ, მამიდა?

— ვარდიკოს ხომ ჩამოიყვან, მამიდა?

ტიკტიკებდნენ პატარები.

— მალე გინახვლებოთ, ვარდიკოსაც ჩამოგიყვანთ, თქვენიც კახეთში წაგიყვანთ. — ეფერებოდა ნინო ბავშვებს.

თამარი კვლავ აივანზე იჯდა. ცას უახროდ მიჩერებოდა, თერთი ღრუბლების ნაფლეთობებ ერთმანეთს მისდევდნენ, შორს მიწვევდნენ, სივრცეში თქებოდნენ. თამარის ფიქრიც იმ ღრუბლებს ემსგავსებოდნენ: ერთმანეთში ირეოდნენ, ერთმანეთს მისდევდნენ და ქრებოდნენ.

ნინოს მთელი ოჯახი აცილებდა. მი-
დიოდენ თემშარაზე. ძმისშვილები ტი-
როდენ, ვერ ელოდნენ მალხაზს,
ნინოს.

— წერილი ხშირად მოიწერე, შვი-
ლო. მე მალე გინახულებთ. — ეუბნე-
ბოდა ნინოს დედა.

თამარი დუმდა. ერთი ნაკეთივ არ
ირხეოდა მის გაფითრებულ სახეზე, თი-
თქოს მას არ აწუხებდა, მას არ ეხებო-
და ნინოს გამგზავრება. მისი გონება,
მისი აზრი სხვაგან იყო.

— გეყოფათ, დაბრუნდით, თამარი
გამაცილებს, დედიკო! ნახეამდის! ნახ-
ვამდის! — შეჩერდა ნინო, გადააკცნა
თავისიანები. მალხაზი ხელში აიყვანა
და თამართან ერთად სოფლსაბჭოსკენ
გაეშურა.

სოფლსაბჭოს წინ შეჩერებულ ავ-
ტოსთან ახალგაზრდები შეგროვილიყ-
ვნენ, ისმოდა ხმაური, სიმღერა. მათ
მთელი სოფელი აცილებდა.

— თქვენ გეცოდინებთ, სად მი-
ემგზავრებიან ახალგაზრდები? — ჰკით-
ხა ნინომ სოფლსაბჭოდან გამოსულ
ქიშვარდის.

— მეტალურგიის ახალ ქალაქში,
ლომციხეში მდიდარ კომკავშირლები.
თქვენ საით, ნინო?

— თბილისში.

— მაშ, შეგიძლიათ შოფერთან დაბრ-
ძანდეთ!

— ვმადლობთ, ქიშვარდი! — უთხრა
ნინომ და მემანქანის გვერდით დაჯდა.
თამარი მანქანის კართან შეჩერდა.
ისეთი სახე ჰქონდა, რომ ნინო სიბრა-
ლულის გრძნობამ შეიპყრო.

— ნუ იღარდებ, თამარ. იცოდე ასე-
თი გამხდარი არ ჩამოხვიდე თბილისში.

— ვეცდები, ნინო, — მაშინალურად
უბასუხა თამარმა.

— სანამ მე არ მოგწერ, არ წამოხვი-
დე. იყავი დედასთან.

თამარმა არაფერი უბასუხა. მალხაზს
მთელი დღის განმავლობაში ახლა პირ-
ველად გაუღიმა.

კომკავშირლები მანქანაზე ავიდნენ.
ისმოდა ძახილი.

— აბა, თქვენ იცით, ყმაწვილებო,
კარგი ქარხანა და ქალაქი აგვიშენით!

— ბიჭებო, სოფელს არ უღალატოთ,
არ დაგვივიწყოთ!

— ქალიშვილები არ დაიტაცოთ,
ჩვენც დაგვიტოვეთ, — ხუმრობდნენ
ახალგაზრდები.

ბოლოს ერთმა შევეგერე მანმა, გრუხა-
თმიანმა ყმაწვილმა, რომელიც მანქანა-
ზე გადმომდგარიყო და ამხანაგებს ხელ-
გაწვილით ეთხოვებოდა, — ქიშვარდის
გასამახა:

— შენებურად, ქიშვარდი, მაღლა
გეპიროს ჩვენი კომკავშირის სახელი!

— ვეცდებით, გერონტი! — ღიმილით
უბასუხა ქიშვარდმა.

მანქანა ამუშავდა.

— ნახეამდის, თამარ! — შესძახა ნი-
ნომ, გადაიხარა და აყოცა დას.

თამარმა მალხაზი გამოსტაცა ხელ-
დან, ლოყაზე აყოცა და სწრაფად და-
უბრუნა ნინოს.

მანქანა დაიძრა, თამარი გაქვივიბუ-
ლივით იდგა, მერე უეცრად შეირბა.
მიმოხედა.

გარშემო არავინ იყო. შინ უნდა წა-
სულიყო. მდინარისაკენ იბრუნა პირი
და სწრაფი ნაბიჯით გაემართა. მან
გორაკიდან ჩამომავალი ორი მსუბუქი
მანქანა შეინიშნა, აწრიალდა, არ უნდო-
და ვინმეს შეხვედროდა, მაგრამ ასაქცი-
ვი ვხა არ იყო.

როცა მანქანები მოახლოვდნენ, თა-
მარმა თემშარა გადასჭრა, თხრილზე
გადავიდა და იქვე შედგა.

მანქანები ოცოდე მეტრის დაშორე-
ბით შეჩერდნენ.

მანქანიდან რაკომის მდივანი გად-
მოვიდა, მას თამაზი გადმოჰყვა და ბო-
ლოს ნატომაც გამოჰყო თავი.

„თამაზი! ნატო!“ — მწარედ აღმოხდა
თამარს. უცებ მოწყდა ადგილიდან და
დაბლა დაეშვა, „რა ბედნიერიი ნატო, რა
ბედნიერიი, ნატო!“ — ფიქრობდა და
ისე ვარბოდა მდინარისაკენ, თითქოს
იქ რაღაც შეგზას ნახავდა.

აბა, მდინარეც არ შეცვლილა! ყვი-
ლაფერი ისე გამოიყურება, როგორც
დატოვა, თითქოს ქვიცი იქვე აწყვია,
სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ ელა-
გა. მაგრამ ის სიმშვიდის მომგვრელი
მყუდროება ვერ ჰპოვა, რაც აქ ბავშვო-
ბის დროს განუცდია. ნაბიჯი შეანელა.
აღმა აყვა მდინარეს. ფერად კნეკებს
ჩაყურებდა ანკარა მდინარის ფსკერზე,
ფეხის ყოველ მოცლაზე სხვადასხვა-
ნაირად ხმაურობდა რიყის ქვიბი.
შრიალებდა, ბუტბუტებდა მდინარე,
„სადა ხარ, ისიდორე! სადა ხარ?“ ჩურ-
ჩულებდა აღელვებისაგან გამშრალი
ტუჩებით. მდინარის ნიავი თმებს უწი-
წავდა, ფიქრებით უფორიაქებდა.

„არა, არა, არ მიმატოვებს, ისიდორე. მალე ჩამოვა. მალე ჩამოვა“. არ გაუფერა როგორ მოვიდა ეზომდე და შეიპოო ტიშქარი. დედა შეძოვებდა.

III.

თქმში ჩამოსულმა გრიგოლმა დაათვალიერა კლუბისათვის არჩეული ადგილი და ამხანაგების მოსაზრებები მოისმინა.

— მშვენიერი ადგილი გამოგინახავთ. მხოლოდ კლუბის წინ უფრო დიდი მოედანი გვჭირდება. ამიტომ, ჩემი აზრით, აუცილებელი იქნება, აი, იმ პატარა გორაკის გადათხრა, მიწის გასწორება, რას იტყვიან? — ჰკითხა თამაზს. ცოტათი დუმის დემიდგ თამაზმა გაიღიმა და უპასუხა:

— თქვენ სწორად შენიშნეთ. მართლაც კლუბს უფრო ვრცელი მოედანი ჭირდება, მაგრამ თუ ამ გორაკს ავიღებთ, მაშინ მის ადგილას თვით კლუბის დადგმა აუკლებს.

გრიგოლს სახე გაუწათლდა, თამაზს მეგობრულად მხარზე ხელი დაადო და გულთბილად უთხრა:

— ჩინებულა, თამაზ! მოედანიც გაიზრდება და გადასახედიც უკეთესი იქნება აქედან!

— რა კარგი! ქენით, რომ ჩამობრძანდით, ამხანაგო გრიგოლ. — ჩაერია ვარდენი და ჩვეულებისამებრ თავისი აღფრთოვანების გამოსახატადად სიცილი მორთო. — ჩვენ კი ვერ მივხვდით ამას.

გრიგოლმა ყურადღება არ მიაქცია ვარდენის სიტყვებს.

— წავიდეთ, მეგობრებო. ჩემთან მხოლოდ ვარდენე წამოვა. თამაზს გავაცილებთ და პლანტაციებში გავემგზავრებთ, — წარმოსთქვა რაიკომის მდივანმა და მანქანისაკენ გაემართა.

ქალიშვილები ჩაის კრეფდნენ. სიწყნარე იდგა ირგვლივ. მხოლოდ ჩაის ბუჩქთა შრიალი და ელორტების განუწყვეტელი ტყაცანი ისმოდა.

საღამოვდებოდა.

ჩქარობდნენ ქალიშვილები. ყოველ წუთს, ყოველ საათს მნიშვნელობა ჰქონდა ახლა. უკვე რამდენიმე დღე გასულიყო, რაც ცილამ ჩაის ფოთლის კრეფაში ყველას გაუსწრო. მისი ერთადერ-

თი მეტოქე — ელენეც, უკან მოიტრია. ყველა ახლო მისდევდა. ცნობილი დენე დასწროდნენ, ამოდნენ. ცნობილი ახალი წარმატებით ამთავრებდა ყოველ დღეს, რომ იტყობოდა აქ ვიღარავინ დაეწრო.

უეცრად ქალიშვილების ჩურჩული გაისმა:

„რაიკომის მდივანი“, „რაიკომის მდივანი!“

გრიგოლი ქალიშვილებს — შორიდან მიესალმა.

— არ გამომიძახეთ, მაგრამ თავად გეახლოთ! გამარჯვებით, ქალიშვილებო!

ქალიშვილებმა გრიგოლს მოკრძალებით დაუტრეს თავი.

— დროა მოისვენოთ, ქალიშვილებო! აქვე მოგროვდით! გრიგოლს თრიოდ სიტყვა აქვს თქვენთან! — უთხრა ქალიშვილებს ვარდენმა.

ქალიშვილებმა მუშობა შესწყვიტეს, წელს ჩამოკიდებული კალათები მოიხსნეს, გრიგოლს შეძოვებდნენ.

— დასხედით, მეგობრებო! — მიმართა გრიგოლმა, მერე ორი გაზეთი ამოიღო პაკიდან: „პრაედა“, და „კომუნისტი“, — ამხანაგებო, ბელადისადმი მიცემული სიტყვა აი, ამ გაზეთებში დღეს გამოქვეყნდა, „პრაედამ“ თქვენს წერილს მოწინავე მიუძღვნა. — გაზეთში ჯერ ის ადგილი წაიკითხა, რომელიც თვით ამ რგოლს შეეხებოდა, მერე „პრაედის“ მოწინავე გააცნო.

ამ ქალიშვილების სახელი და გვარებიც ეწერა ბელადისადმი გავზავნილ წერილში, — ეწერა ისიც, რისი გავითებაც ცილას რგოლმა იყისრა. ქალიშვილების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ახლა კიდევ ღრმად იგრძნეს თავიანთი პასუხისმგებლობა.

— თავს არ შევირცხვენთ, ამხანაგო გრიგოლ. — ასწია თავი ცილამ და პირდაპირ შეხედა რაიკომის მდივანს. — პირობას ვაძლევეთ, რომ გადაჭარბებით შეგასრულებთ ჩვენს ნაყისრ ელოდებულებას. ბელადისათვის მიცემული სიტყვა ჯერ არავის გაუტრია.

რაიკომის მდივანმა გაიღიმა.

— ყოჩაღ, ცილა. თქვენს რგოლს რაიონში ჯერაჯერობით პირველი ადგილი უქირავს. ვანაგრძეთ ასე...

ავტო ზღვისკენ გაემართა. გზაში ესტატი და ფასო შემოხვდათ.

ვარდენმა მანქანა შეაჩერებინა, ძირს ჩამოვიდა:

— ესტატე, საით, ძვირფასო? მოდით აქ, გრიგოლო გეძახით!

— გრიგოლო? — გაგრძელდებულად იკითხა ესტატემ და კოჭლი ფეხი უფრო გრძლად გადმოდგა.

ფასოც გამოჰყვა.

— ხედავთ, ვინ მოსულა! — ჩაილაპარაკა ფასომ. გრძელ წვერზე ხელი ჩამოსვა, გრძელი ჯოხიც მოიმარჯვა და მანქანისაკენ გამოეშურა.

— გამარჯობათ! — მიესალმა გრიგოლი.

— გაგიმარჯოთ, ამხანაგო გრიგოლ! — უბასუხა ესტატემ.

— სალამი, ძვირფასო გრიგოლ! — მიესალმა ფასოც, ჭრელი თვალები იშმაკურად აუკიაფდა, ჯოხს მხარით დაეყრდნო და გაიღიმა.

— საით მიდივით? — ჰკითხა გრიგოლმა.

— ფასოს საქონელი დაუჭირია პლანტაციამში.

— მაგ საქმეს შემდეგ მიხედეთ. ახლა კი ჩემთან წამოდით. — უთხრა მათ გრიგოლმა.

— ჩასხედით მანქანაში, ძვირფასო!

— ფასოს ორი მანქანა სჭირდება, ერთში თვითონ ჩაჯდება, მეორეში ჯოხს ჩააბრძანებს. კარგი მეველეა და კიდევაც ევეთუნის! — ჩაურთო სანჯირი.

ფასო იღიმებოდა, ჯოხი მანქანის სარკმელში გაეყო, წითურ წვერულვაშზე ხელს ისვამდა, ჭრელ თვალებს წყურავდა ლაპარაკის დროს, ზედა ღრძილზე შერჩენილი ერთადერთი კბილი ერყვოდა, ეტყობოდა, იმასაც მალე დაქარავდა.

გრიგოლი ტანმორჩილსა, მაგრამ დაუღვარევი ესტატეს აცქერებოდა: ამ ახალგაზრდა კაცს სამამულო ომში ერთი ფეხი სამუდამოდ დაზიანებოდა და ახლა აქაც საქვეყნო საქმისათვის თავი დაედო. თვალებს ისე აცუკვებდა, თითქოს არწივი შეუპყრია, მანქანაში ძალით ჩაემწყვდევიდათ და თუ დრო იხელთა აფრინდებო.

— ესტატე, ცოლი არ შეირთე? — ჰკითხა გრიგოლმა.

— აშკარაა მალე შევირთავ! — მკვირცხლად და ისეთი სერიოზულობით უბასუხა ესტატემ, როგორც სა-

კოლმეურნეო საქმეებზე ბნანის დარს ჩვეოდა.

— დროა, დრო, ესტატე! — უთხრა მდივანმა ესტატეს და ვარდენს მიუბრუნდა, — ომიდან დაბრუნებული ახალგაზრდები სასახელოდ უნდა დაქორწინოთ, ვარდენ. განა ჩვენი ქვეყნისათვის ეს ცული სამსახური იქნება?

— ამბობენ, ჩვენი სანდროც მალე დაქორწინდება, — ჩაურთო ფასომ, თავი დახარა, ჩაიციხა და გარეთ გაყოფილ ჯოხს თვალი ისე გაუყნწორა, თითქოს თოფა და სადმე შორს უმიზნებო.

მანქანა მიჰქროდა. საუბარი გრძელდებოდა. ლამდებოდა.

— გეგმას როგორ ასრულებ, ესტატე? — ჰკითხა გრიგოლმა, როცა საკოლმეურნეო ფარდულებს მიუახლოვდნენ.

— უკან არ ვრჩებით. ერთი ზარმაცი აღმოცხვანდა, მაგრამ ვარდენმა ჯერ შეარაცხვინა, მერე დაასვინდისა, მანამ არ მოეშვა სანამ წელის ტკივილი არ დაავიწყა. ბოლოს განიკურნა ჩვენი ტიტი კილურაძე და ახლა ბეგრს ჯობნის, — უბასუხა ესტატემ.

— მაშ ტიტემაც გაიღვიძა? კარგია. ეცადეთ ისევე არ ჩასთვლინოს.

— აშკარაა, თუ ჩვენ ვიფიზილებთ ვერავინ ჩასთვლემს. ჩაძინება ადვილია, გაღვიძება ძნელია... ეს ყველამ ვიცით. ამიტომაც, რომ ბრევალა ასჩვიდმეტი პროცენტით ასრულებს დღიურ ნორმას.

— თუ აგრი იფიკაცებთ, გმირობა გელო!

მანქანა შეჩერდა. ჩამოვიდნენ.

წყლის პირას დასხდნენ. ზღვაზე საბანაოდ წასულ კოლმეურნიებს დაელოდნენ.

ესტატე და ფასო პლანტაციებში კოლმეურნეთა მოსაყვანად გაგზავნიეს.

— ვარდენ, იცი რა? აჩქარება კარგია, მაგრამ ზოგ საქმეში გადაჭარბებულ აჩქარებას ზიანი მოაქვს. აჩქარება მაშინაც გამართლებული, თუ მას გონება წინ მიუძღვება. აი, მაგალითად, კლუბის საკითხში ძლიერ აჩქარდით, თამაში მოვეშველათ დროზე, თორემ თქვენ სულ სხვას აშენებდით. განა საჭირო არ იყო კარგად მოგვეფიქრებოდა და საქმე მერე დაგვეწყა?

ვარდენი ჩაფიქრდა. ცოტა ხნის შემდეგ ხმადაბლა თქვა:

— მართალია, აჩქარდით!

როცა ხშირმა ვარსკვლავებმა ცის ტიტნობი მოქედეს, ზღვიდან და პლანეტებიდან დაბრუნებულ კოლმეურნეთა ხმები გაისმა, ისინი სიმღერით მოლიოდნენ:

შუქი ანთეს, კრება დაიწყო.

გრიგოლმა აქ დაწვრილებით ილაპარაკა პრესაში გამოქვეყნებულ კოლმეურნეთა წერილზე.

— არა მგონია, რომ ჩვენში აღმოჩნდეს ისეთი კოლმეურნი, რომელსაც შეგნებული არ ჰქონდეს ამ ვალდებულებათა მთელი სერიოზულობა. ყველა ჩვენთაგანისათვის გასაგებია, თუ რას ნიშნავს ბელადისადმი მიცემული სიტყვა... ყველასათვის გასაგებია, რომ ჩვენი ადამიანების პირადი წარმატება საერთო წარმატებაა. ახლა საქირთა იმაზე ვიფიქროთ, თუ როგორ ვიმუშაოთ, რომ პირნათლად შევასრულოთ ვალდებულება.

კოლმეურნეებიც სწორედ იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ რა უნდა გაიკეთებინათ გამარჯვებისათვის.

შუალამე გადასული იყო რაიკომის მდივანი რომ წავიდა. კრება სწრაფად

დაიშალა. ვარდენი თავის მანქანასთან შეჩერდა.

— წავიდეთ შინ! — მიმოსვლაში სანდრომ, რადგან ვარდენი ადგილიდან აღარ იძროდა.

— არა, ძვირფასო, შინ ვეღარ წავალ. — უთხრა ვარდენმა, მანქანის საჭეს თვითონ მიუჯდა, — ჯერ შენ მიგიყვან სახლში, მერე მე წავალ... ამჟამად სუფსის პირას უნდა გავიდე. ბრიგადირების ნახვია საჭირო.

— თუ აუცილებელია, განა მე ვერ წამოვალ?

— არა, ძვირფასო! შუალამე გადასულია, თუ ღამით ორივენი მოვიქანცებით, ხვალ აღარ ვივარგებთ:

სანდრო განიარაღებულდგო იჯდა თავისთვის. ვარდენმა შინ მიიყვანა და თვითონ წავიდა.

დადუმებულ სოფელში შორს გაისმოდა მანქანის გუგუნე. ვარდენი სუფსისაკენ მიაქროლებდა მანქანას და თან იმეორებდა:

„სჯობს საყვარელსა უჩვენი საქმენი საგმირონია“.

მხოლოდ ღამის სამ საათზე დაბრუნდა ვარდენი შინ, უძილობისაგან გარბეული და მოქანცული.

(გაგრძელება იქნება)

ამერიკელს უკვირს



თითის წვერებზე წამოდგარი
დგას— დგას ამერიკა,
სათვალეში გამომწყვდეულ თვალებს
ზომავს საბუოეთს, არ ნაბავს,
ვერ მოწყვიტა თვალი ვერ იქნა,
შორ ნაპირიდან ჭამს თვალებით,
ზომავს და ყლაპავს.
— რა უცნაური,
უჩვეულო ჯიშის ხალხია.
შენებლობაზე, რომ ფუსფუსებს
მთასა და ბარში,
რალაც ხეთწლადი
ფანტაზიით მოუჩმახიათ
ახლა უეცრად ასრულებენ — 4 წელიწადში.
ვერ მიუღებენ
ამერიკულ მარკით
ვერ მოისყიდი ვერც დოლარით
ასეთ ხალხს,
მთელ ენერჯიას
და ვერც ცენტებით,
და ყოველდღე ახალს და ახალს,
ანიავებენ
და ფლანგავენ გადამეტებით.
ეს რა ხალხია?
რა წრთობაა?
ან რა შეგნება?
შრომის ხალხი
ასე რიგად რად მოსდებიან?
ნებით მიდიან,
ძალით არვინ.
და თანაც
არ ერეკებათ,
რკინის დისციპლინით
მჭიდროვდებიან.
თქვენი მისტერი კი
პრაქტიკას
აყენიდან იძენს,
ფულით ყიდულობს ხალხს
და ხარობს, რომ ძალა
შესწევს,

5411
მ-მ-მ



აბა, მისტერი გაბერილი
 როგორ გაიგებს?
 კომუნარების
 მისწრაფების
 უშაგრეს ფესვებს.
 მამ გაიოცეთ, ბურჟუებო!
 ჩვენი ნაპირის სიღიაღე მსოფლიოს
 მოგადგეთ ცოფი!
 იცოდეთ ესეც —
 ამერიკას,
 ფეხმარდს
 და ცნობილს
 ჩვენ დავეწვევით
 და გადავასწრებთ.

თარგმანი კ. მახარაძისა

პირისპირ

რომანი

წიგნი მეოთხე

მარტოობა *

„დედის სიყვარულის სხავების ქვეშ თვით
ბუნება იღვიძებს“.

ან დერსენი: -დედა“.

1.

ქირურგი სიკო მოსეშვილი ყოველ-
დღე დაიარებოდა ავადმყოფთან, მკურ-
ნალობის პროცესში ქსოვილების არა
სადი გრანულაცია წვივ-ტერფის სახ-
სართან კრილობის ახლო არსებობა,
კიდურის შეშუპება და ავადმყოფისათ-
ვის სიცხის მომატება, ქირურგს საშიშ-
რად მიაჩნდა და მის წინაშე რამდენ-
ჯერმე დაისვა საკითხი კიდურის ამპუ-
ტაციის შესახებ. ამავე დროს ქირურგს
ეჭვი ჰქონდა მიტანილი სოლისებური
მგლის მოტეხილობაზე, თუმცა რენტ-
გენოლოგიურად ეს დადასტურებული
არ იყო. ტერფის სურათი არ გადა-
ულიათ.

დიდი ბჭობის შემდეგ, რომელსაც
ელენე, დათა, ექიმი სიკო მოსეშვილი
და ტერეზას შვილობილი მარო ფრუი-
ძეც დაესწრო, კარისმერეთში დეპეშის
გაგზავნა უარყოფილ იქნა, იმ მიზეზით,
რომ კორნელი ყველაზე უმცროსი და
ყველაზე საყვარელი შვილია ტერეზა-
სი, მისი დაქრის ამბავი დედას თავ-
ზარს დასცემს და მოხუცი და ავადმო-
ფი ქალი თბილისში ცოცხალი ვერ მო-
აწვივსო. კარისმერეთში გამგზავრება
და თბილისში ტერეზას ჩამოყვანა მა-
რომ იყისრა.

ტერეზა და მარო სექტემბრის ბო-
ლო რიცხვებში, დილით აღრე ჩამოვიდ-
ნენ თბილისში. ტერეზას მაროსგან გაი-
გო, მსუბუქად რომ დაიჭრა კორნელი

ჩხიკვაძეს. დედას შვილი ეცოდებოდა,
მის აღელვებას უფრთხოდა და ამიტომ
თავი შეიკავა, მხნეობა გამოიჩინა და
დინჯად და მშვიდად შევიდა ოთახში.
შვილს გაუღიმა, ჩაპოცნა და საქმიანი
საუბნარი გააბა მასთან.

კორნელი მაშინვე მიხვდა, დედა რომ
თავს იჭერდა, მხნეობას იჩენდა და საყ-
ველურს არ ეუბნებოდა, ამან უფრო
ააღელვა, ცრემლი შეიკავა და თვალი
მოარიდა. დედას ძალზე გამხდარი იჩ-
ვენა. ინსპექციიდან გამოგზავნილი ფუ-
ლი გამოართვა და ჩასვლისთანავე კა-
რაქი, კვერცი იყიდა და კარგად ჰკვი-
ბადა. მაროსაც ყურძენი ან სხვა რამ
ხილი მოჰქონდა.

მეგობრები: პეტრე ცხომელიძე, გიგა
ხუციშვილი, მიტო ჩიკვაძე, გიგო თა-
ვაძე და კუკუტი ზარანდია ყოველდღე
დაიარებოდნენ კორნელისთან. მალე
კორნელის სანახავად გურგენ აგარაშ-
ვილის და გიორგი ნიკოლაშვილის შე-
თაურობით შეგარდნის მთელი მწურთ-
ნელთა ჯგუფი მოვიდა. პოეტები —
პლატონ მოგველაძე, რაფაელ ახვლე-
დიანი და ლეონარდო ტაბატაძეც ეს-
ტუმრნენ. აგრეთვე — ბატარეის უფ-
როსი ალექსიძე, პოლკოვნიკი ჯიბო მა-
ყაშვილი და სხვანიც. დედა გაციდა
რა ფართო ნაცნობობა და მეგობრობა
ჰქონია ჩემ შვილსო. მთელი ქალაქი
კორნელის დაქრავზე ლაპარაკობდა.
ერთხელ ელოც ესტუმრა კორნელის,
თავიგული მიუტანა. აღიღვიბულმა ქალ-
მა უთხრა:

* ვაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3

— ნინო მოკითხვას ვითვლით. ძალიან სწუხს, პირადად რომ ვერ ახერხებს თქვენს ნახვას. თქვენებისა რცხვენია, განსაკუთრებით კი დედა თქვენისა.

— რისთვის რცხვენია დედა ჩემისა? დედა კეთილი და სამართლიანი ქალია. გარდა ამისა, მან ჩვენს შესახებ არაფერიც არ იცის. ვადავციეთ ნინოს ჩემი მალღობა მოკითხვისათვის. ნულარ დამწყველის, რადგან ბედი ისედაც ულმობელია ჩემს მიმართ. მე მარად ვილოცებ მისთვის.

ელმ გულდამწყვეტით გაუღიმა და უთხრა:

— იგი ამიერიდან არც გწყვივლით და არც ლოცულობს თქვენთვის.

— ლოცულობდა კი ოდესმე? — ღიმილითვე ჰკითხა კორნელიმ.

— დამიჯერეთ, ლოცულობდა, — მიუგო ელმ.

— რა ერთგული, სათნო და კეთილი სული დავეკარგე, — დარდიანად განაცხადა კორნელიმ და თვითონვე მიხედა, ეს რომ თეატრალური, გაკეთიბული ფრანა იყო, მაგრამ მან ელო ააღიღვა: — რისთვის დავეკარგეთ მერმე? არაფერიც არ მოხდებოდა, ის წყნული ქალი რომ დავეგვმოთ. ხედავთ, მის გამო რა შეგემთხვათ?

— მის გამო?

ელმმ შიშით და რიდით დახედა ნახევრზე, გაფითრდა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

— წყნულიმც იყოს ის ქალი.

— ის ქალი ჩემთვის ბედი-მღვიჯარი იყო. უკვე თავი დავაღწიე მას. ალბათ საჭირო იყო ამ გამოსასყიდველი მსხვერპლის გაღება. ახლა მე თავისუფალი კაცი ვარ.

ელო გაცემით მიამტკრდა კორნელის. ეტყობოდა, ბევრი რამ უნდოდა ეთქვა კორნელისათვის, მაგრამ თავს იკავებდა.

ამ დროს ოთახში ტერეზა შევიდა. ელო შეერთა და წამოდგა, კორნელიმ დედა გააცნო, ელომ ბოდიში მოიხადა.

— მამაკეთი, ქალბატონო, მგონი დავტანჯე ავადმყოფი ამღენი ლამარაკით.

— უი, არა, შეილო! ხედავთ ამ წიგნებს, დღედაღამ კითხულობს, მეცადინეობს და ის დღის. ამიტომ გახდა ასე.

ელომ სათნო ღიმილით გადახედა დედას და შეიღს. ორივენი გამხდარნი იყვნენ და ძლიერ ჰგვანდნენ ერთმან-

ნეთს, განსაკუთრებით შავი, შუქიანი, ლამაზი თვალებით. ცოტა ხნის შემდეგ ელომ მაჯის საათს დახედა. ხაჭქმე მამკვა სო, მოიმიზეზა, ტერეზას და კორნელის დაემშვიდობა და წავიდა.

— რა ჩინებული ქალია. მავას ავადმყოფობა და უცნაურობა სრულიად ვერ შევნიშნე. ალბათ ოხერი ქმარი შეგვდა და ის ურევდა გზა და კვალს! სწორედ მშვენიერი ქალია: კონტა, ტანადი, ლამაზი, ბევრ მამაკაცს ასეთი გამხდარი, ტანწერწერი ქალი მოსწონს.

— კაცია და გუნებო, — მიუგო შვილმა და ამოიოხრა. დედა მაშინვე მიხედა, ჭრილობის ტკივილის გამო რომ არ ოხრავდა ახლა კორნელი, ალბათ ნინო, განვლილი განცდები, ძველი სიყვარული მოაგონდა და ის სტანჯაგისო, ვაიფიქრა. ტერეზა სასთუმალთან ევდაა შეიღს და კარისმტრეის ამბებსა და ძველსა და გრძელ ისტორიებს უყუებოდა, მაგრამ შვილი არ უსმენდა. იგი ჰერს მიშტერებოდა. საკუთარმწველ ფიტრებს ვაჰყოლოდა და ზრდილობისათვის დედას დროდადრო უქნედა თავს, თითქო უსმენს და ეთანხმებო.

— ნუ დარდობ, შეილო. შენი გამანადგურებელი ნურაფერი ნუ გინდა, ნურც ქალი და ნურც სიყვარული. ისიც გეყოფა ახლა, ეს ჭრილობა რომ გამწარებს!

— მე ქალზე არ ვფიქრობ. სულ სხვა რამ მამწუხებს, — იცრუა კორნელიმ.

— მაინც? — ჰკითხა დედამ.

— თუ ეს ჭრილობა მალე არ მომირჩა, პრაქტიკულადაა ვერ ვივლი და წელიწადი გამიცდება. — მიუგო შეილმა.

— უი, არა, შეილო, — შეწუხდა დედა.

ცოტა ხნის შემდეგ ნაცნობებმა და მგობრებმა სიარულს უკლეს, თითქო კორნელი ყველას დაავიწყდა. მხოლოდ კუკური ზარანდი დაიარებოდა დღე-გამოშვებით. სანდრო ხოტიჯარი კი — შაბათობით.

2.

ტერეზას გულს უთუთქავდა შეილის ჭრილობა, მაგრამ არ ამჩნევინებდა. ეტოდებოდა პატარა, ბნელ ოთახში მარტოსულივით მიტოვებული, ლოგინად ჩავარდნილი ვაჰკაცი. ათასში ერთხელ თუ შევიდოდა ავადმყოფთან თავისი საქმით, დარბაზობით, სრუ-

შარმასპინძლობით და ფლირტით გართული დედა ელენე და მისი ქმარი დირექტორი დათა მიქელაძე. დედა კი არ შორდებოდა. მერმე იქვე, ტახტზე მიეგდებოდა, როგორც ერთგული მისი: მცველი და გუშაგი, იგი იყო ახლა კორნელის ნამდვილი მეგობარი და სულის მესაიდუმლე. მან იცოდა შვილის ბედნიერებისა თუ უბედობის განზიარება, სიხარული და გლოვა. დედა უმალვე გაიგებდა მის გულისთქმას. სხვა ვინაა დარჩა კორნელის, დედაზე უფრო ტყბილი, საყვარელი და მახლობელი? სატრფო თავისი წრის მარწუხით შეკრული აღმოჩნდა. მისმა შშობლებმა კორნელი შეიტლეს, „ბოლშევიკად“ მონათლეს და ნინოს განაშორეს, სიყვარული გულიდან ამოკლიჯეს და კორნელიმაც თავადების, მდიურების და ფილისტერების ბუდეები შეიტლა და მტრად მოიკიდა, ყველაზე ახლობელი და შეფიცული მეგობარი — ვრიგო ცაგურიშვილი თურქებმა ომში მოუკლეს. მხატვარი მიხა მაჭავარიანი არაკაცი აღმოჩნდა და, ისე როგორც ავბორცი მარგარიტა, კორნელიმ ისიც მოიშორა. სანდრო ხოტივაძი და კორნელი სხვადასხვა აზრისა იყვნენ და მათი ზგზე გაიყარნენ. თანამოაზრე მეგობრები — გიგა ხუციშვილი, მიტო ჩიკვაძე და პეტრე ცხომელიძე კი, რამდენი ხანია, არა სჩანდნენ. „წყევლმა დომენტი მელაძემ, ჩხიკვაძემ და ჯორბენაძემ თუ დააპატიმრეს!“ — ფიქრობდა კორნელი. იგი მარტოობას გრძნობდა... მხოლოდ დედა იყო მისთვის ერთადერთი ნუგეში. მასთან უყვარდა შვილს საუბარი და მის წინაშე თავისი გეგმებისა და გულისნადების გაქმლავებდა. დედა ფიანდაზად იფიქნებოდა, ტყვილს უამებდა, ყვილაფერში ეთანხმებოდა და არ ედავებოდა. ერთ რამეში უწყევდა მხოლოდ მეტოქეობას და ისევ სიკვრივს იჩენდა. ეს მაშინ, როდესაც შვილი ზედმეტი მიწების დარიბ გლუხებზე უსასყიდლოდ გადაცემას ურჩევდა და „რევიოლუციას“ უხსენებდა. შვილის უზომო სიყვარულის გამო, პოლოს დედამ, ესეც დასთმო: „ქონებას

საფლავში ხომ ვერ ჩავიტან! თუ ყვილას ერთი ხვედრი ელის, რა დაგეგმავს ის მელოდეს, ოღონდ თქვენს მოქმედებებზე, ჯანმრთელი, სახელოვანი და ბედნიერიო“, — ეტყუოდა. კორნელის მხოლოდ ის აწუხებდა, დედა რომ ადრე მოტყუა, მოხუცდა, დასნეულდა. სიმსივნე კიდევ უფრო გაზარდოდა თავზე. ქირურგმა სიკო მოსეშვილმა ოპერაცია შესთავაზა, მაგრამ ტერეზა არ დასთანხმდა. არასოდეს კორნელის ისე მწვავედ არ უგრძნებია დედის დაკარგვის საშიშროება, როგორც ახლა. — ავადმყოფობისა და მარტოობის დროს. მიუხედავად თავისი სიბერისა და სისუსტისა, ტერეზა ისევ ჩინებულად უვლიდა შვილს. იგი ექიმის თანამეშვერის როლს ასრულებდა. თავს დასტრიალებდა კორნელის. საჭირო რეჟიმს იცავდა. დილა-სადამოს სიცხეს უზომავდა, წამლებს ასმევდა და კარგად ჭყებავდა. ბაღსავე ეფერებოდა, ართობდა, ტყვილს უამებდა და შაფიქს უფახტავდა. მკურნალობამ თავისი შედეგი გამოიღო და ავადმყოფს მალე უკეთესობა დაეტყო. რა წამს კორნელიმ უკეთესობა იგრძნო, მაშინვე მეცადინეობას მიჰყო ხელი. დამწვინებული დედა კარისმერეთს გაემგზავრა იმ აზრით, რომ იქ რთველი მოიწია და მერმე კვლავ შვილთან ჩამოსულიყო. ახლა სრულიად მარტო დარჩა კორნელი. მეგობრები ისევ არა სჩანდნენ. მხოლოდ კუკური ზარანდია შემოიჩვენდა დღეგამოშვებით, ლექციები, კონსპექტები და სახელმძღვანელოები მოჰქონდა. იგი მასთან ერთად ამზადებდა საგნებს და გვიან ღამით მიდიოდა შინ. „ახლა კუკურიმაც უკლო სიარულს. სტუდენტებმა, პროფესორის ხელმძღვანელობით, ანატომიურ მუზეუმში, პროსექტურაში გვაძებნენ მუშაობა დაიწყეს და კუკურიც დროს ვერ მოულოდნეს. მე კი, ალბათ, კიდევ დიდხანს ვიქნები ამ საწოლზე მიჯაჭვული და ალამა უწყის, როდის შევედლებ ყვარჯნებით სიარულს და ქალკში გასვლას!“ — ფიქრობდა კორნელი. იგი მწვავედ განიცდიდა მარტოობას.



გულახდილი საუბარი

„მარა ვიყოთ უპარტიოები“ — ზღაპრული საუბარი მოდით ან ჩვენი მტრების ბანაკში გადაბარგდით, ხოლო ნუ ქანაობთ ჩვენს შორის და ზელს ნუ გვიშლით! საშუალო გზა უკვე არ არის და არც შეიძლება არსებობდეს“.

ს. კირაკოვი „წერილები, სიტყვები, ლექსები“.

1.

შემოდგომის მორღებულ და რიგა დღე იდგა. წვრილი წვიმა ცრიდა. გიმნაზიის სამსართულიან შენობის უკან კორპუსის სველ კედელსა და დათა მიქელაძის ბინის შორის ბაღი იყო. ბაღში ნეკერჩხლები და ცაცხვები იდგნენ. კორნელის პატარა და ბნელ ოთახის ფანჯარასთან ფოთლებგაყვითლებულ, სველ ნეკერჩხალზე ბელურები გულსაკლავად ევიოდნენ. კორნელი გულაღმა იწვა ოთახში და ჰერს მიშტერებოდა. დილით ექიმმა ჭრილობა მობანა, იოდის ხსნარში გაეღვნილი ბამბა დაადო და სახვევი მაგრა მოუჭირა, იოდის ხსნარი ისევ შედიოდა მოუშუშებელ ჭრილობაში და ავადმყოფს ტერფზე ისევ ეიცილებოდა.

შინ არავინ იყო. ზოგნი ქალაქში და ზოგნი ბაზარში წასულიყვნენ. თუნდაც შინ ყოფილიყვნენ, კორნელის ახლა არაფერი საერთო არ ჰქონდა ამ სახლის მობინადრეებთან. მათი ზნეები გაჟრღილიყვნენ. შინ მხოლოდ მათორ ბოგოლიუბოვის ცოლი დარჩენილიყო. ამ ქალის ამარა დაეროვებინა კორნელი დღიდას, მაგრამ მათორის ცოლი ისევ რთილას მისჯდომოდა სასტუმროში, ერთფეროვან, მოსაწყენ გამებს გულსგამაწყვალებლად უკრავდა, ხმას ავირუქებდა, კორნელის საშინლად შესხარდა მექთამეკიელი, მუსიკალურ სმენას მოკლებული ქალი და გადასწყვიტა, პირველ შეხვედრისთანავე ეთქვა მისთვის: სმენა და ხმა არა გაქვთ, დროს ამოდ ჰკარავთ და სხვებსაც სტანჯავთო. იგი აღრინელ გუნებაზე იყო. მის გულს მარტოობის ნაღველი ღრღინდა. თავისი პატარა და ბნელი ოთახი მთელ ქვეყანას მოწყვეტილ აკლდამად ეჩვენებოდა. მას კი გონივრული მოუშაობა, ბრძოლა და მოქმედება სწყუროდა.

სასთუმალთან სკამი ედგა და ზედ წიგნები და ჟურნალები ეწყო ბიოლოგიის და მედიცინის დარგიდან ბიოლოგიისა და კერძოდ მედიცინის დარგში მუშაობა მის მხატვრულ გემოვნებას კი არ აჩლუნგებდა, არამედ ამხვეცილებდა. ასეთი მუშაობა ფართოებდა კორნელის წარმოდგენას ადამიანზე, ბუნებაზე და მას მრავალი პრობლემა და მხატვრული თემა ებადებოდა. მაშინ იგი ანატომიური ატლასის ფართო და დიდ წიგნს დაუთავიოთ მეკრძნე დაიყუდებდა, ზედ ქალღალს ჰიკარტიოთ მიამაგრებდა და თავის ნათქვამსა და ნახარვეს ფანქრით სწერდა. მუშაობაში მთელ დამკს ათიგდა. ექიმმა, დღიდამ და მარომ ღამით მუშაობა აუკრძალეს. მაინც იძალა კორნელიმ და, ყველასაგან მალულად, რამდენიმე დღის განმავლობაში, პატარა მოთხრობა დასწერა.

კორნელი ტოლსტოის „ახსარების“ კითხვას ამთავრებდა და ამ წიგნში დიდი მწერლის მიერ თავისი მიკობისა და შეუწინაღობი სულის გაშიშვლება. ადამიანის დანიშნულების, მიზნისა და ცხოვრების სიმართლის ტიტანური ძიება აოკებდა, მაშინ როდესაც მის ბნელ ოთახში რკვიის შავ ქურთუკში და რუსულ ჩექმებში გამოწყობილი მაღალი და გამხდარი ჩირა კაცი შევიდა.

კორნელიმ უმალ ვერ იცნო იგი. თავისი სკოლის მეგობარი — ნიციტსკი ეგონა, მერმე გაშლილი წიგნი სკამზე დააგდო და სტუმარს შესძახა:

— ენაო!

ენაო მივიდა დაიხარა და კორნელის აკოცა. მერმე ქურთუკის ჯიბეებში ხელები ჩაიწყო, მხრები აიჩჩა, ნახვილზე დახედა და ჰკითხა:

— რა ამბავია, ბიჭო, ვინ დაგჭრა?

— ვილაც ჩხიკვაძემ, — მოუგო დარცხვენით კორნელიმ.

— კედის რაზმის თანამშრომელია?
 — შენ რა იცი?
 — გვიფიქროს გერჩოდა, ის არა-
 მზადა?

— ეჰ, ეს სამარცხენო ამბავია, —
 მიუფო კორნელიმ და სკამი შესთავა-
 ზა. — საიღას საღაო? შენი ვერაფერი
 გამოიგია: მოულოდნელად გაჭრები და
 ისევ მოულოდნელად გამოჩნდები! —
 შინიშნა კორნელიმ.

ვანომ გაულიმა და კორნელის პირის-
 პირ, საწერ მაგიდასთან დაჯდა. წვიმიით
 დასველებული კეზი მოიხადა, დააქნია
 და მაგიდაზე დადო, ქალსავით ნაზი და
 პატარა ხელი შებლზე და კეფაზე გა-
 დასხვა. ქერა თმა წინ საგრძნობლად
 შესთებლბოდა, გასცვენოდა და ამის
 გამო, მისი მალალი და ფართო შუბლი
 უფრო ფართო ჩანდა. შუა ალაგას
 შერჩენილი თმის ბლუჯა კი მამლის
 ქოჩორივით დასდგომოდა. თავი გაიქ-
 ნია. ქურთუკის საყლო უჭერდა. იქი-
 დან ამოწვდილი მალალი და წვრილი ყი-
 ლი წაიფრქვოდა. მერმე მარჯვენა ხელი
 მიგედაზე შემოსდო, მარცხნით დო-
 ინჯი შემოიღვა, წინ გადიხარა და კორ-
 ნელის უთხრა:

— მიტომ მთამბო, მაგრამ კარგად
 მაინც ვერ გავიფიქრო, რა უნდოდა შენგან
 ჩხიკვაძეს?

კორნელიმ დაწვრილებით უამბო ყო-
 ველივე... მერმე მაროს ძმის — მიხა-
 ფრუძის დაბჭერის — დომენტი მილა-
 მის სტუმრობა და მასთან კამათის ამ-
 ბავიც მოუყვა. ვანომ არ მოუწონა დო-
 მენტისთან გულახდილი საუბარი და
 კლემენტი ჩხიკვაძისადმი მუქარა, ხო-
 ლო კლემენტი ჩხიკვაძის წინადადება
 რომ არ მიეღო კორნელის, ეს კი გაი-
 ხარდა.

— სჯობდა მენშევიკებისადმი ლოი-
 ალურ სკვად გეჩვენებინა თავი. ასე
 აჯობებდა კონსპირაციისათვის. ახლა
 კი შენი ბიზაც ეპქაქვემ არის დაყენე-
 ბული. ახლა ვერც ვალაქტიონ გელა-
 შვილი და ვერც სხვა ვინმე შეაფარებს
 თავს შენს ბიზას. ეს კი საჭირო იყო.
 თუშკა, — ჩაფიქრდა ვანო და მერმე
 ისევ განაგრძო: — ჩხიკვაძე და მისი
 მეგობრები კიდევ შეეცდებიან შენთან
 შერიგებას. შენს მოთაფლვას. ეტყობა,
 ჩხიკვაძე შიშობს, რომ მის წინააღმდეგ
 არ იქნეს აღმართული საქმე. იგი უთყოლ
 შეეცდება დანაშაულის მონანიებას და
 გამოსყიდვას. ეს ცუდი როდია. ჩვენ

უნდა შევეცადოთ რაც შეიძლება გვი-
 რად დაუჯდეს მას შენს წინაშე ჩხიკვა-
 ლი დანაშაულის გამოსყიდვა.

კორნელიმ ვერ გაიფიქრო, რას ფიქრობ-
 და იატაკქვეშ მომუშავე, გამოცდილი
 რევოლუციონერი. იგი სიხარულით და
 ვახციფრებით მისჩერებოდა მაღალ,
 გამხდარ და ქერა კაცს, რომელმაც
 მენშევიკური პრესის მიერ დაწვინებუ-
 ლი მისი მოთხრობა — „გოჯასპირი“
 დღის სინათლეზე გამოიტანა და ბოლ-
 შევიკურ ქურხალში დაბეჭდა. ამ მოთხ-
 რობის გამოქვეყნებამ სულ სხვაგვარად
 წამართა კორნელის ცხოვრება, კორნე-
 ლი წინათ „ფანატიკოსს“ უწოდებდა
 ვანოს და ერთგვარად უფრთხობდა კი-
 დეც მერმე კი თანდათან მოექცა ამ
 კაცის გავლენის ქვეშ.

2.

ძველი მუშის — ასოთამწყობის ბათ-
 ლომე მახათაძის შვილი ვანო მტყი-
 ცე და ურყევი ბოლშევიკი იყო. მას
 ახალგაზრდობიდანვე ტანჯვითა და
 ბრძოლით საფეხ გზა ჰქონდა გავლილი.
 კორნელი ზედმიწევნით როდი იცნობ-
 და მეგობრის მიერ გავლილ იმ გზას.

ვანო ბავშვობიდანვე მუშათა წრეში
 ტრიალებდა. იგი თვალს ადევნებდა
 სტამბისა და ქარხნის მუშების დუხჩირ
 ცხოვრებას. მუშები თორმეტ საათს და
 მეტ ხანსაც მუშაობდნენ. მათთვის კვი-
 რა და უქმე დღე არ არსებობდა. რო-
 დესაც ვანო ხედავდა, ერთი რომ არა-
 ფერს არ აკეთებდნენ და განცხრობით
 ცხოვრობდნენ, ხოლო მეორენი კი დღე-
 დღისად მუშაობდნენ. ჰამანწყეკებაში იყ-
 ვნენ და სილატაკეს და გაჭირვებას მაინც
 თავს ვერ აღწევდნენ. — მის აღწო-
 რებას საზღვარი არა ჰქონდა. მასში ბა-
 ვეშვობიდანვე იჩინა თავი სოციალური
 ოსამართლობის წინააღმდეგ პროტესტ-
 მა. ბავშვობიდანვე საჩინო გახდა მასში
 ხსიათის სიმტყიცი, ჯიუტობა, ანეკბუ-
 ლი მიზნისაკენ განუხრელი სელა, დამო-
 უყიდებლობა და თან რაღაც თავისებუ-
 რი გულთბილობა, გაჭირვებაში და სი-
 ლარიბეში მყოფ მახლობელ ადამიანე-
 ბის და ამხანაგებისადმი თანაგრძნობა
 და უჩვეულო კეთილშობილება. ყველა
 ეს თვისება ახსიათებდა ვანოს,
 როგორც ბავშვობაში, აგრეთვე სიჭა-
 ბუეკში და მერმეც. რადგან იგი ბავშვო-
 ბიდანვე მუშების წრეში ტრიალებდა.

ამიტომ მას საშუალება ჰქონდა მათ გა-
ჭირებულ ცხოვრებას დააკვირებოდა
და არსებულ წესწყობილების წინააღმ-
დეგ მათი უმთავრესი და აღმფრთხი-
ლა მოესმინა. იგი ბევრ რამეს სწავლობ-
და ძველ რევოლუციურ მუშებისაგან.
ისინი გატაცებით უამბობდნენ ახალგა-
ზრდა ვანოს საქართველოსა და ამიერ-
კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცი-
ების მოწყობის, ხელმძღვანელისა და
სტალინამდგემლის — ქაბუკი სტალინის
მოლოწამლობისა და ბრძოლის შესახებ,
რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახ-
დენდა ახალგაზრდა კაცზე — ვანოზე
და აღაფრთოვანებდა მას რევოლუციურ
ბრძოლისათვის. მისი მამის მგვობარი
მუშები რევოლუციურ ლიტერატურას:
მარქსის და ენგელსის, ლენინისა და
სტალინის შრომებს აწვდიდნენ ვანოს,
იატაკვემ მუშაობას აჩვენებდნენ და
წვრთნიდნენ. ჯერ კიდევ თხუთმეტი
წლის ვანო პირველად კითხულობდა
ვ. ი. ლენინის „რა ვაქეთოთ?“. ამ წიგნ-
მა მომავალი პოლიტიკური მათემატიკა მთა-
ახდინა მასზე და საბოლოოდ გაარკვიდა
იგი პოლიტიკური ბრძოლის საკითხებ-
ში და დააყენა სწორ გზაზე, რომლისგან-
აც არასოდეს მერმე არ გადაუხვევია.
ლენინის შრომიდან მან გაიგო, თუ რო-
გორ უნდა იყოს რევოლუციონერი სო-
ციალ-დემოკრატი, ხალხის ტრიბუნი —
როგორ უნდა ეხმარებოდეს იგი მშრო-
მელი ხალხის ჩაგვრას. როგორ უნდა
წვდებოდეს და ანუგადობდეს იგი
ერთ გარკვეულ სურათში პოლიციური
ძალადობისა და კაპიტალისტური ექს-
პლოატაციის ყველა გამოვლილებას, რო-
გორ უნდა ეხმარებოდეს იგი კლასობ-
რივ ინტერესებს და ნათლად და გასა-
გებად მოუთხრობდეს ყველას თავისი
მოწამისა და დემოკრატიული მოთხოვ-
ნილების შესახებ.

თავისი ცოდნითა და შეგნებით, რე-
ვოლუციის საქმისადმი ერთგულებით,
მამაცობითა და გამბედაობით ვანომ მა-
ლე მოწინავე მუშების ყურადღება მიიჭ-
ცია. ჯერ კიდევ სამოქალაქო სასწავ-
ლებლის დამთავრების დროს იგი უკვე
სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის
ბოლშევიკური ჯგუფის წევრი იყო.
პირველი მსოფლიო ომის დროს გიმნა-
ზია დაამთავრა, მაგრამ უმალევე სას-
წავლებელში შესვლა არ დასცალდა,
რადგან ჯარში გაიწვიეს. იგი სამხედრო
სასწავლებელში შევიდა და კურსდამ-

თავრებული ახალგაზრდა ოფიცერი პე-
ტროგრადიდან დასავლეთის ფრონტზე
გაგზავნეს და მან თავისი ფრონტული
რეალური მუშაობა ახლა ჯარში გადაიტანა.

მეფის რუსეთი ომისათვის მომზადე-
ბული არ აღმოჩნდა. არმიები ფრონტ-
ზე მარცხდებოდნენ და უკან იხევდნენ.
სახელმწიფო სამეურნეო კრიზისს განი-
ცდიდა და ბოლოს სულმთლად მოიშა-
ლა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ
რუსეთის ბურჟუაზიამ და მისმა მომხ-
რე პარტიებმა კვლავ იმპერიალისტური
ომის გაგრძელებას დაუქირეს მხარი და
დროებითი მთავრობისა და კერენს-
კის პირით ქვეყანას ამცენეს: ომი გამარ-
ჯებამდე უნდა გაგრძელდესო. ბოლშე-
ვიკები და მათ შორის ვანო მახათაძეც
გაცხოველებულ მუშაობას ეწეოდნენ
ფრონტზე და უნმარტავდნენ ჯარისკა-
ციებს ბოლშევიკური პარტიის შეხედუ-
ლებას ომისა, ზავისა და რევოლუციის
საკითხების შესახებ.

მუშათა კლასისათვის უდიდესი მნიშ-
ვნელობა ჰქონდა 1915 წელს გამოქვეყ-
ნებულ ლენინის გეოლოგ ნაშრომს:
„იმპერიალიზმი, როგორც უმალეღის
სტადია კაპიტალიზმისა“. ვ. ი. ლენინმა
აქ იმპერიალიზმი მომავლად კაპიტალიზ-
მად მონათლა და დაგვანახვა, რომ „იმპე-
რიალიზმი არის პროლეტარიატის სოცია-
ლისტური რევოლუციის კვირამა-
ლი“. ვ. ი. ლენინი იქ დასკვნამდე მი-
ვიდა, რომ კაპიტალიზმის არათანაბ-
რი განვითარების გამო, სავსებით შესაძ-
ლებელია პროლეტარიატის მიერ იმპე-
რიალიზმის ფრონტის გარღვევა სადმი-
ერთ ან რამდენიმე ადგილას, რომ სო-
ციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია
თავდაპირველად რამდენიმე ქვეყანაში,
ან ცალკე აღებულ ერთ რომელიმე ქვე-
ყანაში. ამიტომ იყო, რომ პირველი
იმპერიალისტური ომის დროს ბოლშე-
ვიკურმა პარტიამ იმპერიალისტური
ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის
ლოზუნგს დაუქირეს მხარი. პარტია მო-
უწოდებდა ჯარისკაცებს — მაზარაში
გადაცემულ მუშებსა და გლეხებს, რომ
თუ მათ სურთ ომს თავი დააღწიონ და
სამართლიანი ზავი მოიპოვონ, იარაღი
თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ უნდა
შეატრიან. რუსეთის მუშათა კლასი
და მშრომელი გლეხობა ბოლშევიკური
პარტიის გზას გაჰყვა და მან ლენინისა
და სტალინის ხელმძღვანელობით ოქ-

ტომბრის პროლეტარული რევოლუცია მოახდინა.

დროებითი მთავრობის დაპატიმრებისა და ზამთრის სასახლის აღების შემდეგ, რომელშიც ვანო მახათაძეც ღებულა მონაწილეობას, ქართველი ბოლშევიკების ერთი ჯგუფი 1917 წლის დეკემბერს საქართველოსაკენ გამოემართა.

კორნელიმ იცოდა, რუსეთიდან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ვანო რომ კავკასიის ფრონტიდან მომავალ ჯარისკაცებთან იყო, რომელთაც შამქორში შენშევიკების, მუსაგატილებისა და დამნაყების ბანდები თავს დაესხნენ. და განიარაღება დაეწყეს. დედასთან ერთად ბაქოდან მომავალი კორნელი გახვის ახლო სადგურთან შეხვდა შამინ ვანოს. კორნელიმ მასთან ერთად ინახულა ბროზის ადგილები შამქორში და შენშევიკებისა. მუსაგატიელებისა და დამნაყების ბანდების ხაშოქმედართი შემტყუნდა. მაგრამ კორნელიმ არ იცოდა, შამქორის ამბების შემდეგ ვანო რომ ქართველი მუშებისა და ჯარისკაცების საშუალებით თბილისში შეიარაღებულ აჯანყების მოწყობას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოითხოვდა, რაზედაც პარტიის უზუციის წევრები არ დაეთანხმნენ... კორნელიმ იცოდა, ვანო რომ მონაწილეობდა ალექსანდრეს ბაღში ბოლშევიკური მიტინგის მოწყობაში, რომელიც შენშევიკებმა დახვრიტეს. მან საავადმყოფოში რამდენჯერმე ინახულა ამ მიტინგზე გვარდიელების მიერ დაჭრილი ვანო. მერმე საბურთალოში, მერმე საარტილერიო ბრიგადის ჯარისკაცთა მიტინგზე შეხვდა კორნელი ვანოს. ამ მიტინგზე ვანომ შენშევიკების ბელადები, — ჩხენკელი და ჯუღელი კამათში დაამარცხა, ვაშაგა და ჯარისკაცებმა ისინი კინალამ ხიშტზე არ ააგეს.

კორნელიმ იცოდა, აგრეთვე, 1918 წლის განაფხულში ვანო რომ რუსეთში გადასახლეს. იმავე წლის ზაფხულს ვანო საქართველოში დაბრუნდა და კარისმერეთის რევოლუციურ გლეხობის აჯანყებას ხელმძღვანელობდა. ამ აჯანყების დამარცხების შემდეგ მან, მცირე რაზმით, მამისონის უღელტეხილი გადალახა და ისევ კავკავში ჩავიდა. მერმე თითქმის ერთი წელი იქნებოდა გასული, რაც კორნელის არ ენახა ვანო. და აი, გასულ ზაფხულს კორნელი თბილის-

ში შეხვდა ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსულ ვანოს და ნიკო ვაჯაგანოვიც; ვანო და ნიკო კორნელის შინს ვხეტყმნენ, მათ მისი მოთხრობა: „გოჯასპირი“ წაიკითხეს და შემდეგ ის მოთხრობა ბოლშევიკურ ეურნალში მოათავსეს, რის გამოც კორნელის თავს დაატყდა ესტატი მაყაშვილი, ამის ცოლ-შვილის, ზოგიერთ ნათესავ-მეგობრის და ნაციონალისტის რისხვა. კორნელიმ იცოდა ვანო რომ თბილისში იყო, გაეხარდა მისი ნახვა და ახლა მენშევიკების შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ სავანგელო რაზმის აგენტია — ჩხიკვაძის მიერ დაჭრილი და ლოვინში მწოლიარე ალტაცებით შესცქეროდა მას.

3.

ვანო კორნელის დააცქერდა. ჰკითხა თუ როგორ მკურნალობენ ქრილობას. გაძლიერებული კვება ურჩია და დასძინა: კარგი კვება ქრილობას მალე ახორციებსო. ვანომ მის სასთუმალთან სკამზე დალაგებულ წიგნებს შეხედა და შეინძნა:

— ამდენი წიგნების კითხვა და მცადინებობა არ მოგიხდება.

მეგობრის გულისხმიერებაზე კორნელი დანადვლიანდა, რადგან თვითონ ვანო ძალიან გამხდარი სჩანდა. კარგად იცოდა მას რომ დაუცხრომელი მუშაობა უყვარდა და თავს არ უფრთხილდებოდა. შეშინებულ ანტურდებოდა, როდესაც ვანოს ხანგამოშვებით ყრუ, დაბშული და გაუთავებელი ხველა აუტყდებოდა. უთუოდ დაზიანებული აქვს ფილტვებიო, — ფიქრობდა. ვანომ სკამზე წიგნები დაათვალიერა და ატლასზე დაწყო ხელნაწერის წააწერა.

— კიდევ ხომ არ დაგიწერია რამე? — ჰკითხა მან კორნელის და ღია ცისფერი თვალები შეანათა.

— რაღაც დავჯღაბნი, — მიუგო დარცხვინით კორნელიმ.

კორნელის ახალი მოთხრობა ნახეგარი ნახეკვი თაბახიც არ იქნებოდა. ვანო სათაურმაც კი დააინტერესა: „არკადი ელბაქიძე“. აიღო და მოთხრობა სულმოუთქმელად წაიკითხა.

კორნელის თავის მოთხრობაში მჭეა ელბაქიძის მიერ დენიკინის ელჩის — გენერალი ბარათოვის ბომბით დაჭრა ჰქონდა აღწერილი. მომკმედი პირების სახელი და გვარი, გარდა თვით მჭეა

არკადი ელბაქიძისა, გენებალ ბარათოვისა და გენერალ ოდიშელიძისა, შეცვლილი იყო. მოთხრობა რევოლუციური სულით იყო გაუღენთილი და, რაც მთავარია, ადამიანებს და პოლიტიკურ მოვლენებს ავტორი ბოლშევიკების იდეურ პოზიციებიდან ხატავდა და ამუქებდა. მას დიდხანს არ ასვენებდა ელბაქიძის მიერ ბარათოვის დაქრის ამბავი და თვითვე დაქრილმა და საწოლზე მიჯავჭულმა, ახლა ამ მოთხრობით, არსებულ წყობილებას წინააღმდეგ თავისი უმოქმედობა თითქო ერთგვარად გამოისყიდაო. ვანოს ძალიან მოეწონა „არკადი ელბაქიძე“.

მიუხედავად იმისა, რომ ვანო რევოლუციონერი მუშაკი იყო, იშვიათი ორგანიზატორი და მუშათა კლასის საქმიან გატაცებული კაცი, — მხატვრული ლიტერატურა იმთავითვე მის სტიქიას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ სტუდენტობის პირველ წლებშივე, იგი მხატვრული ლიტერატურის პრობლემებზე გაიტაცდა. ამ პრობლემებზე მუშაობის დროს ვანო ნამდვილ მარქსისტულ პოზიციებზე იდგა. იმ დროს დიდ ავტორიტეტად იყო მიჩნეული მენშევიკი კრიტიკოსი ვინჩი და ა.-ნი. ძველ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში — „თანამედროვე აზრის“ ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა მისი კრიტიკულ-ლიტერატურული წერილები ილია ქაჭავაძეზე, ივანე ნინოშვილზე, ყაზბეგზე, კლდიაშვილზე. ვანო გამოეხმაურა ამ წერილებს: „ნუთუ მარქსისტმა ილია ქაჭავაძეზე სხვა ვერაფერი ვერ უნდა თქვას გარდა იმისა, რომ ილია თავისი დროის შვილი, იდეალისტი, ხალხოსანი, შესამოცე წილების განმანათლებლური პრინციპების მამლევარი იყო, რომ ილიას ბატონყმობის მოსპობა კი არ სურდა, არამედ მისი შეკეთება-შეღამაზება და წოდებათა შეურიგებელი ბრძოლის ნაცვლად, მათი შეთანხმება და შერიგება! რომ ილია კლასთა ბრძოლის პრინციპის ნაცვლად, კლასთა შეთანხმებას და ნაციონალურ-ბურჟუაზიულ საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნას ემსახურებოდა, მეფეზე ოცნებობდა და რეაქციონერი იყო? ასეთი ყალბი შეფასება ჩირქსა ცხებს დიდებული მგოსნის და პუბლიცისტის-ხსოვნას“. — სწერდა ვანო. ვანო მახათაძის ამ პირველ ლიტერატურულ ნაშრომში უკვე ამკარად სჩანდა მომავალი რეალისტის, პრინციპული ბოლშე-

ვიკის და მარქსისტის სახე. ვანო მკაცრად ესზმოდა თავს დ. ანსკი და ენუგარინატორობაში და ფელსფიკატორობაში სდებდა მას ბრალს. წერილი ძალიან ნიჭიერად იყო დაწერილი, მაგრამ „თანამედროვე აზრის რედაქციამ იგი არ დაბეჭდა. „ცნობილ“ კრიტიკოსს დ. ანს აკ აწყენინეს. და იი, 1916 წელს „თანამედროვე აზრის“ ერთ-ერთ ნომერში იბეჭდება ასეთი შენიშვნა: „გ. მ.-მეს. თქვენი წერილი ლიტერატურაზე საინტერესოა. ვერ გებეჭდათ მას ადგილის უქონლობის გამო“. ამრიგად მხატვრული ლიტერატურის დარგში მუშაობა ვანოსათვის ბუნებრივ ამბავს წარმოადგენდა. ვანო და კორნელიც, მოწაფეობის დროს, ლიტერატურულ წრეში მუშაობდნენ. ვანო მამინაც რეალობის მიმდევარი მარქსისტი იყო, მიგობრებს და მათ შორის კორნელისაც დეკადენტურ ლიტერატურით გატაცებას უკეცნიებდა. ახლა კი მას ძალიან მოეწონა „არკადი ელბაქიძე“. და ამ ნაწარმოებში მოცემული სინამდვილის რეალისტური ასახვა. ახლა მას ეჩვიოდა კი არ ეპარებოდა, კორნელი ბოლშევიკების თანამგზავრი მწერალი რომ იყო. მას რაღაც უცნაურად აღინთნებოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ სულ მალე საქართველოშიც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა. მალე მის ქვეყანაში ახალი, საბჭოთა მწერლობა ჩამოყალიბდებოდა და მწერლობის დარგში იგი კორნელის დაიხმარებდა. სანუკვარი მომავლით გატაცებულმა ვანომ ისე დაიწყო კორნელის წინაშე თავისი გეგმის გადაშლა, თითქო საბჭოთა ხელისუფლება უკვე დამყარებულია და ვანო და კორნელი იმ გეგმის განხორციელებას დღესვე უნდა შეუდგნენო:

— აუცილებელია დიდკანიანი ეურნალის გამოქვამა. თავი უნდა მოვიყაროთ მის გარშემო ნიჭიერ მწერლებს, უნდა შეიქმნას ნამდვილი პროლეტარული მწერლობა... ამაზედ არა ნაკლებ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს თანამგზავრი ლიტერატურაზე ზრუნვა. ამ საქმეში შენ უნდა დაგიეხმარო, თვითეული მწერალი. რომელიც ჩვენთან მოვა და ჩვენ ხაზს გაიზიარებს. ჩვენ ეურნალში უნდა მუშაობდეს. ჩვენი მწერლობა უმთავრესად ეროვნული მოტივებით იყვებებოდა ამდენ ხანს, ამიერიდან კი იგი ახალ გზას უნდა და-

ადგეს, ახალი ხანა და მისი მაჯისცემა გაიგოს. თანამედროვე ქართულ ლიტერატურას აკლია ძლიერი და სოლიდური პროზა. ჩვენში უმთავრესად ლექსებასა სწერენ და პროზას კი გაუბრბიან. ჩემის აზრით, ეს ნაკლია და არა ბუნებრივი მოვლენა. ეს ნაკლი უხდა გამოსწორდეს. მხატვრული პროზა არა მარტო ცხოვრების და სინამდვილის უმალღესი გამოხატულებაა და მისი სარკე, არამედ ლიტერატურული შემოქმედების უმალღესი სახეც.

კიდევ დიდხანს ილაპარაკა ვანომ საბჭოთა ლიტერატურის ამოცანებზე. მერმე ერთბაშად დაიოკა გრძნობა და კუშტად დაჯდა სკამზე.

5.

— არკადი ელბაქიძეს იცნობდი? — ჰკითხა ვანომ კორნელის.

— არა. — მიუგო კორნელი.

— მაშ ვინ ვიამბო მის შესახებ?

— მარომ და მისმა ძმამ მიხა ფრუიძემ, მარტო ჩიკვაიძემ და გიგა ხუციშვილმა.

— გენერალ ბარათოვისა და ოდიშელების შესახებ?

— ოდიშელებს პირადად ვიცნობ. გარდა ამისა, როგორც ოდიშელების, აგრეთვე ბარათოვის შესახებაც ესტატეს, მისი ძმის პოლკოვნიკ ჯიბო მიაყაშვილის და სენატორი გიორგი დადიანის ხაუბარი მოვისმინე.

— კარგად მოქცეულხარ, მოყვრისა და მტრის აზრიც რომ მოგისმენია და ავიწონია. მაგრამ შენ გგონია, არკადი ელბაქიძემ მოკვლა და დასჯრა იმდენი მილიციელი?

— მაშ?

ვანომ შუბლი შეიკუმუნა და კორნელის დააქერდა, თითქო მისი სახის თვითულ ხაკვთს აკვირდება და სწავლობსო. კორნელის მოეჩვენა, თითქო ვანოს წყლისფერი და დროდადრო კი ღია ცისფერი თვალები ხან ციკვად და გამბურღავად უცქერდნენ მას და ხან კიდევ — ღიმილით. შეკრთა. მიხვდა, მეგობარი რომ სასწოროზე დებდა. იწყისა და უთხრა:

— რა უცნაურად მიცქერი?

— ალბად შენ ახლაც ფიქრობ: ნეტავ რა უნდა ჩემგან ამ „ფანატიკოსს“, რად ჩამაცივდაო?

— მაგას რად ამბობ?

— აკი წინათ „ფანატიკოსს“ მეძახდი... გახსოვდეს: რევოლუციონერისათვის — „ფანატიკოზი“ ხშირად ნაკვირვალად...

— მას შემდეგ მე ბევრს „რისი“ ვაძლავიფიქრე.

— და რა დასკვნამდე მიდი?

— მინდა მეც რევოლუციის მხარეზე ვიდგე.

— რევოლუცია ორგვარია: პროლეტარული და ბურჟუაზიული.

— „გოჯასპირის“ და „არკადი ელბაქიძის“ ავტორი, მე ვფიქრობ, ბურჟუაზიული რევოლუციის მხარეზე არ უხდა იდგეს.

— ახლა უპარტიო კაცის არსებობა შეუძლებელია. ან ჩვენთან უნდა მოხედდე, ან მტრის ბანაკში გადაბარგდე, ახლა მერყეობის დრო არ არის.

— სხვა გზა არ არსებობს, — დაუდასტურა კორნელი.

— მაშ შენ, ჩვენთან — ბოლშევიკებთან მოდიხარ? — ჰკითხა ვანომ.

— ასე გამოდის — მიუგო კორნელი.

— შენი „გოჯასპირი“ და „არკადი ელბაქიძე“ მარწმუნებს, რომ შენ მუშათა კლასის საკეთილდღეოდ მუშაობას აბირებ და ჩვენთან მოდიხარ. მომწონს ეგ შენი გადაწყვეტილება. მოდი. წინ უდიდესი და მშვენიერი ასპარეზი გადაგეშლება. მაგრამ ჩვენდამი მტრობა გულში თუ სადმე გიძევს, გირჩევ ცხრამთას იქით გადაიკარგო. ჩვენ მიგობრობა მუშათა კლასის მეგობრებთან ვიცი. — ვანომ კორნელის დაჭრილ ფეხზე გადაიტანა ახლა მრისხანებით სავსე თვალები მოკლე ცხვირის ნესტოები გაბერა, ლამაზი ტუჩები ამრიხა და გარკვევით და ნელა უთხრა: — ბოლშევიკებმა მტრის დანდობა არ იციან... ხომ გახსოვს: ჩვენი ძველი მეგობრობა, მაგრამ არც ეს გიშველის...

კორნელი ვაფთხდა. მან კარგად იცოდა, რომ მის წინაშე სკოლის ძველი ამხანაგი, ტყბილი და გულჩვილი „ვანია“ კი არ იჯდა ახლა, არამედ მტკიცე ურყევი, მტრისადმი შეუბრალებელი, უანგარო, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქარციცხლში ვავლილი მეტროლო, მარქსისტული მოძღვრებით შეიარაღებული, მეცნიერებით და მხატვრულ ლიტერატურით გატაცებული, გახათლებული და ცხოვრების გარდაქმნისათვის ახალი გეგმებით აღმოუჩილი ახალი ადამიანი — კომუნისტი.

— არაფერი ამჟამად მე ისე არ მიტაცებს, როგორც ოქტომბრის რევოლუცია და ქვეყნის გარდაქმნის კომუნისტური იდეა. ამაში ვხედავ მე არა მართა მშრომელი ხალხის, არამედ დაჩაგრული ერების შვებასაც. ამ დასკვნამდე მიმიყვანა მე კანიტლისტური ქვეყნების და მათი მიმდევარი მენშევიკების და ჩვენი ფილისტერული საზოგადოების უარყოფამაც... მტრობა და ორგულობა რას მიქვიან, — მიუგო კორნელი ვანოს.

— დაიცა. ნუ ცხარობ. გულახდილი და სერიოზული საუბრის დროს გაცხარება საჭირო არ არის. რაც ვითხარი, ის დაიხსნამე და კარგად იანგარიშე. — შენიშნა ვანომ და განაგრძო: — ახლა შენ მოხიზრობას დაფებურუნდეთ. საიდუმლოს ვეტყვი და, რომ გაცხადო, ვამცემი იქნები და პასუხს აგებ...

— თუ ჩემში ვეკვი ვეპარება, სჯობს ნუ მეტყვი. ვამცემლობა და აუზაჯობა ჩემი ხელობა არ ვახლავს, — შენიშნა კორნელი.

— ისევ გიმეორებ: ჩვენ მეტად სერიოზულ საკითხებზე ვმსჯელობთ და წყენა და გაცხარება, ახნაურული კუდაბიჯობა და უსაფუძვლო ამპარტაინობა აქ არაფერ შეუძლია. ჩვენ გიმანაზიელები ხომ არა ვართ. ერთმანეთს უბრალო რამეზე რომ გავგებუროთ! ჩვენ ვაყვავები ვართ. იცოდე, მე ჩემს სიცოცხლეში პირველად ვენდობი ასე ერთბაშად კაცს...

— აბა რა უნდა გიდასუხო მაგაზე? ვანა "უცებ" და "ერთბაშად" შენდობი?

— შენ მართალს ამბობ, არც თუ ისე უცებ და ერთბაშად, — ჩილაპაარაკა ვანომ.

— მიკვირს შენი უნდობლობა! რას ყოყმანობ? ბავშვობიდანვე ენატანია არა ვყოფილვარ. მე ვაქყავს და სიტყვის კაცს მეძახიან. ჩემძალი ნდობა, არასდროს სანანებლად არ დავგრიბებ, — უთხრა კორნელი ვანოს.

— კმარა... — შეაჩერა კორნელი ვანომ და ჰკითხა: — შენ როგორ ფიქრობ: მილიციის ტანისამოსში გამოწყობილი გალაქტიონ გელაშვილი რისთვის მოვიდა შენთან, მას შემდეგ რაც ელბაქიმემ ბარათოვს ბომბი ესროლა?

— არ ვიცი, — მიუგო კორნელი ვანომ და განცვიფრებული მიაშტერდა ვანოს. — ის კი ვიცი, რომ მან მთხოვე არავისთან არ წამომცდენოდა ჩემთან

მისი მოსვლა, და მეც დღემდე არავისთვის არ მითქვამს.

— გალაქტიონ გელაშვილი მინაწილიციელი იყო. — შენიშნა ვანომ და დაწვრილებით უამბო ყოველივე.

კორნელიმ ქალაღი აიღო და შიგ ვხადა ვანოს ნაამბობი ჩასწერა. როდესაც ვანომ თავისი ნაამბობი დაასრულა, კორნელიმ თავი ასწია და აღტაცებით შესძახა:

— ჩემი მოთხრობის დერძი ახლა სხვაგვარად უნდა მობრუნდეს!

— რამდენი ხანი დასჭირდება, კორნელი ჩემო, იმ დერძის მობრუნებას: ერთი კვირა, ათი დღე? — ღიმილით ჰკითხა ვანომ. როდესაც ვანო კარგ ვუნებამოდ იყო, ოხუნჯოდა უყვარდა, ჭუმორი შეეპარებოდა და მეგობარს, მახლობელ და სასურველ ადამიანს ოდნავ დასცილებდა და სახელს სხვაგვარად არ დაუძახებდა, თუ არა: „კორნელი ჩემო“, „ნიკო ჩემო“, „მიტო ჩემო“...

— ათი დღე მეყოფა. უკვე ვიცი რაც უნდა ვაეკეთო, — მიუგო კორნელიმ.

— ხედავ, რა დიდი მონშენლობა ჰქონია, კორნელი ჩემო, საგნის ყოველმხრივ შესწავლას და ყოველი დეტალის ცოდნას! შენი მოთხრობა ალაგალაკ შესწორებას და შალაშინს მოითხოვს, — უთხრა ვანომ და იქვე აშკარად და პირუთვნელად მიუთითა პოლიტიკურ და მხატვრულ ხასიათის ხარვეზებზე.

— ათი დღე, ვფიქრობ ვეყოფა... ეთილი, ცუდი რამ თუ არ შემემთხვა, ათი დღის შემდეგ გამოვივლი და შენი მოთხრობა ისე თუ იქნა დაწერილი როგორც ჩვენა გვსურს, მე მას ჩეგის არალეგალურ ცურხალში დავაბიქლინებ. თანახმა ხარ?

— რა თქმა უნდა. — მიუგო კორნელიმ.

— მაშ ასე, კორნელი ჩემო, — უთხრა ვანომ, — შენ სერიოზულად გადავიწყვეტია ჩვენს პოზიციებზე დგომა. სერიოზულად გადავიწყვეტია, კალმით ემსახურო მუშათა კლასის ინტერესებს, რევოლუციას... კეთილი იყოს შენი მოსვლა ჩვენთან.

— არა მარტო კალმით, — შენიშნა კორნელიმ. — მე ის არა ვარ, რაც ვიყავ. უკვე თვალი ამეხილა და ვაფიქრე რაც ჩვენში და ჩვენს ირგვლივ ხდება. არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა იარაღით ხელში ბრძოლა, როგორც დღეს.

— რატომ მაინცდამაინც დღეს? —
ლიმილით ჰკითხა ვანომ.

— ჩვენ უფლება არა გვაქვს ახლა გულხელდაკრეფილი ვისხდეთ, რადგან დენიკინმა თუ გაიმარჯვა, რევოლუცია დაამარცხა და რუსეთში მონარქია აღადგინა, მერმე იგი საქართველოსაც ჩაჰყლაპავს. თუ მან საქართველოს ჩაჰყლაპავს, თუ მან საქართველოს ჩაჰყლაპავს ვერ მოახერხა, სულერთია, მენშევიკებისა და ჩვენი ნაციონალისტების წყალობით, იგი ინგლისის კოლონიად იქცევა, — მიუგო კორნელი.

მიუხედავად იმისა, რომ კორნელი იპრალით ბრძოლის საქართველისათვის წინა პლანზე ეროვნულ მოტივს ასახელებდა და მით ხელმძღვანელობდა, ვანოს მაინც მოეწონა მისი პასუხი... შემდეგმა მისმა მსჯელობამ კი სასეგბით დაარწმუნა, კორნელი ბოლშევიკებს რომ თანაუგრძნობდა, პოლიტიკაში ჩახედულნი კაცი იყო და უთხრა:

— ახლა გასაგებია, კორნელი ჩემო, რამ დაეაწერინა შენ „არკადი ელბაქიძე“. დღე, არკადის მიერ გენერალ ბარათოვისათვის ვერის დაღმართზე ნასროლი ბომბის გრიალი ნიშანი იყოს შეიარაღებული აჯანყებისათვის.

ვანო ფეხზედ იდგა, იგი აგზნებით და გატაცებით ლამაზაყოზდა და ბოლოს დასძინა:

— შენ მართალს ამბობ, საბჭოთა რუსეთი თუ დამარცხდა, საქართველოც დაილუპება. მას ინგლისი დაეპატრონება, ან დენიკინი ჩაჰყლაპავს, ჩაჰყლაპავს ისე, როგორც ეს მან ჩრდილო კავკასიაში თერგის ოლქის ხალხთა მიერ შექმნილი საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ ჩაიდინა.

ვანოს არაფერი უთქვამს კორნელი-სათვის იმის შესახებ, რომ პარტიას გადაწყვეტილი ჰქონდა ოქტომბრის რევოლუციის წლის თავზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის შეიარაღებული აჯანყება მოეწყო. წამოდგა, ქუდი დაიხურა და კორნელის გამოემშვიდობა. კარებთან რომ მივიდა, ერთბაშად შეჩერდა, თითქო რალაც დააიწყებდა. მიბრუნდა და კორნელის უთხრა:

— გახსოვდეს: ათი დღის შემდეგ შე-
მოვივლი. მზად უნდა იყოს შენი მოთხრობა.

— მახსოვს, — ლიმილით მიუგო კორნელი.

კორნელი სინდისზე იყო შეგდებული და წინასწარ გრძნობდა, რა გამაგებნი-

თაც იმუშავებდა იგი ამ ათი დღის განმავლობაში.

კორნელი ჩაიკეტა და დენიკინსა და შაროს და ექიმის გარდა, რომლებსაც უშვებდა, იგი დღეღამე მუშაობდა, არასოდეს არ უგრძობნია მას მასალასთან ბრძოლის ასეთი სიმძაფრე, ტანჯვა და სიხარულიც. სიზმრად ჩაჰყვა არკადი ელბაქიძე. ხან მტკვრის პირას იწვა დაქრილი მებრძოლი და ხან კიდევ სააგადმყოფოში. კორნელი ისე ჩაწვდა თავისი მოთხრობის გმირის მთელ არსებას, თითქოს იმ გმირის სული და მისი ხორციც ჩაიდგა და აისხა... ბოლოს, თვითონვე დაქრილი და ლოგინად ჩავარდნილი, ელბაქიძესაებრ ამეჩუკვლდა. მოთხრობა დაამთავრა და შეეხა იგრძნო, თითქო მხრებზე დაწოლილი მძიმე და ვიგება ლოდები გადაივლო. შეათე დღეს, შიპირებისამებრ, ვანო მივიდა. თუთუნით გაბოლილ ოთახში კორნელი ვერც კი დაინახა და ჰკითხა:

— როგორა ხარ პირობაზე?

კორნელი საწოლზე წამოჯდა და უღონოდ მიუგო:

— დაეასრულე.

ვანო შეეწუხდა. კორნელი საგრძნობლად გამხდარიყო. გაფითრებულიყო. თვალები ჩასცივივროდა.

— შე კაცო, თავს რად იკლავდი? რასა ჰკვებარ? — ჰკითხა ვანომ. ფანჯარა გამოაღო. გაბოლილი ოთახი გასწმინდა. მივიდა, კედლიდან პალტო ჩამოიღო, კორნელის გადააფინა, გაუსწორა და სასთუმალთან მიუჯდა. როცა ოთახი ბოლოსაგან გაიწმინდა, ფანჯარა დახურა. მოთხრობა აიღო და კითხვა დაიწყო. ახლა უფრო მოეწონა მოთხრობა და კორნელის აღტაცებით უთხრა:

— შენ ნამდვილი მწერალი ყოფილხარ, კორნელი ჩემო ათ დღეში მოთხრობა ამრგვად თუ გაამშვენიერე! როგორ მოვიქციე ახლა? მეჩქარება. ასე წავიღო და გადაეაწერინო? ცოტა რამ თუ ამოვიღოთ. ან ერთი-ორი სიტყვა შევეასწოროთ ან ჩავემატოთ, ნუ დაგვიმღურები...

— ამოღებით. შეგიძლიათ ამოიღოთ, მაგრამ უნდა შემითანხმოთ. შიგ კი ნურაფერს ჩაამატებთ. ამას გთხოვთ... დაიცა... ასე ვერ გაგატან, — ენანიბობდა კორნელის.

— შენ გადაწერ?

— ჰო.

— რამდენ დღეში?

— სამ ოთხ დღეში. ზოგიერთ ნაკლს მეცა ვგრძნობ და, კიდევ გადაიხედავ.

— კეთილი, მე არ შეცლება, მაგრამ ხუთი დღის შემდეგ, ჩემი სახელით, შენთან ერთი ქაბუკი შემოივლის. ნუ გაგიკვირდება, გარშინით თუ მოვიდეს. იგი სანდო პირია. მას გადაეცემა ფარულად შენი „არკადი ელბაქიძე“. იმ კაცის შესახებ ნურავის ნურაფერს ეტყვი. დაიხსოვებ: მის შესახებ ნურავის ნურაფერს ეტყვი. — გაუმეორა ვანომ.

— მესმის, — მიუგო კორნელიმ, — ვანო წავიდა.

ვანო ძახათაძის ამ მეორედ მოსვლის შემდეგ კორნელიმ უფრო შმაფრად იგრძნო, ამიერიდან იგი არალეგალურ მუშაობაში რომ ებმებოდა. შუბლი შეიქმუნა, დაჭრილ ფეხზე დაიხედა და გაიფიქრა: „ვაგლახ, რა დროს ვგდივარ საწოლზე, მაშინ როდესაც ათი ფხიზელი კაცის გონება და გრძნობა, ათი ვაჟკაცის ძალა და სიმარტიე მჭირდება“.

ნაწილი მესამე

სამუზადისი

„ჩვენი მშვირი დედებისა, ცოლებისა და ბავშვების ცენესა და ვოდნა გვაძლევს ჩვენ — გაცირვებითა და შიმშილით წამებულთ, ფიზიკური ძალის უქონლობის გამო, მივატოვით სამუშაო“.

საგაფიცო კომიტეტის მოწოდებიდან, 27 მარტი 1919 წ.

1.

1919 წლის 2 მაისს, არსენალის წინ მატარებლის გრძელი შემადგენლობა ჩამოვარდა. შიგ არსენალის ყაზარმებში დაბანაკებული ინგლის-ინდოეთის ჯარის ნაწილი მოთავსდა. იგი ბაქოში, ბოლშევიკების მოსალოდნელ აჯანყების წინააღმდეგ მუსავატელების დასახმარებლად მიემგზავრებოდა. მატარებელში ჯარის დაბარებამ დიდხანს გასტანა. ხალხი მახლობელ სახლებიდან გამოფენილიყო და ინგლისელ და ინდოელ ჯარისკაცებს გასცქეროდა. ყველაზე წინ ბავშვები და გოგო-ბიჭები იღვინენ. ბავშვები ვაგონის ბაქანზე აღიდონენ და, ინგლისელი სერჟანტების შემოწყრომის შემდეგ, კიბეზე ჩარბოდნენ...

ერთი შავტუხა, ქურთუკში გამოწყობილი და მანუთში ამოთხვრილი ჭაბუკი — რკინიგზელი ოსტატი, ყუთში ჩაწყობილი ხელსაწყოებით, ვაგონების ქვეშ იხედებოდა, ბორბლებსა და ღერძს სინჯავდა და ჩაქუნსა სცემდა... მერმე ვაგონის, სახურავზე ავიდა და, როცა მატარებელი ნავთლუღისაკენ დაიძრა და

აღმართზე — სემაფორთან სვლა შეანელა, იმ ოსტატმა სახურავიდან ვაგონში პროკლამაციები ჩაჰყარა. ეს ისე სწრაფად და მოხერხებულად გააკეთა, რომ სანამ ინგლისელი სერჟანტები შეამჩნევდნენ და შეიტყობდნენ თუ რას ჰგონებდნენ ერთმანეთს ხელიდან და რას კითხულობდნენ ასე გულდაგულმათი ჯარისკაცები, — ის რკინიგზელი ოსტატი მატარებლიდან ჩამოხტა, მთას მიამუწო და ტუქის სისაფლაოზე ამოჰყო თავი.

ვაგონში პროკლამაცია იმავე ჭაბუკმა ჩაჰყარა, რომელმაც ააწყო და დაბეჭდა იგი. ის ჭაბუკი გარშინზე შეუღარებელი დამკვრელი, იატაკქვეშ განთქმული მომუშავე, მგზნებარე კომკავშირელი, ასოთამწყობი კარო იარაღოვი იყო, რომელსაც კამოს ფანტასტიკური პიროვნება არ ასვენებდა.

მეორე დღეს ინგლისელთა ჯარების სარდალი საქართველოსა და ამიერკავკასიაში — გენერალი კორი განრისხებული შევარდა სასახლეში, საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეკორს ინგლისურ ენაზე დაბეჭდილი პროკლამაცია

მაგიდაზე დაუგდო და საქართველოს მთავრობის მიერ ბრიტანეთის ჯარში ბოლშევიკური აგიტაციისა და პრობანდის გაწვევის გამო, პროტესტი განუცხადა. ამ გეგმობებამ დიდ საგონებელში ჩააგდო მენშევიკური მთავრობა, მაგრამ მოუხედავად საგანგებო რაზმის აგენტების ცდისა, მათ ვერ აღმოაჩინეს სტამბა, სადაც აღნიშნული პროკლამაცია დაიბეჭდა და ვერც მისი ამწყობი და გამგრეცლებელი.

კარო იარალოვი მაშინ „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის სტამბაში“ მუშაობდა და ზემოთაღნიშნული პროკლამაციაც იქ დაბეჭდა.

2.

მალე მენშევიკურ მთავრობისათვის ამაზე უფრო სამარცხვინო საქმე მოხდა. მენშევიკური პარტიის ცენტრ, კომიტეტის სტამბის გვერდით, სადაც მათი ქართული გაზეთი „ერთობა“ და რუსული გაზეთი „ბორბა“ იბეჭდებოდა, კომკავშირის ორგანიზატორმა — მამაკცმა, ნიქიერმა და მკზნებარე ჭაბუკმა — ბორის ძნელაძემ კონსპირაციული ოთახი დაიჭირა. მენშევიკების სტამბაში კარო იარალოვის კარგი ნაცნობი ერთი ძველი მუშა მერტანაძე შაქროს ხახუტაშვილი მუშაობდა. შაქროს თავის ამხანაგებთან, მუშებთან პურის ჭაბა უყვარდა. იგი მოკვადობული იყო კაროს დაკვირვებით გარმონზე. კარო მართლაც სწორუბოვრად უკრავდა გარმონზე. მას შესანიშნავი სმენა ჰქონდა. რა ვინდა, რომ არ დაეკრა მას ორკესტრისთვის ამღერებულ თავის დიდ გარმონზე: აღმოსავლური, ქართული, რუსული თუ ევროპული მოტივები! ყველაფერს ჩინებულად უკრავდა იგი: ქუჩის უბრალო სიმღერებიდან მოყოლებული, ოპერების უგერტიურებამდე. ამიტომ არა მარტო სტამბის და ქარხნის მუშები, არამედ ქეიფისა და დროს ტარების მოყვარული მძაბიკებიც ხშირად ჰპატივობდნენ მას შინ, ოჯახში და რესტორანში, სადაც იგი ბევრ რამეს გებულობდა და საქირო საქმესაც აგვარებდა.

ერთხელ მხარზე დაკიდებულ თავის დიდ განუყრელ გარმონით კარო ქუჩაში შაქრო ხახუტაშვილს შეეყარა და უთხრა: არალეგალური ლიტერატურა შენს სტამბაში უნდა დაბეჭდოთო. მაშინ ბოლშევიკების რედაქციები და სტამბა

ყველგან დარბეული იყო. პარტიული ლიტერატურის ბეჭდვა არალეგალურად სწარმოებდა. შავგვრემანმა და მუშებმა კაცმა — მერტანაძემ შეჭროს მახუტაძეილმა შეე უღვაძებნე ჩამოსცა ხელი და კაროს ჩახლენილი ხმით მიუგო:

— ამ საქმეს შე მარტო ვერ გაუკეთებ, შიგ ჩემი მეგობრები — მბეჭდავები გიორგაძე და ვადაქორია თუ არ ჩაებაი, უამათოდ ვერ მოწყობა ეგ საქმე. ძნელია. ხომ იცი: საგანგებო რაზმის აგენტები სტამბებს როგორ ზვერავენ.

— რას ამბობ, შაქრო, — გაუკვირდა კაროს, — გიორგაძე და ვადაქორია ხომ ყოფილი გვარდიელები არიან?!

— მერმე რა? — მიუგო შაქრომ, — ვერა ხედავ, ბიჭო, მუშები ჯგუფ-ჯგუფად რომ სტოვებენ მენშევიკებს და ჩვენთან მოდიან? მენშევიკების ლიდერებმა — იმ ნაცარქექია რევოლუციონერებმა მუშებს პირველად ნაცარი შეაყარეს თვალში და დააბრმავეს. ახლა კი ბევრს თვალი აეხილა... მართალია, გიორგაძე და ვადაქორია წინათ გვარდიეში მსახურობდნენ, მაგრამ ახლა მენშევიკებზე გული აუტრუვდათ, მათი სოციალისტობა არა ჯერათ და სულ იმათ დამძლეა-გინებაში არიან. შე მათ ვენდობი...

კაროს კეთაში დაუჯდა შაქროს ნათქვამი და გიორგაძესთან და ვადაქორიასთან შეხვედრა მოინდომა:

— შაქრო-ჯან, მოდი ერთი ბატარა ქეიფი მოუწყვე მათ შენს ბინაზე. მეც მიმიბარეთე, როგორც ვითომ მეგარმონე... ფულს მე ვიშოვი. მოდის?

შაქრო ხახუტაშვილი დასთანხმდა. იგი დიდუბეში, მუშათა რაიონში ცხოვრობდა.

3.

შაქროს მიერ მოწყობილ ვახშამს თორმეტამდე მუშა დაესწრო, მათ შორის — გიორგაძე და ვადაქორიაც.

მეგარმონე კაროს, გიორგაძისა და ვადაქორიას გარდა, შაქრომ მეზობლებში მიიწვია: სტამბის მუშები — ერთილუ ჭელიძე და სერგო ნამორაძე, ორთქლმავლისა და ვაგონის სარემონტო ქარხნის მუშა — ხარატი სტეფანე დანგაძე, ზეინკალი — დიმიტრი ჩაალიგინი, დურგალი — ხეჩო ყაზაროვი და სხვანი. ყველას ძველი, დახეული ქურთუკები და

ბიჯაკები ეცვათ. ყველანი გამხდარი იყვნენ და ფერმკრთალ სახეზე შიმშილისა და გაჭირვების კვალი დამჩნევდნენ.

მუშებს ეგონათ, ღვინისა და კაროს გარშობის წყალობით გამხიარულდებოდნენ, დღუჭირი ცხოვრებას დაივიწყებდნენ და ქეთფში ჩაქლავდნენ გულის დარღს, მაგრამ ქეიფი როგორღაც არ გამოდიოდა. შაქრომ მიმდინარე პოლიტიკურ ამბებზე, მუშების აუტანელ მდგომარეობაზე და მათ ჭირ-ვარამზე ჩამოაგდო სიტყვა. ერთნი მენშევიკებს უჭერდნენ მხარს, მეორენი კი — ბოლშევიკებს. მეორენი უმრავლესობას შეადგენდნენ.

— გათავდა, ბიჭებო! ამიერიდან ხმა უნდა ამოვიღოთ და ამჟამად განვაცხადოთ, რომ მენშევიკები ჩვენ გველორებდნენ და ახლაც გველორებენ, — აღუღვებით დაიწყო გიორგაძემ. ეს მელიტი და უღელმთაბარსული კაცი წინათ გვარდიაში მსახურობდა, მაგრამ თავისუფლებისათვის მეტრძოლთა ზოცვამ და ხალხის აწიოებამ ადრე გამოიწვია მასში პრაქტიკტი. გიორგაძემ გვარდიას თავი გაანება და ისევ სტამბას დაუბრუნდა. წინათ იგი მსუქანი კაცი იყო, მერმე, დღუჭირი ცხოვრების გამო, ქონი შემოაღნა და ახლა ნაჯახ და მკლე ხარსავით კეც-კეცად აჯდა ქეჩოზე ტყავი. იგი ისევ აღშფოთებით განაგრძობდა: — როდესაც გლეხთა აჯანყება დაიწყო, მენშევიკების ლიდერები მუშებს ჩავეძახოდნენ: საზოგადოების ჩამორჩენილი ნაწილი, ბნელი ძალა — რეაქცია რევოლუციის წინააღმდეგ ილაშქრებსო. გლეხებს სურთ, თქვენ — მუშებს რევოლუციის მიერ მოპოვებული თავისუფლება წაგართვან და ისევ ძველი წყობილება შემოიღონო. მამინ მე და ბევრი ჩემისთანა მუშა ტყუედებოდა, გვარდიაში შედიოდა და აჯანყებულ გლეხებს ებრძოდა. მენშევიკებმა მუშები გლეხებს გადავკიდეს. როცა ჩვენ იმ აჯანყებულ გლეხებს ებრძოდით, თურმე ნუ იტყვიოთ, რევოლუციის საქმეს ჩვენვე მანვილს ვეკმდით, რადგან გლეხები ძველი წყობილების შემოღებას კი არა, მეცამულდებისაგან მიწების ჩამორთმევას და ღარიბ გლეხებზე უსასყიდლოთ მათ გადაცემას მოითხოვდნენ... მენშევიკები გვარშუენებდნენ; ჩვენ ნამდვილი რევოლუციონერები, რევოლუციის მონაპოვართა დამცველები, მუშებისა და გლეხების მიგობრები ვართო. ნამდვილად

კი სწორედ ისინი აწარმოებდნენ და აწარმოებენ ახლაც რევოლუციის მონაპოვართა გაბათილებას. სწორედ ისინი არ ზრუნავდნენ და არ ზრუნავენ ახლაც მუშების და ღარიბი გლეხების აუტანელი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ახლა არავისათვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მენშევიკები არა მუშების, არამედ ბურჟუაზიის ინტერესებს ეცავენ.

— აბა, რას ამბობ, — შეედავა გიორგაძეს ერთი ჭორფლიანი მწითური მუშა — სერგო ნამორაძე.

— როგორ თუ რას ვამბობ — გარახდა გიორგაძე, — ერთი შეხედვით, რადღეში ვართ მუშები? ლამის შიმშილით სული ამოგვძვრეს.

ლადო გიორგაძეს პართენ ვადაქკორიამ წაართვა სიტყვა. ვადაქკორია ქერა, მაღალი და გამხდარი კაცი იყო. გრძელი სახე, პატარა და ცისფერი თვალები ჰქონდა. ცხვირი; — გატეხილი და მარჯვნივ მიგრებილი, რის გამოც ცხვირის მხილი დაჰსმოდა, სუნთქვა უჭირდა. პირი მუღად ღია ჰქონდა, რაც მიანცადაამინც ბრძანულ გამომეტყველებას არ ანიჭებდა მის სახეს.

— მუშები ჯოჯოხეთურ პირობებში ჩაეკვივდით, — ამბობდა ვადაქკორია, — არსებობს თუ არა რაიმე ორგანო ჩვენი — მუშების ინტერესების დასაცავად? ყურის ვინ უღდებს წარმოებებში შრომის დაცვის კანონებს? ზედმეტ საათების მუშაობისათვის ვინ რას ვიღებთ? სად არის ურთიერთდამხმარე სალაპრო? ავადმყოფობის დროს ჩვენზე ვინ ზრუნავს? ვანა გვაშარავებენ პურით ან სხვა პროდუქტებით?

— ვინ უნდა მოგვამარაგოს, როდესაც ვაჭრობა და მრეწველობა სპეკულიანტების ხელში გადავიდა, — შენიშნა შაქრომ. — საიდან გვექნება პური და სხვა პროდუქტი, როდესაც მენშევიკებმა საბჭოთა რუსეთთან კავშირი გასწყვიტეს. საქართველომ დამკარგა რუსეთის ბაზარი. წინათ საქართველოს რუსეთში ვაჭონდა თავისი სოფლის მეურნეობის ნაწარმი: თუთუნი, აბრეშუმი, ღვინო, ხილი. ამით ნაცვლად კი რუსეთიდან პური და სამრეწველო საქონელი შემოდიოდა.

— ერთი ღვთისაყენ და ერთი თხისაყენო, ნათქვამია, — ისევ დაიძახა მწითურმა მუშამ სერგო ნამორაძემ. — საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ურთი-

ერთობის დაქვრას, რომელი სახელმწიფო, ახერხებს ახლა, ჩვენს მთავრობას რომ უქიყინებ? სამაგიეროთ, სამხრეთ რუსეთთან და ევროპასთან ჩვენ ვცდილობთ გავაჩალოთ აღებ-მიცემობა.

— სამხრეთ რუსეთი, დენიკინი პუტის ნაცვლად მოითხოვს ჩვენგან ნავთსა და ბენზინს, რომელიც ჩვენშიც დეფიციტურია. — შენიშნა შაქრომ, — ევროპას კი საქართველოში მხოლოდ ძველი და გაუსაღებელი საქონელი შემოაქვს, უმთავრესად — ფუფუნების საგნები, ჩვენ არავითარი დოვლათი არ გავაჩნია ამჟამად, ევროპას რომ მივაწოდოთ და, ნაცვლად ამისა, იქიდან ღირებულო რამ მივიღოთ.

— როგორ თუ არ გავაჩნია? მართო ჭიათურა რად ღირს? განა ჭიათურის შავი ქვა არ შეგვიძლია მივაწოდოთ ევროპას? — დაციხვით ჰკითხა ნამორაძემ.

— არ შეგიძლია, — მოუჭრა შაქრომ. — ჭიათურის მალაროებში შავი ქვის ამოღება და მისი დამუშავება, მუშა ხელის ნაკლებობის გამო, საზღაროდ შემცირდა. შავი ქვის ამოღება-დამუშავებაში მუშებს მრეწველობისაგან უმნიშვნელო ხელფასი, მართლაც მართო „შავი ქვა და ნაკარი“ რჩებათ და სამუშაოდან გარბიან. განა მართო ჭიათურიდან გარბიან მუშები? საქართველოს ყველა ქარხნიებიდან უმუშეარათა რიცხვი და სიძვირე ზღაპრულად იზარდება. ჩვენც სულ მალე იძულებული გავხდებით, თავი გავანებოთ სამუშაოს.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მუშებმა თავი ჩაჰკიდეს და მწარე ფიქრს მიეცნენ.

— რა გვეშველება, — სასოწარკვეთილი ხმით დაიმახა და დაარღვია სიჩუმე ერთმა ჩია, გამხდარმა და საწყალმა მუშამ, მბეჭდავმა ერმილე ჰელიძემ. — ხელფასი, ამ ზღაპრულ სიძვარის დროს, ერთ კვირასაც არა მყოფნის. ცოლშვილი უთუოდ შიმშილით დამხრცება. სოფელში წავიდოდი, თუმცა იქაც რა მამადია ან რა მებადა?!

— ახლა ვერც ქალაქი და სოფელი გიშველის. ყველგან გაჭირვებაა. ახლა ყველას უჭირს. ახლა მხოლოდ მთავრობის ხალხი, უცხოური და ჩვენებური სპეკულანტები ცხოვრობენ კარ-
3. „მნათობი“ № 4.

გად, — ხელი ჩაიქნია უიმედოთ და ისე განაცხადა ღურგალომა ხეჩო ყაზაროვმა. იგი დაბალი, ჯემუხი და შავკერძონი კაცი იყო. მასაც შეჭროსაქმის ჩახსენილი ხმა ჰქონდა. ხორხი არ ემორჩილებოდა, ასო „ხან“-ის გამოთქმა უჭირდა. ყელში ბგერა ისე ხრიალებდა, თითქო ფიცრის ხერხვის ხმა მოისმისო.

— მდგომარეობა მართლაც აუტანელია... ამის შემდეგ მუშათა კლასის მხოლოდ ფიზიკური გადაშენებაა მოსალოდნელი, — მუხარე სახით შენიშნა ხეჩო ყაზაროვს შაქრომ.

— გადავშენდებით კიდეც. ჩვენ სამოთხ თევობით არ ვლებულობთ ხელფასს, — დაუდასტურა ვადაჭკორიამ.

— რა ხელფასია? — დაციხვით დაიძახა გიორგაძემ. — რა გინდ ღიდი კვლიფიკაციის არ უნდა იყოს ახლა მუშა, იგი 200 მანეთიდან მაქსიმუმ 600 მანეთს თუ მიიღებს თვეში. მერმე განსაჯე: რა გამოდის? რა არის ბონებით მიღებული შენი 600 მანეთი, როდესაც მსყიდველობითი უნარი მენშვეიკების ახლანდელ მანეთისა, წინანდელ ერთ კაპიკსაც კი არ აღემატება?!

— რაღა დაგიმალოთ, — თქვა ჩია და გამხდარმა მუშამ ერთიღა ჰელიძემ. — ხშირად პურის ფულიც კი არა მაქვს. მთელი ღლე ფეხზე მდგარი ასოებს როს ვაწყობ, შიმშილით ლამის გული წამივიდეს.

— ეხ, ჩემო ძმაო. შენ ჯერ გული ნამდვილად არ წავსვლია, — დაიწყა ორთქმარისა და ვაგონის შემეტებელ ქარხნის ხარატმა — სტეფანე დახვამემ. იგი მაღალი, მხრებში მოზრილი. გამხდარი კაცი იყო. მას ვრძელი დანაოქებული და მეტად ჭკვიანი სახე, ჭლარამერიული შავი უღვავები და უჩვეულოდ ვრძელი ხელები ჰქონდა. ხელები ქარხანაში, დაზგაზე მუშაობის და რკინასთან ბრძოლის გამო დაკოვრებოდა, გაქანგოდა და გამავებოდა. სახეზე ღრმა ნაოქებიც ჩამავებოდა, თითქო რკინის მტვერი შიგ ჩაჯდომიყო. დანგაძემ ბონი ხმით ვანაგრო: —

— გუშინ ჩვენ ქარხანაში ერთ მუშას გული შეუწუხდა და დაზგასთან ჩაიკეცა. მიეცვივდიოთ. ოთახში ტახტზე დაეწინეთ და ქაფური შევეშხაუნეთ. გონს რომ მოვიდა, უღონოდ მითხრა: მეოთხე დღეა, რაც არაფერი მიჭამიყო. ასეთი შემთხვევა ერთი როდია...

სტეფანე დანგაძეს რუსი ზეინკალი, დეპოს მუშა—დიმიტრი ჩაპლიგინი გამოეხმარა. მას დაბალი ბუნრის ქუდი ეხურა და კავკასიური რბილი ჩექმები ეცვა. იგი კაზაკსა ჰგავდა. ორმოცდაათი წლის კაცი იქნებოდა, მაგრამ წაბლისფერ წვერულვაშში ჯერ ერთი თეთრიც არ ერია. ყვრიმალის ძვალი აზიდული და მოკლე ვაბუშტული ცხვირი ჰქონდა. მას ამხანაგებს საშინელი რამ უამბო:

— ჩვენი ქარხნის ეზოში ხუთი დღე ეყარა გარდაცვლილი მუშების გვაშები. მერმე სახელდახელოდ გათხრილ მიწაში უკუბოვდ, შიშვლად ჩააგდეს საცოდავები...

კარომ გარმონი ერთბაშად დაეცა და საკრავმა ჯოჯოხეთური ხმა გამოსცა, თითქო ზეინკალმა ჩაპლიგინმა რკინის ძელი ჩარხში ჩააგდო, გარანდა და მერმე ბურღი მიუშვა და რკინამ ღრქილი გაადინაო.

დიმიტრი ჩაპლიგინი მართალს ამბობდა. შიშვლისაგან დაუძლურებულ მუშებს იმეამდ ტიფმა, ხოლერამ და სხვა სენმა დაპრია ხელი და მრავლად ჰხოცავდა. შაქროს და მათ სტუმრებს, ჩაპლიგინის სიტყვებზე და კაროს გარმონის ხმაზე თავზარი დაეცათა და ისევ დადუმდნენ. სასოწარკვეთილებიდან ამხანაგები დანგაძემ გამოიყვანა.

— შეუძლებელია ამის ატანა... თუ რამ არ ვიდოხეთ და ხელი არ გამოვიდეთ, უარესსაც უნდა ველოდეთ, — დაიძახა მან.

— რა ხელი უნდა გამოვიდეთ, — დატუქსა დანგაძე სერგო ნამორაძემ, — განა მთავრობა არა ფიქრობს ჩვენი ასეთი საშინელი ყოფისა და აუტანელი ეკონომიური პირობების გამოსწორებას? ვაცალოთ მას.

— როდემდის უნდა ვაცალოთ? — მიუგო დანგაძემ, — მიუხედავად ჩვენი მრავალჯერ მიმართვისა და თხოვნისა, პროფკავშირების საბჭოსაგან და შრომის სამინისტროსაგან პასუხი და დახმარება დღემდე ვერ მივიღეთ.

— დადებით პასუხს მთავრობისაგან ნუ მოვლით, — გააფრთხილა მუშები გიორგაძემ.

— მთავრობას ჩვენი ინტერესების დაცვა სრულიად არ აინტერესებს, — შეინძნა ჩაპლიგინმა. — იგი ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აშენებს და ჩვენთან კავშირს, ქართველ თავადაზნაურო-

ბასთან და ინგლისელ იმპერიალისტებთან კავშირი ურჩევნია.

— უთუოდ უნდა გვეფიქროვნა და იძახა დანგაძემ.

— სხვა გზა არ არის, — დასძინა შაქრომ.

— უნდა გავიფიქოთ, — გაისმა აქტივიდან.

— ამხანაგებო, უკეთესი ცხოვრება თავისთავად, უბრძოლველად არ მოვა, — დაიწყო დანგაძემ, ჩაპლიგინი, შაქრო და კარო ცეცხლს უნთებდნენ მის სიტყვებს.

ატყდა ცხარე კამათი. ბოლშევიკებმა და მათმა მომხრეებმა გიორგაძემ და ვადაქკორიამ სერგო ნამორაძე გააშავეს და ეკონომიური გაფიცვა მიზანშეწონილად მიიჩნიეს.

როდესაც მუშებმა საჭირობოროტო საკითხზე ჩივილით და ლაპარაკით გული იჯერეს, და გაფიცვისათვის გადაწყვეტილება მიიღეს, მერმე დაბაყრდნენ, ცოტა ვადაქკრეს და ქეიფი სცადეს, მაგრამ მიუხედავად კაროს გარმონისა, ქეიფი როგორცაც ისევე არ გამოვიდა... მაქრომ კაეშით განაცხადა:

— ამ გაჯირვებულ ცხოვრებაში და ქვეყნის დაქცევის დროს, ქეიფსაც არა აქვს შინა.

4.

მეორე დღეს კარომ წინადადება მისცა გიორგაძეს და ვადაქკორიას ბოლშევიკების არალეგალური ფურცლები დაეხმებოდათ. ისინი დასთანხმდნენ.

მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის სტამბის გვერდით ბორის ძნელაძის კონსპირაციული ოთახის ვასალები ჰქონდათ თვითონ ბორის, კაროს, შაქროს და სტამბის დაარაჯს — გამოს. კაროს თავისი დიდი გარმონით მიჰქონდა ასაწყობი მასალა გაზეთ „ერთობაზე“ ღამით მომუშავე შაქროსთან. როცა შაქრო კაროს მიერ გარმონით მოტანილ მასალას ააწყობდა და გიორგაძეს და ვადაქკორიას დაბეჭდილებდა, დაბეჭდილ პროკლამაციებს ბორის ძნელაძის ოთახში დაალაგებდა. აღრე დილით პროკლამაციები მუშას გაბოს, ან კაროს რომელიმე ამხანაგს — პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სტუდენტის სტეფანეს კონსპირაციულ ბინაში მიჰქონდა. შაქრო ხახუტაშვილი, გიორგაძე და ვადაქკორია ექვსი თვის განმავლობაში ბეჭდავდნენ მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის სტამბაში კაროს მიერ გარ-

მონით მიტანილ ბოლშევიკურ არალეგალურ ლიტერატურას.

ბოლოს შინაგან საქმეთა მინისტრმა რამიშვილმა მიაგნო პროკლამაციების ბეჭდვის ადგილს და შემოწუნდა: ვაი, სირცხვილო! წადი და ამის შემდეგ იმუშავე! მოლაღატენი თვით ჩვენს ოჯახში მოკლათებულანო. რამიშვილმა გიორგაძე და ვადაკორია სტამბიდან მოხსნა და თბილისიდან გადაასახლა. ამის შემდეგ კარომ მენშევიკების სტამბას თავი გაანება, ახალი სტამბის, ძებნა დაიწყო და მალე მიაგნო კიდეც. ახლა იგი თავისი გარმონით კალოუზნის ქუჩაზე ფედერალისტების სტამბას მიადგა. ამ სტამბის მუშის — ზომერაიის საშუალებით იგი დაუსალოვედა მბეჭდავს ვასო მარუაშვილს, სტამბის გამგეს თედო მერკვილაძეს და შავ მუშას ანტონ ხარებოვს. პროკლამაციებს აწყობდა თვით კარო თავის ბინაზე — დიდუბეში. აქედან მუშა ხარებოვს ანაწყობდა სტამბაში მიჰქონდა და იქ ვასო მარუაშვილი ბეჭდავდა. ამ სტამბაში ბოლშევიკების ერთი დიდი პროკლამაციის დაბეჭდვის შემდეგ, რამიშვილმა ბრალი დასდო ფედერალისტებს ბოლშევიკურ არალეგალურ ლიტერატურის ბეჭდვაში. ფედერალისტები შერცხვნენ, დამნაშავეებს მიაკვლიეს და სტამბიდან დაითხოვეს. მერმე ბოლშევიკების არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვა ჩავარდა ქაშვიეთის ეკლესიის ეზოში მოთავსებულ ნაციონალ-დემოკრატების სტამბა „მამულშიაღ“, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე და სხვაგანაც. მენშევიკებმა მკაცრი ზომები მიიღეს, სტამბებში კონტროლი დააწესეს და არალეგალურ ლიტერატურის ბეჭდვა გაძნელდა.

კარო იარალოვი აწყობდა არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვას ყველ-

გან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა და სანდო ამხანაგებს მიაგნებდა. ასე, მაგალითად კომკავშირის სარკლეო კომიტეტის გადაწყვეტილებით უნდა გამოსულიყო არალეგალური ჟურნალი. ეს საქმე ვანო მახათაძემ და ბორის ძნელაძემ კაროს მიანდეს. ამ მიზნით მან დაიხმარა ასოთაშეყოფი რომან ვერბიცი და ვანო გოზალიშვილი. ისინი შატინიხის სტამბაში ჩაიკეტნენ და მალე ჟურნალი ააწყვეს. დაბეჭდვა საღამოს 8 საათიდან უნდა დაეწყოთ. ისინი 7 საათზე უკვე სტამბაში იყვნენ და მბეჭდავ იოსებაშვილის მოსვლას ელოდნენ, მაგრამ ოსებაშვილთან ერთად სისხლის სამართლის მილიციის აგენტები მოვიდნენ. პირველად კარომ, რომან ვერბიციმ და ვანო გოზალიშვილმა იფიქრეს, რომ ისინი გაცემული იყვნენ ოსებაშვილის მიერ. მაგრამ სულ სხვა რამ აღმოჩნდა. იოსებაშვილს ბრალსა სდებდნენ იმაში, თითქმის იგი თავის სამუშაოდან ახალ შრიფტს იმარავდა და შატინიხთან გასაყიდათ მიჰქონდა. სხვათა შორის იოსებაშვილს ამ საქმეში ბრალი არ მიუძღოდა. კომკავშირის ჟურნალი იმ ნაქურდული შრიფტით იყო კაროს, რომანის და ვანოს მიერ აწყობილი. საბედნიეროდ, სისხლის სამართლის მილიციის აგენტები არ დაინტერესებულან, თუ რა იყო აწყობილი იმ ახალი ნაქურდული შრიფტით. შრიფტი დაშალეს და კონფისკაცია უყვეს... ამ გარემოებამ შეუშალა ხელი კომკავშირის ჟურნალის გამოცემას.

აი, სწორედ ამ ჟურნალში მიდიოდა კორნელის მოთხრობა: „არკადი ელბაქიძე“, რომელიც ვანოს დავალებით, კორნელის კარომ გამოართვა. ამ მოთხრობის კორექტურას თვითონ ვანო მახათაძე ასწორებდა.

(გაგრძელება იქნება)

ს ა მ ი ლ ე ქ ს ი

★

წულუკიძის სახლში

შეგანერებს, მოგაგებებს კაცურ ღიმილს
წყნარ ეზოდან სახლი — ხალხის მოყვარული;
მის შუქიან ოთახებში ახლაც ღვივის
ქუთაისის გაზაფხულის ყრმობის გული.

იმ ყრმობის წლებს არ ავიწყებს არემარეს.
ხშირად მტერი რომ სუსხავდა — ხალხზე მწყრალი.
მის ფანჯრებზე განთიადობს და ელვარებს,
მზედ რომ იქცა, იმ კოცონის ნაბერწყალი.

ბრძოლის წიგნის წასაკითხად გულით გვიწვივს
ღღეს ამ სახლის სხივიანი ეზო-კარი.
აქ იწვოდა სინათლისთვის წულუკიძე,
დიდი კობა ჯულაშვილის მეგობარი.

იმ სინათლის შუქი შერჩა მის გზას ნაქებს,
სიკვდილს სძლია... ვერ მოედო ენგი ხანჯალს;
ხალხისათვის ანთებულმა დიდმა საქმემ,
ხალხის მართალ სიტყვასავეთ გაიმარჯვა.

სიკვდილს სძლია... წულუკიძე კვლავ აქ არის,
უღვას ქვეყნის დიდ მშენებლებს გვირდით ძმურად.
ქვეყნის დარით მოზიბლული, გულდამტკბარი
უმწერს ხშირად გამარჯვებულ კობას სურათს.


დაფიქრდება, და კეცხოველს მოიგონებს
მისებრ ცოცხალს, გაზაფხულის ნამდიღ მხედარს;
მოიგონებს სიკვამლეს — ცეცხლის მქონეს
და ქუთაისს კმაყოფილი გადახედავს.

წყალწითელა

★

გზა-კვალს მოიკვლევს მთების კალთაში,
ხევს ნაკადულის ღიმილთ მოჰყვება.
მთას გამოსცდება ქვებზე თამაშით,
მოდის და ისევ მთას ემოყვრება.

ყავს მოზიბლული ლოდიც გულცივი,
უყვარს სიმღერით ტალღის ტარება



ვით ნებიერი ხან მზეს უცინის,
ხან იფნებს ჩრდილში შეფეფარება.

ფესვებს უკოცნის ხეებს თანამგრძნობს,
მათ ქვეშ დასიცხულ ტალღებს იგრილებს,
სულს მოიბრუნებს და გზას განაგრძობს,
აახმაურებს გზაში წისქვილებს.

მოდის სიმღერით წუხილს უჩვევი,
დაუდგრომლობა მისი წესია.
გზა-გზა ქოჩორა მაყვლის ბუჩქები
ანკესებივით ლერწებს ესვრიან.

მთებში მომავალს ასე თამაშით
შემოაღამდა... კვლავ არ ღონდება.
აგერ სიმღერით, ბინდთან დავაში
ლამაზ ქუთაისს უახლოვდება.

— მაგრამ ეს რაა, რა მზის კაშკაში! —
ლამის შეჩერდეს გაოცებულს,
ბრწყინავს სერებზე, ბრწყინავს ქალაქში
რიონის საქმე სხივად ქცეულს.

და წყალწითელა შუქს აკვირდება,
რა თქვას, აოცებს დღით ღამის შეცვლა
იგრძნო რიონის საქმის დიდება
და ვერ შებედა ქალაქში შესვლა.

მაინც გაშალა გული ცის სარკვდ,
განა სილალე იოლად ქრება?!
პირი იბრუნა ქალებისაკენ
და ჩაუმღერა რიონის ქება.

ბაბრატის ტაძრის ნანგრევებთან



იგი არ ბრწყინავს ძველი დიდებით,
არ დაუკარგავს მაინც სახელი,
მაინც ვერ ავლებს თვალს დამწვრდებით
მის გაშიშვლებულ კედლებს მნახველი

მან იცის ჩვენი ძველი აე-კარგი,
ბევრი ამბავი გულისდამწველი;
იგი წიგნია ქვაზე ნაქარგი
ხუროთმოძღვრების ხელით ნაწერი.

გარშენო ხშირად მკითხველებს იკრებს,
მასთან მეც გულთ ბევრჯერ ვიყავი.
მოვედი ახლაც, ამ წიგნში იქნებ
თვალს რამე დარჩა წასაკითხავი!

მის მაღალ თაღებს, მის მწვანე ეზოს
 სხივს ჰფენს ჩუქურთმით ლოდი მრავალი...
 ვინც ამ კედლების აგება შესძლო,
 მთებს დასძრავს მისი შთამომავალი.

მოგვსდევს ნათელი მისი კაცობის,
 მის მძლავრ მარჯვენას მარად დიდება!
 ნანგრევს შორდება თვალი ამ გრძნობით
 და ქუთაისზე მოვლით ბრწყინდება.

მხრებს შლის ქალაქი ბაღში ჩამჯდარი,
 დიდი სამშობლოს საქმის ერთგული,
 გარს შემოუკრავს, როგორც აბჯარი,
 ხარაჩოები მტკიცედ შეკრული.

გაზაფხულია... ხელის შევლებით
 მზე არუქურთმებს ყველგან ნარგავებს, —
 ეჯიბრებიან მზეს მშენებლებიც
 და შენობებით ქალაქს ქარგავენ.

ქიზ ირ სენი

★

1.

აღერსიანი, კეთილი, დინჯი
 და მუდამ თვალენ გაცისკრებული,
 იჯდა, გვისმენდა, გულით და სულით,
 ჩვენი საუბრით აღტაცებული.
 ამბობდა, ისე წავიყვანოთ საქმეს,
 ჩვენ უფრო სწრაფად და უფრო მკვეთრად,
 რომ ხელოვნება კორეელ ხალხის
 იყოს მებრძოლი. როგორც იქ, თქვენთან,
 რომ მომღერალმაც ისწავლოს უნდა,
 იშრომოს, ჰქონდეს გრძნობა და სიტბო
 და თან ამბობდა, არა მაქვს მოცლა,
 თორემ ყველაფერს ვნახავდი თვითონ.
 ვნახავდი, როგორც უბრალო კაცი,
 ვით თანაბარი ყველასთან ერთად,
 ყურს დაფუგდებდი ჩენგძინში ჰანგებს,
 დავესწრებოდი ცანგაში სპექტაკლს.
 როცა საქმეზე საუბარს მორჩა,
 ქიქიდან შესევა ანკარა წყალი,
 გვითხრა, ვინ არის გაელის მსურველი
 და ფანჯარისკენ მიამყრო თვალი.
 ამოიოხრა და თითქოს ხელი
 შეახო თოფის პატარა ჩანჩახს.
 იქვე, ალბათ გუნდი თეთრი ბატების
 მდინარის პირად მიფრინენ ახლა,
 ხაამო არის ტბის პირად დგომა,
 როს დაგქათქათებს ცა მოკამკამე.
 ტბიდან ფრინველის აფრენას ელო
 და შორს მთებიდან ეშვება ღამე.
 მდინარეს ებრძვის პატარა ნავი,
 ჩამავალ სხივით გაწითლებული
 და ყვითელი ზღვის ტალღები ფართო
 ასკდება ნაპირს აქაფებული.
 ვინდა უსმინო საღამოს ჰანგებს,
 დგას ნესვის სუნი იქით და აქეთ.
 ნორჩ ბალახებს თუ სახლის სახურავს
 კორეის მთვარე თავს დაჰქათქათებს.
 მის ტკბილ საუბარს ვისმენდით დიდხანს,
 დიდხანს ვისმენდით, მის ცოცხალ სიტყვებს.
 გადმოფრქვეოდათ ხეებს ცვარ-ნამი,
 ხიო უვლიდათ ბალახის ძირებს.
 ქარი ურბენდა გამლილ გორაკებს,
 ქარი ღმუროდა მთიდან ბარამდე,
 ქარი დაჰქროდა გალაღებული



ბროლივით სუფთა ტუმანგანამდე.
 მისი დიადი სიმშვიდე სულის
 მიზიდავდა და კაცს მალეღებდა.
 არამც თუ სიტყვით წარბის რხევითაც
 არ გაამელაგნა პირადი სევდა.
 ჩვენ კი გვიამბებს, მასთან მოსვლამდის,
 მის გულში თუ რა ნაღველი იწვა.
 ცოტახანია, რაც თავის ცოლი
 მან მიაბარა შშობლიურ მიწას.
 და იქნებ ახლა ვაჟკაცის სახლში,
 კვლავ გოგონები სტირიან დედას.
 ჩვენთვის ყველასთვის ნაცნობი არის
 გულმეშზარაფი ეს მწუხარება.
 რა ძალა უნდა ჰქონდეს მას გულში
 მთელ დღეს უამრავ საქმეს სწვდებოდეს,
 გულით ატაროს ამდენი ბოლომა,
 ნებისყოფა კი არ ეცვლებოდეს.
 ვინც გამარჯვებას ბოლომდე მისდევს,
 ვინც ხალხისათვის იწვის და დნება,
 ის, წინ მიმავალ უშიშარ გმირის
 ანსახიერებს ფოლადის ნებას.
 ვინც, რომ აღრიან, გათენებიდან
 დაღამებამდე იღვრება ოფლად,
 ვინც შრომობს მინდვრათ სამშობლოსათვის
 ანსახიერებს მათ ნებისყოფას,
 იბრძვის გმირულად შრომეულ ხალხისთვის,
 ვისი ფიქრი და მიზანი ბრწყინავს,
 ქვეყნად ახალი ცხოვრებისათვის
 დებო, ქარხნები ვინც ადადგინა.
 გვეჩვენებოდა, დარბაზში, სადაც
 სტალინის თვალს ვადმოგვეჩქროდა,
 ხან თავთავების ისმოდა რხევა,
 ხან კი მრგვინაფი ხმა იშლებოდა,
 გვეჩვენებოდა — იღება კარი,
 თეხის ხმაურიც ისმოდა თითქოს,
 შემოდირიანენ მამა-პაპანი
 და უჩვეულო თან ახლდათ სიტბო.
 ვინც ამენებდა წყალსაცავეებს და
 მკერდით იცავდა შშობლიურ ალაგს,
 შემოდირიანენ, ვინაც გმირულად
 აგებდა სოფლებს, აგებდა ქალაქს.
 ვინც მოვიდა და სთქვა თავის სიტყვა,
 არ ეზარება ვარჯა და შრომა,
 ვინც გაიმართა წელში ვეფხვივით
 და არასოდეს იქნება მონა.
 იღვა ჩვენს ახლოს ის, ვინც მტკიცეა
 და არ ამინებს საფრთხე ბრძოლისა,
 კორეულ ხალხის მამაცი გმირი,
 შვილი სიბრძნის და ვაჟკაცობისა.

—:—

აი, წამოდგა, შეწყდა ბაასი,
 თქვა:
 — სანადიროთ მიემგზავრებით?
 — თქვენ?

შევეკითხეთ და დინჯათ გვიტხრა:
 — მაქვს საქმეები, მე აქ დავრჩები.
 წუთით ჩაფიქრდა, ასწია წარბი,
 სამკერდე ნიშანს შეაბო ხელი:
 — სამწრეთი ღელავს, არეულია
 და სადაც არის აიწვევებს მგელი.
 სჭამენ ერთმანეთს, როგორც ძაღლები.
 ხალხისთვის რაა?
 სახრჩობელები...
 ვახედა სამხრეთს, კიმ ირ სენს უცებ
 მოადგა თვალზე ცხელი ცრემლები.
 ორნახევარი საათის შემდეგ
 პირველად ვიგრძნეთ, პირველად ვნახეთ,
 ბოღმით, წუხილით და მრისხანებით,
 როგორ აენთო უეცრად სახე.

2.

შემოდგომაა, წითელ-ყვითელი
 ფერები ღვივის და თითქოს იწვინ.
 აჩქარებული ბორბლების ხმები
 და მანქანების გუგუნის ისმის.
 შარიშურობენ მზისუშხირები,
 გარშემო უვლით ნიაფი ხელი.
 ტკბილ და საამო სურნელებაში
 ვახვეულია მიდამო მთელი.
 ხოლო, იქ, სადაც ქოხამდის ღობე
 გაჭიმულა და ათასფრად ელავს,
 ფრთხილად ხასხასა ფოთლები ცვივა
 და ბავშვებივით აუდგამთ ენა.
 გგონია, ხეთა ყლორტების შორის
 ფუტკრებს დაუდგამთ პატარა ბინა.
 ირგვლივ ღამაზი ბრინჯის ველები,
 როგორც ნემსები ისე მიჯრილან.
 ვახედავ, კოხტად ქათქათებს ბამბა,
 თუ ზამთარს წასვლა დავიწყებია
 და ფართე კვლები უჩინარ ხელით
 თოვლის ფიფქებით გაღუბენტია.
 ქოხების თავზე ბარბაცებს კვამლი,
 ლავგარდებისკენ მიიწვივს ნილა.
 თხლად შელესილი თიხის კედლები
 აქა-იქ ყვითლად ბრწყინავს და ელავს.
 პატარა კარი, უბრალო კიბე,
 აქ გასაოცარს ვერაფერს ვხედავთ.
 სიმართლე, რომ ესთქვა, ასეთი ქოხი
 ან ფეხზე მაინც როგორ სდგას ნეტავ.
 რათ უნდა მეხი, რათ უნდა ბომბი
 ერთი შეხვერვით დაიწყებს რწყევას.
 უცებ რომ კაცმა მიაწვივს მხრებით
 ქოხის კედლები გადაიქცევა.
 მახსოვს, ვცხოვრობდით ღარიბულ ქოხში,
 მაინც რა იყო ბავშვობის წლები.
 იატაკს ფერი მიწისა ჰქონდა,
 ქარი დაჰქროდა შიგ ვალალებით.
 ღამესა ჰგავდნენ კედლები მისი,
 აბა, ვინ მოსთვლის ესტიროლით რამდენს,



მაგრამ ამ ქოხებს ჩვენი ქოხები,
 რომ შევედაროთ, დარბაზებს ჰგავდნენ.
 ჩვენ ვალეზთ ფართილად და გულის თრთოლივით
 უბრალო ქოხის პატარა კარებს,
 ამ კარს შევეყვართ, მის ბაჟშვობაში,
 ვისი სახელი ქუხს და ელვარებს.
 აქ იზრდებოდა იმედათ ივა,
 აქ ხალხის სევდა შეიგრძნო ბაღმა.
 თვალს აღევნებდა ხომალდის აფრებს
 ლურჯ ტედონგანის ზვირთების მაღლა.
 ოხრავდა გული, ესმოდა როცა
 შორით მესაჭის მწუხარე ხმები,
 ამ ხმაში ერთოდა შრომელის ცრემლი
 და ნათლდებოდნენ მომავლის გზები.
 დაკლავნილია ბილიცი ვიწრო,
 ზოგან ძაფივით გადანასკულა,
 ის ამ ბილიცზე პირველად შეხვდა
 ტოკიოს სალდათს, წამოსულს მტრულად.
 არვის ინდობდნენ სამურაები,
 დაძრწოდნენ ყველგან სიყვდილის ცილით
 და არასოდეს სისხლით მოსვრილი
 არ ერთოდა მათი ბოროტი ხელი.
 გულს არ უღობობდათ ბაჟშვების ცრემლი,
 ცეცხლით ბუგავდნენ, აჭრობდნენ კერას.
 ისინი უფრო მხეცები იყვნენ
 და სამინელნი ვიდრე ხოლერა.
 ამ ქოხში, რასაც დააკვირდებით,
 ყოველი ნივთი განცდებით გავსებს.
 მან აქ დასტოვა თავის ბაჟშვობა,
 გავიდა დიდი ცხოვრების გზაზე.
 ქოხიდან ერთი ბილიცი მიდის
 ხალხის გულამდე, მხესავით ბრწყინავს,
 ამ ბილიციდან კორეელ ხალხის
 ის გადაიქცა საყვარელ გმირად.
 ამ ნათელ ბილიცს ქალი თუ კაცი
 მოსდევს, რომ ნახონ იმისი კერა,
 ვინც ხალხს გაუძღვა სიმართლის დროშით
 და ვისი გულოც ხალხისთვის ღელავს.
 სენდჯინის მუშას, მეთევზეს, თუ მხვნილს,
 აქ ნახაოთ ყველას სხვადასხვა მხრიდან,
 რომ კიმ ირ სენის ცხოვრება დიდი
 ქვეყნად აღონ კვლავ მაგალითად.
 მათ არ ამინებთ სიმორე გზისა,
 რადგან იტაცებს გულს სიყვარული.
 ო, ამ ქოხიდან მუშა თუ გლეხი
 მიდის ყოველთვის შთაგონებული.
 უბრალო ქოხი, პატარა ქოხი
 არის შრომის და ბრძოლების წიგნი.
 აქ კიმ ირ სენმა აიღვა ფეხი
 ვისც ხალხს ეკუთვნის საქმით თუ ფიქრით.
 მთა დაიმსხვრევა, დაშრება მწარი,
 ტყბილი შექარი გახდება მწარი,
 მაგრამ აროდეს გატყდება არა,
 გმირ კიმ ირ სენის სამშობლო მხარე.

3.

სად არის ახლა,

გაიგოს უნდა

დღეს კიმ ირ სენი — ელვარე მუდამ,
 ყველაზე უფრო აზრებ დაფანტულს —
 გაბოროტებულ მელა მაკარტურს.
 გაიგოს უნდა ხვალ თუ ბელადი,
 ხალხს, რა გმირულად ააბობოჭრებს,
 როგორი რისხვით უპასუხებენ
 დიდი ხანძარით გაბოლილ ფრონტებს.
 თუ რას წარმოშობს ნაღმის გრიალი
 გადაშფეკარ ქვეყნის ღრუბლებს რომ ერთვის.
 ფხენიანით ხომ არ დასრულდება
 ის მხოლოდ ომის ფაზაა ერთი.
 და ვაშინგტონმა დაკვრას დაფდაფებს
 სანამ პრეზიდენტს დააბრჩობს ჯაგრი.
 მაგრამ იცოდეს ისე ადრეა
 ჯერ საბოლოო შედეგენა ჯამის.
 ახშიანებდა ვირის ტყავს ვილაც,
 ერთი მედოლე თუ მედაფდაფე.
 შემდეგ შხამიდან დასივდა უცებ
 და ჩალამებულ ქვესკნელში დაფლეს.
 უცხო ქვეყნებში სხვაც მიდიოდა,
 რომ მიუტანა სიყვდილი შავი,
 შემდეგ გასანთლულ კანაფის ყულფში,
 რომ გამოეყო ბოროტი თავი.
 ჩანს მაკარტური შეშფოთებული,
 შეუცნობ სევდის ლანჭერი მოსჩქეფს,
 საღამო თვალწინ ჩამოუტარებს
 შემკრთალ აჩრდილებს, დაძინძილ ჩონჩხებს.
 ხშირი ფოთლები დაიწვა უკვე
 ქირხლი, ბალახებს, სითეთრით ბოლავს
 და ქარიშხალი კორეის ხევში
 ყმული-ყმულით დაიწყებს ქროლვას.
 გაუძნელდება ტალღების ბრუნვა,
 ზღვასაც რომ თოვლის შუქი ანათებს,
 და ტაიფუნი დაკვრავს ძლიერად
 მათი გემების გაშლილ არმალებს.
 სადღაცა ახლა დიდი მუქარით
 სალ-კლდეებიდან უძლეველ ჯანით
 კორიანტელში ტიბეტისაკენ
 ხევებს მიჰყვება ამაყად ჯარი.
 და იქ კი სადაც სანაპიროსთან
 ტალღის ღმუილი და მსხვრევა ისმის.
 ტაივანისკენ დიდი ჩინეთი
 საცაა მალე დაიძვრის რისხვით.
 იქ კი ჩინეთის უფრო უშორეს
 ტყვიები რომ სჭექს ციციხლის მთოველი,
 ბილწ ბაო დაის ბავშვურ ტახტრევანს
 განადგურება მალე მოელის.
 შორს ლაქიების ზურგს უმზინებენ,
 რომ აფარიათ თვალზე უკენი.
 ფილაპინელებს თოფები შეენით
 მალაიელებს გააქვთ გუგუნი.



ჩანს მაკარტური შეშფოთებული
დადის ნაბიჯით ავტომატურით.
სამხედრო რუქებს ეხება წშირად,
მაგრამ არა სჩანს რუქა განთქმული —
რუქა, რომელიც აღმნიშვნელია
ბრძოლის მიზნის და რეზერვის ძალის, —
იგი კი ირ სენს უჭირავს ხელში
მტრისთვის დამცემი უეცარ ზარის.
შიშისმგვრელია ის წამი, როცა
უნდა დაიწყოს ხანძრების დღეგმა
მეტად მრისხანე საზარელია,
რკინის სტრიქონით ნაქელი გეგმა.
იანკი ქვაზე ვარდება უცემ,
ბასრი ტყვიების ცეცხლით მოცეცეს,
სავულდავულოდ მისგან დაპყრობილ
იმ ფხენიანის მხურვალ ბორცვებზე.
იქნებ ანჩეოუს მისადგომებთან
არის დახვევა დაჭრილ გულებით.
არი ნიშანი, რომ ახლოვდება
ქაში იმათი განადგურების.
იქ სადაც მინდვრად ბარბაცებს ტანკი,
ვით ტურა ცეცხლით მზერადახშული,
იქ, სადაც გლეხებს მიჰყავთ მოენე
შეპყრობილი და ხელზე გაკრული.
და პარტიზანთა ტყვიების სეტყვით
იქ იისონთან შორს მთებში სადაც
თოვლით ავსებულ ხეების ყელში
დამსჯელი რაზმი ახლა სულს ლაფავს.
ამაოდ იტეხს თავს მაკარტური
ამაოდ მისნობს რუქასთან მდგომი,
თუ რას უშზადებს დღე ხვალისნდელი
ან რითი უნდა გათავდეს ომი.
ომი, რომელშიც ქოზი ყოველი
ორმა მძულეარებით დამპყრობელს დაღავს.
წყვედიადმი ტყვიით უმასპინძლდება
ყუმბარა საგზლად შემოუნახავს.

4.

შორით კორეის სიერცეებია,
გრივალი ველზე თამამად მიჰქრის.
და მაინც ორი ომის ხანძარმა
მე ჩამჩურჩულა სად არი იგი.
მე სტალინგრადის ომმა მახარა,
და ცეცხლმოდებულ დნებრის ტრამალმა...
ის ჯერჯერობით იქ არის ბედათ,
იქ, საიდანაც ყველაფერს ხედავს.
თუ ჯარისკაცის სპეტაკ სიცრუის
ვწამს ელვარება ცად დარხეული,
იგი უბრალოდ ნაწილში დადის
რუხ ფარაჯაში გამოხვეული.
აუჩქარებელ ნაბიჯით დადის
დღეთა სინათლის დასასრულამდი.
და არკვევს იგი რიგზე თუ არი
იარაღია ის თუ სურათი.

იტყვიან ასე, რომ უახლოეს
 ჩაუარაო ასეულს ქარად.
 და ჯიბებში ხელჩაწყობილი
 მღეროდა თითქო „აირან“-ს წყნარად.
 მღეროდა ჩუმად და მაინც ჰანგი
 ეფინებოდა ბალახს ხალისად
 ამღერებელი მწველი სიტყვები
 მოუსმენია თურმე ჯარისკაცს.
 ამბობენ კიდევ, რომ ფხენიანთან
 სასურველ წუთზე-ბადრ ალიონზე
 ამომავალი მზის სიკაშკაშით
 მტრისკენ უძლოდა ბატალიონებს.
 იანკს საზარელ შიშის ზარს გვრიდა,
 ის კი იტყოდა — ბნელის მგომბელი,
 ჯერ თქვენ, სადა, ხართ, თქვენთან შეხვედრას
 პირგამეხილნი აწი მოვლით.
 ბევრმა იხილა თუ როგორ მისი
 თვალები უქრობ ცეცხლივით ენთენ.
 და კონსიანში მამაც მებრძოლებს
 მკერდზე აკრავდა შუქურა მედლებს.
 კიდევ ყუმბარით მკერდში დაჭრილი
 ბევრსა ჰყავთ თურმე ველად ხილული,
 რომ ხონნამეში ასწია დროშა
 დროშა ტყვიებით გადაცხრილული.
 ამბობენ, ნახეს ის ნამიხოსთან,
 სადაც ბრძოლები სიერცეს აშფოთებს.
 კიდევ ამბობენ, რომ დღედაღამე
 უვლის გარშემო ცეცხლიან ფრონტებს.
 თითქო თან ახლდეს ორი ვაჟკაცი
 ძველი ლაშქრობის ეამს გამოცდილი.
 ვინც ჰექტუსანის მყინვარებიდან
 ბრძოლაში ჰქროდა ხმალამოწვდილი.
 კიდევ ამბობენ, როცა განთიადს
 სიო ვარცხნიდა ოქროს ალიანს
 შაო ძე დუნთან წავიდა იგი
 და ეს შეხვედრა — იღუმალია.
 არ ვიცი იგი, სად დადიოდა
 მტვერში, დელგმაში დამისთევითა,
 არ ვიცი როდის სად იღლეებდა
 ამ ჯარისკაცურ ლეგენდებითა.
 მაგრამ მე ვიცი: დამწვარ სიერციებს
 ახლა ვარამის ხმა რომ ერევა,
 ყუმბარებისგან გადახნულ ველებს,
 უმზადებს ახალ ბედნიერებას.
 მაგრამ მე ვიცი: ადრე თუ გვიან,
 ალბათ მაკარტურს დღეს რომ აჯაერებს,
 ის ფხენიანის გორშაბებიდან
 სამხრეთისაკენ წაიყვანს ჯარებს.
 და უცხოელებს სეგონში ისევ
 მოუწევთ წასვლა ბინდი რომ მოსავთ.
 ისევ მოუწევთ შეხედონ, ვიცი
 ან სალღისის შერცხეენილ დროშას.
 თოვლიან ველზე სისხლი-ცეცხლივით
 მოეჩვენებათ უთუოდ მალე,
 ინჩონში მალე დაიხრჩობიან
 გადაიქცივათ ტივუ სამარედ.

და ის, ვინც ბოლოს დაფდაფის ხმაზე
მოვა, დაიწყებს ბრძოლას თავიდან.
მასაც პუანის მომწევანო წყალი
მძიმე ლოდით ფსკერზე ჩაიტანს.
ეს იმიტომ, რომ ცრემლში და მწუხრში
ყველა ფრონტი და უბანი ისმენს:
ხმა გამყინვარი — ზღვებიდან ზღვამდე
— დიდება მუდამ

დიად კიმ ირ სენს.

განა უბრალოდ ხალხის იმედი
მიიწევს მაღალ მთათა ჭიმისკენ,
კორეის ცისქვეშ დღედაღამ ისმის
— დიდება მუდამ

დიად კიმ ირ სენს.

მუდამ უშიშრად, ფხიზლად ირჯება
კორეელ ხალხში ბევრჯერ ჭებული,
დღეს კიმ ირ სენის ნათელი აზრი,
იმისი ნება რკინისებური.
სად ყუმბარები გრიალებს ახლა,
ზღუდეებს არღვევს ურიცხვი ტანკი,
დიდი მხნეობით გარემოცული
მის კორეაში სარდალი დაჰქრის.
იგი ყველაფერს ხედავს და იცის
და მოუწოდებს ერთად შეჰყაროს
არა ასეულს და ათასეულს
ამაყ კორეას — ლამაზ ქვეყანას.
თუმცა არ არის ჯერ იქ ზეიმი,
ისმის მრისხანე ხმები ყუმბარის.
იქ კვლავ სიცოცხლე გაინავარდებს,
ასეთი არის ჩემი გუშანი.

თარგმანი ჯუარა ლორთქიფანიძისა
და მახტან ზორბანელიძისა.

ლილ გზაზე*



ბოლახთან, ცეცხლისპირას შეგროვილმა ხალხმა, შეწითლებულ ცაზე ნაპერწკლები მამინ შენიშნა, როცა თოვის გასროლისა და ხარების ხმა გაიგონა. დიდი და პატარა ყველა ერთად წამოიშალა.

— ანთიმოზის სახლი იწვის, — გაისმა ტარასის ხმა და ერთი წუთით შემდგარი ხალხი ლარში მიშობილი წყალივით დაიძრა.

ნადემ წვილ-კვილით შეირბინა თავის ეზოში და ცეცხლის ალში გახვეულ სახლში ავარდნას აპირებდა, მაგრამ ხალხმა დაიჭირა.

— ჩემი ბიჭი, ჩემი შალვა! — ჰკიოდა და თმებს იგლეჯდა, სახეს იყაწრავდა. ქალი წაბარბაცდა და შეჰკივლა, როცა კვამლშიგახვეულ აივნიდან, ცეცხლმოდებული მამაკაცი გადმოხტა. მას ბავშვი ეპირა ხელში. მამაკაცს ელვის სისწრაფით ნაბადი შემოახვიეს. ნესტორმა ბავშვი ჩამოართვა და გულწასულ ნადესთან მიიჭრა. ქალმა შეილის დანახვაზე უაზროდ ვაილიძა, ნესტორს ბავშვი ხელიდან გამოგლიჯა, ათრთოლებული თითებით სახე და გულმკერდი მოუსინჯა, შერე ბავშვი გულში ჩაიხუტა და გრძნობა დაკარგა.

რაიკომის მდივანმა ნაბადზე პირალმა მწოლარე ოთართან ჩაიჩოქა.

— თავს როგორა გრძნობთ, ამხანაგო ოთარ? — უთხრა და შეტრუსულ თმებზე ხელი გადაუსვა.

ოთარმა არ უპასუხა. ლაპარაკი არ შეეძლო. ვერ ცნობდა მის გარშემო შეგროვილთ, მხოლოდ ხალხის შეძახილები ესმოდა ყრულად:

— ოთარმა გადაარჩინა ბავშვი.

— ოთარი.

— ვენაცვალე! ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა!

ხალხი სამზადსა და მეზობელ სახ-

ლებს მიესია, რომ ცეცხლი აქაც არ გადასულყო.

ანთიმოზის სახლის უკანასკნელი კედელიც ჩაიქცა. იატაკი შუაზე გაიპო და რკინა-ბეტონის სარდაფში ჩაეშვა.

ქალებმა ნადე მოასულიერეს. ტერეზა და ეფემია მხარში ამოუდგნენ და ბავშვთან ერთად გზაზე გაიყვანეს. ამ დროს სირბილით მომავალი მებრძოლი შეეფეთათ.

— სად არის, რაიკომის მდივანი?

— აქ არის! — უპასუხა ტერეზამ და როცა მებრძოლის ხელში გაშლილი ქალაქის ფურცელი შენიშნა, ჰკითხა: — რა იყო? ცნობა ხომ არ მივიღიათ?

— დიას! რადიოგრამაა ფოთიდან; რაიკომის მდივანი შინდა, — მიამახა მებრძოლმა და ეზოში შეირბინა.

მებრძოლს ხალხი შემოეხვია. არავინ იცოდა — უბედურების მიუწყებელი იყო ის, თუ მახარობელი. მებრძოლი რაიკომის მდივანს მხიარულად მიესალმა და ქალაქი გაუწოდა.

გიორგი ცეცხლისკენ მებრუნდა, რადიოგრამა სწრაფად ჩაიკითხა.

— რაო?

— ხომ მშვიდობაა? — გაისმა შეძახილები.

— მშვიდობაა, ამხანაგებო. — წარმოსთქვა მშვიდად გიორგიმ და განაგრძო: — ნაევები და კატარღები ტამიშის ნავთსადგურში არიანო, იტყობინებთ ფოთიდან.

14.

ოთარი საავადმყოფოში წაიყვანეს. მას ხელ-ფეხის გარდა, მკერდისა და მუცლის ორეც კქონდა დამწვარი.

მოსრდილ ოთახში, მეორე სართულზე, რომლის ორი განიერი ფანჯარა ზღვას გადაჰყურებდა, მარტო ოთარი იწვა. რაიკომის მდივანი და ნესტორი საორდინატოროში ისხდნენ მანამდე, სანამ მზემ არ ამოანათა და ოთარს არ ჩაედინა.

* ვაგრძელება იხ. „მნათობი“ № 3.

რაიკომის მდივანმა რაიონის ცენტრიდან გამოიძახა ექიმები.

ზღვაზე ღელვა თანდათან კლებულა.

ჩრდილოეთით ჯერ კატარლები გამოჩნდნენ, მერე იალქნიანი ნაევები.

ბოლახთან ხალხი შეიკრიბა.

დღის თერთმეტ საათზე კატარლები და თევზით დატვირთული ნაევები მდინარეში შემოცურდა.

ყველას უხაროდა თავისიანების მშვიდობით დაბრუნება. მაგრამ ხალხში ფართული წუხილი მაინც იგრძნობოდა. ყველა ანთიმოზს მისჩერებოდა, რომელიც კატარლის ცხვირზე იდგა და ხელში დახვეული ბაგირი ეჭირა.

კატარლებიდან შეემჩნიათ ანთიმოზის გადაბრუნული ეზო.

პირველად ანდრო გადმოვიდა ნაპირზე.

— რა მოხდა? რამ გადაწვა სახლი. — მიმართა მან ხალხს.

— მეხი დაეცა შენ სახლს, ანთიმოზს. — უთხრა ანთიმოზს სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ევგენიმ და გამამხივებელი ხმით დასძინა: — არაფერია, ერთ თვეში ახალ სახლს წამოგვიმავთ შენს ეზოში.

— ბავშვი და ნაღვ როგორ არიან? — იკითხა შემერთალი ხმით ანთიმოზმა ხალხში შევილი და მეუღლე რომ ვერ შენიშნა.

— კარგად, ანთიმოზ! — უთხრა ტერეზამ, — ჩემთან არიან სახლში. შენზე წუხან მხოლოდ.

— ჩემზე? მე რა მიჭირს. — გაიღიმა ანთიმოზმა. — ცოლშვილი, თუ უკნებელია, უსახლოთ რომ არ დაფრჩები კი ვიცი.

— ოთარი დაგვიშავდა მხოლოდ. იმან გადაარჩინა შენი ბიჭი დაღუპვას, — უყვებოდა ტერეზა ანთიმოზს.

— ოთარმა?! — მობრუნდა თამაზი ტერეზასაკენ.

— დიახ, ოთარმა. ბეწვზე გადარჩა, საავადმყოფოშია.

— საავადმყოფოში! მძიმედ დაშავდა? ზომ ცოცხალია? — გაფითრებული თამაზი ხალხს მიატყერდა — ნუ დამიმალავთ, ევგენი. ოთარი ცოცხალია თუ არა?

— ცოცხალიაო! — ევგენიმ გაიციხა და თამაზს მკლავზე ხელი წაავლო, — კარგადაა, ოთარი, დარდი ნუ გაქვს.

თამაზი ერთხანს დამშვიდდა, მერე ისევ შეიკრა შუბლი და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მაშ, ყველაფერი დაიწვა? — მერე ისე ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოატანო.

— კაცო მე უნდა გწუხდე ჩემი სახლკარის დაწვას და შენ რა დაგემართა? — ჰკითხა გაოცებულმა ანთიმოზმა თამაზს.

— ჩემი შრომა, ჩემი ოთხი წლის ნამუშევარი დაიღუპა. ისევ თავიდან დავიწყო? როდის იქნება? როდის აღვადგენ?

ევგენიმ თამაზს მკლავზე ხელი მოკრდა და თვალებში ჩახედა.

— როგორ! სად იყო შენი შრომა? ოთახში გქონდა?

— ოთახში, მაგიდის უჯრაში.

ევგენიმ თვალები დახარა და ჩაფიქრდა.

ამ დროს რაიკომის მდივანი მოვიდა. ხალხში ელვის სისწრაფით გავარდა თამაზის შრომის დაღუპვის ამბავი. რაიკომის მდივანისათვის ზხაში ეთქვათ ამის შესახებ. იგი პირდაპირ თამაზთან მივიდა. განზე გაიყვანა.

მდივანს და თამაზს, ანდრო და ნესტორი შორიხალს მოჰყვებოდნენ.

— ოთარმა იცოდა, სადაც იყო პორთფელი შენახული, და ნუთუ ბავშვთან ერთად მისი გამოტანაც ვერ შეძლო?! — ყრუდ ჩაილაპარაკა თამაზმა.

გიორგი შეჩერდა, გაკვირვებით შეხედა აგრონომს:

— ოთარმა იცოდა... მაგრამ როგორ გაახსენდებოდა პორთფელი, როცა ცეცხლის ალმი გახვეულ სახლში შევარდნილა ბავშვის გადასარჩენათ და კინაღამ თვითონაც დაიღუპა. არა, თამაზ, ოთართან სასაყვედურო არა გაქვს. ის გმორულად მოიქცა.

თამაზს პასუხი არ გაუცია, თავის ფიქრით იყო გართული.

— ახლა წუწუნი კი არ გვიშველის, საქირთა გული გაიმხნევეო, ძალღონე მოიკრიფო და რაც დაიწვა, ჩქარა აღადგინო, — უთხრა გიორგიმ მტკიცედ, თვალებში ჩახედა თამაზს. — არ დაგავიწყდეს, რომ შენ კომუნისტი ხარ, თამაზ.

— ვიცი, როგორ არ ვიცი, მაგრამ... რამდენი დრო უნდა... რამდენი შრომა...

— დროს მოგცემთ. ყოველნაირად შეგიწყობთ ხელს, თამაზ. რამდენიმე თვით გაგიშვებთ შვეებულბაში. დაგახმარებთ ხალხს. ის საქმე, რასაც შენ აკეთებ, საქვეყნო საქმეა. არა მარტო, საქართველოსათვის, მთელი ჩვენი სამეფოთა ხალხისათვის. ჩვენ გადაკეთებთ ყველაფერს, რაც კი ჩვენზეა დამოკიდებული. შენი შრომა რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნეს აღდგენილი. შენი შემცველი აგრონომი ხვალვე ჩამოვა ნარკიამი და სანამ დინერტიციის არ დაიკავ, შენს მაგიერობას გასწევს. — რაიკომის მდივანმა შევერცხლილ თმაზე ხელი გადაისვა და წუთით დაფიქრდა. — მაგრამ აქ ნარკიამი მუშაობას, — განაგრძო მან — ჩემთან წამოსვლა აჯობებს. ანდროსთან მეთურნეობის საქმეში, — გიორგიმ ღიმილით მოხედა უკანმომავალ თავმჯდომარეს და განაგრძო, — დროს დაკარგავ. ჩვენ კი მყუდროდ დაგამინავებთ. თუ გნებავს თბილისში გაემგზავრე და იქ იმუშავე.

თამაზს გული უჩვეულოდ აუტეგრდა, შედგა. ორი ხელი მაგრად ჩასჭიდა რაიკომის მდივნის მარჯვენას და მტკიცედ უთხრა: — გმადლობთ, ამხანაგო გიორგი.

სალამოს სამუშაოდან დაბრუნებულმა ანდრომ და თამაზმა ოთარი ინახულეს.

სიზმარივით ახსოვდა ოთარს პორთფელის ვატაცება. რა ვატიცა მან, განა თამაზს წაართვა თავისი შრომა? არა, ხალხს წაართვა მან სიმდიდრე, ხალხი გაქურდა. „რა მექნა, სხვა გზა არ მქონდა. არ პირით მივიღე კოსტასთან, თუ ესეც არ ჩაუტანე. თამაზის მოკვლას ისევ ამის ვატაცება სჯობია. საოცარი! სანამ კვამლში გახვეული თამაზის საწერი მაგიდა არ დაეინახე, პორთფელზე არც კი მიფიქრია. მაგიდის დანახვა, და ვულმა პორთფელისაყენ გამიწვია“.

როცა ოთარმა კარებში თამაზის ხმა გაიგონა, თვალები დახუჭა და აქენესდა. ანდრო და თამაზი საწოლთან მივიდნენ.

— კიდევ კარგი, რომ სახე არ დაზიანებია, — წახსურჩილა ანდრომ თამაზს.

თამაზი დაიხარა და ავადმყოფს შუბლზე აკოცა.

— ოთარი ძმომ! — ჩაილაპარაკა თანისთვის და წელში გაიმართლა.

— ეძინება, ნუ შეაწუხებ, — უთხრა ანდრომ ხმადაბლა თამაზს და მკლავზე ხელი მოკიდა.

— არა, არ მძინავს, თამაზ. ტკივილები მკლავს. — წაიღულულა ოთარმა და სახე კედლისკენ იბრუნა. ანდრომ თამაზს ანიშნა — გასულიყვენ.

— მეგონა, თავს კარგად გრძნობდა. — წამოიძახა აღელვებულმა თამაზმა, როცა ოთარის კარი მიიხურა.

— წამოდი, ექიმს მოველაპარაკოთ, — ისინი მთავარი ექიმის სამუშაო ოთახისკენ გაემართნენ.

როცა თამაზი და ანდრო ექიმის კაბინეტში შევიდნენ, ხანშიშესული, წვერულვანშობარსული პატარა ტანის კაცი საწერ მაგიდასთან იჯდა და პაპკაში იქმებოდა.

— ხომ მოგახსენეთ, თავს კარგად გრძნობ-მეთქი. — ექიმმა ღიმილით მიმართა მათ და სათვალე გაისწორა.

ანდრომ და თამაზმა ერთმანეთს გადახედეს.

— არა... ცუდად არის, ექიმომ! შფოთავს, ტკივილები აწუხებს. — მიუგო უკმაყოფილოდ ანდრომ.

— არა მეგონა, გეთაყვა, ნუთუ ასე ჩქარა შეიცვალა მდგომარეობა? — ექიმმა გაკვირვებით შეხედა თამაზსა და ანდროს.

— თელსაც ვერ ახელს.

— თქვენ აქ დამიციდეთ, გეთაყვა, და თუ ავადმყოფის მდგომარეობა მართლა გაუარესდა, ახლავე მოგახსენებთ, — ექიმმა სტიტესიკს წაავლო ხელი და ოთახიდან გავიდა.

დიდხანს ელოდნენ ექიმს თავმჯდომარე და აგრონომი.

— მაშ, ხვალ ახალი აგრონომი ჩამოვა არა? — დაარღვია ანდრომ სიჩოქე. მან თუმცა გაიღიმა, მაგრამ სახეზე სინანულითა და უკმაყოფილების იერმა გადაკრა.

— ჩამოვა, ჩამოვა... მაგრამ... — თამაზმა იგრძნო, თუ რა აწუხებდა ანდროს.

— რა მაგრამ? — ჰკითხა ანდრომ.

თამაზს პასუხი არ გაუცია.

— ბათუმში უნდა წავსულიყავი ორი კვირით, დელეგირებზე სანადირო მოწყობილობა უნდა ჩამომეტანა. ჩვენ

უბანში ფოთლები, სუბუმელები და ბათუმელები ხადირობენ, ჩვენ კი... დღემდე აზრადაც არ მოგესვლია. მერე... დელფინის ქონი როგორ სჭირდება სახელმწიფოს. ან, რადღენ შემოსაკავლს მისცემს ის კოლმეურნეობას. რომ იცოდეს! მაგრამ როგორ! როგორ წავიდეს?! — თითქოს, თავისთვის ლაპარაკობდა ანდრო.

— რა გიშლის ხელს? — ჰკითხა თამაზმა.

— რა გიშლის? ვის დავუტოვო კოლმეურნეობა?

— თამაზს გაეცინა. მან კარგად იცოდა, რომ ნარკიაში ბევრნი იყვნენ ისეთები, რომლებიც კოლმეურნეობას დროებით კი არა, ხანგრძლივადაც კარგად გაუძლებდნენ.

— მე არ მივდივარ, ანდრო! აქ ვრჩები, აქ ვიმუშავებ. რომ მთხოვო, მაინც არ წავალ აქედან.

— არ წახვალ? — ანდროს შებლი გაეხსნა და სიხარულით საესე თვალბით შეხედა აგრონომს.

— დიას! დისერტაციაზე აქ ვიმუშავებ, და არც სოფელს მოვაკლებ თაღარიგს...

კაბინეტში ექიმი შემოვიდა.

— საცვირეელია, მაჯა კარგი აქვს, ფილტვები ჯანსაღი...

— მაშ რატომ სწუხს. რად შფოთავს? — შეეკითხა თამაზი.

— შეიძლება ხანძარმა ნერვებზე იმოქმედა. შეიძლება შეშინებულა.

ანდრომ თამაზს გადახედა. აგრონომს უკმაყოფილება დაეცყო სახეზე:

— არა მგონია! ოთარი შშიშარა არ არის! მე მას კარგად ვიცნობ.

ექიმს გაეღიმა.

— საშინო არაფერია. ავადმყოფი ჩქარა გამოკეთდება. — მაგიდასთან მივიდა და პაპკა აიღო.

— ექიმო, ნება მომეცით ამაღამ ავადმყოფთან დავრჩე. — უთხრა ექიმს თამაზმა.

— რა საჭიროა! მომვლენები განაკოტა გვყავს?!

— რადგან მსურს, ნება მიეცით, ექიმო! — ჩაერია ლაპარაკში თავმჯდომარე.

— კარგი, სიამოვნებით.

მაგიდასთან მარტო იჯდა თამაზი და წიგნს კითხულობდა. პირაღმა მწოლიარე ოთარი თვალს არ ახეღდა. მძიმედ

სუნთქავდა. წუხდა. მორიგე ექიმი კარს ხმარად შემოაღებდა, ემყოფებოდა ავადმყოფს და ფეხაკრებდა: გასდრეოდა ოთახიდან.

თამაზი ხან სახეზე ოფელს წმენდდა ოთარს, ხან მაჯას უსინჯავდა, თმებს უსწორებდა.

— მაშლებმა მესამეჯერ იყვილეს, როცა ოთარმა თვალი გაახილა და მიიხიღმორხედა.

სასთუმალთან თამაზი იჯდა.

მაგიდაზე დიდი ლარნაკი იდგა (კოცხალი ყვავილების თაიგულით).

— თამაზს უძინარი, ჩაწითლებული თვალბი სიხარულით აეგსო:

— ოთარი! ჩემო კარგო! არა გრცხვენი, ბიჭო? რა მოგდის, ნუთუ ასე შეგაშინა ხანძარმა? — უთხრა და შუბლზე ხელი გადაუსვა.

ოთარი გაკვირვებული მიაცქერდა ბიძამეფს, მერე ხალვლიანად ჩაიცინა.

— ხანძარმა შეგაშინა?! შეიძლება... ნეტავ ასე იყოს და... — თვალბი ისევ დახუჭა.

„იქნებ მნახა ვინმემ, ანთიმოზის სახლიდან პორთფელით ხელში რომ გამოგნბოდი. იქნებ, ჩემი ლეიბის ქვეშ იმოვნეს, თამაზის პორთფელი. სანამ ავად ვარ, არაფერს მეუბნებიან, ალბათ“.

თვალბი გაახილა და საშინელი ფიჭრები რომ თავიდან მოეშორებინა, თამაზს ჰკითხა:

— რა საამური სენი დგას ოთახში! ვინ მოიტანა ეს თაიგული?

— მთელი სოფელი მოაწყდა საავადმყოფოს. მაგრამ შენთან მხოლოდ მე და ანდრო შემოგვიშვეს. — თამაზი წამოდგა, მაგიდიდან ჰკიჭით რძე და ხაჭაპურის ნაჭერი აიღო, — ახლა, ჩემო ძმაო, გინდა არ გინდა, ეს ერთი ჰკიჭა რძე უნდა დალიო.

— არ მინდა, თამაზ საკმელი, დასანახავადაც არ მინდა!


— როგორც გინდა, მაგრამ, მთელი დღე და ღამე უჭმელი..

ოთარმა თაიგულს შეხედა.

თაიგულში წითელი ვარდისა, ყაყაჩოსა და ქრიზანთემას გარდა, შროშანაც უხვად ერია.

შროშანა ნარკიაში, აფთიაქის ეზოს გარდა სხვაგან არ უნახავს ოთარს.

ყვავილები თითქოს უღიმოდა, ვალერისებოდა ავადმყოფს.



ოთარს უნდოდა დაეყენოსა ისინი, გულში ჩაეკრა, მაგრამ შერცხვა თამაზის, იფიქრა: იქნებ მედეამ ყველაფერი უთხრა, შესწივლაო.

— რა კარგი თიგულთა ლარნაკში! — წაჩურჩულა ოთარმა დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ და ამოიხზრა.

— ჰოო, იცანი? — შეეკითხა მრავალმნიშვნელოვნად თამაზი და საწოლზე ჩამოჯდა.

— როგორ?

— ეინ მოგართვა, თუ იცი?

— ეინ?

— მედეამ შემოგოგზავნა, თვითონ, არ შემოუშვეს.

— არ შემოუშვეს?.. რატომ?

— გეძინა და, ალბათ, იმიტომ.

ოთარს პასუხი არ გაუცია.

— არ გეძინება, თამაზ? — დაარღვია სიჩუმე ავადმყოფმა.

— მეძინება, თვალს ძლივს-ღა ვახელ, მაგრამ სანამ ამ რძეს არ დაღვივებ, ვერ დავიძინებ.

არ შემიძლია, გული მაქვს ცუდად.

— რომ იცოდე ეს რძე და ხაჭაპური ვისი მოტანილია.

— ვისი?

— მედეასი. აბა! გასინჯე, თუ ეს მისი ვამომცხვარი ხაჭაპური არ არის.

— კარგი, მაჭამე.

თამაზი წამოდგა, ოთარს მკლავებში უხელები ფრთხილად გაუყარა და ლოჯინზე წამოსუა. მერე ბალიშები ერთმანეთზე შეაწყო, და ავადმყოფი ფრთხილად მიაწვინა ზიდ.

თამაზი უკანასკნელ ლუქმას უდებდა პირში გულზე ხელებდაწყობილ ოთარს, როცა ძორივე ექიმმა კარი შემოაღო.

— ჰოო, ეს კარგი ამბავია! მაგრამ, ამხანაგო, თამაზ! თქვენ კიდეც არ გძინავთ?

— ახლა კი გულდამშვიდებულს ტყბილად ჩამეძინება. ოთარი, როგორც ხედავთ, თავს კარგად გრძნობს.

ექიმი ავადმყოფთან მივიდა, შუბლზე ხელი დაადო, მაჯა გაუსინჯა.

— ტკივილები ხომ არ გაწუხებთ?

— არა!

— ძალიან კარგი. — ექიმი თამაზს მიუბრუნდა. — თქვენ კი შეწუხდით. ისედაც დაქანცულს მთელი ღამე არ გიძინიათ. ჩვენ განა რამეს მოგაკლებდით?

— მართალი ხართ, მაგრამ ვერ მივუტოვებ. — თამაზი ფანჯარასთან მივიდა.

ჩანისლული ზღვის ნაპირი მკრთალად მოჩანდა, ამღოსავლეთიდან სინათლე ეხარებოდა აჭარის მთებს.

თამაზმა ფანჯარა გააღო, ოთახში ნიავი შემოიჭრა.

— დაწეჭი, ახლა მაინც დაიძინე, შეკაცო, იქნებ მეც წამეძინოს, — ოთარმა თვალები დახუჭა.

— ახლა კი დროა! — თამაზი საწოლთან მივიდა და ხალათის ღაღები შეიხსნა. — ორი საათი რომ წავიძინო, საქმარისია, მეყოფა.

— რატომ ორი საათი?

— დილით იქნებ ახალი აგრონომი ჩამოვიდეს... უნდა შეგხვდეს, — ხალათი გაიხადა, ფოსტლები გაიძრო.

— ეინ აგრონომი? — ოთარიმ თავი წამოჰყო.

— სანამ ჩემს შრომას არ აღვადგინ, ყოველგვარი სამუშაოდან გაათავისუფლებული ვარ. — მიუგო თამაზმა და საბანში გაეხვია.

— შრომას? რა შრომას?

— ჩემი სადისერტაციო შრომა, ანთიმოზის სახლთან ერთად რომ დაიწვა, ოთარი ის უნდა აღვადგინო. რაიკომის მდივანმა მითხრა, ჩემთან წამოდიო, თუ გინდა თბილისში გავიმზავრე და იქ იმუშავე. არაფერს მოგაკლებთო...

— მერე, უნდა წახვიდე? — ოთარი შეკრა.

თუმცა ნარკიაში ის ყველას სიყრმის მეგობარივით, ნათესავივით უყვარდა, მაგრამ, ახლა მიხვდა, რომ ყველაზე ახლობელი და საყვარელი ადამიანი მისთვის თამაზი ყოფილა.

— არა... აქ დავრჩები, აქ ვიმუშავებ. თამაზი კედლისკენ შეებრუნდა, თვალები დახუჭა.

ღია ფანჯარაში დღის სინათლესთან ერთად სახერხი ქარხნის საყვირის ხმაც შემოიჭრა. ჩიტების ქრიაბული გაისმა. სოფელმა გამოიღვიძა.

ვერ მიეატოვებო ოთარს, — გაახსენდა ოთარს, ექიმს რომ უთხრა თამაზმა და თვალები გაახილა. — „მე კი როგორ ეუხხი სამაგიეროს!“ — გააერუოლა. საბანი ვადაიგლო და წამოჯდა.

— თამაზ! თამაზ! არ გესმის? ძმაო!... თამაზი ვაღმობრუნდა, მაგრამ ძილს თავი ვერ წაართვა. ოთარი თამაზის საწოლზე გადაჯდა.

— თამაზ! — ჩასძახა და შეხვეული ხელით შეიანჯღრია.

თამაზმა თვალები გაახილა.

— რა იყო, ოთარ, რა მოგივიდა? ცუდად ხომ არა ხარ?

ოთარმა თამაზს თვალი თვალში გაუყარა და ხმადაბლა ჰკითხა:

— შენ წელან თქვი ჩემი შრომა დაიწყო.

— ჰო, დაიწყო.

— ვინა სთქვა! მე ჯერ ის გამოვტაცე ხანძარს და მერმე ბავშვი. პორტფელი ჩემს ოთახში ლეიბის ქვეშ ამოვდე.

— ოთარ, ძმაო, — შეისძახა თამაზმა სიხარულით და ბიძამეილი გულზე მიცერა.

თამი 15

დილით, საავადმყოფოდან გამოწერილი ოთარი ჯერ გარაჟში შევიდა, მერე კოლმეურნეობის გამგეობაში შეიხედა, მაგრამ ანდრო და თამაზი ვერ ნახა. თავმჯდომარის და ბიძამეილის სანახავედ მლანტაცეებში უნდოდა წასვლა, მაგრამ დაღლილობა იგრძნო და თავის ბინისკენ გასწია.

მანამდე ეძინა ოთარს, სანამ სამუშაოდან დაბრუნებულმა თამაზმა არ გამოაღვიძა.

სალამოს ბიძამეილები სახლიდან ერთად გამოვიდნენ. თამაზი კლუბის შენობისკენ გაემართა, სადაც პარტორგანიზაციის კრება იყო მოწვეული. ოთარმა სანაპიროსკენ შეუხვია. ის, აფთიაქის შენობის წინ ჰადრის ქვეშ მერხზე ჩამოჯდა.

მედემ ორჯერ ინახულა ოთარი საავადმყოფოში. ერთხელ თამაზთან მივიდა. მაწონი და ნამცხვარი მიუტანა. თამაზთან მედმა იციხოდა, მხიარულ გუნებაზე იყო. მაგრამ როგორც კი თამაზი წაიდა, მედემ მოიწვინა, დღეაგდა, უნდოდა ეკითხა ოთარისათვის, რატომ მოექცა იმ ღამეს ასე უცხაურად. რატომ გაიქცა, რატომ მიატოვა მედმა. მაგრამ ვერ მოახერხა.

მეორეჯერ მედმა მარტო მივიდა ავადმყოფთან, დიდხანს იჯდა ხმაამოყოლებლად, მხოლოდ წასვლის დროს მოახერხა ეკითხა:

— ოთარ! მითხარი, რატომ შემდურნი, რა დაგიშავე?

— არა, არ გემდურნი, მედმა. რა მაჭებს შენთან დასამდურნი. იმ ღამის

ამბავს, საავადმყოფოდან რომ გამოვიწერიები მაშინ გეტყვი.

კარგად იცოდა ოთარმა, რომ არც საავადმყოფოდან გასვლის შემდეგ შეეძლო ეთქვა სიმართლე მედმასათვის, „მაგრამ, სანამ ნარკოზში დავრჩები, ახლოს არ გავეკარებო“. ფიქრობდა.

მაგრამ მედმა საავადმყოფოდან გამოეწერა და მაინც მოვიდა აქ, სადაც ყოველწუთს შეეძლო მედმასთან შეხვედრა.

არ უნდოდა აქეთ წამოსვლა, მაგრამ დიდხანს ყოყმანის შემდეგ, გაჰყვა საყვარელ ადამიანისკენ მიმავალ ქუჩას.

ოთარს მედეას ნახვა, მის თვალებში ჩახედვა, მასთან საუბარი ენატრებოდა და ამავე დროს მასთან შეხვედრას ერიდებოდა. მაგრამ მაინც მიდიოდა მისი სახლისაკენ. თავისდაუნებურად მიიბიჯებდა აფთიაქის შენობისაკენ.

ხეტავე იცოდეს მედემ, რომ მასთან, ასე უხეში დაშორება მისი სიყვარულით მომივიდა, — ფიქრობდა. აფთიაქის შენობას მოუახლოვდა. ქალი ფანჯარასთან იჯდა და რაღაცას ქსოვდა.

ოთარი თვალს არ აშორებდა მედეას. „ჩენებ ჩემსკენ გამოიხედოს, დამინახოს და დამიძახოს“. მაგრამ აი მედმა წამოდგა. ოთარი შეკრთა, ჰადრის ხეს მოეფარა. იქვე მერხზე ჩამოჯდა. გული ბავაბუგით უცემდა. დიდხანს იჯდა გაუნძრევლად. ფეხისხმამ გამოარკვია.

მოხედვა ვერ გაბედა. პირველ შეხვედრასა და დალაპარაკებას გაურბოდა, თორემ მერე, იცოდა, რომ მედმა ერთილი გული არც კი ისურვებდა გახედილი, მწარე დღეების მოგონებას.

ოთარი გაირინდა.

„არა! ეს, მედეას ფეხის ხმას არა ჰგავს. მან, ასეთი ნელი სიარული არ იცის“. — ფიქრა და მოიხედა.

მელიტონი, ეშმაკური ღიმილით უახლოვდებოდა.

შეკრთა ოთარი. გაახსენდა: კამარსაში არყით გაბრუნებულმა გული რომ გაუხსნა ამ კაცს.

— მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით გხედავ. ზოდის ვიხდი, რომ საავადმყოფოში ვერ გნახე, მაგრამ, ხომ იცი, სიფრთხილეს თავი არ ტყივა. — მიიხედ-მოიხედა. ახლოს არავინ იყო. — ჩვენ რომ მეგობრები ვართ, არავინ არ უნდა იცოდეს. ისეთ საქმეს მოვკიდეთ ხელი, რომ ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯი და ორივე დავიღუპებით.

მელიტონი მერხზე დაჯდა.

ოთარს გონება აემღვრა. მუხლებში სისუსტე იგრძნო და თვალები აუჭრელდა.

— რა საქმეს? — ჰკითხა სუსტი ხმით ოთარმა.

— არ გახსოვს? — მელიტონმა გესლიანად ჩაიციხა. ჩექმის საყულო აიწია და ანთებული ჩიბუხი ქუსლზე დაიბერტყა. — დაგავიწყდა თუ, გეშინია, ყნაწვილო? ასეთი შშიშარა ასეთ საქმეზე არ უნდა ჩამოსულიყავი ჩემო ბიძია.

ოთარი მიხვდა, რომ ამ კაცისაგან თავის დაღწევა ადვილი არ იყო და ისე ამოიხზრა, თითქოს გული თან ამოატანაო.

მელიტონმა ოთარს ირიბად გადახედა და შეზღო შეიკრა:

— რადგან ითქვა და დაიწყეთ. უნდა დასრულდეს. — მელიტონმა ჩიბუხი თამბაქოთი გატენა, მოუკიდა და გააბოლა.

— რა უნდა დასრულდეს, რა დავიწყეთ, მელიტონ?

— დაგავიწყდა? — ჰკითხა ხმადაბლა მელიტონმა და წამოდგა, — მე მხოლოდ შენი სიკეთე მსურს. ვფიქრობდი: მართხელა კაცს ამ სახიფათო საქმეში დავეხმარებო-მეთქი, თორემ, მე? მე რა! — ჩაფიქრდა. დიდხანს იდგა ის ერთ ადგილზე ხმაამოუღებლივ, მერე მხარზე ხელი მოკიდა ოთარს. — ვიფიქრე: დავეხმარებო, საზღვარზე მშვილობით გადავიყვან, სამაგიეროს, ამდენი სიმდიდრის მემკვიდრე, იქ გადამიხდის-მეთქი, მაგრამ... არ შეგონა ასეთ შშიშარასთან რომ მქონდა საქმე. — მელიტონი ისევ გვერდით მოუჯდა ოთარს, — ამდენ ფიქრში და ორჭოფობაში, ნიღაბს ავხდინა, ჩემო ბიძია. აჰ, ბალახსაც ყური აბია, ასეთ საქმეში. ასე წელიწადი რომ ირბინო, თანამოზიარეს ვერ იპოვნი. ეს მე ვარ სულელი. სხვისთვის სიცოცხლეს რომ არ ვიშურებ... შენი ვაჟკაცობის ამბავი რომ ვიცი, როგორც კი ხელს წაგავლებენ, მელიტონმა ყველაფერი იცოდაო, იტყვი.

— რა გინდა ჩემგან, მელიტონ?

— მე ის მინდა, ბიძია, რომ სანამ ქეჩოზე ხელს წამავლებდნენ, უნდა განვაცხადო, რაც მელამარავე ყველაფერი უნდა ვითქვა. ზურაბმა რომ არაფერი იცის შეილის შესახებ, რომ მამაშენი უგზავნის ჩვენს აგრონომს ზურაბის შვავიერად წერილებს, რომ შენ თამაზის

მოკვლას აპირებ, — მელიტონმა ოთარს თვალი თვალში გაუყარა, — რა გქნია სხვა გამოსავალი არ არის ჩემთვის. ყველაფერს ძირჩვენია, — წამოდგა ხელი ნაბიჯით გზას გაუდგა.

არავინ არ დაინდო ოთარი. არც ცოლმა, არც მამამ. მას კოსტა ძმის მოკვლას ავალებდა და არც კი ფიქრობდა იმაზე, რომ ამ დანაშაულს შეიძლებოდა ოთარი შეეწირა.

ასეთი იღბლის ადამიანს განა მელიტონი დაინდობს? ოთარი ხედავს, თუ როგორ შეაბებს თოკი კისერზე, თუ როგორ ატარებენ ქუჩა-ქუჩა. ხედავს მედევს, თვალებში ბურუსჩამდგარსა და თავჩაქინდრულს. თამაზი ზიზღით შეკუყურებს. ანდრო ჩვეული სიღიზიჯით შეცქერის, ხმას არ იღებს, მაგრამ მისი გამსჭვალავი მხერა, გულში ჩარტყმულ მახვილზე უფრო მტკივნეულია. ხალხი, რომელიც მისი ერთგულებითა და ვაჟკაცობით აღტაცებული იყო, ახლა, როგორც კეთროვანს, ახლოს არ ეკარება. ოთარმა თავი ასწია.

მელიტონი დინჯი ნაბიჯით მიდიოდა. საცაა თვალს მოეფარება, მერე, იქნებ გვიანი იყოს, — გაუელვა გონებაში ოთარს და მელიტონს გამოუღდა.

— მელიტონ! მელიტონ!

მელიტონი მობრუნდა.

— გონს მოდი, — შეუტია ოთარს და თვალი თვალში გაუყარა, — შენ თვითონ ღუპავ შენ თავს. — ცქვავ შებრუნდა, მაგრამ, ოთარმა მკლავზე ხელი წაატანა.

— მოიცადე, კაცი არა ხარ?.. მოვიფიქროთ, მოვითათბიროთ და... როგორც ჯობდეს, ისე მოვიქცეთ.

— ჰოო, ეს კი სულ სხვა საქმეა, — მიუგო მელიტონმა და მიიხედ-მოიხედა. აფთიაქის ეზოს ქიშკარი გაიღო და მელვა გამოჩნდა.

— შენი გულისგარდი მოდის, — ჩაიციხა მელიტონმა, — მე წავალ, ამალამ კამარასში მოგელი.

ტაში 16

„შევარდენზე“ მიბმული ტიკები წყლის ზედაპირზე ოღნავ ირხეოდა. ისინი ნაჰობარის სახერხ ჭარხნისათვის უნდა ჩაებარებინა მელიტონს.

ყველაფერი მზად იყო, როცა რიზი გემბანზე ავიდა.

მესაქე თავის ადგილზე იდგა. მოტორი გუგუნებდა.

ტივებზე მდგარი მენიხბენი კატარლას უყურებდნენ, ნიშნის ელოდნენ. მელიტონი ჩქარობდა. საღამომდე ნარკიში უნდა დაბრუნებულიყო. იმ ღამით ოთარს უნდა შეხვედროდა კამარასაში.

თუმცა არ ცხელოდა, მაგრამ რეიზმა ქურთუკი ვეშანზე ასვლისთანავე გაიხადა და ანძას ახედა. ლატანზე აკეცილი იალქანის გარსაკრები ნახევრად შეეხსნათ მეზღვაურებს.

— კარგია! აქეთობისას აფრასაც გავშლით, ზურგის ქარი მოგვეშველება...

კატარლა ნელა შეცურდა მდინარეში. ამ დროს ყვავის ჩხაველი მოესმა რეიზს. ყოველთვის ეზარებოდა ეს ფრინველი მელტონს. იმ დღეს უფუნებოთ იყო, როცა მის ჩხაველს გაიგონებდა. ახლაც თითქოს მეზი დაეცაო, კინალამ ჩიბუხი გაუფარდა პირიდან.

მას შემდეგ რაც ოთარს „დახმარება“ აღუთქვა, მოსვენება არ ჰქონდა მელიტონს... მაგრამ ამ მეტად საშიშ საქმეზე ხელის აღება ერთხელაც არ უფიქრია.

ზღვაში გასულმა კატარლამ მიმართულმა ნაჰობარისკენ აიღო. მელიტონი ქურთუკზე წამოწვა და ხმელეთს მიაჯექურდა. სიკვდილის შიშს ჯერ მის გულში არ გაუვლია. ახლაც რატომღაც ხვალინდელი დღის გახსენებაც კი შიშსა გვრითა.

განა დღემდე არ უნახავს ყვავი, განა დღემდე არ სმენია მისი ჩხაველი, მაგრამ მხოლოდ წუთიერი უსიამოვნება განუცდია. დღეს კი, თითქოს ახლაც გულში ჩახხავის ის წყევლი.

კატარლა, უფრავ ზღვის ზედაპირზე ძლივს მილოდავდა.

მელიტონი წამოჯდა და მწარი ფეხრების გასათანტავად უნდოდა დაეყვარა „ჩქარი სვლაო“, მაგრამ გაახსენდა რომ კატარლის სიჩქარის მომატება ტივებს დაშლიდა და გაჩქმდა. პირაღმა წამოწვა და თვალები დახუჭა...

მელიტონმა წარმოიდგინა, რომ ის საკუთარი გემის საჭესთან დგას და ოკეანეში მიცურავს, თავი ამაყად უჭირავს. ხანდახან მორჩილებს ნიშნად გამოჰქიმულ მეზღვაურებს გადახედავს. უფლვამო, წვერებიანი მელიტონი ნამდვილი „ზღვის ძველია“, ისეთი, როგორიც მას ეკრანზე უნახავს.

ჯერ კიდევ ოკეანეთი წლის იყო, უღელმედი რომ მოიპარსა და წვერები დაიტოვა. მოკლეტარიანი ჩიბუხიც იმი-

ტომ შეუყვარდა, ასეთ ყიდაზე დაეყინებულ წვერებს რომ უხტებოდა.

მელიტონმა ხმელეთს გახედა. ზღვის ნაპირიდან, ასიოდე ნაბიჯის სიგანე ქვიშარი ამწვანებულ თვალუწვედნელ პლანტაციებს ზოლივით ჩაჰყვებოდა. ეს ადგილი თხუთმეტი წლის წინ, გაუვალი ქაობით იყო დაფარული. ახლა ციტრუსების პლანტაციით არის გადაქარგული.

მელიტონმა გესლიანად ჩაიცინა. ხარბად ჩაისუნთქა თუთუნის კვამლი და მზერა ნამოსახლარზე შეაჩერა. აქ გაატარა თავისი ბავშვობა. მელიტონის მამას დიდი ოღა-სახე ჰქონდა წამოჭიმული ამ ქვიშარზე.

რა უნდოდა ერთადერთ მოსახლეს ქაობსა და ზღვისშუა ამ ვიწრო ქვიშნარზეო — იტყვის დღეს კაცი, მაგრამ მელიტონის მამას, ხოფოს, თავისი ანგარინები ჰქონდა. მამინაც უყვარდა ყველას, ხოფომ ეს მწირი, გამოუსადეგარი მიწა ხაზინიდან სამოსახლოდ რომ შეისყიდა.

შეიდი კილომეტრით იყო დაშორებული ეს ადგილი სოფელს. ხოფომ ეზო შემოლობდა, და გზა, რომელიც საშურზაყანოსა და ნახევარ სამეგრელოს ფოთთან აკავშირებდა — გადაკეტა. ეზოს ორივე მხარეზე დიდი კარები ჩამოჰკიდა და დარაჯებად თავისი ერთგული გლეხები დააყენა.

გამკლულ-გამომგელს, ცხენოსანს, მეურმებს, თუ ქვეითს, ყველას ბაჟს ახდევინებდა ამ მიწაზე გავლისათვის.

მელიტონს კარგად ახსოვს მამამისის ძაღლებივით ერთგული მოჯამაგირენი. ისინი, სოფლებიდან ზღვისპირზე ჩამოდენილ საქონელს ნაშუადამეებს ხოფოს ეზოში შემორეკავდნენ ქურდულად. დილით დარასელიას ეზო ხარებითა და კამეჩებით იყო საესე. მოდიოდნენ საქონლის პატრონები და დარასელიას „ზარალის ასანაზღაურებლად“ სოლზე მანეთს იხდიდნენ.

კარგად ახსოვდა მელიტონს კარა მუსტაფა, ჯერ მოურავი და მერე ხოფოს ქონების მონახევრე. ახმაზი ტანის, შაგვრემანი, გრძელუღვაშა მუსტაფა, ხოფომ თებერვლის რეკოლუციის პირველ დღეებში ოსმალეთში გაისტუმრა.

ამის შემდეგ სულ რაღაც ერთი წელიწადი იცოცხლა მელიტონის მამამ.

— ოქროები კარა მუსტაფას გაეატანე სავაჭროდ. — ამის თქმა ლა მოასწ-

რო მოხუცმა და შეიღის მკლავზე და-
ლიასული. მელიტონმა ვრცელი ბარათი
მისწერა მუსტაფას. მამის მიბარებულ
თანხას თხოვდა შეილი. თურქმა უარი
მისწერა. მაგრამ მელიტონმა ამ ორი
წლის წინათ მაშინდის სკივრში კარა მუს-
ტაფას ხელმოწერა, ზოფოს რამდენი-
მე ათასი ლირის თამასუქი იპოვნა. გასა-
ნთლულ ტილოში შეახვია ეს ძვირფასი
ქალიღები და ქურთუყის გულისჯიბე-
ში ჩაიკერა. ამიტომ იყო, რომ ქურ-
თუყს ერთი წუთითაც არ იშორებდა.

კატარა ნაქაობარს უახლოვდებოდა.
დღევანდელ დღესავეთ ახსოვდა მე-
ლიტონს ის ღამე, როცა ნარკიის მცხოვ-
რებნი ზოფოს სახლკარს წაესია. გადას-
წვეს, გადაბუგეს. ის 1921 წლის თებერ-
ვალში იყო. იმ დღიდან დარასელის მი-
წაზე გავლისათვის ხალხი ბაეს აღარ
იხდიდა.

მელიტონი ხალხს ძალღვივით შეჰყუ-
რებდა სახეში. გულში კი შურისძიების
ციცხლი უგზავნიდა.

ის ჯერ ყოველთვის ელოდა ბოლშევი-
კების განდევნას. მერე, ყოველ წელს,
მაგრამ მელიტონს მოლოდინი არ გაუ-
შართლდა. ბოლოს იფიქრა: ბოლშევიკი-
ბი წასვლას არ აპირებენ, აჯობია ისევ
მე გავიყვალო.

მაგრამ სად, როგორ, იქ რა გავაყე-
თო? — ფიქრობდა მელიტონი, — კარა
მუსტაფა იმ წერილის შემდეგ ზედაც
არ შეხედავს. თამასუქები? თამასუქებს
რა ძალა აქვს უცხო ქვეყანაში.

ამ თამასუქებს ფულად რომ აქცივდეს
მელიტონი, ნატურას აისრულებდა, გემს
იყიდა, გემს, რომელიც ყველა ზღვიბსა
და ოკეანებზე ივლიდა. უფროსი არ იყო-
ლებოდა. საითაც მოესურვებოდა, იქით-
მან გაუდგებოდა გზას.

...ახლა კი ეს ოცნება სინამდვილესთან
ძალზე ახლოს იყო. ოთარი, კოსტა, ზუ-
რანი — მილიონერი მეგობრები იყო-
ლებია. მელიტონი კარა მუსტაფას გროშს
არ შეიარჩენს.

კატარა ნაქაობარს მიადგა.
ნაპირზე ტრაქტორები იცლიდა ზღვი-
ლან ტივების ამოსაზიდად.

მელიტონს ეჩქარებოდა. ტივები მოხს-
ნა თუ არა, კატარა ნარკიასაცენ შეაბ-
რუნდა. შემოტორეს სრული სვლა უბრძა-
ნა, მეზღვეურებს აფრა გააშლივინა.

კატარა, ზოფოს ნამოსახლარს მიუ-
ახლოვდა.

— მალე მტრედებზე ნადირობა დაიწ-
ყება. ბევრ ღამეებს გაათენებ ამ ადგი-

ლებზე, რეიზო! — ქერათმიანმა ახალ-
გაზრდა მეზღვეურმა ხელი ზოფოს... ნა-
მოსახლარისკენ გაიშვირა და მელიტონს
გაუღიმა. რეიზი შეკრთა. მერე გაირინდა
და ჩაფიქრდა. მას ერთი მონადირე გაახ-
სენდა. იგი ამ ორი წლის წინ შემოემე-
ტა მტრედებზე მონადირეებს. ეს ახალი
მონადირე თამაზი იყო.

აგრონომი მტრედებზე ბადით ნადი-
რობით იყო გატაცებული და, დაიძრე-
ბოდა თუ არა მტრედები ქარაიენები
სამხრეთისკენ, ის ბადეკიდებულ გა-
თენებამდე ზღვის ნაპირისკენ ვარბოდა.

ბევრჯერ შეხვედრია მელიტონს სანა-
დიროდ მარტო მიმავალი თამაზი. რამ-
დენჯერ უბანავიათ ზღვაში ერთად.

რეიზმა ცალი თვალი ნახევრად მოჰქე-
ტა და ბოლახს გახედა.

ნარკიას სიბნელე ეპარებოდა. კობწია
ოღებში აქა-იქ ეღნათურები ენათო. ბო-
ლახის თათთან შექურა ციმციმებდა.

„სანადიროდ წასული თამაზი ზღვაში
რომ დაიხრჩოს, ვინ რას გაიგებს? —
გაუღელა მელიტონს თავში და ერთბა-
შად შეჰყურა.

— მაინა!
მეზღვეურებმა აფრა დაუშვეს. კატარ-
ლა ბოლახისკენ შებრუნდა.

თამაზი 17

ოთარს ძილშიაც არ ასვენებდა მელი-
ტონის განზრახვა, მაგრამ ის ყველა-
ფერში ეთანხმებოდა რეიზს. როგორც
გენების ისე მოიქცეო, თამაზის სიცოც-
ხლე შენთვის მომინდვიაო, უთხრა უკა-
ნასკნელად კამარასში რომ ესტუმრა.

ოთარის ბედ-იღბალს ეს ცბიერი აღა-
მიანი განაგებდა მას შემდეგ, რაც გაი-
გო, თუ რა განზრახვით წამოვიდა ეს
ყმაწვილი უცხოეთიდან.

ისევ მიეკოლა აჯობა მანამდე, სანამ
თამაზის სიცოცხლეს ნამდვილად არ
დაემუქრება ეს ბოროტი კაციო, ფიქ-
რობდა ოთარი.

მელიტონს თავისი განზრახვის სის-
რულეში მოყვანა შემოდგომისათვის
ჰქონდა გადადებული.

— შემოდგომამდე, სანამ მტრედებზე
ნადირობა დაიწყებოდეს, ჩვეს სალაპა-
რაყო არაფერი გვაქვს. როცა დრო დად-
გება, მე თვითონ გირყევი. მანამდე ჩემ-
თან შეხვედრას ერიდე, — უთხრა
ოთარს დამშვიდობებისას რეიზმა.

— შემოდგომა?! მტრედებზე ნადი-
რობა? არ მესმის — მიუგო ოთარმა.

— თამაზი, შემოდგომაზე, ყოველ კვირა დღეს, გათენებამდე მტრედებზე დადის ხოლმე...

— სიბნელეში ზღვის ნაპირზე მართო მიმავალს გინდა დაუხვდე?

— არა, დახვედრა, მოკვლა, საშიშია, შეიძლება გაგვიგონ, — მელიტონი ჩაფიქრდა და მერი განაგრძო: — უკეთესია, თუ მოხერხდა, ზღვაში საბანაოდ ჩაიყვანო, ცურვით შორს გავეტყუილო და ჩაეძრო. — მელიტონმა ცივად გაიციხა და ოთარს თვალი თვალში გაუყვარა. — იგი ნადირობის წინ ყოველთვის ბანაობს ხოლმე. ერთი სიტყვით, ამ დროს უფრო იოლია ჩვენი განხრახვის სისრულეში მოყვანა, იქვესაც ვერავინ აიღებს, განა ზღვაში ცოტა ხალხი დამხრჩვალა?

შემოდგომამდე კიდევ ორი თვე იყო დარჩენილი.

მანამდე, ვინ იცის რა მოხდება. იქნებ მელიტონმა თვითონ აიღოს ხელი ამ განხრახავაზეო, — ფიქრობდა ოთარი — თუ არა თამაზს სანადიროდ არ გაუშვებს. ან, სანამ მელიტონი ამხელდეს ოთარს, ის თვითონ იტყვის ყველაფერს, სიმართლეს აღიარებს.

ოთარი საქმეს უფრო მეტი ენერჯით მოეკიდა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ (თუ გარეში ყველაფერი რიგზე იყო), ის ან ტყეში მიდიოდა ხეების გამოსახლად, ან ზრეში და ქვეები მოჰქონდა ზღის მშენებლობისათვის, ან კიდევ სხვა სამუშაოს პოულობდა, რათა შინ, რაც შეიძლება გვიან შესულიყო. თამაზთან შეხვედრას და საუბარს გაუბრბოდა.

ანდროსაც იშვიათად ხვდებოდა.

რაც დღე გადიოდა, მით უფრო მიუკარებელი და გულჩათხრობილი ხდებოდა.

ყველა ამჩნევდა ოთარის ცვლილებას, მაგრამ მასზე ხანძარმა იმოქმედა და მალე გაუვლისო, ფიქრობდნენ სოფელში.

თაბი 18

საბავშვო ბავიდან ჩაის პლანტაციებისკენ მიმავალ ტერიტორიას გზაში მელიტონი წამოიწია და მიესალმა.

— სად ყოფილხარ, ან სად მიიჩქარი? — ჰკითხა ეშმაკური ღიმილით მელიტონმა.

— ბავაში ვიყავი, ბავშვს ძულე გავოვე და ისევ ჩაის საკრეფად მივდივარ.

— ჩაის საკრეფად? ისე გამოიხატა, რაღაც უპირის-მეთქი, ვიფიქრე. — მელიტონი ახითხითდა. ტერიტორია ირიბად გადახედა თანამგზავის და შებლი შეიქრა:

— არ შემეცდარხარ, მელიტონ! ნუთუ ვერ ხედავ, რომ ჩაის ფოთლის კრეფას ვერ აუღივართ. ამ პლანტაციები და ბალებიდანაა, ჩვენი კოლმეურნეობის ოჯახები რომ დღეს და გადადულს.

— გეთანხმები, მაგრამ, ქალს თითო ბავშვი ბავაში დაგიგდია და ჩაის საკრეფად გარბიხარ. რა გაჭირდა ასეთი? დავიხოცეთ ნარკილები?!

— ბავშვს იქ მშენიერად უვლიან, ჩემო მელიტონ. მაგაზე მეტი სადარღებელი ნუ მომცა ღმერთმა.

დიდხანს მიდიოდნენ ხმაამოუღებლად.

ჩაფიქრებული რეიზის წინ მამალმა დაივიწყა.

შემკრთალი მელიტონის შეძახილზე ლობზე შემომჯდარი ფრინველი ეზოში ჩაფრინდა.

ორსართულიანი აგურის სახლი წამოიქნა მამლის პატრონს. საკარმიდამო ნაკვეთი ჩაის ბუჩქები წელამდე წებებოდა ადამიანს.

შუა ეზოში მანდარინისა და ფორთოხლის ხეებზეა შადრევანი ჩქიფდა. კაკლის ქვეშ ათიოდე წლის ყმაწვილს ხელში ნავერდის ნაჭერი ეჭირა და ავტომანქანა „ნობელისა“ აპრიალებდა.

სახლიდან პიანინოს ხმა ისმოდა.

მელიტონმა გესლიანად ჩაიციხა.

— ხედავ, პრინცივით არ ცხოვრობს ჩვენი, ტარასი? დაიმშვენა კეთილი ცნოვრება მაგ გლახის შვილმა.

ტერიტორია გაკვირვებით გადახედა მელიტონს.

— მამამისი ბავშვობიდან ნაჭაობარში, ბორანზე მენიხილ მუშაობდა, — განაგრძობდა მელიტონი, — ჰაობიდან ვერ ამოძვრა და იქ ჩაყვდა, ტარასი კი, მენც გიმასოვრება, მეღუქნეებთან კოკა წყალს აბაზად ეზიდებოდა.

— სხვა რა უნდა ექნა მაშინ უმიწა-წყლოს? იმ დროს ადარებ, მელიტონ, დღევანდელ დღეს? ახლა, როგორ იქნება შეძლებულად არ ცხოვრობდეს ჩვენი კოლმეურნი, თუ ის ზარბაცი და უქნარა არ არის.

— ჰო და, ღმერთმა გაცოცხლოს, განა მამაჩემი არ მუშაობდა? განა მამაჩემ-

მა ყაჩაღობით შეიძინა, რაც დაწვეს და წაგვართვეს? მაგრამ, ხან ისეა და ხან ასე, ჩემო ტერეზა. ერთხანს ზოფოსი იყო ეს ქვეყანა, ახლა ტარასისაა და ასე...

— ვერა გცნობ, ბიძია მელიტონ, — ტერეზა მოიღუწა, — ვინ მსჯელობს დღეს ჩვენში ასე? თუ, ხუმრობის გუნებაზე ხარ?

— ხუმრობის გუნებაზე ვარ, ქალო, ხუმრობის! — მელიტონმა გადაიხარხარა, მერე ხველა აუტყდა და აცრემლებულ თვალეზზე ცხვირსახოცი ამოიხედა. — შენ კი გაგვივირდა, რამ გადარია მელიტონიო, იფიქრა.

ისინი პლანტაციის კარებში შევიდნენ. ტერეზა ჩაისმკრეფავებში შეერია.

მელიტონმა ენაზე იქბინა. მისვდა, რომ ისუსულელი წამორომა.

რა საჭირო იყო ასეთი ლაყბობა? რად აწყენინა ტერეზას. ნახევარი საუკუნეზე მეტი ხანი ცოცხლობს მელიტონი, და ისე დაუფიქრებლად ჯერ არ ულაყბია. ალბათ ფრთები შეესხა ხვალისდელი დღის მოლოდინში. მაგრამ, ჯერ ნადრეგია. იქნებ ხვალ, თამაზი არ წაივდეს სანადიროდ. ვინ იცის, იქნებ ბათუმთან მოღარაჯე კატარღებს ვერ გაუძირეს მელიტონის „შავარდენი“. ჯერ ადრეა იფიქრე, მელიტონ.

იგი ნელი ნაბიჯით პლანტაციაში შევიდა.

- მელიტონს გაუმარჯოს!
 - დაგაგვიანდა, მელიტონ.
 - გზა ხომ არ შეგიშალა, რიზო?
 - გოლორი მიართვით.
- გაისმა ხმები.

მელიტონი ხმას არ იღებდა. დინჯად მიმავალი, თვალებს ქურღულად აცივებდა. ოთარს ეძებდა.

მუნის ქვეშ თამაზი შენიშნა, ის რადიკას იწერდა უბისწიგნაკში. მელიტონმა თვალი აარიდა. მაგრამ თამაზმა, დინახა თუ არა, ხელი აწია და მხიარულად მიესალმა:

— მელიტონს სიცოცხლე. ხვალ კვირაა, სანადიროდ არ მოდიხარ?

მელიტონი შედგა, თამაზს ნაძალადევად გაუღიმა.

— ვერა, ჩემო თამაზ, ნაშუალამიეს ბათუმში მივდივარ, დელფინის ქონი მიმაქვს ჩასაბარებლად.

მელიტონმა გზა განაგრძო. მთელი პლანტაცია მოიარა, მაგრამ ოთარი ვერ ნახა. აქ არ ყოფილაო, იფიქრა, და უკან გამობრუნდა. შარა გზაზე გამოვიდა და მერე პლანტაციაში გადაწყვიტა წასვლა, როცა მისკენ მომავალი ოთარი დაინახა.

მელიტონმა შეაჩერა ის და ხმადამლა უთხრა:

— ალბათ გიკვირდა, რათ იგვიანებს მელიტონიო, მაგრამ ასე იყო საჭირო. ხვალ კვირაა, ის მტრედებზე წავა. მე სოფლის ბოლოში შევხვდები. ერთი სიტყვით მას მე მოგუგლო. შენ ანდროს თხოვე ბათუმში გაგიშვას. უთხარი „შავარდენს“ წავეყვებითქვა და კატარლაში დამიციადე. საქმეს მოვრჩები, თუ არა, მოვალ და გზას გაეუდგებით. გასაგებია? — მელიტონმა მიიხედ-მოიხედა და ოთარს დააქკერდა.

— გასაგებია, — უპასუხა გაფითრებულმა ოთარმა.

— მე მივდივარ, აწი შენ იცი. — მელიტონი გზას გაუდგა.

ოთარი ადგილიდან არ იძვროდა.

(ვაკრძელება იქნება)

ორი ლექსი



შავი ლაქები

„ინდოლები, წერის უცოდინარობის გამო, მშვიდობის ხელმოწერაზე ცერის შავ ანაბეჭდს სვამენ“.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ .

მეზობლები ვართ, სხვადასხვა მხარე
ველარ გათიშოს მთების კარებმა,
ჩვენ სიხარული თქვენი გვახარებს,
თქვენი წუხილიც გვემწუხარება.
ერთნაირად გვეწამს — არ დაინდობა
ომის ამტეხი ყველა ოხერი,
ჩვენ ერთნაირად გვინდა მშვიდობა
ჩვენი ოდების, თქვენი ქოხების.
საზიარო გვაქვს ბევრი ოცნება,
ზიარად ვიცავთ მშვიდობის საქმეს,
„მშვიდობა“ ჰქვია ჩვენს ხელმოწერას
და თქვენი ხელით დასმულ შავ ლაქებს.
ომი სურს ტრუმენს! მაგრამ თქვენ იცით,
რომ მხოლოდ სისხლი უნდა იფლავს;
ომი მოვიტანთ რბევას და სიკვდილს,
მაგრამ მშვიდ შვილს პურს არ მიუტანს.
ომი სურს ჩერჩილს! ქვეყნისამკლები
ატომისა და ტყვიის გზით მიდის,
მაგრამ თქვენ დაღავეთ შავი ლაქებით
დაბერებული ჩერჩილის სინდისს.
მტრებს ომი უნდათ, მაგრამ ჩვენ გვჯერა, —
მწეს ვერ შებურავს უამილობა,
რადგან მძლავრია მშვიდობის კერა,
რადგან თვით სტალინს უნდა მშვიდობა!

ქართული ავტომობილი



გაბარებული შე იმ დღეს ენატრობ,
მე მიხნდა დავტყებ ნატვრის ახლომით,
იმერეთიდან ქართული ავტო,
რომ გაიჭრება ვეფხვის ნახტომით.
ხარ-ირემივით შეჰყვირებს ქუჩებს,
გაახალისებს ყველა მისიანს,

შენედავს ბავშვი, შესძახებს უცებ:
 — ქართული არი, ქუთაისია!
 შეირხვევიან და შეკრთებიან
 გზებზე დაყრილი ალვის ჩრდილები,
 წნელის ღობეებს მოაწყდებიან
 თავსაფრიანი ქალიშვილები.
 გაიწევიან განზე ტახფართოდ
 ორლობეები დაღობილები,
 ბერ-პაპა დინჯად ჩიბუხს გამართავს,
 ჩაელიმება კმაყოფილებით.
 გახედავს გორებს, უგზოს სრულადად,
 მერე კეთილი ფიჭვი დაფარავს:
 — რაც უნდა იყოს, იმერულია,
 იქაც ააღწევს ჩვენი მანქანა!..
 გახარებული მეც იმ დღეს ვნატრობ,
 მინდა, რომ დავტყებ ნატვრის აბლომით,
 იმერეთიდან ქართული ავტო
 გამოიჭრება ვეფხვის ნახტომით.

ახალი ნიალჰარი *



II

სალამოს ლუკა მიტროფანოვიჩმა კოვალჩუკის პირველ ბრიგადის დაგდება მისცა ხვალიდან ქერის აღებას შესდგომოდნენ. მოხუცი ლეღავდა: ხალხი ცოტაა, დროულად მომკას ვერ მოასწრებენ და მარცვალს დიდი დახაკარგი ექნება, რადგან ქერი უკვე დაცვენას იწყებსო.

— ტიმოფეი გრიგორიევიჩი! — მიმართა ლუკა მიტროფანოვიჩმა მონაგარიშეს, — ერთი, ჩვენი მიწების გვერდითა მიწებიდან. ჩვენ სადღაც გვერდითა ასეთი რამ გაშვირვალე ქალაღუნუ. დირექტივების პაპაც მომეცით.

სერგეი რომ დაბრუნდა, ლუკა მიტროფანოვიჩი უკვე სახლში დახვდა. იგი სერიოზული და დაფიქრებული, უპიჯაკოდ იჯდა კუთხეში, წარბები შეეკრა და ახველებდა. წინ ქალაღუნუებით საეხე წითელი პაპა ედო. მოხუცი მარჯვენა ხელის თითებს კალკის მართკუთხე ათამაშებდა. მთელი კალკა დაფარული იყო ლურჯი, შავი, წითელი რგოლებით და კვადრატებით. ლუკა მიესალმა სერგეის და ცოლს გასძახა:

— ევდოკია, რას დაფუხფუსებ მანდ? სერგეის ვახშამი მოართვი!

სერგეი ვახშამობდა და თან ფართული ლიმილით ბიძამისის „ტანჯვას“ თვალყურს ადევნებდა.

— როგორაა საქმე, ბიძია? — ჰკითხა სერგეიმ.

— ცუდადაა, სერიოკა, — გულახდილად გამოუტყდა მოხუცი.

— რატომ? — თითქოს გაუკვირდა სერგეის.

— ცუდადაა, ცუდად! სხვანიარად, სულ სხვანიარად იყო საქმე მამაშენის დროს. მე ვერ ვახერხებ!

— რატომ ვერ ახერხებ? აი, მე თქვენი ბოსტანი ვნახე. იცით, ასეთ ზაფხულში...

ბოსტნის გაგონებაზე ლუკა მიტროფანოვიჩს ქრუანტელმა დაუარა: „ვიცადეს უკვე ჩაუწვეთებია, უსათუოდ ჩაუწვეთებია ყურში, — გაიფიქრა მან. — ჯერ ბოსტანს მიჭებს და შემდეგ ხორბალზე დაიწყებს ლაპარაკს“.

ამის გამო ლუკა მიტროფანოვიჩი უეცრად აენთო:

— ბოსტანი! ბოსტანი რა! ეშმაკსაც წაუღია ბოსტანი!

— ბოსტანი საპიროა, რად ამაგებთ ასე?

„არა, ვერ მოუსწრიათ“, — დამშვიდდა ლუკა მიტროფანოვიჩი და ხმამაღლა თქვა:

— ყველაფერი ხელიდან მეცივა. მკის დროა, მოსამკელი კი თითქმის არაფერია და, რაც არის, იმის აღებასაც ვერ ვახერხებ. ისეთ დღეში ვარ, რომ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელ ხორბლეულსაც კი ვერ მოვიწევ. აქ კიდევ გეგმებით უნდა ვიმუშაოთ! თითქოს სულერთი არ იყოს, გეგმითა თუ უგეგმოდ მოვკვი! ბოლოსდაბოლოს ხომ მაინც მოვკვი.

— როგორ თუ სულერთია, გეგმითა თუ უგეგმოდ? რას ლაპარაკობთ, ლუკა მიტროფანოვიჩ? — გაიკვირვა სერგეიმ.

— იმას ვლაპარაკობ, რომ უნდა შევადგინო კოლმეურნეობის საწარმოო გეგმა, ვითომდა ვიცოდე, შემდეგში რა იქნება! მანამდე იქნებ კიდევაც მოვკვი!

— უგეგმოდ როგორ შეიძლება? — სერგეი ბიძასთან უფრო ახლოს მიჩოჩდა. — საკვირველია, რომ გეგმა ამდენხანს არა გაქვს. დიდ მეურნეობაში უგეგმოდ მაშინვე აირევა ყველაფერი. ჩვენი სახელმწიფოს მთელი მეურნეობა დაგეგმილია. სწორედ ამი-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3.

ტომია, რომ იგი ისე მუშაობს, როგორც კარგად მოწყობილი მექანიზმი. ერთი მეორეს უკავშირდება, ერთ ბორბალს მეორე მოჰყავს მოძრაობაში და ამით მთელი სახელმწიფო მანქანაც წესიერად მუშაობს, წინ მიწევს.

სერგეი გატაცებით ლაპარაკობდა, ხელებს იჭყვავდა, შუბლიდან ოფლს იწმენდდა და ისე არწმუნებდა ბიძა-მისს. ლუკა მიტროფანოვიჩი კი იჯდა და ეშმაკურად იღიმებოდა: „ილაპარაკე, ილაპარაკე, — ფიქრობდა ის, — აი სწორედ აქ ჩავიჭერ!“

— ავიღოთ თუნდაც კოლმეურნეობა, — განაგრძო სერგეიმ. — კოლმეურნეობა დიდი მეურნეობაა. დიდი მეურნეობის უგეგმოდ მართვა კი ყოველად შეუძლებელია. იგი დაიშლება. რამდენი კომლია თქვენს კოლმეურნეობაში?

— დაიცა, დაიცა — ლუკა მიტროფანოვიჩმა გაიღიმა. ის გაცილებით უფრო ეშმაკი იყო, ვიდრე სერგეის ეგონა. — აი სწორედ აქ შეჩერდი. მე-კომურთა შესახებ შემდეგ. ჯერ რაღაც დაიწყე, ის მოათავე. — მოხუცმა თვალებში მოჰუტა და რაღაცას იგონებდა. — მგონი, ეს სიტყვები, შენ რომ ლაპარაკობ, სადაც წამიკითხავს.

— სერგეის გაუკვირდა. ლუკა მიტროფანოვიჩი კი განაგრძობდა:

— თუ არ ვცდები (მგხსიერება აღარ მიწარება), არა, არ ვცდები, ეს სიტყვები ამხანაგ სტალინის ნათქვამია. შემდეგ, შემდეგ არ გახსოვს, როგორ არის ნათქვამი?

— არა, არ მახსოვს, — გულწრფელად თქვა სერგეიმ.

— მაშ, მე მოგაგონებ. შემდეგ ნათქვამია: ასეთი მეურნეობა რომ განაგო, კოლმეურნეობაში მცოდნე ხალხი უნდა იყოს. ისეთები, რომელთაც დაგეგმვა შეეძლოთ, და არა ისეთები, როგორიც ვარ. შენა გგონია, რომ მე თვითონ არ მესმის? მესმის, მაგრამ რა ექნა? განა ასეთ მეურნეობას ისეთი კაცი უნდა განაგებდეს, როგორიც მე ვარ?

— მაშ, ვინ უნდა განაგოს, თუ არა თქვენ?

— მცოდნე ხალხია საჭირო, მცოდნე! მე კი უბრალო გადამწყვიცი არა მყავს.

— უცოდინარი არც თქვენა ხართ. აქ პროფესორს ხომ ვერ გამოგზავნიან!

— უნდა გამოგზავნონ, დიახაც უნდა გამოგზავნონ! — თითქმის ყვირილით უბასუბა ლუკა მიტროფანოვიჩმა! — სწორედ პროფესორები! თუ... პროფესორები არა, განათლებული ხალხი მაინც უნდა გამოგზავნონ! ყური დამიგდე, სერგეი, აი, როგორ ვმსჯელობ მე, ჩემი მოკლე პკუთი. მაგალითად, ავიღოთ ჩვენი კოლმეურნეობა. რას წარმოადგენს იგი? ყველაფერი რომ წესრიგში მოვიყვანოთ და ყოველი მიწის ნაკვეთი მოვხსნათ — ორი ათას ხუთასი ჰექტარი მიწაა! — სახუმრო საჭმე როდია! ორი ათას ხუთასი! ჩვენში კი ეს ზოგჯერ სასხვათაშორისო საქმედ მიაჩნიათ. აბა, რა დიდი საქმეა — კოლმეურნეობა და სხვა არაფერი. ამ საქმეს ძია ლუკაც ეყუფოა. საქმე კი თვითონ გვიჩვენებს რაღაც არის. აი, ვხანოთ, რასდება აქ ჩვენს მეზობლად. მეც თავმჯდომარე ვარ და ლარისა დიმიტრიევიც თავმჯდომარეა. როგორ ფიქრობ, შემთხვევითაა, რომ მას ასეთი მოსაგული მოუვიდა და მე კი სხვაანაირი? როგორი თავმჯდომარეა? ლარისა დიმიტრიევი თავმჯდომარეცაა და აგრონომიც. ვთქვათ, სავალდებულო არ არის, რომ თავმჯდომარე უთუოდ აგრონომიც იყოს, მაგრამ ორნახევარ ათას ჰექტარ მიწას ერთი აგრონომი ხომ უნდა ჰყავდეს! მე კი არა მყავს; ჯერ ბევრ სხვასაც არა ჰყავს. აი, მოსავალზე სწორედ ამან იმოქმედა. მე ეს მხოლოდ მიწის შესახებ მოგახსენეთ. ახლა აიღე ფერმიტი, სახელოსნოები, მშენებლობა. ამოდენა ხალხსაც ხელმძღვანელობა ესაჭიროება! ეს ხომ ვეებერთელა მეურნეობაა! ეს თუ გნებავთ, ერთ დიდ ქარხანას უდრის! ლუდის ქარხანაში, სადაც 50-მდე მუშაა, დირექტორად ძია ლუკას არ დასვამენ, მცოდნეს და სპეციალისტს მოქმენიან. ასეთ მეურნეობაში კი, სიმართლე რომ ითქვას, პროფესორის გამოგზავნაც არ იქნებოდა ზედმეტი. გეფიცები, მართალს ვამბობ. ეს ხომ ძალაა. შენ თვითონ თქვი, რომ, როცა ხალხი საკმარისი ჩაოდნენობით არ არის, მაშინ შრომა კარგად უნდა იქნას ორგანიზებული და ყველაფერი მოწყობილი. ამისათვის კი მცოდნე ხელმძღვანელია საჭირო. შეიძლება მითხრა, რომ ჩვენ ასეთი პროფესორები ჯერჯერობით არა გყავს, კადრები არ არიანო. მე კი გიპასუხებ: აქ, ჩვენს რაიონში, კარაქსადლები ქარხანა. ამ

ქარხანაში მანცადამანც რა ტექნიკაა?! ათიოდე მუშა, კარაქ-სადღვენი და სეპარატორებია. მაგრამ მანც ქარხანაა! მამასადაძე, დირექტორიც ჰყავს. და ეს დირექტორი განათლებული კაცია — ტექნიკოსი, თუ ზოოტექნიკოსია, კარად არც კი ვიცი. მისი სამუშაო, ჩემთან შედარებით, უნდა ითქვას, სულ უმნიშვნელოა. სადღვეებს ელექტრონი აბრუნებს, გოგოებს შრატი დააქვთ, ოსტატი კარაქს დღვებავს, მენს დამზადებული კარაქი საწებოში მიაქვს, ხოლო ბუნებალტერი აღრიცხვას აწარმოებს და ფულს არიგებს. დირექტორმა რაღა უნდა გააკეთოს? იაროს და ნაღები მოხადოს. ასეთ სამუშაოზე დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი. იქ კი ახალგაზრდა განათლებული კაცი ზის. აბა სინჯე და პკითხე მას: ივანე ივანოვიჩი, ხომ არ წახვალა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ან, თუხდაც, ზოოტექნიკოსად? თქვენ ახალგაზრდა ხართ, ხალხმა გამოგზარდათ და, მამასადაძე, უნდა იმუშაოთ! საქმე არა გაქვთ! მყისვე მორთავს ყვირილს: მიშველეთო. იმიტომ კი არა, რომ მუშაობა არ უნდა, არამედ იმიტომ, რომ კოლმეურნეობაში გზავნიან. გალურჯდება, მოჰყვება სირბილსა და ყვირილს: რას მერჩიან, რა დავაშავე? მე დირექტორი ვარ და რად „მაქვეითებენ“, კოლმეურნეობაში რად მგზავნიანო. იმ სულელს პატებს სცემენ, ისეთ მეურნეობას ანდობენ, რომ მთელ დღეს ვერ შემოუკლის, ათასობით ხალხი თავის ხელმძღვანელად ირჩევს! ის კი „დაქვეითებაზე“ წუწუნებს, ფუი!..

ჩვენ ისეთი მოქალაქეებიც გვყავს, რომ, როცა სასწავლებელს გაათავებენ, ცდილობენ სოფლად არ დაბრუნდნენ. საკითხავია: რისთვისაა გასწავლეთ, შემაძალო? ჩვენ ვიკლებდით, ვმუშაობდით და სკოლას ვამუშავებდით, რისთვის? ყველაფერი ეს იმიტომ ხდებოდა, რომ შენ გასწავლა, შემდეგ ისევ ჩვენთან დაბრუნებულიყავი, დაგვხმარებოდი და შენი ცოდნა ჩვენთვისაც გადმოგეცა... ყველა ხომ ქალაქში ვერ იცხოვრებს?! როცა იმ მდგომარეობას მივალწევთ, რომ ყოველი კოლმეურნეობის თავმჯდომარე უმაღლესი განათლებით იქნება და ბრიგადირი სამულოთი, მაშინ მიწასაც ათჯერ მეტს გამოვართმევთ. და თუ თავმჯდომარედ ლუკა დასვით, ყოველწამს ნულა აწუნებთ მანც! აი, ლარისა დიმიტრიევნა, სოფლის

განთავისუფლების პირველი დღეებიდანვე უცვლელად მუშაობს! მანც მუშაობს, მარედ, ჩვენთან კი ამ სამუშაოს! განსწავლობაში მე მეოთხე თავმჯდომარე ვარ. განა ეს უბედურება არ არის? ადამიანმა რომ ამოდინა მეურნეობა შეისწავლოს, ერთი წელიწადი მანც დასჭირდება, მაგრამ: აი, იქ კაცია საჭირო! მოდი, კოლმეურნეობიდან წამოვიყვანოთ ივანე ან სტიფანე და მის ადგილზე კი პეტრე დავსვათ. ერთი თვის შემდეგ ისიც ახალ სამუშაოზე გადაჰყავთ. ლარისა დიმიტრიევნას წაყვანაც უნდაოთ მიწათმოქმედების გახყოფილებაში, მაგრამ მან ყოველგვარი ძალღონე იხმარა, რომ დარჩენილიყო. ახლა კი რაიონის ხელმძღვანელები თვითონაც მოხარული არიან, რომ დატოვეს, და ყველას სამაგალითოდ ის მოჰყავთ. ამბობენ — გეგმა, აი, ამას ქვიაო. მეც კარგად ვიცი, რა არის საჭირო, მაგრამ როდის უნდა გამეკეთებინა? ჩემამდე სამი თავმჯდომარე მუშაობდა; მათ იმის გაგებაც კი ვერ მოასწრეს, თუ სად იყო კოლმეურნეობის მიწები და არც არაერთარი გეგმა არ შეუდგენიათ; მე კი მოსვლისთანავე თესვის კომპანიაში მიკრეს თავი. წელის გამართვაც კი ვერ მოვასწარი რომ თიბვის დრო მოვიდა. მოდი ახლა და დაგეგმე! ან-კი რა გეგმავი ვარ მე? ბოსტანში გამოიშვი და თავს იქ გიჩვენებ. სიმართლე გითხრა, არ მინდოდა კოლმეურნეობა ჩამებარებინა, მაგრამ რა შექნა, თვითონ პარტია მთხოვს, განა შემიძლია უარი ვთქვა? მეც დავთანხმდი!

ლუკა მიტროფანოვიჩმა დაამთავრა და ისევ მაგიდასთან დაჯდა.

— შენ რაღას ფიქრობ ამის შესახებ, სერგეი?

— მე ფიქრობ, რომ თქვენ ბევრ რამეს სწორად ლაპარაკობთ. — უპასუხა სერგეიმ. ის ძლივს მალავდა გაკვირვებას. უცქერდა მოხუცს და, იგონებდა რა ლესიასთან საუბარს, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მან ლუკა მიტროფანოვიჩი გეროვანად ვერ დააფასა. მოხუცს მხოლოდ დახმარება ესაჭიროება, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება და ლესიას კოლმეურნეობასთან დამოკიდებულებაც მოწესრიგდება.

— მამასადაძე, კეუახე სულ შემოლილი არ გყოფილვარ! კოლმეურნეობის საქმეებში კი დავიბენი. — ამოიხზრა მოხუცმა. — სულერთია, გეგ-

მის შედგენა მიანიც საჭიროა. მხოლოდ არ ვიცი, საიდან დავიწყო.

— კოლმეურნეობის გეგმა ბრიგადირებთან ერთად უნდა შედგეს. — შენიშნა სერგეიმ.

— რაო, ბრიგადირებთან? განა არ იცი, რომ როგორც თავმჯდომარეა, ბრიგადირებიც ისეთივეა. თუ სიმართლე გინდა, მთელ იმედს შენზე ვამყარებდი, ბრიგადირები ვერსად გამეკეცვიან.

— ჩემზე ლაპარაკი კი ზედმეტია. მე სიხარულით დაგეხმარებით ისედაც უხერხულია, ყველა მუშაობს და მე კი უსაქმოდ დავხეტები. ჩემის აზრით, თუ ვგეგმავთ, ბარემ უკეთესი არ იქნება წლიურ საწარმოო გეგმასთან ერთად კოლმეურნეობის ხელწლიან გეგმასწავლა ვიფიქროთ?

— მაგის წინააღმდეგ ვინ წავა, სერიოზო? რა თქმა უნდა, იმასაც შევადგენთ.

— ასეთი გეგმის შედგენა რთულია, ერთ საღამოს მას ვერ შევადგენთ. თქვენ მიანიც უთხარით ზვალ ბრიგადირებს, რომ მოიფიქრონ და თავიანთი აზრი გაგაგებინონ. ჩვენ კი ამ საღამოთივე შევუდგეთ გეგმის შედგენას. როგორც ამბობენ, ძნელია მხოლოდ დაწყება. ჩვენც მთავარიდან — მარცვლეულიდან დავიწყოთ...

იმ საღამოს დიდხანს ისხდნენ მაგიდასთან სერგეი და ლუკა მიტროფანოვიჩი, ფურცლავდნენ დირექტივებს, ცირკულარებს და თითს აყოლებდნენ კალკას ლურჯი ხეულის გასწვრივ, რაც მდინარეს ნიშნავდა; სერგეიმ თითი შეაჩერა მდინარის ყავისფერ ნაპირთან.

— როგორი მიწებია გორაკებზე? უვარგისი ხომ არ არის? — ჰკითხა სერგეიმ.

— უვარგისი? უვარგისი რად უნდა იყოს! საქმე ის არის, რისთვის გამოიყენებენ მას. რა თქმა უნდა, ხორბლისა და ქერისათვის არ ვარგა, ვენახი კი შესანიშნავი გაშენდება.

— ჰოდა თქვენც ვენახი დაგეგმეთ.

— მაგისათვის დრო სად არის?

— ვენახის დაგეგმვას არაიან არ დავიშლით. გარდა ამისა, თქვენ შესანიშნავი ადგილები სხვაც ბევრი გაქვთ.

სერგეიმ გეგმა თავისკენ მიიწია და თითი მწვანე ლაქას დაადო, რომელიც იქვე, სოფელთან იყო.

— ამას რას უპირებთ?

შეწუხებულმა ლუკა მიტროფანოვიჩმა შემფოთებით შეხვდა ჯერ მწვანე ლაქას, მერე სერგეის და ყურადღება დაძაბა.

— უკვე შემოგჩვილა ლარისა დიმიტრიევხამ?

— მოითმინეთ, — თავი მოიკატუნა სერგეიმ, — რა უნდა შემოეჩვილა? არაფერი არ მესმის.

ლუკა მიტროფანოვიჩმა კიდევ ერთხელ შეხვდა სერგეის გამოძვლებული თვალით და დამშვილებით დაიწყო:

— აი რა, არ ვიცი როგორ გითხრა... ლარისა დიმიტრიევხა წინადადებას იძლევა ეს ჭაობი ამოვაროთ. მე კი ახლა ამისთვის არა მცალია. ნეტები იმ მიწებს მოვეუვლიდ, რაცა გვაქვს. ხალხიც არა მყავს. ის კი მიჯაერდება, ამბობს, რომ მე ჯიბრში ვუდგევარ და იმიტომ არ ვთანხმდები. ერთი სიტყვით, კინალამ წაეჩხუბეთ. მიკვირს, რომ ამდენხანს არ უამბნია შენთვის. სიმართლე გითხრა, მისი ამოშრობა არც მიზანშეწონილად მიმაჩნია. შიგ ბალახი იზრდება? იზრდება! ამოშრობის შემდეგ რა მოხდება? არაფერი. ისევ ბალახი უნდა დაეთესოთ. განა გგონია, რომ რაიმე მნიშვნელოვან სარგებელს მოგვცემს? ბალახი ბალახია. რაღა იმაზე ვიქვალო, როცა ამდენი კარგი მიწა მაქვს დაუმუშაებელი!

— განა ის მიწა ცუდია?

— მიწა ცუდი არ არის, მაგრამ ჯერ ხორბალზე უნდა ვიფიქროთ.

— ბალახი კი არა, სხვა რაიმე რომ დაითესოს იქ, მაშინ?

ლუკა მიტროფანოვიჩი ჩაფიქრდა:

— სხვა რა უნდა დაითესოს? ამის შესახებ მე არც კი მიფიქრნია.

ლარისა დიმიტრიევხა რის გაკეთებას აპირებს?

— ჩემთვის არაფერი უთქვამს.

— აი, საქმეც ამაშია. შეიძლება ლარისა დიმიტრიევხა რაიმე საინტერესოს გაკეთებას ფიქრობს? მოდი, ჩვენ ასე მოვიქცეთ: თუ თქვენ მასთან ნახუბარი ხართ, მე მოველაპარაკებ და ყველაფერს გავიგებ. იქნებ რაიმე ახალი, განსაკუთრებული რამის გაკეთება შეიძლებოდეს? მე აგრონომი არა ვარ და არ ვიცი, ლარისა დიმიტრიევხამ კი კარგად იცის. მაშ, მაძლევთ ნებას მოველაპარაკო?

გასაკვირია, მაგრამ ლუკა მიტროფანოვიჩი ძალიან იოლად დათანხმდა:

— შენ უკეთ იცი კარგი, მოელაპარაკე.

შუალამე უკვე გადასულიყო, როცა სერგეი მაგიდიდან ადგა, დაღლილი თვალებით შეხედა ლუკა მიტროფანოვიჩს და უთხრა:

— მაშ, ჩვენ უკვე შევეუდებით საქმეს. ამ დღეებში ბრიგადირებიც უნდა ჩავებათ ამ საქმეში. ხვალ მიწათმოქმედების განყოფილებაში შევალ კულჩიციისთან, მე ის, სულერთია მაინც უნდა ვინახულო. თქვენ კი საღმშენებლო განყოფილებაში შეიარეთ.

ლუკა მიტროფანოვიჩმა წარბები შეკრა და მორიდებით სთხოვა:

— სერგეი, იქნებ საღმშენებლოშიაც შენ შეხვიდე? მე იმდენი სადავო-დარაბო მაქვს, რომ პირდაპირ ცეცხლი შევიდება.

— რა მოხდა?

— ჭერი მელუბება, უკვე დაცვენა დაიწყო.

— ეს როგორ მოგივიადათ? — შეწუხდა სერგეი.

— მე თავი ათასი რამეთი მაქვს გამოქვდილი, ბრიგადირმა კი ველარ მიაცია ყურადღება; ამინდი გვალვიათა და ჭერი მალე დამწიფდა. დღეს ვიყავი დასათვალეობად. კომბაინებით აღება არ შეიძლება.

— აბა რას ფიქრობთ?

— ნამგლებით უნდა მოვმკათ.

— ხალხის საქმე როგორღაა? სამუშაოდ ყველა გამოდის?

— მაშ არა და! აი, სტეფანე სტორჩაკი უკვე მეორე თვეა, რაც ისვენებს, სხვებიც არიან...

— ესეც შენი გეგმა, ლუკა მიტროფანოვიჩ... მაშ, კარგი, საღმშენებლოშიაც შევივლი. თქვენ ნულარ მოცდებით. ეგ ისეთი საქმეა, რომ გადაღება არ იქნება...

ჩაქვრეს თუ არა სინათლე, ლუკა მიტროფანოვიჩს მაშინვე დაეძინა დაღლილი აღმინის მაგარი ძლით.

სერგეი კიდევ დიდხანს ტრიალებდა ლოგინში.

მთვარე უკვე კედელს მოეფარა და ფანჯრის ანარეკლი იატაკის შუა ადგილიდან მაგიდისაკენ გადაიწია. სერგეის არ ეძინა.

ის ხედავდა ვადამხმარ ყანებს, ამტვერებულ გზებს, ქერის ჩაყვითლებულ,

დაბალ ნათესებს, გორაკებს, რომელთაც კვამლივით ადიოდათ ნაცრისფერი მტვერი. ხედავდა დიდსა და კარგ მოსავალს, რომელზედაც ბუნების კაპრიზები ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა! გვალვაც გამარჯვება! — აი ეს არის მთავარი და ამას უთუოდ უნდა მიადწიონ! არც შეიძლება და არც უხდა იყოს ადამიანი დამოკიდებული ბრმა სტიქიაზე!

მაგრამ ამისათვის რა არის საჭირო? თესობრუნვა? ბალახთესვა? ტყის გაშენება?.. ლესია უნდა მოელაპარაკოს. მას, ალბათ, ყველაფერი უკვე დიდიხანია ნაფიქრი და დაგეგმილი აქვს. მის გეგმებს უნდა გაეცნოს, მოეთათბიროს და გამოიყენოს ყველაფერი, რაც საჭიროა ლუკას კოლმეურნეობისათვის.

... იმ დამეს სერგეის დაესიზმრა ფართოდ გაშლილი მწვანე მობიბინე ხორბლის ყანები. ის იღვა მიჯნასთან ჩრდილში და ხელში მსხვილი თავთავეები ეჭრა. თბილი, ქარი უაღერსებდა მას და ვიღაც — იგორი, თუ ლესია მხიარულად ეუბნებოდა:

— გახსოვს, ეს ხომ სწორედ ის ყანაა, რომელზედაც ჩაყვითლებული ქერი იყო, ლუკა მიტროფანოვიჩის ყანა!..

III

მიწათმოქმედების განყოფილების დიდ ოთახში ხუთი, თუ ექვსი მაგიდა იდგა. კუთხეში ერთ-ერთ მაგიდასთან კოსტია კულჩიცი იჯდა; დაღლილი, სკამის ზურგზე იყო მიყოლილი. ახალი, სამხედრო ხალათის საყელო გახსნილი ჰქონდა. კოსტია და სერგეი სკოლის ამხანაგები იყვნენ. ამ ხნის განმავლობაში კოსტია ბევრად არ შეცვლილიყო — ცოტათი სიმსუქნე მორეულს სახე თითქოს შესიებული ჰქონდა. ქერა ომები მთებზე იდგოდა, თვალში ისეთი გახდომოდა, თითქოს იხვევტიტებიანო.

კოსტიასთან ვიღაც იჯდა.

კულჩიციმ დაინახა სერგეი და გაიღიმა. სერგეის მისი ღიმილი ნაშალადვე ეჩვენა.

— აა, მაიორო, დიდი ხანია გავიგე შენი ჩამოსვლა, მაგრამ ვერასგზით ვერ შეგხვდი, — მიამაზა კულჩიციმ სერგეის შესვლისთანავე და შემდეგ მიუბრუნდა მასთან მყოფ ახალგაზრდას, — ახლა მე მაგისათვის არ მცალია, — უთ-

ხრა მას კულჩიციმ მოწყენით და აგრძნობია, რომ ლაპარაკი გათავებულა.

— ეს საქმე მეტად მნიშვნელოვანია! — ენერგიულად უპასუხა მან.

— ხომ გითხარით, მაგისტრის ახლა არ მკალია, საიდან მოგვკეთ ტრაქტორები, ისინი გზაზე არ აწყვია. გარდა ამისა, თუ ყველა კოლმეურნე დაიწყებს ჩემთან სიარულს... მე თავმჯდომარეებიც და აგრონომებიც შეყოფა.

— თუ თქვენთან მოსვლა არ შეიძლება, მაშინ ევრონოვთან წავალ. ლარისა დიმიტრიენაც დამიჭერს მხარს.

— შეგიძლიათ! — და კოსტიამ ზურგი შეაქცია. მის ხმაში ცუდად დაფარული სიბრაზე იგრძნობოდა.

გასვლისას ახალგაზრდამ კარები დონიერად გაიხურა.

კოსტიას სახეზე დიმილი ხელახლა გამოჩნდა. ის სერგეის შესახვედრად ადგა. მის თეთრ კისერზე ოფლის წვეთი ეკმციმებოდა.

— გამარჯობა, გამარჯობა! რამდენი ხანია არ მინახავხარ... დიდი ხნით ჩამოდი? — დაჯექი.

— ერთი ორი კვირა დავრჩები, გულმა გამომწვია ძველი ბუღისაკენ. შენ როგორა ხარ? ვხედავ იზრმე! ვინ არის, ახლა რომ შენთან იყო? ეტყობა ჯიუტი ახალგაზრდაა.

კოსტიამ ხელი ჩაიქნია და სახე კვლავ დაუმთავრა.

— ხომ იცი ჩვენი ამბავი. ყოველ აღამიანს რაღაც ესაქმება. ეს ახალგაზრდა გამომჩენილი პიროვნება გახლავით, მოროზია მისი გვარი.

კულჩიციის დაუდევარი, უპატივცემლო კილო არ ესიამოვნა სერგეის.

— მაინც რაშია საქმე?

— არაფერი, რაღაც... — უპასუხა კოსტიამ. ეტყობოდა მუშაობის შესახებ ლაპარაკი მისთვის მოსაწყენი და ინტერესს მოკლებული იყო.

— დიდება მაინდომა. სიმინდი აღარ ყოფნის და ახლა გვალვის მოსასპობად რაღაც უტობია მოუფონია. ტრაქტორი მიაჩრთვი. ერთი წლის განმავლობაში მთელი ტყის გაშენებას აპირებს.

— შესაძლოა, მისი განზრახვიდან მართლაც საინტერესო რამ გამოვიდეს?! — გამოცოცხლდა სერგეი.

— უტობია! თუ ყველა ბრიგადირმა ჩემთან დაიწყო სიარული და ყოველმა

მათგანმა თავისი ფანტაზიები გადამშალა...

— მოროზი, მგონი უბრალოდ მტრად დირი არ უნდა იყოს. *გინგლინი თქვენ*

— ექს მომბებრდა! უკეთესია მიამბორა და როგორ? სად მოეწყვე, მოძებნე თუ არა რამე შესაფერისი და მშვიდი?

სერგეი გაკვირვებისა და აღმოფრთხის გრძობამ მოიცვა. მას ახლა მოროზზე ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა და რამდენიმე სიტყვით უამბო თავის ამბავი. ლაპარაკის გაგრძელება არ სურდა და აჩქარებით ჰკითხა:

— შენ როგორ ხარ?

— ეცხოვრობ ნელ-ნელა, — კოსტიამ ხანტად გაიღიმა. — ეცხოვრობ, რომ დილიდან საკომომლე მივატანო. ლუკმა პური საძებნი არა მაქვს. ამ ცოტა ხნის წინ ცოლი შევირთე, ახალგაზრდა ქალია. ჩემი ცოლი და ბავშვი უკანდახევის დროს დაილუხნენ. — კულჩიციის სახე ერთი წუთით სერიოზულა გაუხდა, მაგრამ მაშინვე გადაეწმინდა, — ქალს არა უშავს რა. შემოიარე, გაგაცნობ. ძროხა მყავს, ბოსტანი გაქაშენე. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ ძლივს გაემართე ოჯახი.

ახალ ნიღვარებში ეს პირველი აღამიანი იყო, რომელიც თავის თავზე ასეთი კმაყოფილებით ლაპარაკობდა: ძროხაზე, ახალგაზრდა ცოლზე...

— მუშაობის საქმე როგორ არის? — კითხა სერგეიმ და ყურადღებით ჩახედა ვიწრო და უბებრ შესივებულ თვალებში.

— ექ, რაა მუშაობა! ერთი არ არის, მეორე არ გყოფნის, ირგვლივ არეულარევაა. მერე ეს ტემპები, შერეუვები, სინქარე... პირდაპირ გულს მანდიდებს! ხალხი ხომ იცი როგორია? ომი, გაჭირვება, გვალვა. ხალხს მოსვენება უნდა, სულის მოთქმა პირდება.

სერგეი უკვე ვეღარ იკავებდა თავს და მკვახედ კითხა:

— შენ საიდან იცი, რომ ხალხს მოსვენება უნდა? გითხრა ვინმემ, თუ როგორ?

— შენც რას ამბობ, განა ისედაც ცხადი არ არის?

— ვთქვამთ, რომ არ არის ცხადი. — სერგეი თითოთ ნერვიულად ისრისდა შუბლზე ნაოუკებს. — დაეუწვიათ, არ არის ცხადი. მაინც, სად უნდა დაისვენოს ხალხმა? მიწურებში? მაშინ ჩვენს მა-

გვირად მიწას ვინ დათესავს? თუ შამბ-
ნარი მოედოს?

— იცი რა, ეს ფრაზები...

სერგეი ზეზე წამოიჭრა:

— როგორ თუ ფრაზები? ჩვენი ხალ-
ხი სანგრებში, ოკუპაციაში, გერმანულე-
ბის კატორღაში იყო მან იცის, რომ,
მაგალითად, ჩერჩილს წუთითაც არ შე-
უსუნებია. ახალ ომს ამზადებს საერთოდ,
რის შემდეგ გახდი შენ ასეთი „ხალხო-
სანი“? დაიდალე? ძარღვები მოგეშალა?
მაშინ წადი, იეჰიმე, დაისვენე. ჩვენ ამის
ასშუალება გვაქვს. წუწუნი კი არ შეგ-
სვარის. შენ პარტიამ ასეთი უბანი ჩაგა-
ბარა! უფროსი აგრონომი ხარ! ბოლოს
და ბოლოს შენ იმ არმიის ჯარისკაცი
ხარ, რომელმაც გაიმარჯვა!

— განა მე ჩემს თავზე ვლაპარაკობ?

— შენ ამბობ ხალხი მეცოდებო! მე
კი ვიპასუხებ, რომ შენი თანაგრძნობა
ყოფილია. ახლა ცრემლების დღერა კი არ
არის საჭირო, არამედ დაკაინფებულ
ხელებით მუშაობა ხალხთან ერთად. ვის
უნდა შენი მღვრიე ცრემლი. ხალხმა
უშენოდაც იცის, რა წადს მას და სად
მიდის. მას პარტია ჰყავს.

კოსტიას შებლს ოფლის წვეთები
ცვარცვარად დაეხსურა და ლოყები სი-
წითლემ დაუფარა. სერგეიმ მხოლოდ
ახლა შეამჩნია, რომ ის თითქმის ყვირი-
ლით ლაპარაკობდა და მაშინვე შეწყვი-
ტა კამათი.

შემდეგ კი თავშეკავებით, თითქმის
ოფიციალურად, უამბო კულჩიციის,
რომ მასთან ლუკა მიტროფანოვიჩის
საქმეზეა მისული, კულჩიციმ ქალაქ-
ლები ააშრიალა, სანქაროდ ფურცლაკ-
და, ყდებს იქით-აქით ისროდა და არკ-
ვევდა რიცხვებს, ნორმებს და თესლ-
ბრუნვის გეგმებს.

მიიღო თუ არა სერგეიმ საჭირო
ცნობები, გამოემშვიდობა, კულჩიციის
და ოთახიდან გავიდა. უსიამოვნო
გრძნობა თავს არ ანებებდა. ფიქრებში
წასული მოედანზე შეჩერდა. მიწად-
მოქმედების განყოფილებაში მან ყველა-
ფერი გააკეთა; ახლა ვორონოვის ნახვა
იყო საჭირო და ამიტომ რაიკოშში წავი-
და. გზაზე მიმავალი სერგეი ფიქრობდა,
რომ მორიხს უნდა შეზღუდეს ფიქორი და
გამოკითხოს, თუ როგორ ამირებს გვალ-
ვასთან ბრძოლას ყველაფერი რაც ამ
საქმეს ეხებოდა, ახლა განსაკუთრებით
აინტერესებდა სერგეის.

ცენტრალური ქუჩიდან მოედნის გადა-
სახევებზე სერგეიმ ახალგაზრდა ქალი და-
ვაკი დაინახა. ქალს ცალმ ფეხსაცმელი
გაეხადა, ცალფეხზე ხტოდა და ფეხსაც-
მელიდან სილას ბერტყავდა. ჰაბუკს
მისი იდაყვი ეჭირა ხელში და შეელოდა.
არ წაქცეულიყო. ქალის ლოყებს ცეცხ-
ლი ედებოდა, თვლები უბრწყინავდა.
ის ხმამაღლა იცინოდა და ისე მზიარუ-
ლი და გულწრფელი იყო მისი სიცილი,
რომ სერგეიმ უნებლიეთ იფიქრა: „ასე
მხოლოდ შეყვარებულნი იცინიან“. და-
ბალი, ჩასუქებული ქალი ჭრელ, განიერ
კაბაში იყო გამოწყობილი. სიმსუქნე
უხდებოდა მის მრგვალ და ვარდისფერ
სახეს, აწეულ პატარა ცხვირს და ცოც-
ხალ თვლებს. მკერდზე ორდენი ეკი-
და. აზოვან ჰაბუკს სამხედრო ტანსაცმე-
ლი ეცვა, მხოლოდ სამხრეები არ ეკე-
რა. სამხრეთიდან მოსული ადამიანის
იერი ჰქონდა. ალბათ ქართველია. მკერ-
დზე მთელი მწკრივი ორდენების ნიშ-
ნების ზემოთ საბჭოთა კავშირის გმირო-
ბის ვარსკვლავი ებნია. „ნეტავი, საიდან
მოხვდა აქ ეს ახალგაზრდა“.

სერგეიმ უნებლიეთ შეანელა ნაბიჯი.

ქალმა გამოფერთხა სილა ფეხსაცმე-
ლიდან და თავის თანამგზავერთან ერთად
განაგრძო გზა.

როცა სერგეის დაუპირდაპირდნენ,
ჰაბუკი გასწორდა და მხედრული სალა-
ში მისცა, თუმცა სამხრეები არ ჰქონდა.
ქალმა კი ისე შეხედა, რომ სერგეის მო-
ეჩვენა, თითქოს მას რალაცის კითხვა,
გამოლაპარაკება უნდოდა. რამდენიმე
ნაბიჯის შემდეგ სერგეიმ უკან მიიხედა.

მას უნდოდა კიდევ ერთხელ შეეხედა
მზიარული, ახალგაზრდა წყვილისათვის,
მაგრამ თავი შეიკავა და გზას გაუდგა.

ვორონოვი რაიკოშში არ იყო. მისმა
თანამემწე ქალმა უთხრა, რომ ის მომხ-
მარებელთა კავშირში წავიდა, იქ სერ-
გეიმ შეიტყო, რომ ვორონოვი პარტ-
კაბინეტშია, პარტკაბინეტში უთხრეს,
რომ ვორონოვი სახალხო განათლების
განყოფილებაში იმყოფებოდა. სიცილით
მოქანცული სერგეი შუაქუჩაში მიდიო-
და თავჩაქინდრული და ოფლს იწმენდ-
და. უკვე დაკარგული ჰქონდა იმედი
ვორონოვის ნახვისა, როცა მოესმა:

— მაიორ! თავი ასწით! ფულს ხომ არ ეძებთ?

სერგეიმ მიიხედა.

ბანკთან ნაცნობი „ვილისი“ იდგა. საკესთან პავეკა იჯდა. მანქანის გვერდით გორიზონტი იდგა. მას ერთადერთი ხე-ნოტი მანქანის კარები ეჭირა და ილიმეზობდა.

— ფულს კი არა, რაიკომის მდივანს ვეძებ...

— მისი ნახვა უფრო ძნელია, ვიდრე ნემსისა ერთ ძნა თივაში, — ისეთივე ტონით უპასუხა ვორონოვმა, — ხომ მართალია?

— მართალია. — თქვა სერგეიმ და გაილიმა.

— როგორ ხარ? ვხედავ ნაცნობები მოგიძებნია, ჩემთან აღარ მოდიხარ. მოეწყვე? რამე პრეტენზიები ხომ არა გაქვს?

— მოეწყვე, პრეტენზიები კი არა მაქვს. შენ მთხოვე შემოსვლა მოსალაპარაკებლად და აი, მეც მოვედი.

— ძალიან კარგია, მაგრამ რა ვქნა, რომ ისევ რაიონში უნდა გავიქცე. თიბვაა, რას იხამ! უკვე ყველა დავგზავნე, ახლა მეც მივდივარ. გზა და გზა ნასვენი მიწებიც უნდა დავათვალიერო. შენ კი, ვხედავ, საფუძვლიანი ლაპარაკი გინდა. მეც მინტერესებს, მაგრამ მოთმენა მოგვიხდება. ანდა, შეიძლება მოკლედ მითხრა? მოდი ისე, მოხსენებასავით.

— მე, აი ლუკა მიტროფანოვიჩის შესახებ.

— შენი რაა?

— ბიძა.

— ძალიან კარგია, რომ ბიძაა! შენ აღბათ ქერის შესახებ გინდა მითხრა?

— ქერზედაც მინდა, — გაუკვირდა სერგეის. — შენ უკვე იცი?

— ვიცი. ამ დღით ვნახე. საქმე ცუდადაა. რალაც მოვიფიქრე, მაგრამ ვშიშობ, რომ ვერ მოხერხდეს. — ამყარა იყო, რომ ვორონოვმა ყველაფერი გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე სერგეიმ.

— კიდე რა?

— კიდე გეგმის შესახებ.

— იმის შესახებ, რომ ლუკა მიტროფანოვიჩს გეგმა არა აქვს? ვიცი. ამის შესახებ საფუძვლიანი მოლაპარაკებაა საჭირო; ორი-სამი დღით ვადავდვით.

— ფედორჩუკის ბრიგადაზე და მიწადაქმედების განყოფილებაზედაც მინდა გითხრა.

— ყნოსვა კარგი გქონია. სამიწად-მოქმედოზედაც მოვილაპარაკოთ. ფედორჩუკის შესახებ კი არ ვიცი, ალბათ შემოგვივლა რამე?

— შემომჩივლა.

— მაშ კარგი, — ვორონოვი წუთით ჩაფიქრდა და მისი თვალები ნისლიანი გახდნენ, შემდეგ კი ისევ აუთამამდა შიგ მხიარული ნაბერწყლები, — მაიორ, მისმინე...

— გისმენთ...

— მაშ ლუკა მიტროფანოვიჩი შენი ბიძაა?

— ბიძა.

— კიდეც რამდენ ხანს ფიქრობ ჩვენთან დარჩენას?

— ერთი კვირა დაერჩები, შეიძლება ნაკლებიც.

— შესანიშნავია! ბიძია და ორი კვირა! უკეთესს ვერც ისურვებდი. — მაიორ, იცი თუ არა, რა არის იერიში გარღვევაზე?

სერგეიმ გაილიმა:

— მსმენია...

— კარგია რომ გსმენია. შენ თუ იცი რა არის მკა?

— ვიცი.

— არა, იერიში გარღვევის დროს, სხვა რამაა. თუ იცი, რას იხამს პოლკის მეთაური ასეთ პირობებში? ყოველი შემთხვევისათვის ყველას მწყობრში ჩაყენებს, ყველას — მზარეულებს, დალაქებს, თერძებს, ქიმიკოსებს, თავისას და სხვისასაც, თუ კი ხელთ მოყვა. გაიგე?

— ვერ გავიგე, — იცრუა სერგეიმ.

— ვერ გაიგე? თვალებში გატყობ, რომ მატყუებ. მაშ კარგი, მისმინე, შენ იქ შინაური კაცი ხარ, ორი კვირა გვარიანი დროა, სხვა თუ არა, მოგწყონდება, ლუკაც შენი მკვიდრი ბიძა ყოფილა. წაიდ ახლა მაიორ, მკვიდრ ბიძასთან და უთხარი: „ძვირფასო ძია, თქვენთან ვორონოვმა გამომგზავნა, რომ მოგეხმაროთ ქერის საქმეში, გეგმის შედგენაში და ყველაფერში, რაც საჭირო იქნება, თქვენთან რწმუნებულად ვარ გამოგზავნილი გარღვევაზე-თქო. ეს შენც გამოგადგება. შემდეგი შეხედრისათვის სალაპარაკო ბევრი გეექნება. თანახმა ხარ?

სერგეი იდგა და ილიმეზობდა. რა უნდა ეთქვა?

— თანახმა ვარ...

— აი, მშვენიერია, მადლობელი

ვარ, პირდაპირ დამიხსენი, შენი იმედი მაქვს მაიორო. შენ ახლა კომკავშირის რაიკომში წადი იქ კარგი ქალი ზის და ჩემს მაგივრად თხოვე, რომ დაგეხმაროს, ალბათ, ის შესძლებს ახალგაზრდების ორგანიზებას. ესეც ასე, მორჩა. საკითხები ზომ არაფერი გაქვს? კარგია. ბავყა, ჩართე მანქანა!

მანქანამ ჩაიფრუტუნა, ადგილიდან უეცრად მოწყდა და კუთხეს მოეფარა. სერგეი კი იდგა შუა ქუჩაში და იღიმებოდა.

* * *

კომკავშირის რაიკომში ბევრი ხალხი არ იყო. პირველ ოთახში მაგიდასთან გოგონა იჯდა, დაახლოვებით თნუთმეტი წლის თუ იქნებოდა. მეორე ოთახში სერგეიმ დაინახა ის ქალიშვილი, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ ქუჩაში შეხვდა. აქვე იყო საბჭოთა კავშირის გმირიც. ის რბილ ტანტზე იჯდა. სერგეი მიესალმა და რაიკომის მდივანი იკითხა. ქალი მის შესახებ დრო აღდა.

— რაიკომის მდივანი მე ვარ. გამარჯობათ...

— მაიორო რუდენკო.

— ნატაშა, — ქალს საქციელი წაუხდა და მაშინვე დაუმატა, — ლეს-ჩინსკაია. მე ქუჩაში დაგინახეთ და იმ წამსვე მივხვდი, რომ თქვენ იყავით. გავიგე რომ ჩამოდით, სწორეთ დღეს ვაპირებდი თქვენს მოძებნას. სათხოვარი მაქვს. კვირისათვის მოწვეულია რაიკომის საზეიმო პლენუმი. ჩვენს რაიონულ ორგანიზაციას ალექსანტრალურ კომიტეტის დროშა უნდა გადასცენ. მე მინდა გთხოვოთ, როგორც ახალნიადრულ ძველ კომკავშირელს, გამოვიდეთ პლენუმზე, სიტყვა თქვათ... მიესალმეთ... თქვენ, რა თქმა უნდა, ჩემი სწავლება არ გჯერდებათ.

ნატაშამ ჭაბუკს გადახედა.

— მართლა, გაიცანით.

ჭაბუკი წამოდგა და თქვა:

— ვანო ქელიძე.

როცა ჭაბუკს ხელს აართმევდა, სერგეის მოაგონდა: ეს ზომ ის ვანოა, რომელსაც ბიცოლა მართა უვლიდა, და რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირობა მიანიჭეს ამხანაგ სოკოლნიუკის რაზმში ჩადენილი გმირობისათვის. ნატაშა კი ის მეკავშირე ქალია, რომელზედაც ლუქა მიტროფანოვიჩმა უამბო. აი რა ყოფილა, ეტყობა რაზმში მაგრად დამეგობრებულან.

— იმედი მაქვს, უარს არ მეტყვი, — განმეორებით თხოვეყენებამ და ვანოს კიდევ გადახედდა.

— შეიძლება მოვირიდეთ.

სერგეიმ უამბო ვორონოვის წინადადების შესახებ და შეეკითხა, თუ რითი დაეხმარებოდა ნატაშა?

ქალიშვილი ჩაფიქრდა.

— დახმარება, რა თქმა უნდა, საკიროა, მაგრამ ამ უამბო ხალხი ცოტაა: ცოტაოდენი მოსამსახურეების შეკრება შეიძლება, რამდენიმე კაცს მტს-იდანაც წამოვიყვანთ. ერთი წუთი მაცალეთ, ამხანაგო მაიორო. მგონი მოვიფიქრე... თუ იცით, ახლა როგორი დამეგობა?

— არ ვიცი, რად კითხვობთ?

— მთვარიანი დამეგობი თუა?

— აა! — გაიღიმა სერგეიმ. — აი რა! საიდან უნდა ვიცოდეთ? მე უკვე მოხუცი ვარ და მთვარის შუქზე აღარ ვოცნებობ, ეს თქვენ, ახალგაზრდებმა უნდა იცოდეთ.

ვანოს გაეღიმა.

ქალი გაწითლდა და ვანოს შეხვდა.

— მე ვამბობ, რომ ქერი ვაღამწიფებულა და მისი მომაკვრილი სჯობს. ამ საღამოთი მე ოცი-ოცდაათი კაცის შეკრება შემიძლია. ახლა ისეთი დრო არ არის, რომ მარცვალი ყანაში დაეფანტოთ.

შეთანხმდნენ. კომკავშირელები პირდაპირ მინდორში გავლენ. ნატაშამ იცოდა ყანა სადაც იყო. სერგეი დაპირდა, რომ კოლმეურნეობას გააფრთხილებს და დაუმზადებენ ნამგლებს, ცელებს, ფოცხებს და ორკაბებს.

სერგეი გამოემშვიდობა და პირდაპირ კოლმეურნეობის კანტორისაკენ წავიდა.

კანტორასთან მიახლოებისას ლაპარაკი შემოესმა:

— ძია კოვალჩუკ, ძია კოვალჩუკ! — უძახდა „ლიპეტოვიჩი“ ვალოდია.

— რა გინდა? — უპასუხა ბოხმა ხმამ.

— ვინ ჩამოვიდა?

— ძია კოვალჩუკ, ვანო ჩამოვიდა!

— რომელი ვანო?

— ვანო, აი ის, ბიცოლა მართასთან რომ დაქრილი იწვა.

— აა! მართლა?

შემდოვ ლაპარაკი სერგეის აღარ მოუსმენია, რა თქმა უნდა, ის არ შემცდარა: ვანო აქ პირველად არ იყო, და ნატაშაც ამ სტუმარს კარგად იცნობდა.

IV.

ლუკა მიტროფანოვიჩი სერგეის კანტორაში დახვდა. ის-ის იყო დაბრუნებულიყო ქერის ყანიდან. ქერის მოსამკლავ პირველ ბრიგადას ხუთი დღე დასვენებულიყო. აქვე კანტორაში იყო პირველი ბრიგადის ბრიგადირი — კოვალჩუკი.

სერგეიმ უამბო მათ ვორონოვთან შეხვედრისა და იმ დახმარების შესახებ, რომელსაც კომკავშირელები დაპირდნენ.

— აი, დიდი მადლობა ამხანაგ ვორონოვს. გარწმუნებთ, კარგად მოუფიქრნია! — წამოიძახა კოვალჩუკმა.

ყველაზე მეტად ლუკა მიტროფანოვიჩმა გაიხარა. ამის შემდეგ, მთელი დღის განმავლობაში, ვისაც კი შეხვდებოდა, ყველას ეუბნებოდა, რომ მასთან დისწული ჩამოვიდა, და ეს დისწული კოლმეურნეობაში გამოგზავნეს რწმუნებულად. ახალი რწმუნებული „დიკურიჩი“ — ვალოდიასც ძალიან მოეწონა. სერგეის მაშინვე მოუყვა საბჭოთა და ფაშისტთა ტანკების ბრძოლის ამბავი, აღსნა, რომ კოლმეურნეობაში საქმე ცუდადაა, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის შიკრიკს პეტკას, რომ შევხვდები, მრცხვენიო, ვანაგრძობდა ვალოდია... ისიც უთხრა, სერგეის, რომ ლარისა დიდირიევამ წელს ყველას აჯობა... ლუკა მიტროფანოვიჩს რომ არ შეეჩერებია, ვალოდია კიდევ დიდხანს არ გაათავებდა ლაპარაკს.

კოვალჩუკმა ვალოდია მნესთან გაგზავნა. რომ მას ორკაპები და ფოცხები დაემზადებია.

— დღეს ხუთშაბათია, — თქვა სერგეიმ. — კარგი იქნება, რომ შაბათისათვის მოვათავებდეთ. სხვა ბრიგადებიდან ხომ არ შეიძლება ხალხის გადმოსროლა?

— სამჭედლოსა და სადურგლოდან შეიძლება რამდენიმე კაცის წამოყვანა.

— უნდა წამოვიყვანოთ, — დაუდასტურა სერგეიმ. — ისეთები ხომ არა გყავთ, რომლებიც სამუშაოზე სულ არ გამოდიან?

— როგორ არა, ასეთებიც არიან.

— იმათც უნდა მოველაპარაკოთ სერიოზულად, რა ხალხია?

— ხალხი? ყოველნაირი. აი მაგალითად, სტეფანე სტარჩუკი. მეორე თვეა, რაც ისვენებს, სხვებიც არიან...

— ვინ არის ეს, სტეფანე სტარჩუკი, რომ მეორედ ასვენებთ მას?

— ჩვენი სოფელია. ჯარიდან ჯერ კიდევ ივნისში დაბრუნდა და აქამდე ხის.

— პირადათ თქვენ ელაპარაკეთ მას, თუ არა?

— როგორ გითხრა, სიმართლე რომ ვთქვა, პირადათ მე არ მილაპარაკნია, შეუხერხელება. მთელი მკერდი შეღლებით აქვს საესე. მასთან მისვლასაც კი ვწიშობ.

— რად გეშინია? — გაეცინა სერგეის. — თავმჯდომარე მაინც არ იყო! მამ კარგი, მოკრიბეთ ხალხი საიდახაც შეესაძლოა და იმათთან შეიარეთ, ვისიც არ გეშინიათ, სტოპასთან კი მე თვითონ მივალ; მხოლოდ მაჩვენეთ სად ცხოვრობს. ხვალ, დილითვე მოვილაპარაკოთ და მომავალი კვირის გეგმა შევადგინოთ.

— გამადლობ, სერგეი, — გაეხარდა ლუკა მიტროფანოვიჩს. — ვალოდია, არ ვეხე, სტეფანე სადაც ცხოვრობს!

„ეს სტეფანე სტარჩუკი ეტყობა მეოჯახე კაცი ყოფილა“ გაიფიქრა სერგეიმ, როცა მის ეზოს მიუახლოვდა. სტეფანეს ახალი ჭიმკარი რალაცნობად მოეხატა; ღობის ნაცვლად ეზოს, დიდი მონღოლებით და ნაცადი ხელით, შემოვლებული ქონდა რამდენიმე წყება მათეული. სტეფანეს ფრონტზე, ალბათ, ხშირად ჰქონდა საქმე მათეულთან. კომწია ეზო სუფთად იყო დახვეტილი; ბალში ყვავილები ჰყვავდნენ. მომცრო სახლი გულმოდგინეთ გაეთეთრებია, სახურავი ძველი, მაგრამ წესრიგში მოყვანილი ჰქონდა.

სახლის უკან ბოსტანი, ბაღი, დიდრონი და წითელლოყა ნაყოფით დაფარული მსხლის ხეც მათეული იყო გარდალობილი. ყველაფერში იგრძნობოდა შრომის დანატრულებული მეოჯახის ხელი. ამ წესრიგმა ასიამოვნა სერგეის და შეანელა მისი განწყობილება სტეფანესადმი.

სახლთან, სერგეისაკენ ზურგით მობრუნებული, თვითონ სტეფანე იდგა. გალიფეს ვიწრო ტოტები მის კუნთოვან წვივებს კიდევ უფრო მსხვილად აჩენდა. ტიტკელი ფეხები მიწაზე მაგრად დაედგა. ნაჯახით გულმოდგინეთ თლიდა რალაც ბოძს. ყოველ მის ხელის მოქნევაზე მკერდზე შეღლები წკარუნებდნენ. იქვე დაბალ სკამზე, მისი შავდა-

ლალებიანი ახალგაზრდა ცოლი იჯდა; ის ლობიოს არჩევდა და რაღაცას მზიარულად ლაპარაკობდა.

როდესაც მოულოდნელ მისალმებაზე, მობრუნდა სტიოპა, სერგეიმ დაინახა კარგი, ახალგაზრდა სახე დიდი ჭკვიანი თვალებით. სტიოპა დაახლოვებით, ოცდაათი წლის თუ იქნებოდა. მისი მკერდი მართლაც ავსებული იყო მედლებით. უცნობი მაიორის სტუმრობით დაბნეულმა სტიოპამ მაშინვე ჯერ შიშველ ფეხზე მერე, საყულო გახსნილ და უქამროდ ჩამოშვებულ ხალათზე დაიხედა და გაფითოდა. მასში სამხედრო აღამიანმა იჩინა თავი; მხრებში გასწორდა და სერგეის მიესალმა:

— გამაჯობათ, ამხანაგო მაიორო!

— ო, სამხედრო პირი შორიდანაც იცნობა.

— არტილერიის უფროსი სერგენტი, ამხანაგო მაიორო!

— მე იმ წამსვე ვიგრძენი, რომ ჩვენი ხარ.

სტიოპას გაეღიმა.

— აქ რაღად ვდგევართ? სახლში მობრძანდით, ამხანაგო მაიორო. — წინ წავიდა და კარების შეღება დააბიჯა.

შავთვალა ახალგაზრდა ქალმა გამოხელებული ლურჯი კაბის კალთიდან ლობიოს ცარიელი მიგრეხილ-მოგრეხილი ჩენჩო დაიბერტყა და აწრიალდა. ის ხან სერგეის შეხედავდა ხან სტიოპას. — „მობილიზაციით ხელახლა წაყვანას ხომ არ უბრძობენ ჩემს სტიოპასაო“ — ამბობდნენ მისი თვალები, თანაც სტუმარს ისიც შეეპატყა.

სახლი დალაგებული და სუფთა იყო. ფანჯრებზე ჩამოთარებული რაღაც სქელი ქსოვილი მხეს არ უშვებდა და ამიტომ გრილოდა. სერგეი მაგიდასთან დასვეს.

— ფროსია, — მიმართა ხუმრობით სტიოპამ, — ორიენტირი ნომერი პირველი!

ორიენტირი ნომერი პირველი ნიშნავდა მაგიდას, და ერთი წუთის შემდეგ, ფროსიამ გაბრწყინებული თვალებით, მაგიდაზე მწიფე და წითელლოყა მსხლით საესე დიდი ჯამი დადგა.

— მიირთვით ამხანაგო მაიორო! ეს ჩვენი ეზოსია, ამ მსხალმა პირველად წილს მოისხა: სტიოპას აქ არ ყოფნის დროს დაერგე.

სერგეიმ მსხალი აიღო.

სტიოპამ საჩქაროდ ჩაიკვა ჩექმები, შემოირტყა ქამარი, შეიკრა საყულო და პირველი წუთების უხერხულობისაგან განთავისუფლებული, იჯდა მზიარული და ყოჩაღი.

— სად ომობდი? — ეკითხებოდა სერგეი, თან მწიფე მსხალს ჰამდა და სტიოპას კი არა, ფანჯარასთან გაჩერებულ ფროსიას უყურობდა, რომელსაც შიშისაგან ჯერ კიდევ ვერ დაეღწია თავი.

— ჯერ კალიზინის მიმართულებით, შემდეგ კი უკრაინის მესამე ფრონტზე ვიყავი, ამხანაგო მაიორო, — უპასუხა სტიოპამ.

— ახლა რას ფიქრობ?

— რა უნდა ვიფიქრო? ჩვენი საქმე უბრალოა. კოლმეურნეობის იქით სად უნდა წავიდე? ომამდე კომბაინზე ვმუშაობდი, ახლა ტრაქტორზედაც შემოიძლია ვიმუშაო — ფრონტზე ბევრი რამე ვისწავლე, მაგრამ მტს-ში ჩემთვის კომბაინი ჯერ არ შეუძენიათ.

— დიდ ხანია, რაც სახლში ხარ?

— ასე, თვეზე მეტია.

— ისვენებ?

— ვისვენებ და არც ვისვენებ, სახლში ბევრია სამუშაო.

— კი, მაგრამ ძალიან ხომ არ გაგიგრძელდა დასვენება?

— როგორ გითხრათ? კომბაინს ჯერ არ მამლევენ, მანამდე მინდა სახლში ყველაფერი წესრიგში მოვიყვანო.

სერგეიმ გაათავა მსხლის ჰამა და სტიოპას და ფროსიას შეხედა. ისინი სერგეის უყურობდნენ და ვერ გაეგოთ, რისთვის და საიდან მოველინათ ეს მაიორი. თუმცა მაიორის სტუმრობა მათ უხაროდათ, მაგრამ იმავე დროს უნდოდათ ჩქარა გაეგოთ მისი მოსვლის მიზეზი.

— მე კი შენთან, ამხანაგო სერგენტო, საქმეზე მოვედი, — უთხრა სერგეიმ და მსხლიანი ჯამი გვერდზე გაწია. ცოლქმარმა ყორები ცქციტეს. — შენ მე არ გახსოვარ?

— თითქოს გვიკონებთ, ამხანაგო მაიორო!

— რუდენკოს იცნობდი?

— სწორეთ ისა ხართ. ოდესღაც ჩვენი პიონერ-ხელმძღვანელი იყავით. მას აქეთ დიდი ხანია. ძალიან კი გამოცვლილხართ.

— აი, რაშია საქმე, ამხანაგო სერგენტო, ჩამოვედი ახალი ნიაღვრებში. ვფიქრობდი ერთ-ერთი კვირით დარჩე-

ნას, შრობლების საფლავის ნახვას, ძველ მეგობრებთან შეხვედრას და ისევ უკანვე გაბრუნებას, მაგრამ ხომ იცი, როგორი ღრთა ახლა?

— ცხადია, ამხანაგო მაიორო, მკის ღრთა!

— დიახ, დიახ, გარდა ამისა გვალვაცაა.

— უბედურებაა, საქმე შეტად ცუდადაა.

— სამხიარულო არაფერია, რას იხამ? თქვენს კოლმეურნეობაში კი, რაც მოვიდა, ხეირიანად იმის აღებასაც ვერ ახერხებენ. ქერი გადაშოფდა და უკვე ცვივა.

— ეს როგორ დაემართათ? — მოულოდნელად წამოიძახა სტიოპამ.

— არ ვიცი ამბობენ, რომ ხალხი არა ჰყავთ საქმარისი. ვილაც-ვილაცებები დიდხანს ისვენებენო...

სტიოპა გაწითლდა და გაჩუმდა.

— ჰო და, გამომიძახეს რაიკოშში, — განაგრძო სერგეიმ ისე, თითქოს ვერაფერს ვერ ამჩნევდა, — და მითხრეს: მაიორო, წადი კოლმეურნეობაში და მოეხმარე; ისე მოაწყვე საქმე რომ მოსავალი არ დაიღუპოსო. მარტო მე ხომ ვერ შევძლებ მომკას: ვის უნდა მივმართო თუ არა ფრონტელს? ვინ გამიწევს დახმარებას? სანამ იქ კომბაინს...

— ამხანაგო მაიორო, განა მე... არ მესმის? ფროსია ნამგალი, ქისა და რაც საჭიროა კიდევ! თვითონაც მოემზადე!

ფროსია იდგა და ილიმებოდა. ის უკვე დარწმუნდა, რომ მისი სტიოპა არსად არ მიყავთ და ამიტომ მაიორი

ძალიან მოეწონა, მუშაობა კი ფროსიას არ აშინებდა.

— ეს საქმარისი არ არის, ~~ჩვენი~~ გააფრთხილდა თხილა სერგეი, — მეზობლები, ან მეგობრები თუ გყავს ისეთი, რომელნიც ახლა სახლში სხედან?

სტიოპა ჩაფიქრდა.

— მოიძებნება...

— აი, შენ გვალვებ, რომ ისინიც გაიყვანო შეხვევთან ქერის ყანაში, ხომ იცი სად არის?

— არის, ამხანაგო მაიორო. ფროსია ახლავე გაიქეცი იგნატთან, შემდეგ გალიასთან. აქ მოიყვანე; უთხარი, რომ სტიოპა არაყზე გეპატიებებო.

ფროსია იცინოდა და ქმარს თვალს არ აშორებდა. ეტყობოდა მას ქმარი ძალიან უყვარდა, სტიოპას ხუმრობაშიც ჩანდა, რომ არც მას უყვარდა ნაყლებად ცოლი...

— მაშ, მე შენი იმედი მაქვს, ამხანაგო სერკენტო.

— შესრულებული იქნება, ამხანაგო მაიორო!

ფროსია მათთან ერთად გამოვიდა სახლიდან. ის მიდიოდა ეზო-ეზო და წამდაუწყუმ ქმარისაკენ იყურებოდა. სტიოპამ კი შერამდე მიაცილა სერგეი და გამოემშვიდობა.

სერგეი მზით გაჩახჩახებულ შუა ქუჩაში მიდიოდა. მის სახეზე ღიმილი თამაშობდა... „ეს სტიოპა სტარჩუკი, უთუოდ შესანიშნავი ახალგაზრდაა, ფროსიაც...“ — ფიქრობდა იგი.

თარგმანი: რაქლინე გვებტაძისა.

(გაგრძელება იქნება)

რუსლანი და ლიუდმილა*



ძეგბა მძხვითი

ლიუდმილა ტურფა სახითა,
უკეთესია ხასიათითა:
გრძნობიერია, სათნო და წყნარი,
ულრმესად უყვარს თავისი ქმარი;
თავში კი... უქრის ოდნავად ქარი,
მაგრამ მით უფრო მშვენიერია.
მუდამ ახალი თილისმის ჩენით
მოჯადოება მას ძალუმს ჩვენს;
მხოლოდ მითხარით: შესაფერია,
მკაცრ დელფირას რომ ის შეეადაროთ?
ერთთან დრო ისე უნდა ვატაროთ,
რომ აღტაცებით გვიძგერდეს გული;
ღიმილი, სიტყვა, იმისგან თქმული,
სულში სიხარულს ჰბადებს მზიანსა.
მეორე — ჰუსარს ჰგავს კაბიანსა:
მხოლოდ უღვაში მას და დეზები,
მერე ვერც ნახოთ უკეთესები!
რა სჯობს კაცისთვის იმ ნეტარ წამსა,
თუ მარტოდ მყოფი საღამოს ეამსა
მას ლიუდმილა დახვდება ტკბილად,
რომ ორმა გულმა ითრთოლოს

წყვილად.

ბედნიერება მასაც სწვევია,
ვინცა დელფირას შორს გაჰქცევია,
ან სრულეებითაც არ გასცნობია.
მაგრამ ჩვენს ამბავს მივყვეთ

სჯობია!

ვინ აყვირებდა საყვირსა? ბრძოლა
ჯუჯასთან სურდა გმირსა რომელსა?
ვინ შეჰყარა მას შიში და ძრწოლა?
რუსლანმა. სულით დაუცხრომელსა
აგერ აქამდე მოუღწევია:
მთის ძირასა სდგას უკვე ჰაბუკი,
ჯუჯას დარბაზებს გასცქერს და ბუკი
მადლა ქუხილით აუწყვია.

ტორსა სცემს ცხენი მოუთმენელი,
გარშემო თოვლის მიმომფენელი.
უნდა მივიდეს იქ ჩერნამორი —
სულდგმული ბილწი და ავი ავზე;
თავადი ელის. უეტრად თავზე,
თითქოს მუზარადს მოხვდა ნამორი,
მან იგრძნო დარტყმა ანაზღიფული
უსასტიკეს და უდიდეს ძალით.
ზე აიხვდა დაბინდულ თვალით;
ხედავს: მრისხანედ ლახტაწეული
თავს დასტრიალებს მას ჯუჯა მალი.
ფარი იფარა ვაჟმა და ხმალი
შემოუქნია მას კრულვა-წყევით,
მაგრამ ჯუჯა მყის აცურდა ზევით
და გაქრა — ნისლი შემოებურა;
კვლავ ძირს დაეშვა ელვისებურად
თავადისაყენ, ეს განზე გახტა;
ჯუჯა დააცხრა თოვლს უნებურად,
ჩაეფლო შიგა და დარჩა სახტად.
მოყმე ჩამოხტა ცხენიდან სწრაფად
მივიდა ჩუმად და ეცა წვერში,
ჯუჯა ფართხალეებს ჰაბუკის ხელში,
კრუსუნებს, დიდი დაადგა ჯაფა,
ბოლოს წამოდგა, გასწორდა წელში
და გაიტაცა სიერცეში გმირი —
წაილო ისე, ვით ქორმა სირი!
ცხენი ქვემოდან მისჩერებია...
ჯუჯამ შავ ღრუბლებს შეახო ტანი,
ჰაბუკი წვერში ჩასქიდებია;
გადაიარეს ტყეები, მთანი,
უფსკრულები და სიერცენი ზღვისა,
ერთად მგზავრობენ, ერთად მიდიან;
მოულოდნელი სტუმარი ცისა,
რუსლანი, წვერზე მაგრად ჰკიდიო.
ამეც დროს ჯუჯას ელევა ძალა,
სახეზე ფერი ემჩნევა მკრთალად;
რუსული ღონე დიდად აყვირებს

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 1.

და დათმობაზე წასვლას აპირებს;
 ცბიერად ეტყვის: „მომაპყარ სმენა!
 არა მსურს, მოყმევე, აწ შენი წყენა;
 მიყვარს ჰაბუჯის ძალა ცხოველი.
 ვეპატიება ჩემგან ყოველი,
 ძირს ჩაეალ, მაგრამ პირობა ერთი“...
 „წყევლიმც იყავ, გაგოწყრეს ღმერთი!“
 შეაწყვეტინებს რუსლანი სიტყვას:
 „შენ ჩემი ცოლის ხარ მწამებელი,
 და ვით იქნება შესაძლებელი,
 რომ აწ ჩვენს შორის პირობა ითქვას?!
 გაგისწორდება ეს ხმალი, ქურდო!
 ვარსკვლავებამდეც რომ შესძლო
 ფრენა,

მაინც იცოდე, რომ წვერი შენა
 უნდა მოგაკურა ბოლოს და ებურდო!“
 ჩერნამორს გული შეუშინდება,
 იკრებს ძალ-ღონეს და იქინთება,
 მას მოლოდინი ბნელი ამწარებს,
 და სულ ამოდ წვერს აცანცარებს —
 რუსლანი იმას არ უშვებს ხელსა,
 ხანდახან თმასაც კი აცლის გრძელსა.
 ჯუჯამ ჰაბუჯი ორ დღესა ზიდა,
 მესამე დღეს კი შენდობა სთხოვა:
 „ო, მამატიე! მე ვწვალთ დიდად,
 ჩემივე თავის მჭირდება გლოვა!
 გვედრი, ნათელ მზეს ნუ მიქცევ შავად,
 დაგვამ იქ, სადაც ინებებ თავად“...
 — ჩაგიგდე ხელში: ჰყანკალებ, არა?
 აწ რუსულ ძალას, ემონე, კმარა!
 იქ დამსვი, თორემ ვაჭმევ სილასა,
 სადაც შენ ჰმალავ ლიუდმილასა“.

დაემორჩილა მას ჯუჯა წყნარად,
 ვეზი შინისკენ აიღო ცაში,
 გაექანა და აღმოჩნდა ჩქარა
 თავის კუთხეში — საზარელ მთაში.
 მოყმე ხმაღს უტერს მარჯვენა ხელსა,
 პარცხენაში კი წვერს იგდებს გრძელსა
 და მოსჭრის, როგორც ბალახს ერთ
 მუჭას;

ჯუჯა სიმწრისგან თვალებსა ხუჭავს.
 „სადაც შენი სიტვა, იქა სიტქვი ჩვენიც!“
 უთხრა ჰაბუჯმა მგესლავი ენით.
 მხეცო, მოისპო შენი შეენება,

ძალა გავიქრა, ვით მოჩვენება!
 გმირმა მალალი ზუჩი დახმარა
 და შემოასკვნა მას თმა-ქსელისა
 მან ცხენი თვისი მოიხმო სტვენით —
 ლალი ჰიხვინით მოფრინდა ცხენი.
 ცოცხალ-მკვდარ ჯუჯას გმირი ხელს
 ჰკიდებს,

უნავირს უკან ჩანთაში იგდებს.
 წამითაც არ სურს დაგვიანება,
 მთის მწვერვალისკენ მიემართება,
 ავიდა — სევდამ თავი ანება —
 თილისმურ სახლში მყის შევარდება.
 რა დაინახეს ზუჩი თმიანი,
 ნიშანი მოყმის გამარჯვებისა,
 მოსახლეობა შავკანიანი, —
 დასი მონების და მხეველებისა,
 მიილტვის მისგან ათრთოლებული
 და ჰქრება, როგორც ლანდთა კრებული.
 ვრცელ სასახლეში ის დადის მარტო,
 ძვირფას მეთლღეს უხმობს გულითა, —
 მხოლოდ მდუმარე თაღები ფართო
 უბასუხებენ ყრუ გუგუნითა.
 მოუთმენელი, აღელვებული
 გააღებს ბაღში გასასვლელ კარსა —
 გადის და მიდის — არა სჩანს არსად;
 ვარს იმზირება გაშტერებული —
 მკვდარია ბალი: ჰკლავნი სღუმან,
 ცალიერია ფანჩატურები;
 თითქოს დენაც კი შესწყვიტა რუმან,
 თითქოს დახშვია რუსლანს ყურები.
 ლიუდმილასი კვალიც კი არ ჩანს;
 სხეულში უვლის ვაჟს ქრუანტელი,
 ჩამოუბნებლდა თვალთა ნათელი
 და საშინელი ზრახვები სტანჯვას...
 „ტყვეობა... სევდა... გარემო
 მტრული...“

წუთი... ზვირთები“... უსკდება გული,
 ისე აწვალებს ეს ფიქრი ავი;
 ჩაჰკიდა მაშინ ჰაბუჯმა თავი.
 უნებურ შიშით შეპყრობილია
 მთელი არსება გარინდულისა;
 მის სისხლში ერთად გათქვეფილია
 ალი და შხამი სიყვარულისა.
 თითქოს აჩრდილი მთავრის ასულის
 იმის გულ-მკერდზე დაიწყებს
 ათრთოლვას...

უცებ მხეცქმნილი, წრეს გადასული
ბაღში მოსდგება ჭაბუკი ქროლვას.
ის ლოთღმილას უხმობს ტირილით,
ფშვნის ბორცვებს, ანგრევს კლდეებს
ყვირილით,
ფანჩატურებს და მწვანე წალკოტებს
ხმალითა ჰკაფავს, ლეწავს აქოთებს;
გაკაფულია სრულიად ტყენი,
წყალში ცურავენ ხიდები, ხენი;
ლაწა-ლუწის და გრუხუნის ხმანი
ძლიერდებიან ხეების ბანიით.
ყველგან იქ ხმალი სტვენს და
წერიალებს;

აქეთ და იქით დაბორიალებს
ულამაზესი კუთხის მტკეპნელი.
ვერ გაძღა იგი ნგრევით და რღვევით,
მარჯვნით თუ მარცხნით მახვილის

ქნევით
ჰაერსა სერავს მსხვერპლის მძებნელი...
უცებ შემთხვევით ხმაღმა იმისმა,
შემოქნეულმა დიდის მუქარით,
ქალწულს წაპვლიჯა ქუდი-თილისმა,
ჯუჯასგან წასვლის დროს ნაჩუქარი...
მყისვე გაქარწყულდა ძალა გრძნეული:
გამოჩნდა ქსელში გამოხვეული
მთვარის აული—ნანატრი ქალი
ხომ არ ატყუებს ნეტავი თვალი?!
ერთ წამს უცქერის მას ვაშტერებით
მერე უეცარ ბედნიერებით
აუჩვილდება მას გული რკინა
და დაიხოქებს მეუღლის წინა.
უწიწკნის ბადეს, უკაცნის ხელსა,
თვითონ მისივე ცრემლებით სველსა,
ელერსება მას მოკრძალებით,
მაგრამ, თილისმურ შელოცვით კრული,
შეპყრობილია ქალწული რულით,
მას დახშული აქვს ბაგე, თვალები.
ისევ იხარა ბოროტმა ფესვმა—
ტანჯვა-წამება კვლავ საშინელი...
უცებ ნაცნობი ხმა ჭაბუკს ესმა,
კეთილისმყოფი ამბობს ფინელი:

„გამაგრდი, მოყმევ! მძინარე ქალით
გმართებს უკანვე გამობრუნება;
გული იდივსე ახალის ძალით
და არ შელახო გვირის ბუნება

უბედურება იქცევა ლხინად,
განადგურდება ბუღე ჭირისა;
იქ, ნათლით მოსილ კიევესა შინა,
ქალწულს წინაშე ვლადიმირისა
განერიდება ჯადო ძილისა.
რუსლანისათვის ეს, რაც ისმინა,
იმედი იყო და დიდი შველა;
მკლავზე მეუღლე გადაიწვინა
და მაღალი მთის თხემიდან ნელა
დაბლა ჩავიდა მღუმარე ველად.

ჩუმაღ წავიდა ის თავის გზითა,
უნაგირს უკან ჯუჯაცა ზიდა;
გვირს ლიუღმილა მკლავებზე უწევს.

ქალწულის ღაწვი ჰგავს ვარდის
ფურცელს.

კულულებს მისას, ხვეულს ბეჭდებდა,
ელერსება სიო ველისა;
ოხრავს, და ნატვრა სასურველისა
ზოგჯერ სახეზე აღებეჭდება.
იღუმალ ფიქრსა და ოცნებაში
მას ეხატება ძვირფასი გვირი,
და ამ შეუცნობ ნეტარებაში
მეუღლის სახელს ჩურჩულებს პირი...
თითქოს ოქროთი გავსია კალთა,
ვაეი. დაჰხარის ფშვინვას გრძნეულსა,
დასცქერის ღიმილს, ცრემლიან თვალითა
და მძინარე მკერდს ზეაწეულსა...

ამავე დროს კი ველებით, მითითა,
ბნელი ღამითაც, არა თუ დღითა,
მიდის უწყვეტლივ ჭაბუკი ჩქარი.
ჯერ კვლავ შორსაა სანუკვი ზღვარი,
ქალწულს კი სძინავს. ნუთუ ეს ქმარი,
სასიყვარულო ცეცხლით ვნებული,
მხოლოდ დარაჯი იყო ცოლისა,
და სრულად ჰქონდა დაოკებული
ძალა სურვილთა შემოწოლისა?
ნუთუ, ქალწულს რომ დასჩერებოდა,
მხოლოდ იმისი ნატვრით სტკებებოდა?
ბერი, რომელიც ჩვენ ეს თქმულება
შემოგვინახა, ის ირწმუნება,
თამამად ამას, და მჯერა მეცა.
ტლანქია, კაცი იქვეა მხეცად,
თუ სიყვარულით იმისმა ტყობამ

არ გააღვიძა ქალშიაც გრძნობა.

ჩვენ ბედნიერი ვართ მხოლოდ
წყვილად.

მწყემსი ქალივით ეძინა ტკბილად
მთავრის ასულსაც; ეს მისი ძილი
არა ჰგავს თქვენსას, ო, ქალწულებო,
როცა ზაფხულზე წვეხართ უღებოდ
მწვანე ბალახზე, ფართლნი ჩრდილით.
მე მახსოვს ერთი მინდორი მრგვალი,
გარს ერტყა არყის ტყე განიერი.
მახსოვს მე მწუხრის ბინდბუნდი

მკრთალი,

მახსოვს იქ ლიდას ძილი ცბიერი...

ოჰ, სიყვარულის ამბორი ტკბილი,
პირველი კოცნა, საესე ვნებითა,
სუსტი იყო, რომ განეფრთხო ძილი,
დამძიმებული მოთმინებითა...

მაგრამ ამდენი ჩამახვაცა ემარა!
შორს მოგონება სიყვარულისა!
მისგან ლხინი და ტანჯვა გულისა
მე დავეიფიყე საყმაოდ ჩქარა.
ახლა ვერთობი გმირით ამ ორიით —
ცოლ-ქმრით, აგრეთვე ავ ჩერნამორით.

წინ ტრამალია, ვერ სწვდება თვალი, —
აქა-იქ ნაძვი ზედ ამართულა;
მკაცრი გორაკის მწვერვალი მრგვალი
ლურჯ ცაზე შავად გამოხატულა.
რუსლანი უკვრეტს, და მიხვდა ჩქარა:
გორაკი უკვე თავს ემგვანება;
თითქოს შერანი გარდემქვა ქარად,
სასწრაფოდ მისკენ მიეჭანება.

გამოჩნდა კარგად ეს საოცრება,
გამომზიარალი უძრავ თვალითა;
შავი ტყესავით თმა ექოჩრება,
აწვდილი შუბლის ცივ ფიქალიდან.
ლოყებს არ უჩანთ სიცოცხლის კვალი,
და ღია პირი უზარმაზარი,
თითქოს ტყვიან, ისეა მკრთალი.
ვეებერთელა და შესაზარი
კბილები ჯერაც არ დასცვენოდა.
უკანასკნელი დღე დარჩენოდა
თავსა ამ ქვეყნად საცხოვრებელი.
მიეჭრა მოყმე, მტრის ამკლებელი,
მხნედ მოღწეული მასთან შორიდან
მეუღლითა და ჩერნამორითა.

შესძახა მკვირცხლად: „სალამი თავსა!

შეხედე შენს ძმას, შენს ჯალთს შავსა,
მოგვარე დასჯილ-დატყვევებული“
ამას ეტყოდა გმირი ქებული,

და თავს ამ სიტყვამ განუკრთო რული,
კვლავ დაუბრუნდა სიცოცხლე კრული,
შეხედა, იცნო ვაჟაკი დიდი,
ძმაც იცნო ბილწი, ქვემძრომი, ფლიდი,
და საზარელი აღმოხდა გმინვა,
თითქოს ზეციდან მოისმა გრგვინვა...
გაუფართოვდნენ მას ნესტოები,
შეწითლდნენ ღაწინი, ქვეულნი

ნაცრად,

და მიმკვდარ თვალთა ქუთუთოები
უკანასკნელად შეთრთოლდნენ

მკაცრად-

თავის დიდ რისხვას ის უბედური
გამოხატავდა კბილთა ღრქენითა,
ცდილობდა თანაც, რომ საყვედური
ეთქვა ძმისათვის დაბმულ ენითა...
იმ ბედუკულმართს, სჩანდა, რომ ამით
ზანგრძლივი ტანჯვა უთავდებოდა;
სახეზე ფერი, მოსული წამით,
ახლა ისევე მთლად უჭრებოდა;
გადუტრიალდნენ თვალნი ვეება,
და სული მისი სიკვდილს შეება.
თავს დაუფელა ძილი მარადი...
ყმამ მოიხადა ჯერ მუზარადი,
მერე თავის გზას გაუდგა ცხენით;
ჩანთაში ჯუჯა ღრმადა ძვრებოდა
და რაღაც შავი წიგნების ენით
ქაჯებს მხურვალედ ევედრებოდა.

ერთი პატარა მდინარის პირას,
ფართოდ გაშლილი ფიჭვების ძირას,
გადაგვერდული ქოხმაზი სჩანდა.
წყალი იქ იყო ნელა მდინარი,
ტალღა იმისი, თითქოს მძინარი,
ალერსით ლერწმის ღობესა ჰხანდა
და, შერხეული ნიავის ფრთითა,
მიღუღუნებდა საამურ ხმითა.
იქ ის ხეობა იმალებოდა,
დაცული სრულად ყოველი მხრიდან;
ღრმა მღუმარება დაუფლებოდა
მას თითქოს ქვეყნის გაჩენის დღიდან.
იქ შეაყენა ჰაბუკმა ცხენი.
გარს ყოველივეს მშვილად სძინავდა;

მზის ამოსვლის ქაშს ხეობა, ტყენი
 გაცრეცილ ნისლში ნაზად ბრწყინავდა.
 რუსლანი აწვეს მდელით ცოლსა,
 წინ მიუჯდება ის გულის ტოლსა
 და ტბილი სევდით ეხრება თავი...
 მერე, მღინარეს რომ გასცქეროდა,
 შენიშნა ერთი მცურავი ნავი;
 მასში მეთევზე ძლიერი მკლავით
 ნიჩაფს უსევამდა, თანაც მღეროდა.
 ბადენასროლი არღვევდა წყალსა
 ტყით შემოსილი ნაპირისაკენ,
 სწორედ ფიჭვნარში მდგარ ქობისაკენ;
 ნავი ნაპირსა მიადგა წყნარად;
 ქობიდან გარეთ გამოდის ჩქარა
 მას ადევნებდა რუსლანი თვალსა:
 შორბის ქალწული; წერწეტი ტანი,
 უყურადღებოდ ნაშალნი თმანი,
 ღიმილი, მზერა დამშვიდებული,
 მკერდი და მხრები გატიტვლებული —
 კაცს მოხიბლავდა ეს ყველაფერი;
 გრძნობით მოხვიეს ერთმანეთს ხელი,
 მონახეს კუთხე იქ შესაფერი,
 დასვენების დრო საამო, ნელი
 მათ სიყვარულში რომ გამდნარიყო.
 გაკვირებული მისჩერებოდა
 ქალ-ვაჟს კაბუჯი; უკვე ხედებოდა,
 თუ აქ მეთევზედ ვინ გამხდარიყო.
 ხაზარელ ხანსა სახელოვანსა,
 რატმირს, ბრძოლაში და სიყვარულში
 იმის მეტოქეს ძალგულოვანსა,
 ამ უდაბნოში, ყოვლგნით ფარულში,
 თურმე სრულებით დაჰვიწყებია
 ლიუდმილა და გმირის დიდება;
 აქ ტურფა ქალწულს შეჰკვედლებია,
 მასთან უნახავს მას დამშვიდება.
 მოვიდა ახლოს კაბუჯი ქველი,
 იცნო რუსლანი მყის განდევლიმა;
 ძახილით მისკენ გამოფრენილმა
 მას მეგობრულად მოხვია ხელი.
 რუსლანი ჰკითხავს: რას ხედავს
 თვალი?!

შენ აქ ცხოვრება თავსა რად იღე?
 რა მიზნით დასთმე ბრძოლები—ხმალი,
 რომლის სახელიც შენ განადიდე?
 „მშაო, მიუგებს ხანი გუნებულ,
 მოპბეზრდა სულსა დიდება მტენარი,

ომის ქარცეცხლში მოპოებულს;
 მერწმუნე, რუსლან: ცხოვრება წყნარად,
 მუხნარში სადმე განმარტობა,
 იქ სიყვარული და სათნობა
 საამურია ათასჯერ მეტად,
 ვიდრე ომები, ხოცვა და ქლექა.
 გულში ჩავიკარ მხედრული ტინი,
 დავგმე სიგიჟე ხარკის მთხოველი,
 ქვეყნად ვიგემე ნამდვილი ლხინი
 და დავივიწყე მე სხვა ყოველი.
 თვით ლიუდმილაც ჩემთვის შეკდარია...
 — ძვირფასო ხანო, მე მიხარია!
 უთხრა რუსლანმა, ის ჩემთან არი. —
 „მართლა? რა ბედით, რაგვარის ძალით
 ამოეცალა გულს ეკალ-ნარი?
 შენთან!.. სად არის მთავარის ქალი?
 მიჩვენე... მაგრამ არ მინდა, არა, —
 ეშინობ არ მოდგეს ლალატი კარად,
 მყავს მეგობარი — ეს ჩემთვის კმარა.
 მის გამო, მისის მეოხებითა,
 ვარ ბედნიერი. ვცხოვრობ შევებითა;
 ჩემი სიცოცხლე და სიხარული
 ეს არის! ამან მანუქა კვალად
 ახალგაზრდობა, მოკლული ძალად,
 სულის მშვიდობა და სიყვარული.
 მე შირიდებოდნენ ბედნიერებას
 ბაგენი თორმეტ ჯადოსან ქალთა,
 მაგრამ მათ აღერსს და მოფერებას
 უარჩიე ამის ღარიბი კალთა.
 დავთმე მათ კოშკში ლხინი მარადი
 და თავისუფლად გავშალე მხრები;
 დავაგდე ხმალი და მუხარადი,
 გადავივიწყე სახელი, მტრები.
 თავს აქ მარტივი ცხოვრებით ვართობ,
 უარყოფელი მთლად წარსულისა;
 ვარ შენთან ერთად, ძვირფასო, მარტო
 შენთან, სინათლე ჩემი სულისა!“
 ასე მსჯელობდნენ, და მწყემსი ქალი
 იყო იქ სმენად გადაქცეული;
 მას ხანისათვის მიეპყრა თვალი,
 თანაც ოხრავდა ღიმპორეული.
 მოსაუბრენი გულისხმიერად,
 შეღამებამდე წყლის პირას მჯდარნი,
 ჰგრძნობდნენ კაბუჯი თავს ბედნიერად.
 სწრაფად გარბოდნენ საათნი ჩქარნი;
 ტყემ და მთამ შავად შეითქვა პირი,

მთვარე ამოდის შუქთა მდინარი; დროა, თავის გზას გაუდგეს გმირი, და მან მეუღლე თვისი მძინარი დაპატარა რიდით, მოახტა ცხენსა, ღონიერსა და ქარივით მფრენსა. მას მისდევს ფიქრით მღუმარე ხანი, დალოცა მისი ცხოვრების გზანი: უსურვებს ქაბუქს ღონის და შვებასა და მტერთა ზედან გამარჯვებასა... თან გაახსენდა ცხოვრება ძველი, და იგრძნო გულში მან სევდა ნელი...

რატომ არ მომცა განგებამ ნება მე, მგოსანს, ნაღვლით

გულგაბზარულსა, მხოლოდ გმირობას შევესხა ქება, თან მეგობრობას და სიყვარულსა, მიწას რომ ძვირად ესტუმრებიან? ალბათ მე ასე დამხედებია, რომ — არც ბოღიში, არც მორიდება — ღაღადეყო მწარე ქეშმარიტება, მუხანათობა ვამხილო შავი და ბოროტებას ვაგადრო ტყავი.

ტყვე ქალის ამბის ვერ გამგებელი, მისი უღირსი მაძიებელი, გმირულ საქმეზე ხელაღებული ფარლადი, სრულად მივიწყებული, ერთ უდაბნოში იმალებოდა და იქ ნაინას ელოდებოდა. დაუდგა კიდეც ზეიშის ქამი: მას კუდიანი ეწვია ღამით, ჰკითხა: „მიცანი მოსარჩლე შენი? აღექვ. გამომყევ: შექაზმე ცხენი!“ და მყისვე, კატად გადაქცეული, მას წინ წაუძღვა ქალი გრძნეული. ფარლადიც გაჰყვა თავის ნებითა მუხნარის ბნელი ბილიკებითა.

მოჰკიდებოდა ფართო ველს რული ღამის ბურუსის მოძრავ მორევში, შეეცურდებოდა მთოვარე სრული ხან ერთ ღრუბელში, ხან მეორეში, და დროგამოშვებ იმისი შუქით გაირკვეოდა ყორღანი მუქი, რომლის ძირს ერთი ღამისთვის ბინა

ეპოვნა რუსლანს; იქ ჩემად მჯდობრიო თავის ძვირფასი მეუღლის წინაშე იგი მწუხარე ფიქრების სჯარასწამს იყო მოცული. მორიდებითა წამოფარდატდა ცივი ფრთებითა ძილი; ქაბუქმა დაბინდულ თვალით ერთ ხანს უცქირა უძრავად მწოლსა თავის უმანკო, მშვენიერ ცოლსა, მერე დაჰკარგა სიცხადის კვალი და ქუთუთოვებ-დამძიმებული მის ფერხითი მიწვა დაძინებული.

ნახა სიზმარი მისახვდომელი ქაბუქმა გმირმა: მთავრის ასული, ბნელი უფსკრულის თავზე მდგომელი იყო უძრავი და ფერწასული... უცებ უფსკრულში ქალწული ჰქრება... დგას იქ რუსლანი, მისი მხლებელი... ქვევიდან კენესა მომწოდებელი, ლიუდვილას ხმა, მის ყურსა სწვდება. ძირს გადაეშვა—სწყურიან გმირსა, მეუღლე თვისი რომ დახსნას ჰირსა... უცებ იხილა იქ თავის წინა: მალალ სამთავრო დარბაზსა შინა, გარემოცული თორმეტის ძითა და ბუმბერაზთა ჰალარა წრითა, მზე-ვლადიმირი, მთავარი დიდი, მოხატულ სუფრას უსიტყვოდ უზის. სხედან სტუმრებიც უძრავად, რიდით, რომ გაფრენაც კი გაიგონ ბუზის. რისხვა ემჩნევა ჰალარა მზესა, როგორც იმ გაყრის შემზარავ დღესა. ასეთი სახით მას რომ ზედავენ, სხვანიც ხმის დაძვრას ვერა ჰბედავენ. აღარ ხალისობს წვეულთა დასი, აღარ ტრიალებს გარშემო თასი... რუსლანი ხედავს ამ შეკრებაში როგდაის, მოკლულს შებრძოლებაში: როგორც ცოცხალი, ისე ზის მკვდარი; შესევამს დოსტაქანს აღქაფებულსა ის, მხიარული, ფიცხი და ჩქარი; არც უმზერს რუსლანს გაოცებულსა. ზის იქ აგრეთვე ყმაწვილი ხანი, სხვა მტერ-მოყვარეც სჩანს რუსლანისა... უცებ გაისმა საკრავის ხმანი,



ტკბილი სიმღერა ბაიანისა,
 გმირებს რომ აქებს დიდის დიდებით.
 უცებ შემოჰყავს ხელჩაქიდებით
 იქ ლიუდმილა ფარლავს თამამად.
 მზე-ვლადიმირი, მეფე და მამა,
 მათ დანახვაზე არც შერხეულა,
 ესოდენ იგი სევდით ძლევულა.
 მან მხოლოდ თავი დადრია ნელა.
 დაღუმებულა სტუმარიც ყველა...
 ჩვენება გაჰქარა—სიცივე მკვდრული
 დაძუფლებია ჰაბუკს მძინარსა.
 ღონე მიხდია მას მძიმე რულით,
 აკვნესებულს და ცრემლთა მდინარსა.
 ფიჭრობს: ესაა სიზმარი ავი!
 მაგრამ არ ძალუქს წაართვას თავი.

სპეტაეღ მთვარე გორავს დაჰნათის;
 დაღუმებულან ველები, ტყენი...
 მათ მიუყვება გზა მუხანათის, —
 იგი თამამად წინ მიჰქრის ცხენით.

გამოჩნდა მის წინ მინდორი მრგვალი;
 მან მთვარის შუქში მოაელო თვალი,
 რომ იქ ამართულ ყორღნის ძირასა
 სძინავს მთავრის ქალს — ლიუდმილასა.
 მის ფერხითთა წევს ჰაბუკი ჩენი,
 ყორღნის გარშემო კი დადის ცხენი.
 ბურუსში ჰქრება ქალი გრძნეული;
 ხოლო ფარლავი გულგაღებული,
 შეშინებული საქმით ძნელითა,
 აღვირს გაუშვებს ცივი ხელიდან
 და ძლივს აშიშვლებს მახვილის პირსა;
 უნდა, რომ დაჰქრას მიბარვით გმირსა
 და იგი ორად გააპოს ხელად...
 მოუახლოვდა, რა იგრძნო მტერი,
 ჰაბუკის ცხენი, მავალი მცველად,
 შეშფოთდა, ტორით აჰყარა მტვერი,
 დაიკიხენია, — ნიშანი მტყნარი!
 არ ესმის რუსლანს; ისე ვით მკვდარი,
 წევს გაუნძრევლად ჰაბუკი ქველი,
 საშინელ ძილით დამძიმებული.
 ხოლო ფარლავი, გამხნევებული
 როკაპისიგან, ბინძური ხელით
 გმირს ჩასცემს მკერდში სამჯერ
 მახვილსა...
 და აი, ფარლავს დაბლა დახრილსა

აუყვანია მძინარი ქალი.
 გახარებულმა ჯერ ჩაიცივნა
 მერე მკლავებზე გადაიწვინა,
 და თავის ცხენით გაქანდა მზღალი.

მთელ ღამეს იწვა უძრავად გმირი
 და ჰრილობების გახსნილი პირით
 სისხლი სდიოდა მდინარესავით.
 როცა გათენდა, სუსტად მკვენესავი,
 წამოიწია დიდ გაწვალებით
 და გაახილა ნელა თვალები;
 მაგრამ ისევე, მოცული რულით,
 დაწვა და კიდევ აღმოხდა სული.

ქება მიქჰმსი

მე შენ მიბრძანებ, ო, სულის ტოლო,
 რომ ნათელ ქნარზე მსუბუქი ხელით
 გაღმოცემები ვამღერო ძველი
 და ერთგულ მუხას შევწირო მხოლოდ
 ჩემი ძვირფასი მოცალეობა...
 თვით იცი კარგად: როცა მხნეობა
 მეყო მისთვის, რომ თავქარიანი
 მითქმა-მოთქმისთვის ჩამეგდო ენა,
 მე, ბედნიერი, ხალისიანი,
 გადაქცეული მთლიანად ლხენად,
 შორს გაეფრბოდი საყვარელ ქნარსა,
 აგრეთვე შრომას, ბეჯითს და წყნარსა.
 ჰარმონიული შექცევა დავთმე
 და სხვა მოვნახე წყარო შევებისა.
 შენით მსუთნაქვებსა არ მზიბლავს აწ მე
 ხევეა სახელის და დიდებისა.
 მე გამეყარა ჩემი გენია
 აღმთფრენათა და ტკბილ ზრახვათა;
 აწ სიყვარულით ცრემლი მდენია,
 ვნება მაჩნია გულზე დაღათა.
 მაგრამ მებრძანა მე შენის პირით,
 რომ არ ავიღო შეთხზვაზე ხელი
 და გავაგრძელო ამბავი ძველი;
 ლიუდმილა და რუსლანი გმირი,
 ჩერნამორი და თვით კუდიანი,
 კიდევ ფინელი გულდარდიანი
 ართობდნენ ხოლმე შენს ოცნებსა.
 როცა გასმენდი გმირთა ქებასა,
 ზოგჯერ შენ სთვლემდი გაღიმებული,
 მაგრამ ხანდახან თვალაღზნებული

მიმწერდი მგოსანს ენაწყლიანსა.
 მამ გადაეწყვიტე: ქნარს ტყბილხმიანსა
 მოვმართავ ისევ ზარმაცი ხელით,
 შენს ფერხთა წინა დავეჯდები წყნარად,
 და გმირ ქაბუქსა, ღირსების გვარად,
 შეამკობს ჩემი სიმღერა ნელი.

მაგრამ რას ვამბობ? გმირი სად არი?
 მკვდარს ყორღნის ძირას წაუდევს თავი;
 შემწყყდარა სისხლი, ღვართა სადარი,
 მალა დაფრინავს ყორანი შავი.
 სდუმს მისი ბუკი მაღალხმიანი,
 აღარ ირხევა ზუჩი თმიანი!
 გაქვავებულა ცხეღარი ცივი.
 ცხენი მწუხარე გარს დასტრიალებს;
 აღარ უელავს თვალეშში სხივი,
 ოქროვან ფაფარს არ აფრიალებს,
 აღარ მიმორბის ქარივით ჩქარი,
 სურს ნახოს გმირი თავაწეული...
 მაგრამ ვერ აღგვს მოყმე რჩეული,
 ველარ აულერდეს იმისი ფარი!

ჩერნამორი კი? ის ჩანთაშია
 კუდიანისგან დავიწყებული.
 არ იცის ჯერ, თუ საქმე რაშია;
 დაღლილი, დიდად გაჯავრებული,
 ბუმბერაზ ქაბუქს, აღესილი შურით,
 ლანძღავდა ჩუმად და აგინებდა;
 ძილი უნდოდა, ვერ იძინებდა,
 და, ერთ ხმასაც რომ ვერ მოჰკრა ყური,
 თავი ამოჰყო — საოცარია!
 ხედავს — რას ხედავს?! — გმირი
 მკვდარია,
 სისხლის ვეება მორევში მწოლი;
 ლიუდმილა კი, იმისი ცოლი,
 არა საჩანს; ველი ცალიერია:
 სიხარულით ის ცასა სწვდებოდა:
 თავისუფლება ხელში სჭერია!
 მაგრამ ბებერი ჯუჯა სცდებოდა.

ამავ დროს კიევეს მიეშურება,
 ნაინას მიერ გამხნევებული,
 ფარლაფი; ის ბედს არ ემღურება:
 ნადავლი უცხო და დიდებული —
 მთავრის ასული მიძინებული,
 მას, შეშინებულს, უპყრია ხელთა.

უკვე დნებრის ხმა აყრუებს ველთა.
 უკვე ქალაქი წინ აღიმართა
 მოოქროვილი და მოელვარე,
 ფარლაფმა ცხენი იქით მიმართა,
 და მალე ქუჩებს ხალხი მღელვარე
 მოედო; მხედარს მისდევენ ჩქარსა,
 ბედნიერ მთავარს რომ მოჰკრან თვალი,
 როს დაკარგული მიუვა ქალი.
 და, ჰა, მიაღვა სასახლის კარსა
 ის მოღალატე — ფარლაფი მხდალი.
 მზე-ვლადიმირი, სევდით ვნებული,
 თვის მაღალ კოშკში დაბრძანებული,
 დახნებებოდა ფიქრს გულის ტყენით.
 დიდებულები, მოყმენი მხნენი
 ისხდნენ გარშემო დაღვრემილები.
 უცებ ხმაურით შეშფოთდა ბინა
 და ესმის მთავარს: პარმლის წინა
 კაცნი და ქალნი თავმოყრილები
 ღელავენ; აჰა, იღება კარი
 და შიგ შემოდის ქაბუკი ჩქარი.
 ადგნენ; ფიქრობენ: მაინც ვინ არი?
 შემოასვენა ორივე ხელით
 მან ლიუდმილა ტყბილად მძინარი.
 ფარლაფი.. ნუთუ ესაა მხსნელი?
 მყისვე მთავარი მოხუცებული
 ზე წამოდგება გაფითრებული,
 ასულისაკენ მიეშურება
 მიიმე ნაბიჯით; საბრალო ქალსა
 მისი ცრემლები ზედ ეპკურება,
 მაგრამ ის მაინც არ ახელს თვალსა;
 მკვლელის მკლავებზე, ნათილისმარი,
 თუ შეპყრობილი უცხო სიზმარით,
 სთვლემს. ყველა მთავარს მისჩერებია
 რაღაც ბუნდოვან მოლოდინითა;
 მთავარსაც ენა დასდუმებია —
 ქაბუქს, შემოსილს ჯავშან-რკინითა,
 ჩუმად უცქერის. ფარლაფიც
 ფრთხილად,
 პირზე მიიდებს თითს ეშმაკურად,
 სთქვა: „ლიუდმილა მიიქცა ძილად,
 თვალეში მისი ჯადომ დაბურა.
 მე ასე ვნახე მურომის ტყეში
 იგი სასტიკი ტყისკაცის ხელში;
 სამ დღედაღამეს ვიბრძოლეთ
 ცხარედ, —
 ისეთი საქმე სად მოხდებოდა? —

სამეგრეო მოასწრო ამოსვლა მთვარემ,
ვიდრე ეს ომი დასრულდებოდა.
იგი დამარცხდა, ჩემგან ვნებული,
ხოლო ქალწული მიძინებულნი
მე მერგო, მისთვის თავგამწირველსა.
მაგრამ ვინ შესწყვეტს ძილს


საკვირველსა?

როდის ეღირსოს გამოძინება?
ცის განაჩენი ასახდენია:
მხოლოდ იმედი და მოთმინება—
სხვა არაფერი არ დაგვრჩენია“.

საბედისწერო ამბავმა ჩქარა
მიმოიბინა ქალაქი მთელი;
გამოფინენ ეხოთ და კარად
მოქალაქეთა ჯგუფები პრელი.
ყველასა ჰქონდა დიდი სურვილი,
და დართეს კიდევ ამისი ნება,
რომ შესულიყვნენ იქ, სადაც ნებად,
უძვირფასესი ფარჩით ბურვილი,
იწვა უძრავად მთავრის ასული.
იყო ის კუშტი ჰაბუკებითა
და თავადებით შემოგარსული.
თავს დასძახიან ქალს ბუკებითა,
დაფ-დაირებით, ბარბითებითა,
მაგრამ არ ისმენს ამ ხმებს მძინარი.
მაშინ მას, ტანჯვით გულდანაღარი,
დიდი მთავარი თვისი ჰალარით
ფეხებზე ეკერის ცრემლთა მდინარი.
ხოლო ფარლავი, მის აზლოს მდგარი,
გაფითრებულა, ისე ვით მკვდარი,
და მოცახცახე ძირს იხედება,
თითქოს თავისი გათავხედება
აზლა უგრძენია ეშმაკის წილსა.
დიდამდა, მაგრამ ქალაქში ძილსა
არ დაუხშვია არავის თვალი.
გაოცდა ხალხი თილისმის ძალით,
და მის შესახებ მსჯელობდა ყველა.
რომლისგან ალბათ არ იყო შველა,
ყმაწვილ ცოლს ქმარი შინ იფიწყებდა,
როცა ამაზე ბაასს იწყებდა.
მაგრამ როგორც კი შუქი მთვარისა
სხვიმა ჩააქრო განთიადისამ,
მთელი კიევი სხვა მღელვარებით
შეშფოთდა. ატყდა აურზაური,
შეხლამეშობლა, დიდი ხმაური;

ქალაქის ზღუდის ყველა კარები
დაჰკეტეს მყისვე. ზღუდეზე მდგარი
მოქალაქენი ხედავენ: გაღმა
იფეთქა თეთრი კარვების ბაღმა,
ცეცხლის ალივით ელავენ ფარნი,
მხედრები ცხენებს დააჰვენებენ.
და ველზე შავად მტვერს აყენებენ.
გზებზე ურმები გამწკირვებულან,
ბორცვებზე ყველგან ცეცხლის ალია.
ვაგლახ, — ეს რაღა დასამალია? —
ჰაჰანიგები ამხედრებულან!

ამდროს ფინელი, მისანი მშვიდი,
გრძნეულ სულების ბატონი დიდი,
აულელვებლად ელოდებოდა,
თუ ის დღე როდის გათენდებოდა,
რომელიც დათქვა ბედმა წყევლმა,
მისგან წინასწარ გამორკვეულმა.
მიუდგომელი მთების გადაღმა,
სად ქაჯთაგანი ვერაფერ ავა,
სადაც უდაბნომ, სიცხით ნადაღმა,
ქარნი, გრიგალნი დააბინავა,
გასაოცარი ველია სწორი.
იმ უტხო ველზე წყაროა ორი:
ერთი მდინარებს ცოცხალი ჰველით,
ქვებიდან ქვებზე ჩხრიალა ჩავლით,
მეორეს ჰველი კი არის მკვდრული;
გარს მოსდებია ყველაფერს რული,
იქ ნიაფიც კი არ იძვრის ნელი,
არა ხმაურობს ფიქვნარი ბნელი,
და სიცხიან დღეს ვერ შედავს შველი
შეახოს ტუჩი იღუმალ წყალსა.
ორი რამ სული დასაბამიდან,
შეუსვენებლოვ, დლით და ღამითა,
უსიერ ნაპირს აპყრობდა თვალსა...
მათ ორი დოქით წარუდგა წინა
მეუდაბნოე მოხუცებული;
დაფრხნენ სულები შეშინებულნი
და თავიანთი დასტოვეს ბინა.
აავსო ხელად იმან დოქები
ქალწულდებრივი იმ ორი წყალით.
გაჰქრა ჰაერში იმისი კვალი,
და მყის წარუდგა წინ დამოქებით
საყვარელ რუსლანს მიცვალებულსა,
მისსავე სისხლში ამოვლებულსა.
მოხუცმა ჰაბუკს აპყურა ნელა



სიკვდილის წყალის კამკამა ნამი,
და კრილობები გაბრწყინდნენ ხელად,
უცხო სიტურფით აპყვავდა გვამი.
კეთილშობილმა მოხუცმა მაშინ
მას მოასხურა სიცოცხლის წყალი;
კვლავ ჩაუსახლდა სული მას ტანში,
ალიგსო გმირი ახალის ძალით,
ზეზე წამოდგა და ხარბის თვალით
შეხედა იმან ტურფა დილასა.
თითქოს წაართვა მძიმე ძილს თავი
და მოიშორა სიზმარი შავი.
მაგრამ ვერ ხედავს ლიუდმილასა.
სადაა? წამით ქცეული რვაღად,
გმირი კენესის და სუსტდება კვალად,
ვერ უმკლავდება აზრს საშინელსა.
ისევ აღიგზნო: ხედავს ფინელსა,
ეხვევა იგი და ეფერება,
ეტყვის: ო, შვილო, აღსრულდა ბედი!
ცა მოგობრუნდა წყალობით მხედი,
აწ შენ მოგელის ბედნიერება;
ნადიმი გინმობს შენ სისხლიანი.
იელვებს შენი ხმალი ფხიანი,
იგი ღვთისრისხვეს დაატეხს მტერსა,
დაუბრუნდება მშვიდობა ერსა,
და იქ, კიევში, უგრძობლად მწოლო
დაგხედება, გმირო, ძვირფასი უოლი.
ამ აღთქმულ ბეჭედს შექთა მფინარსა
შეახტე შეღბზე ქალწულს მძინარსა,
და მოეხსნება ჯადო ფარული,—
მტერი დარჩება გულგაბზარული,
შეიმღსრება კაცთა სიავე
და დამყარდება სრული სიავე,
მეფობა მადლის და სიკეთისა.
ღირსნი იყავით თქვენც იმ ბედისა,
რომელიც უნდა გეწვიოთ სახლად!
ჩემო ჭაბუკო, მშვიდობით ახლა
ხელი მომეცი... იარე ჩქარა.
საიქიოში — უმალ კი არა —
მოხდება ისევ შეხვედრა ჩვენი “
სოქვა ეს და გაქრა. გულადგზნებულნი
ბედნიერებით, უსიტყვო ღხენით,
სიცოცხლისათვის გაღვიძებული
რუსლანი გასწვდის მის მიმართ
ხელებს...

მაგრამ არ ითქვა იქ სიტყვა მეტი.
გარს ხედავს მხოლოდ ცალიერ ველებს.
ცხენი იმისი ლაგამის კენეტით,

ჩანთაში მკვდარი ჩერნამორითა,
სწრაფად გაქანდა გეზით მკურნითა;
სთელავს კიხენით იგბ მონ-პარსსა
ქარს აწეწვინებს ძუა-ფაფარსა,
ტყვეს მიუყვება, მდინარის პირსა
და შინისაკენ მიაფრენს გმირსა.

რა სამარცხვინო შესახედია,
კიევი ალყა-შემოვლებული!
ხალხს ცრემლი ველარ შეუშრეტია,
შეშფოთებული, შეძრწუნებული,
ციხე-კედლებზე ჩამწკრივებული
გაჩერებულა და ელოდება
ზეცის რისხვესა ვაით და ვიშით.
სახლებში ისმის ჩუმი გოდება
ქუჩებში მეფობს დუმლი, შიში.
ღიღი მთავარი განმარტოებით
უზის თავის ქალს და სასოებით
ღმერთს ევედრება დანაღვლებული;
სჩანს ბუმბერაზთა გულმხნე კრებული,
ის თავის ერთგულ ჯარაბიანად
მალე შეუტრებს მტერს რიხიანად.
დღეც დადგა. ურღო შემომტევე ჯართა
გორაკებიდან დაიძრა დილით
და, ღვართქაფივით ველებზე შლილი,
დედაქალაქის ზღუდითა, ქართა
შესამუსსრაფად მორბოდა სწრაფი.
ჩაჰბერა ბუქსა, დაუკრა დაფი
მაშინ ქალაქის დამცველმა ჯარმა;
გაიტაცაო ის თითქოს ქარმა,
მტრისკენ გაიქრა რისხვით და
წყრომით.

შეხვდნენ ერთმანეთს — და ატყდა ომი.
სიკვდილის სუნთქვას ყნოსვით
ხედებიან

იქ ცხენები და ყალყზე დგებიან.
ფარები ფარებს ეჯახებიან
სტევით გაფრინდა ტყე ისრებისა
და ჩახაჩუხი ისმის ხმლებისა;
და სისხლის ღვარით მოირწყო ველი.
რაზმს ეცა რაზმი ცხენოსნებისა,
და ნეტა ვილა გადაჩრჩეს მრთელი!
უტრევს მრისხანედ კედელს კედელი,
და არის ჩეხვა განუწყვეტელი —
ხან აქითაა ძლევა, ხან იქით.

აქ მხედარს ეცა ქვეითი ღრენით,
 იქ ღარბის შიშით დამფრთხალი ცხენი,
 აქ რუსი მოკვდა, იქ პაჭანიგი.
 ეს ლახტნაკრავი დასმულა კისრით,
 ის მოკლულია მსუბუქი ისრით;
 ერთი რომ ფარქვეშ გაჰყლიტებია,
 მეორე ცხენით გათელილია,
 ისინი ისე შეხვდნენ ღამესა,
 რომ გამარჯვების არ სჩანდა კვალი;
 ზედ გადააწვეს მკვდართა გვამებსა
 და იმავე წამს მოხუტეს თვალი;
 ღრმა ძილს მიეცნენ ძალმიზდილები;
 მხოლოდ კენესოდნენ დაკოდილები,
 ან ვინმე რუსი მებრძოლი ცასა
 ლოცვა-ვედრებით შესთხოვდა ხსნასა.
 მოდგა რიყრაყი გაცრეცილ ჩრდილად,
 მდინარეს ვერცხლად ექცა ქაელები,—
 იბადებოდა საეჭვო დილა
 ბურუსით მოცულ აღმოსავლეთით.
 ნისლი გორაკებს, ტყეს ეცლებოდა
 და ზეცას ნელა ეღვიძებოდა.
 ჯერ ბრძოლის ველი ჰმონებდა რულსა,
 უმოქმედობას იჩენდა სრულსა;
 უცებ დაირღვა ძილი: ველები
 შეიძრა მტერთა აურზაურით,
 ხელახლა ატყდა ბრძოლის ხმაური;
 შეშფოთდნენ დიდად კიეველები;
 გარბიან, სკვრეტენ დაბნეულები:
 პაჭანიგების რაზმეულები
 ერთ უცხო მოყმეს გაურღვევია,
 ცხენზე მჯდარს ხმალი აუწვევია,
 აქეთ და იქით ჰკვეთსა და სჩეხავს,
 თანაც ბუკის ხმით ყურებსა ქმეხავს...
 ეს რუსლანია! ვით ზეცის წყევა
 დაატყდა იგი ბასურმანს თავსა;
 თითქოს იქ მტერთა ბანაკის რღვევა
 გამოეწვიოს უეცარ ზეავსა.
 ხადაც ხმალს იგი ააბრიალებს,
 ხადაც გაჩნდება იმისი ცხენი,
 იქ ღელესავით სისხლი თქრიალებს
 და იფინება რაზმების ტყენი.
 წამს აიბორცვა მინდორი მრგვალი:
 დახვავებულან დახოცილები,
 თავმოკრილები, გასრეისილები,
 ურიცხვი შუბი, კაპარკი, ხმალი.

ბუკი გამოსცემს ხმას გამკვეთრებით.
 მტერს რომ გონს მოსვლას სჩეხავს,
 დაახებონ,
 გმირის კვალს გაჰყვენ სლავთა
 მხედრები,
 ეს გაბედული თავდამსხმელები
 ვეღარ აწყობენ დაშლილ რიგებსა
 ეკვეთნენ... გასწყდით ბასურმანებო!
 შიში აგიყებს პაჭანიგებსა;
 და, რომ წაიფინენ უკან მრთელები,
 ცხენებს დასდევენ გარს გამგელებით.
 შესხდნენ, მიჰქრიან ველურ ძახილით,
 აფრთხობთ კიევის ბასრი მახვილი,
 საყოფელთაო აქ გაელეტასა
 ამგობინებენ იქ წაწყმედასა.
 რუსის მარჯვენსაც დაადგა იჯაფა.
 ხარობს კიევი... მაგრამ შიგ სწრაფად,
 ცხენს შეაბუნებს მხნე გოლიათი;
 აელვებს ძღვეის მახვილს ზეიადი,
 შუბი უპურია ვარსკვლავის ფერი,
 ზუნზე ფრიალებს ქაღარა წვერი,
 ჯავშნიდან სისხლი ჩამოსდის ღვარად.
 წინ მიისწრაფის გამხნეებულნი,
 განვლო ქუჩები აღელვებულნი
 და მყის მიიჭრა სასახლის კარად.
 შეყრილა ხალხი აღტაცებულნი
 და ესალმება გუგუნით გმირსა;
 ის შედის კოშკში მხრებგამართული,
 მთავრის ასული წევს იქ მძინარი,
 მზე-ვლადიმირი ფიქრში გართული
 და სევდიანი იმის წინ არი.
 სდგას მარტო. მისნი გმირნი ქებულნი
 მტრისკენ გაქანდნენ გააფთრებულნი.
 მხოლოდ ფარლაფი არ გაეცალა:
 ის თავს იკაეებს, ომს ერიდება,
 ახლა ამისთვის მას არც ეცალა, —
 იგი აქ, მტრის ხმლებს განრიდებულნი,
 სდგას მცველად, კართან აყუდებულნი.
 როგორც კი იცნო გმირი ქებულნი,
 სისხლი გაუშრა, თვალთ დაუბნელდა,
 ისე დაეცა გაშეშებული...
 რუსლანმაც იცნო ეს მუხანათი, —
 ღირსეულ სასჯელს ელის ღალატის
 მაგრამ აქვს კაბუქს სხვა საზრუნეო,
 კოლთან მიიჭრა, თავი დახარა,

ბექელი, ჯადოს დასათრგუნავი
 მთრთოლევარე ხელით შუბლს მიაკარა...
 და სასწაული: შეირხა ქალი
 და გაახილა ნელინელ თვალი!
 თითქოს ჰკვირობდა, რომ ღამე ბნელი,
 მისთვის აღმოჩნდა ესოდენ გრძელი;
 თითქოს ოცნება, სიზმრად ნახული
 მის თვალებშია გამოსახული...
 უეცრად იცნო მოყმე იქ მდგარი
 და ტურფამ გულში ჩაიკრა ქმარი!
 წარსულთან ისევ გაიღო ხიდი,
 ხარობს რუსლანი ბედობლიანი,
 და ბედნიერი მთავარი დიდი
 ჰკოცნის ძვირფასებს თვალცრემლიანი.

როთ გათავდება ეს გრძელი სიტყვა —

ხედები, ძვირფასო, როგორც გნევეთა!
 დაცხრა მოხუცის შემტდარა...
 სული არც ფარლათს დაუღვეია;
 იმან, რუსლანის წინ დამხობილმა,
 ამხილა თვისი ბოროტი გული;
 როგორც მშობელმა, ისე შობილმა,
 სრულად ისმინა მის მიერ თქმული.
 რუსლანმა ფარლათს შეუნდო ჩქარა
 მუხანათობა მისი წყევლი;
 ჯუჯა მიიღეს სასახლის კარად,
 რადგან დაჰკარგა ძალა გრძნეული.
 იქმნა ბოროტი საქმე ძლეული,
 და ლხინს მიეცა მთავარი ქველი,
 თავის ჯალაბით გარემოცული.
 აჰა, ამბავი გაიმბეთ ძველი,
 ღრმა წარსულიდან დღემდე მოსული.

მკილოზი

როცა ჰკვებავდა ჩემს ოცნებებსა
 უმოქმედობის წიაღი წყნარი,
 ბნელი წარსულის გადმოცემებსა
 მე ვადიდებდი მორჩილი ქნართი.
 მივენდობოდი სიმღერის ძალას
 და ვივიწყებდი ბედს, უბედობას,
 თავქარიანი დორიდის დაღატს
 და ჰორიკანა ხალხის ყბედობას.
 სული ოცნების ფრთებს მიჰყვებოდა,
 რომ დაედწია მიწისთვის თავი,
 ამ დროს ჩემს ზემოთ იკრიბებოდა
 საქარიშხალო ღრუბელი შავი!..
 ვიღუპებოდი... წმინდა მფარველო
 აბოხოქრებულ იმ დღეებისა,
 ო, მეგობრობავ, განმაქარველო
 სნეული სულის მწუხერებისა!
 ზესხმაში თავი შენ მზედ იჩინე,
 სევდა მომიკალ სისხლის მწოველი,
 თავისუფლება გადამიჩინე —
 ახალგაზრდობის კერპი ცხოველი!

აწ დავივიწყდი ხალხსა და ქორებს,
 ნევის ნაპირებს მოშორებული;
 ახლა წინ მიშლის მთებსა და გორებს
 კავკასიონი გარინდებული.
 მის მწერვალებზე უძრავად მდგარი,
 მე ვტკბები ხშირად ჩემის /გრძნობითა,
 ნელა აშლილი ფიქრების ჯარით
 კუშტი ბუნების დიაღობითა;
 დატვირთულია წინანდებურად
 მალალ ოცნებით სული მღლევარე,
 მაგრამ, არ ვიცი, რად დამებურა
 შიგ პოეზიის შუქი ელვარე.
 შთაბეჭდილებებს ამოიდ ველი:
 იგი წავიდა — დრო ლექსებისა,
 სიყვარულის და ტკბილ სიზმრებისა,
 ზეშთაგონება მომესპო მწველი!
 ეამმა საამურ გულის ძგერათა
 განვლო ჩქარა და წყნარ სიმღერითა
 ლეთაებამ ჩემზე აღიღო ხელი.

თარგმანი კონსტანტინე ზიზინაძისა

თარგმანის ენისა და სჯილის საკითხისათვის



ხალხთა კულტურული ურთიერთობის თანამედროვე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა მხატვრული ლიტერატურის კლასიკურ და თანამედროვე ნიმუშთა თარგმნას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში არაჩვეულებრივად გაიზარდა მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმნის პრაქტიკა. საბჭოთა კავშირის ხალხები საკუთარ ენაზე გაეცნენ მოძვე ერების და საზღვარგარეთული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმანების რაოდენობრივმა ზრდამ, რასაც თან ახლავს მათი ხარისხობრივი ზრდაც, აგრეთვე ამ საქმის დიდმა პერსპექტივებმა, თავისთავად წამოაყენა მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმნის გარკვეული პრინციპებისა და თეორიული სორმების ჩამოყალიბების ამოცანა. მით უმეტეს, რომ არსებობს მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმნის და შეფასების მრავალი სხვადასხვა მეთოდი.

ასეთი თეორიული პრინციპების ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ცალკეული ნაწარმოებები და მოსაზრებანი თარგმანის შესახებ და აგრეთვე მათი პრაქტიკა ამ დარგში. თარგმანის მეთოდოლოგიურად სწორი და პრაქტიკულად სასარგებლო პრინციპები შეიძლება მივიღოთ მხოლოდ მარქსიზმის კლასიკოსთა შემოადინიშნული მასალების საფუძველიან შესწავლისა და მათგან სწორი დასკვნების გამოტანის შედეგად. ის მცირე რაოდენობის ცდები, რაც ამ დარგში ჩატარებულა დღემდე, თანამედროვეობის განზრდილ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს.

მარქსი, ენგელსი და ლენინი თავისი მეცნიერული და პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე ზშირად სარგებლობდნენ უცხო ენებზე დაწერილი მა-

სალებით, თვითონვე წერდნენ უცხო ენებზე, თვითონვე თარგმნიდნენ საკითხო მასალებს დედაენაზე, რედაქტორობდნენ სხვის მიერ თარგმნილ მასალებს და ეწეოდნენ მწვავე პოლემიკას მოწინააღმდეგეებთან ორიგინალის ტექსტის ინტერპრეტაციის გამო. ამ საქმიანობასთან დაკავშირებული მათი მიწერმოწერა ნაცნობებთან და მეგობრებთან უხე მასალას იძლევა პრინციპული დასკვნების გამოსატანად. ენგელსს საგანგებო წერილიც კი აქვს მიძღვნილი მარქსის „კაპიტალის“ ინგლისური თარგმანისადმი. ამ წერილში იგი მოითხოვს მთარგმნელისაგან, გარდა ორივე ენის (ორიგინალის და თარგმანის ენის) ზედმიწევნით ცოდნისა, იმ ცხოვრების და სოციალური ვითარების ცოდნასაც, რომელშიც შეიქმნა ნაწარმოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მარქსიზმის ფუძემდებელთა მიერ თარგმანის გარეშე გამოთქმული მოსაზრებანი თანამიმდევრულად გამოხატავენ საერთო მარქსისტულ მეთოდოლოგიას და აღგენენ მთარგმნელობითი პრაქტიკის საერთო კანონზომიერებას. მარქსიზმის ფუძემდებლები ყველგან გამოდიან თარგმანის, ე. წ. „ბუკვალისტური“ (მონური, ანბანური თარგმანის) პრინციპის წინააღმდეგ. ობიექტივისტური, მიუყვარძობელი და ზესოციალური თარგმანი ისევე შეუძლებელია, როგორც ამგვარივე მხატვრული, პუბლიცისტური თუ სხვა ხასიათის შემოქმედება. ყოველ ნაწარმოებს ყოველთვის ჰქმნის გარკვეულ სოციალურ ვითარებაში მყოფი და, მასთან დამე, გარკვეული შეგნებისა და ტენდენციის მქონე ცოცხალი ადამიანი. „ბუკვალისტური“, იდეურად გამოფიტული თარგმანი, რომელიც მონურად იმეორებს ორიგინალის სიტყვებს, მაგ-

რამ სწორედ ამ პირდაპირი განმეორების გამო არღვევს ორიგინალის შემოქმედებითს ძალას, მარქსიზმის ფუძემდებელათათვის სრულიად მიუღებელია. მეორე მხრივ, მარქსიზმის ფუძემდებლები ჰგმობენ განზრახ ან უეცრობის გამო დამახინჯებულ თარგმანს, რომელიც ცვლის ორიგინალის ძირითად იდეას.

შემოქმედებითი მარქსიზმის გენიალური წარმომადგენელი სტალინი აგრძელებს და აწვითარებს მარქსიზმის ფუძემდებელთა საქმეს თარგმანის დარგში. მისი მოღვაწეობის აღრინდელი პერიოდის (1901—1907 წწ.) ნაწარმოებთა უმრავლესობა დაწერილია ქართულ ენაზე. ზოგიერთი ამ ნაწარმოებთაგანი — კერძოდ „გაკვირით პარტიულ უთანხმოებაზე“ და „პასუხად სოციალ-დემოკრატს“ — შეიცავს სტალინის მიერ თარგმნილ მასალებს უმთავრესად ლენინის შრომიებიდან, ანტიმარქსისტულ, ოპორტუნისტულ მიმდინარეობასთან ბრძოლაში სტალინი იცავს და ასაბუთებს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძირითად პრინციპებს. ამიტომაც მის მიერ შესრულებულ თარგმანებში გატარებულია ბოლშევიკური პარტიულობის პრინციპი. სტალინის მიერ შესრულებული თარგმანები ლენინის შრომიებიდან წარმოადგენენ კონკრეტულ შემოქმედებას. სტალინი აქარწყლებს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიერ წარმოებულ „ბუკვალისტურ“-გამყალბებელ კრიტიკას მისი თანგმანებისა. ამ ბრძოლაში იგი წარმოადგენს აგრეთვე როგორც ბრწყინვალე მკოდნე ენებისა და მათი კანონებისა, რომელთაც იგი ბუნებრივად იყენებს „განვითარების და ბრძოლის იარაღად“ (სტალინი).

სტალინის მიერ თარგმნილი მასალები მეცნიერულად ზუსტია, ნათელი და მკაფიო. სტალინი შესანიშნავად იცნობს და იცავს ქართული ენის სინტაქსს. მისი მეტყველება უაღრესად ხალხურია. მას ყოველთვის მხედველობაში ჰყავს ქართული მშრომელი ხალხი, რომელსაც იგი მიმართავს. სტალინის მიერ ზედმიწევნით სწორად გაგებული ლენინის სიტყვები ქართულად ისე ბუნებრივად ისმიან, თითქოს ისინი თავიდანვე პირდაპირ ქართულადაა წარმოთქმული. აღსანიშნავია, რომ

სტალინი თარგმნის ორიგინალის არა თითოეულ სიტყვას, არამედ მთლიანად დამთავრებულ აზრს მთლიანად განვიხილოთ ამ თარგმანთა ზოგიერთი ნიმუში:

ლენინი თავის ნაშრომში — „რა ვაკეთოთ“, წერს:

«Всякое преклонение пред стихийностью рабочего движения, всякое умаление роли «сознательного элемента», роли социал-демократии означает тем самым, — совершенно независимо от того, желает ли этого умаляющий или нет, — усиление влияния буржуазной идеологии на рабочих».¹

სტალინი თავის ნაშრომში „გაკვირით პარტიულ უთანხმოებაზე“ ასაბუთებს და იცავს „ისკრის“ პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებული აქვს ლენინს თავის წიგნში. ამისათვის სტალინი მოაქვს ლენინის შრომიდან შემოთმოყვანილი ციტატი. სტალინი თარგმნის ამ ციტატას შემდეგნაირად:

„...ყოველივე ამალეობა მუშათა სტიქიური მოძრაობისა, ყოველივე დამცირება იმ მნიშვნელობისა, რომელიც „შეგნებულ ელემენტს“, სოციალ-დემოკრატის უნდა ჰქონდეს მუშათა მოძრაობაში, — აუცილებლად მოასწავებს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას მუშებში — სულ ერთია — გინდათ ამ იდეოლოგიის გაძლიერება თუ არა“.²

უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა ლენინის დებულების აზრის ზუსტი გადმოტანა ქართულ თარგმანში. როგორც ვხედავთ, ლენინის აზრი მუშებში ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერების შესაძლებლობისა და ამ შესაძლებლობის გამომწვევი მიზეზების შესახებ სტალინის მიერ უაღრესად სწორად არის გადმოთარგმნილი. ლენინის ეს აზრი ორგანიზულად არის დაკავშირებული სტალინის ნაშ-

¹ В. И. Ленин — «Сочинения», IV изд. 1946 г., т. V, стр. 354.

² ი. ბ. სტალინი — „თხზულებანი“, 1947 წ. (ქართ. გამოცემა), ტ. I, გვ. 92-93.

რომში წამოყენებულ მოსაზრებებთან და ამავრებს მათ. ლენინის მეტყველების სინათლე, მეცნიერულად ზუსტი და გასაგები სტილი სავსებით დაცულია ქართულ თარგმანშიც. მთლიანად შენარჩუნებულია აზრის გამოხატვის ძალა, რომელიც ლენინის სიტყვებს ახასიათებს.

ქართველი მკითხველისა და ქართული ენის მოთხოვნებთან შესაბამისად თარგმანს ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი:

1. ქართველი მკითხველისათვის რომ უფრო გასაგები ყოფილიყო ლენინის აზრი, წინადადება „всякое преклонение пред стихийностью рабочего движения“ თარგმნილია შემდეგნაირად: „ყოველივე ამალღება მუშათა სტიქიური მოძრაობისა“. მომდევნო წინადადება „ყოველივე დამცირება იმ მნიშვნელობისა...“ თავისი დაპირისპირებით პირველ წინადადებასთან (ამალღება — დამცირება) მეტად მკაფიოდ გადმოგვცემს ორიგინალის აზრს. სიტყვა „ამალღება“ ლექსიკური ექვივალენტები არ არის სიტყვისა „преклонение“; არამედ მისი ლოგიკური და სემანტიკური ექვივალენტი, რომელიც მთლიან კონტექსტში ზუსტად აღივსა ორიგინალის აზრს. ამიტომ ამ ადგილას ლექსიკურად უფრო ზუსტი სხვა სიტყვა აზრობრივად უფრო ნაკლებ ზუსტი იქნებოდა.

2. ლენინის დებულებიდან ამკარაა, რომ მუშათა სტიქიური მოძრაობის ამალღება და შეგნებული ელემენტის მნიშვნელობის დამცირება „უცოდებლად იწვევს მუშებზე ბურჟუაზიის იდეოლოგიური გავლენის გაძლიერებას, თუმცა სიტყვა „აუცილებელი“ ლენინს არა აქვს ნახშიარი. სტალინი თარგმნის სწორედ აზრს და არა სიტყვებს; ამიტომაც მან თარგმანში ჩაურთო სიტყვა „აუცილებლად“ და გამოტოვა ორიგინალის „тем самым“, ამავე წესით გამოტოვებულია სიტყვა „влияния“, რომელიც თავისთავად იგულისხმება ქართულ ტექსტში.

3. ქართული სინტაქსის მოთხოვნების შესაბამისად, სტალინი ადგილს უცვლის ქართულ წინადადებაში ლენინის სიტყვებს: „совершенно независимо от того, желает ли этого умирающий или нет“ და ათავსებს მათ წინადადების ბოლოში. გარდა ამისა,

ამ სიტყვების მთელი კომპლექსის თარგმანში იგი არ იმეორებს ორიგინალის არც ერთ სიტყვას მაგნი ქართულ ლექსიკური შესატყვისებით, არამედ მთლიანად თარგმნის ლენინის აზრს უაღრესად ბუნებრივი ქართული გამოთქმის საშუალებით: „სულ ერთია — გინდათ ამ იდეოლოგიის გაძლიერება თუ არა“. როგორც ვეზდავი, თარგმნის ასეთი ხერხი გაცილებით უფრო ზუსტად გადმოგვცემს ლენინის აზრს, ვიდრე ყველა სხვა შესაძლებელი ვარიანტი, რომელშიც განმეორებული იქნება ორიგინალის ყველა სიტყვა.

ავილოთ მეორე მაგალითი ლენინის იმავე შრომიდან:
ლენინი წერს:

«Рабочий класс стихийно влечется к социализму, но наиболее распространенная (и постоянно воскрешаемая в самых разнообразных формах) буржуазная идеология тем не менее стихийно всего более навязывается рабочему».¹

სტალინი შემდეგნაირად თარგმნის ამ ციტატას იმავე ნაშრომში — „გაცივრით პარტიულ უთანხმოებაზე“:

„მუშათა კლასი სტიქიურად მიილტვის სოციალიზმისაკენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც უფრო ძლიერაა გავრცელებული ცხოვრებაში (და რომელიც მუდამ სხვადასხვა ტანისამოსში მოგვევლინება ხოლმე), უფრო ხშირად ეხეჩება გზაში მუშას და უფრო დიუნებით სტიქიურად ეკვიატება მას“²

ჩვენ აღარ გვინდა გავიმეოროთ ის, რაც ეთქვით ზემოთ ლენინის პირველი ციტატის თარგმანის შესახებ, რადგან ის აზრობრივად სიზუსტე, რომელიც პირველ თარგმანს ახასიათებდა, საკლებით დაცულია მეორე თარგმანშიც. ეს ჩვენი საერთო დასკვნა ვრცელდება იმ მაგალითებზედაც, რომელიც ქვემოთ იქნება მოტანილი, და ამის გამო მას აღარ გავიმეორებთ ყოველი მაგალითის გარჩევის დროს.

მეორე ციტატის თარგმანის თავისებურებანი შემდეგნაირად გვეხატება:

¹ В. И. Ленин — «Сочинения», изд. IV, 1946 г. т. V, стр. 357.

² ი. ბ. სტალინი — „სიზუსტეები“, 1947 წ. (ქართ. გამოცემა), ტ. 1, გვ. 94

1. პირველი წინადადება სიტყვა-სიტყვით და ზუსტად არის გადმოტანილი („მუშათა კლასი სტიქიურად მიიღტვის სოციალიზმისაკენ“);

2. ფრჩხილებში მოთავსებული წინადადება („и постоянно воскрешаемая в самых разнообразных формах“) თარგმნილია შესანიშნავი ექვივალენტის საშუალებით, რომელიც აბსოლუტურად შეესაბამება ქართული მკითხველის წარმოდგენასა და მეტყველებას: „(რომელიც მუდამ სხვადასხვა ტანისამოსში მოგვევლინება ხოლმე)“. რამდენად უფრო საზოგადოებრივი ქართველი მკითხველისათვის ამ კონტექსტში მოცემული სიტყვა „ტანისამოსი“, ვიდრე სიტყვა „ფორმა“, რომელიც შეეძლო მოეთხოვა ფორმალურ-ლექსიკურ სიზუსტეს!

3. ქართული ხალხური მეტყველების თავისებურებამ მოითხოვა თარგმანში ზოგიერთი დამატებითი სიტყვები და გამოთქმები. მაგ.: „რომელიც უფრო ძლიერაა გავრცელებული ცხოვრებაში“, „უფრო ხშირად ეხეხება ვხში მუშას და უფრო დაეინებით სტიქიურად ეკვირება მას“. ზედმეტია მტკიცება ასეთი გამოთქმების საშუალებით გამდიდრებული თარგმანის უპირატესობისა მშრალ, პირდაპირ თარგმანთან შედარებით. ამ ციტატაში ყურადღებას იპყრობს შესანიშნავი მხატვრული ინტელიციით მიღებული შესატყვისი სიტყვისა „навязывается“ — „ეკვირება“. ასევე მოხდენილადაა ნაპოვნი სხვა ციტატის ექვივალენტი „совлечь рабочее движение“. ¹ „მოაშოროს მუშათა მოძრაობა“.

მივმართოთ მესამე მაგალითს ლენინის და სტალინის იმავე ნაშრომებიდან.

«Мы сказали, что социал-демократического сознания у рабочих и не могло быть. Оно могло быть привнесено только извне. История всех стран свидетельствует, что исключительно своими собственными силами рабочий класс в состоянии выработать лишь сознание тред-юнионистское, т. е. убеждение в необходимости объеди-

няться в союзы, вести борьбу с хозяевами, добиваться от правительства издания тех или иных необходимых для рабочих законов и т. п. Учение же социализма выросло из тех философских, исторических, экономических теорий, которые разрабатывались образованными представителями имущих классов, интеллигенцией. Основатели современного научного социализма, Маркс и Энгельс, принадлежали и сами, по своему социальному положению, к буржуазной интеллигенции». ¹

ამ ციტატს სტალინი თარგმნის შემდეგნაირად (თარგმნილი ტექსტი იწყება ორიგინალში — ლენინის მიერ ხაზგასმული სიტყვებიდან და თარგმანში — სტალინის მიერ გაკეთებული წინწყობიდან. გ. გ.): „მათ არ ჰქონდათ ასეთი შეგნება“ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ. ის (სოციალ-დემოკრატიული შეგნება) მხოლოდ გარედან შეიძლებოდა შეტანილიყო მათში. ყველა ქვეყნის ისტორია ამტკიცებს, რომ მართო თავისი ძალღონით მუშათა კლასის მუშაობა შეიძლება მხოლოდ ტრადუციონისტური შეგნება, ე. ი. დარწმუნება იმაში, რომ საჭიროა კავშირების შედგენა, მეპატრონეებთან ბრძოლა, მოთხოვნა მთავრობისაგან ამა თუ იმ სასარგებლო კანონების გამოცემა და სხვ. სოციალიზმის მოძღვრება კი აღმოცენდა იმ ფილოსოფიურ, ისტორიულ და ეკონომიურ თეორიებზე, რომლებსაც ამუშავებდნენ შეძლებულ კლასთა განათლებული წარმომადგენლები, ინტელიგენცია. თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის დამაარსებლებიც, მარქსი და ენგელსი, თავისი სოციალური მდგომარეობით ბურჟუაზიულ ინტელიგენციას ეკუთვნოდნენ“.

ეს ციტატი წარმოადგენს ნამდვილი მეცნიერული სიზუსტით შესრულებული თარგმანის ნიმუშს და იგი აღეკვეტურად გადმოგვიცემს ლენინის მსჯელობის მთელ სიღრმეს და მის ნათელ ლოგიკურ თანამიმდევრობას.

1. სტალინი ქართველი მკითხველისათვის ზოგიერთ სიტყვას განმარტავს

¹ В. И. Ленин — «Сочинения», изд. IV, 1946 г. т. V, стр. 356.

² ი. ბ. სტალინი — „თხზულებანი“, 1947 წ. (ქართ. გამოცემა), ტ. I, გვ. 95

¹ В. И. Ленин — «Сочинения», изд. IV, 1946 г. т. V, стр. 347.

² ი. ბ. სტალინი — „თხზულებანი“, 1947 წ. (ქართ. გამოცემა), ტ. I, გვ. 96 — 97.

თარგმანის ტექსტშივე. მაგ., „ის (სოციალ-დემოკრატიური შეგნება) მხოლოდ გარედან შეიძლება შეტანილიყო მათში“.

2. სტალინი პოელობს შესანიშნავ შესატყვის ქართულ სინტაქსურ ფორმას, რომელსაც შეუძლია მარტივად და ძალაუტანებლად გადასცეს ქართველ მკითხველს ლენინის ფრაზა „убеждение в необходимости объединяться в союзы, вести борьбу с хозяевами“... „ღარწყუნება იმაში, რომ საჭიროა კავშირების შედგენა, მეპატრონეებთან ბრძოლა...“

3. ლენინი რუსული ენის თავისებურების შესაბამისად ამბობს:

„Учение же социализма выросло из тех философских, исторических, экономических теорий, которые разрабатывались...“

სტალინი ამას თარგმნის ქართული ენის თავისებურების მიხედვით: „სოციალიზმის მოძღვრება კი აღმოცენდა იმ ფილოსოფიურ ისტორიულ და ეკონომიურ თეორიებზე, რომლებსაც ამჟამად შეებდნენ...“ ჩვენ აქ ყურადღებას მივაქცევთ რუსულ თანდებულს: „выросло из“. შეიძლება „ბუკვალისტური“ პრინციპის მიხედვით ეს თანდებული გადმოსულიყო ასე: „აღმოცენდა... თეორიებიდან“. სტალინი ბუნებრივად ხმარობს ქართულ თანდებულს „აღმოცენდა... თეორიებზე“ (ისევ როგორც მაგ., „წინადაგზე“). ამგვარად, სტალინის მიერ ამ თარგმანში გამოყენებული ხერხი ადასტურებს, რომ თარგმანში ბრძოლა კი არ უნდა იყოს გადმოღებული ორიგინალის ენობრივი ფორმა, არამედ მას უნდა მოეძებნოს შესატყვისი ფორმა დედაენაზე.

4. სტალინის მიერ თარგმანში გამოყენებულ სიტყვათა უმრავლესობა წარმოადგენს ორიგინალის შესატყვისს. მაგრამ ეს არც ერთ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება ქართული მეტყველების ნორმებს.

ასევე თარგმნის სტალინი ციტატს ლენინის ნაშრომიდან „Шаг вперед, два шага назад“.

ლენინი ეკამათმა მარტოვს და წერს:“

„Именно так. И именно поэтому неправильно тянуться за тем, что — «каждый стачечник» мог называться членом партии, ибо если бы «каждая стачка» была не только стихийным выражением могучего классового инстинкта и классовой борьбы, неизбежно ведущей к социальной революции, а сознательным выражением этого процесса..., тогда наша партия... сразу покончила бы и со всем буржуазным обществом“.¹

სტალინი ამ ციტატს თარგმნის შემდეგნაირად:

„ჩვენი პარტია შეგნებელი გამოხატველია შეუგნებელი პროცესისა“. სრული კვშმარტებაა, და სწორედ ამიტომ არ უნდა ვცდილობდეთ, რომ „ყველა გაფიცული“ პარტიის წევრად ითვლებოდეს; გაფიცვა რომ შეგნებული გამოხატულება იყოს შეუგნებელი პროცესისა და არა სტიქიური გამოხატულება იმ ძლიერი კლასობრივი ინსტინქტისა და კლასობრივი ბრძოლისა, რომელსაც აუცილებლად სოციალურ რევოლუციისაკენ მიჰყავს მუშა ხალხი... მაშინ ერთი დაკვირბი, მოვეუთავებდით საქმეს მთელ ბურჟუაზიულ საზოგადოებას“.²

ეს თარგმანი აზრობრივად მეტად ზუსტია და გამომსახველობით ორიგინალის ადეკვატურია.

1. ლენინი ამბობს: „Именно так.“ სტალინი თარგმნის „სრული კვშმარტებაა“. უაღრესად ზუსტი და ამავე დროს ბუნებრივი ქართული გამოთქმაა.

2. ასევე სწორადაა აზრობრივად გადმოტანილი ლენინის ფრაზები: „Именно неправильно тянуться за тем“... — „და სწორედ ამიტომ არ უნდა ვცდილობდეთ...“

„чтобы «каждый стачечник» мог называться членом партии“.

„რომ ყველა გაფიცული“ პარტიის წევრად ითვლებოდეს“.

3. ბუნებრივად არის გადმოქართულებული ლენინის შემდეგი წინადადების სინტაქსური წყობა:

¹ В. И. Ленин — «Сочинения», IV изд. 1946 г. т. VII, стр. 253 — 254.

² ა. ბ. სტალინი — „თხულებანი“, 1947 წ. (ქართ. გამოცემა), ტ. I, გვ. 100.



«Ибо если бы «каждая стачка» была не только стихийным выражением могучего классового инстинкта и классовой борьбы, неизбежно ведущей к социальной революции, а сознательным выражением этого процесса».

„გაფიქვა რომ შეგნებული გამოხატულება იყოს შეუგნებელი პროცესის და არა სტიქიური გამოხატულება იმ ძლიერი კლასობრივი ინსტინქტისა და კლასობრივი ბრძოლისა, რომელსაც აუცილებლად სოციალურ რევოლუციისაჲმენ მიჰყავს მუშა ხალხი“...

როგორც ვხედავთ, სტალინის თარგმანი წარმოადგენს შინაარსობრივად უაღრესად ზუსტ და ფორმით ორიგინალის თანაბარი ძლიერების თარგმანს. იგი შედგენილია ქართული ენისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციით და ბრძადა არ იმეორებს ორიგინალის ენის სინტაქსურ კონსტრუქციას.

4. ლენინის სიტყვები: „тогда... наша партия... сразу покончила бы и со всем буржуазным обществом“. სტალინის მიერ თარგმნილია უაღრესად ლაკონიური და დამახასიათებელი ქართული გამოთქმით: „მაშინ ერთი დაცვრით მოვუთავებდით საქმეს მთელ ბურჟუაზიულ საზოგადოებას“. გამოთქმა — „მოვუთავებდით საქმეს“ წმინდა ქართული გამოთქმაა. სწორედ ამაში მდგომარეობს ორიგინალის შინაარსისათვის შესატყვისი ნაციონალური ფორმის შექმნა თარგმანში.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ზემოთმოყვანილი მასალების ანალიზიდან?

სტალინის მიერ შესრულებული თარგმანი მეცნიერულად ზუსტი, ნათელი და მკაფიოა. სტალინი იცავს ქართული ენის შინაგან კანონებს და ჰქმნის ორიგინალის შესატყვის ნაციონალურ ფორმას. სტალინი თარგმანის ორიგინალის არა თითოეულ სიტყვას, არამედ დამთავრებულ აზრს, მთლიანობაში აღე-

ბულს. ამის შედეგად ლენინის სიტყვები ქართულად ისე ბუნებრივად¹⁾ სდმას, თითქოს ისინი თავიდანვე ქართულად იყოს თქმული. ამგვარად, აქედან შეგვიძლია გამოვიტანოთ თარგმანის ხელოვნების პირველი პრინციპი: თარგმანი უნდა ჰქმნიდეს და სტოვებდეს ორიგინალური შემოქმედების შთაბეჭდილებას ორიგინალის იდეური შინაარსის გადმოცემით, თარგმანის ენის ნორმების დაცვით და ორიგინალის შესატყვისის ფორმით.

როგორც აღენიშნეთ, თარგმანის ეს პრინციპები, რომლებსაც იყენებენ მარქსიზმ - ლენინიზმის კლასიკოსები, გულისხმობენ, ერთის მხრივ, ორიგინალის შინაარსისა და ფორმის ადეკვატურ გადმოცემას, მეორეს მხრივ, უკუაგდებენ მონურ, სიტყვასიტყვით თარგმანს, რასაც შეუძლია გამოფიტოს ორიგინალის შინაარსი და ფორმა. ამ ამოცანის შესრულებისათვის მათ საჭიროდ მიიჩნიათ ორიგინალის და თარგმანის ენათა ზედმიწევნით ცოდნა, აგრეთვე იმ სოციალური ვითარების შესწავლა, რომელშიც შეიქმნა ნაწარმოები. ამავე დროს, მათი მთარგმნელობითი პრაქტიკა, რამაც მრავალი სიახლე შეიტანა მათს მშობლიურ ლიტერატურაში, ადასტურებს, რომ სიახლე, რომელიც თავის ენასა და ლიტერატურაში შეაქვს თარგმანს, ბუნებრივად უნდა გამოძვინარეობდეს ამ ენის ნორმებიდან და ლიტერატურული ტრადიციებიდან.

მარქსიზმ - ლენინიზმის კლასიკოსთა ზემოაღნიშნული პრინციპები თეორიულად გამოიცხადებენ ე. წ. სტრიქონობრივი თარგმანის (подстрочник) გამოყენებას. როგორც წესს.

ასეთია მოკლედ ის დასკვნები, რომელიც შეიძლება გამოვიტანოთ დიდი სტალინის მთარგმნელობითი პრაქტიკიდან. ეს პრაქტიკა წარმოადგენს ბაზას, რომელზედაც შეიძლება აგებულ იქნას თარგმანის სწორი თეორია და გადაიჭრას მხატვრული ლიტერატურის თარგმანის პრაქტიკული ამოცანები.

ლ. გოგიანი

მათემატიკის ლაგზი მუშაობის ილუზიური ღონის აბაღობისათვის



თავის მოხსენებაში თბილისის მეოცე პარტიულ კონფერენციაზე ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა, მათემატიკოსთა წრეში ზოგიერთ არაჯანსაღ მოვლენების მხილებასთან დაკავშირებით, გაამხილა ყურადღება საერთოდ მეცნიერ მუშაების კომუნისტურ აღზრდაზე. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით გამსჭვალვა, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის განუზრელად გატარება მთელს თავის სამეცნიერო მუშაობაში ყოველი სამჭოთა მეცნიერის ძირითადი ამოცანაა.

მარქსიზმ - ლენინიზმის განვითარების ახალ ეტაპს წარმოადგენს ამხანაგ ე. ბ. სტალინის გენიალური შრომები ენათმეცნიერების საკითხებზე. ამ შრომებს სამჭოთა მეცნიერება ახალ სიმაღლეზე აყავს. ამასთან დაკავშირებით ჩვენს ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს მათემატიკის დარგში მუშაობის გადახალისება იმ მძლავრ შესაძლებლობათა გამოყენებით, რომლებსაც სტალინის შრომები იძლევა, და იმ მოთხოვნილებათა შესაბამისად, რასაც ეს შრომები უყენებს სამჭოთა მეცნიერებას. ამისათვის საჭიროა კარგად იქნას გაგებული მათემატიკის დაფუძნების ძირითადი საკითხების ის გადაწყვეტა, რომელიც სტალინის შრომებიდან გამომდინარეობს. მათემატიკის საგნისა და მათემატიკური აბსტრაქციის, მათემატიკისა და ლოგიკის ურთიერთობის, მათემატიკისა და ენის ურთიერთდაამოკიდებულების, ენისა და მათემატიკური სიმბოლოების ურთიერთობის და სხვა საკითხები სრულიად ახალ გამოქვეყნებულ პოპულარულ სტალინის შრომებში.

მათემატიკა ასახავს სინამდვილის გარკვეულ მხარეს. მათემატიკური ცნებები სინამდვილის ერთგვარი გარეგნული მხარის გამოხატულებაა. ამას გვიდასტურებს სტალინის მიერ გეომეტრ-

რიის დახასიათება, გეომეტრიისა, „რომელიც თავის კანონებს იძლევა ისე, რომ აბსტრაქციას ახდენს კონკრეტული საგნებისაგან; განიხილავს საგნებს, როგორც კონკრეტულობას მოკლებულ სხეულებს, და მათ შორის ურთიერთობას განსაზღვრავს არა როგორც ამა და ამ კონკრეტული საგნების კონკრეტულ ურთიერთობას, არამედ როგორც საერთოდ სხეულთა, ყოველგვარ კონკრეტულობას მოკლებულ სხეულთა ურთიერთობას“.¹ მაგრამ, როგორც ამავე დახასიათებიდან ჩანს, მათემატიკის საგანი სინამდვილის გარკვეულ მხარეს გამოხატავს, მათემატიკას საქმე აქვს სინამდვილის ამ მხარის ამსახველ, გარკვეულ ზოგად შინაარსის მქონე, ცნებებთან და არა ცნების რაიმე შემცველთან, მაგალითად, ინტუიტივისტურად გაგებულ ნიშნაკების სახით.

სტალინი აღნიშნავს, რომ სიტყვებისა და გამოთქმების უდიდესი მასა, ისევე როგორც მათი სემანტიკა, საერთო საზოგადოების ყველა კლასისათვის (გვ. 38). ძალიან საგულისხმოა, რომ აქ ლაბარაცია არა მარტო სიტყვებისა და გამოთქმების ერთიანობაზე, არამედ მათი სემანტიკის ერთიანობაზეც. ეს მიუთითებს ცნებების ნომინალისტური გაგების წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ რომ ცნების ერთიანობა დაყვანილ იქნას აღნიშვნის ერთიანობაზე.

მათემატიკური ცნებანი, ისევე როგორც ყოველგვარი სხვა დარგის ცნებანი, გამოთქვამენ საზოგადოებრივი პრაქტიკის საფუძველზე ისტორიულად დადგენილ შინაარსს და არა ნებისითი და „თავისუფალი“ შეთანხმების შედეგს. თვით შესაძლებლობა:

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. სახელგამი, 1950 წ. გვ. 22. შემდეგში აღნიშნული იქნება ამ წიგნის მხოლოდ გვარდები თვით ტექსტში.

ამათეიმ შეთანხმებისა მოითხოვს სათანადო სიტყვებისა და ცნებების ერთნაირ გაგებას და გამოყენებას. სემანტიკის ერთიანი ხასიათი მოწმობს თვით ლოგიკის ერთიან და ობიექტურ ხასიათს. იმიტომ, რომ მოკლებილი ილუსტრაცია მარქსისტულ-ლენინურ მიდგომასთან თანამედროვე დეგრაღირებულ ბურჟუაზიულ იდეოლოგიისათვის დამახასიათებელ მიდგომის დაპირისპირებისა, შეიძლება მოვიგონოთ თანამედროვე „ლოგიკური პოზიტივიზმის“ ერთერთი წარმომადგენლის—კარნაპის მიერ ძირითადი პრინციპის სახით ეგრეთწოდებული „შემწყნარებლობის (ტოლერანტობის) პრინციპის“ წამოყენება, რომლის მიხედვით ყოველ ადამიანს შეუძლია ააგოს თავისი ლოგიკა, ე. ი. ენის თავისი ფორმა, ისე როგორც მას სურს. „შემწყნარებლობის პრინციპის“ მიერ დეკლარირებული ობიექტივიზმის კონცეფცია ნამდვილად გამოთქვამს უადრესად სუბიექტივისტურ და არა ობიექტურ მიდგომას. ნამდვილი ობიექტივობა მდგომარეობს არა ობიექტივისტურ განურჩევლობაში, არამედ ის დაკავშირებულია დაუცხრომელ ბრძოლასთან სინამდვილის შემეცნებისა და გარდაქმნისათვის.

მარის თეორიის კრიტიკასთან დაკავშირებით სტალინმა გვიჩვენა, რომ ენისა და აზროვნების ერთიმეორესთან გატოლების ცდა, რაც ერთი შეხედვით თითქოს აბლიერებს კავშირს შათ შორის, ნამდვილად შათი ერთმანეთისაგან მოწყვეტის თვალსაზრისს მოასწავებს. ასეთ დახასიათებას აძლევს სტალინი მარის ცდას ენათმეცნიერების გათქვეფვისა სემანტიკაში. ამ ცდას სტალინი აფასებს, როგორც იდეალისტურს. როგორც ლოგიკის გრამატიკის ტენდენციისათვის, რომელიც გაბატონებულია ლოგიკის თანამედროვე ბურჟუაზიულ თეორიებში, ისევე გრამატიკის ლოგიკაზე დაყვანის ტენდენციისათვის ყველაზე არსებითი არის საერთო მიდრეკილება ლოგიკისა და გრამატიკის ერთიმეორესთან გატოლებისა. ეს მიდრეკილება ერთმანეთისაგან წყვეტს ენასა და აზროვნებას და იდეალისტური ხასიათის მქონეა.

ლოგიკური შინაარსის მის ენობრივ გამოთქმაზე დაყვანის ცდა თვით ენის ხასიათს ამახინჯებს. ამ შემთხვევაში ენისათვის დამახასიათებლად მიჩნეულია გარეგნული ჩანაწერის ინტუიცია.

ნამდვილად ენა დაკავშირებულია სიტყვებთან, რომელნიც სათანადო ცნებებს წარმოადგენენ, და არა ცარიელ ნიშნაკებთან, რომელიც მხოლოდ დაემორჩილონ სუბიექტის „თავისუფალი“ კანონმდებლობის გზით დადგენილ წესებს. „ბგერითი ენა ანუ სიტყვების ენა ყოველთვის იყო ადამიანთა საზოგადოების ერთადერთი ენა, რომელსაც შეეძლო ადამიანთა ურთიერთობის სრულფასოვანი საშუალება ყოფილიყო“. „...ეგრეთწოდებული ეესტების ენის მნიშვნელობა მისი უკიდურესი სიღარიბისა და შეზღუდულობის გამო—სრულიად უმნიშვნელოა. ეს, არსებითად, ენა კი არ არის, ან თუნდაც ენის სუროგატი, რომელსაც შეეძლოს ასე თუ ისე შეცვალოს ბგერითი ენა, არამედ უაღრესად შეზღუდულ საშუალებათა მქონე დამხმარე საშუალებაა, რომლითაც ადამიანი ზოგჯერ სარგებლობს თავისი მეტყველების ამა თუ იმ მომენტის ხაზგასმისათვის“ (გვ. 44). მოყვანილი სიტყვები გვიჩვენებენ, რომ მათემატიკურ თეორიას, ისევე როგორც ყოველგვარ სხვა თეორიას, უნდა ჰქონდეს თავისი თეორიული ლოგიკური ხასიათი და მათემატიკურ დამტკიცებას არ შეიძლება ინტუიციური ჩვენების ხასიათი მიეცეს. მათემატიკის ლოგიკურ დაფუძნების პრობლემატიკას არსებითი მნიშვნელობა აქვს მათემატიკისათვის, როგორც მეცნიერებისათვის.

ყოველი მეცნიერების ენა არის სიტყვების ენა. არ არსებობს განსაკუთრებული „ენა“ მათემატიკური სიმბოლოებისა. მათემატიკური სიმბოლიკა მონაწილეობს ერთიან ენაში, რომელიც არის სიტყვების ენა. ლოგისტიკის „წმინდა“ სიმბოლოების კოსმოპოლიტური „ენისადმი“ მიმართვის ცდა, დაკავშირებული ლოგიკის აღრიცხვაზე დაყვანის მიდრეკილებასთან, ამახინჯებს როგორც ლოგიკის ისე მათემატიკის და აგრეთვე ენის ხასიათსაც.

ყოყოჩობა მათემატიკური სიმბოლიკით, როგორც განსაკუთრებული და მხოლოდ გარკვეული კასტისათვის განკუთვნილი „ენით“, სურვილი, რომ ამ სიმბოლიკისაგან გარეშე მდგომარეობის მსგავსი შეთავაზდება განიცდიდონ, რომელმაც გოეთეს ფაუსტს აიძულა წამოეძახა ასტროლოგიურ ნიშნების დანახვისას: „ღმერთის მიერ ზომ არ არის ეს ნიშნები დაწერილი! —

მათემატიკური პარტიკულარიზმის ერთ-ერთ გამოვლენას წარმოადგენს. მის გადანამოებთან ჩვენში საჭიროა სასტიკი ბრძოლა. ეს გადანამოები თავს იჩენს ერთგვარ „ტელეგრაფულ“ სტილით მათემატიკურ შრომების წერაში, ამავე სტილით მოხსენებებისა და ლექციების კითხვაში, ერთგვარ ცდაში რაც შეიძლება „უსიტყვო“ იყოს მათემატიკური მეტყველება. ზოგჯერ შრომა იწყება თითქმის ყოველგვარი მოსამზადებელი ტექსტის გარეშე, ლექციითა კურსს არ უძღვის წინ შესავალი ლექცია, რომელშიაც გამუქებული იქნება ზოგადად მათემატიკის რაობა, მისი საგნისა და მეთოდის თავისებურებანი, მისი ისტორია, ანდა ამგვარივე საკითხები მათემატიკის ამათუბმ დარგის შესახებ. თვით კურსების კითხვის დროს ზოგჯერ თითქმის არავითარი ისტორიული ან ზოგად მეთოდოლოგიური შენიშვნები არ კეთდება. ამგვარი მანერით საგნის გადაცემა, რაშიაც თავს იჩენს ყალბი გავება მათემატიკური აკადემიზმისა, პირველ რიგში თვით ამ საგნის შესწავლას ენებს.

თანამედროვე ბურჟუაზიულ მეცნიერების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ცდა მეცნიერების გადაქცევისა ცალიერ სიმბოლოების თამაშის ასპარეზად, ცდა მეცნიერებისაგან ყოველგვარი შინაარსობრივობის გახადებისა, რაშიაც თავს იჩენს თვით აზროვნებისა და მეცნიერების ლიკვიდაციის მიდრეკილება. თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლებმა უნდა შეეცადონ ცალიერ ფორმალისტურ თამაშობად გადაქციონ თავისივე აზრი, რომ მისი „გადარჩენა“ შეიძლოს, მსგავსად ადვოკატისა, რომელსაც მარქსის გამოთქმით რომ ვისარგებლოთ, თავისი კლიენტის მსჯავრის დადებისაგან გადასარჩენად დასჯირდებოდა თითონვე მოკვლა ის. თანამედროვე ბურჟუაზიის ნუგეშად ვერც ის გამოადგება, რომ უაზრობა ლამაზად დამღერებული უფრო მოსაბოდიშებელი ხდება, რადგან დღეს ბურჟუაზიის მუსიკა და ხელოვნება ისევე ლაობადა როგორც მისი ფილოსოფია.

„ლოგიკური პოზიტივიზმი“, რომელიც, შეიძლება ითქვას, გაბატონებულია თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფოსთა შორის, ცდილობს მეცნიერები-

საგან სრულებით განდევნოს ფილოსოფია, შეეცალოს სათანადო შექვეყნებით თეორიული კვლევა-ძიება უკან რიცხვით პრიმიტივიზირებული მომათემატიკო თეორიით, „ლოგიკური ანალიზით“, რომელიც გაგებულა როგორც წმინდა გარეგნული ანალიზი გამოთქმის ენობრივი ფორმებისა. მათემატიკაშიც საფუძვლების ფილოსოფიური კვლევა-ძიება შეეცვლილა მათემატიკის კვლავ ერთგვარი გამარტივებულ მათემატიკაზე დაყრდნობით. ასეთია მეტამათემატიკური თვალსაზრისი. დამახასიათებელია, რომ ბურჟუაზიული თეორიების ისტორიულმა მსვლელობამაც გამოავლინა მკიდრო კავშირი და ნათესაობა ერთის მხრივ ფორმალიზმსა, ხოლო, მეორეს მხრივ, ინტუიციონალიზმსა და მისტიციზმს შორის. სტალინის კრიტიკა მარის „წინალოგიკური აზროვნების“ თეორიისა გამანადგურებელია მეტამათემატიკური, მეტალოგიკური და სხვა ამგვარი თვალსაზრისებისათვის.

საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა პოზიტივიზმის ყოველგვარი გადმონაშთის წინააღმდეგ საბჭოთა მეცნიერებაში, კერძოდ საბჭოთა მათემატიკაში. ზოგჯერ კიდევაც ჰგონიათ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმს თავის ღირსეულ პატივს მიაკრთვენ, როცა მას „მეცნიერებათა მეცნიერებად“ გამოაცხადებენ (ნამდვილად სწორედ მარქსიზმმა მოუღო ბოლო ფილოსოფიის განხილვას როგორც „მეცნიერებათა მეცნიერებას“), საპატიო უმოქმედობის მდგომარეობაში ჩააყენებენ და არ შეაწუხებენ სპეციალურ მეცნიერებათა, კერძოდ მათემატიკის, საფუძვლებზე ზრუნვით. მათემატიკის ისაჭიროება გათავისუფლება არა ნამდვილი ფილოსოფიისაგან, არამედ სწორედ იმ ყალბი ფილოსოფიისაგან, რომელიც მათემატიკის გათავისუფლებას მოითხოვს ფილოსოფიისაგან.

მეტალოგიკურ, მეტამათემატიკურ და მსგავს კონცეფციებში თავს იჩენს ერთგვარი „საფხურისებური“ მიდგომა. ამ კონცეფციებში ლოგიკის თეორიასთან დაკავშირებით გვაქვს თეორიის ცნების ფენებად დაშლა (თეორია, მეტათეორია და ა. შ.), ფენებად დაშლა თვით ლოგიკისა (ლოგიკა, მეტალოგიკა და ა. შ.). ამ შემთხვევაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ენის ფენებად დაშლას (ენა, მეტაენა,

და ა. შ.), რადენადაც ცდილობენ ლოგის ენაზე დაყვანას და მათემატიკის ფენებად დაშლას (მათემატიკა, მეტამათემატიკა და ა. შ.), რადენადაც ენის თეორიის სახით გაგებულ ლოგის თეორიას უნდათ ერთგვარი მომათემატიკო ხასიათი მისცენ. სტალინის კრიტიკა მარის სტალიალობის თეორიისათვისი ზოგადი ფილოსოფიური ხასიათით შეიძლება გამოყენებულ იქნას „საფეხურისებური ლოგის“ თვალსაზრისის წინააღმდეგ (დამახასიათებელია, რომ თვით მარი ამ თეორიისთან დაკავშირებით ხმარობს ტერმინს „საფეხურისებური“).

სტალინის კრიტიკა ამჟღავნებს ზოგადი ცნებისა და ცვალების პროცესის „საფეხურისებური“ გაგების სიყალბეს. სტალიალობის თეორიისათვის ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპები მოასწავებდა ენის საერთო ხასიათის განკვეთას და თვით წარმოგვიდგებიან როგორც კვლავ ენები. ამაში თავს იჩენს სტატიკური და „კინემატოგრაფიული“ მიდგომა ცვალების პროცესის მიმართ. ცვალებასი ჩვენ წამლივლად გვაქვს იფიცუობისა და განსხვავების ერთიანობა; ცვალება, მაგალითად, რომელიმე ადამიანისა არ უნდა იყოს გაგებული ისე, რომ ამ ცვალებით იკვეთება თვითონ ამ ადამიანის ცნება და ცვალების სხვადასხვა ეტაპი წარმოგვიდგება სხვადასხვა ადამიანის სახით. საგნის ცვალება არამცთუ არღვევს მის ერთიანობას, არამედ ეს ერთიანობა გამოვლინდება თვით მოცემული საგნის ცვალებაში. „რა თქმა უნდა, მართალი არ არის,—ამბობს სტალინი,—რომ მძაფრი კლასობრივი ბრძოლის არსებობის გამო საზოგადოება თითქოს დაიშალა კლასებად, რომლებიც ერთმანეთთან ეკონომიურად დაკავშირებული აღარ არიან ერა საზოგადოებაში. პირიქით. სანამ კაპიტალიზმი არსებობს, ბურჟუები და პროლეტარები დაკავშირებული იქნებიან ერთმანეთთან მთელი ეკონომიკით, როგორც ერთიანი კაპიტალისტური საზოგადოების ნაწილები“ (გვ. 16 — 17).

ცვალების პროცესის სწორ გაგებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს მათემატიკის იმგვარი ძირითადი ცნების დიალექტიკური ხასიათის გამოვლენისათვის, როგორც არის ცვალი სიდიდის ცნება. ცვალის მნიშვნე-

ლობათა განსხვავებულობა არამცთუ მის ფენებად დაყოფას მოასწავებს, არამედ ამ განსხვავებულობაში გამოვლინდება თვით ცვლადი და მისი ერთიანობა. აქ შეიძლება გავიხსენიოთ აგრეთვე მარქსის მათემატიკურ მოძღვრებაში ძირითადი მნიშვნელობის მქონე დაპირისპირება ჯამისა და სხვაობის თვალსაზრისებისა ცვლადი სიდიდის მიმართ. ამ დაპირისპირებაში გამოვლინდება დაპირისპირება ცვლადი სიდიდის ცნებისაში მეტაფიზიკური და დიალექტიკური მიდგომებისა. საშუალოდ, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მარქსის მათემატიკური მეშვეიდრეობის უდიდესი მნიშვნელობისა მათემატიკის დაფუძნების საკითხების დამუშავებისათვის, ამ მეშვეიდრეობის ათვისებისა და გამოყენების მდგომარეობა ჯერჯერობით მეტად სავალალოა. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება თუნდაც ის გარემოება დავასახელოთ, რომ მარქსის მათემატიკური ხელნაწერების ქართულ თარგმანს, რომელიც უკვე სამი წელიწადია რაც არსებობს, ჩვენს მათემატიკურ საზოგადოებრივობის მხრივ თითქმის არავითარი გამოხმაურება არ მოყოლია.

მარქსმა გამოავლინა მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს ცვლადი სიდიდის მეტაფიზიკურ გაგებასა („ჯამის თვალსაზრისი“) და მათემატიკურ დასკვნებთან დაკავშირებულ ლოგიკურ პროცესის ანალიტიკურად გაგებას („გამოთავისუფლების“ მეთოდი) შორის. ცვლადი სიდიდის დიალექტიკურ გაგებისას კი სათანადო დასკვნებს მათემატიკაში აქვთ არა „გამოთავისუფლების“, არამედ განვითარების ხასიათი („განვითარების მეთოდი“).

საერთოდ დასკვნის პრობლემის დიალექტიკურ მატერიალიზმის საფუძველზე გადაწყვეტისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს სტალინის შრომებს ენათმეცნიერების საკითხებზე. თავის პასუხში ამხ. ა. ზოლოპოვისადმი სტალინს მოჰყავს დასკვნების სხვადასხვა წყვილების მაგალითები მარქსიზმის ისტორიაში (მაგ., დასკვნა სახელმწიფოს კვლამის შესახებ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ და დასკვნა სახელმწიფოს გაძლიერების შესახებ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში) და აღნიშნავს, რომ ეს დასკვნები არამცთუ ერთიმეორეს

ენინაღმდეგებიან, არამედ გამორიცხავენ ერთიმეორეს, და, მიუხედავად ამისა, არავითარი გამოუვალი მდგომარეობა არ იქმნება, რადგან ორივე ეს დასკვნა სწორია, მაგრამ არა უთუოდ, არამედ თითოეული თავის დროისათვის. მათემატიკაშიც ვხვდებით სხვადასხვა დასკვნებს, რომლებსაც ერთიმეორის საწინააღმდეგო ხასიათი აქვთ. მაგალითად, ევკლიდურ გეომეტრიაში სამკუთხედის კუთხეთა ჯამი ორი სწორი კუთხის ტოლია, ლობანიევის გეომეტრიაში ის ორი სწორი კუთხეზე ნაკლებია ჩვეულებრივ ამბობენ, რომ ამ დასკვნებს შორის წინააღმდეგობას ადგილი არა აქვს, რადგან ისინი შესრულებულია სხვადასხვა დაშვების პირობებში. ეს არის საკითხის გაშუქება სათანადო გაგებულ ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით. ნამდვილად კი წინააღმდეგობას ორი ზემოთგანხილულ დასკვნას შორის ადგილი აქვს და აქსიომათა სისტემების განსხვავებულობა არამცთუ აუქმებს წინააღმდეგობას, არამედ მისი მხარეების კონკრეტულ გაბირობებს გამოხატავს. აქსიომების ეს სისტემები გამოსახავენ სივრცის სხვადასხვა თვისებებს, დაკავშირებულს თვით მატერიის ხასიათთან, და აქსიომების ეს სხვადასხვა სისტემები ასახავენ მათემატიკის განვითარების სხვადასხვა პერიოდებს. სათანადო დასკვნები თუმცა ერთიმეორესთან უთავსადია, მაგრამ არავითარი გამოუვალი მდგომარეობა არ იქმნება, და როგორც ერთი ისე მეორე დასკვნა სწორია, მაგრამ არა უთუოდ, არამედ თითოეული სათანადო კონკრეტულ პირობებში.

სტალინის კრიტიკა სტალიალობის თეორიისა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის მიერვე რაოდენობასა და თვისობრივობას შორის დამოკიდებულების საკითხის ახლებურად გაშუქებასთან. სტალინის ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერულ აღმოჩენას იმ გარემოების დადგენა წარმოადგენს, რომ ნახტომისებურ გადასვლას ერთი თვისობრივობიდან მეორეში ენის განვითარების პროცესში არა აქვს აფეთქების ხასიათი და რომ „...ძველი თვისობრიობიდან ახალში აფეთქების გზით გადასვლას კანონი არ შეესაბამება არა მარტო ენის განვითარების ისტორიას, არამედ ყოველთვის როდი შეესაბამება საბაზისო ან ზედნაშენური ხასიათის სხვა საზოგადოებრივ

მოვლენებსაც. იგი საწინააღმდეგოა მტრულ კლასებად დაყოფილ სოციალიზმისათვის. მაგრამ ფაქტობრივად არ არის საწინააღმდეგო ისეთი საზოგადოებისათვის, რომელშიც მტრული კლასები არ არის“ (გვ. 26). როცა ნახტომს განიხილავენ როგორც შესრულებულს არამცთუ ძალიან სწრაფად, არამედ ერთბაშად, რაოდენობის ცვალების გასწვრივ გარკვეულ მომენტში, მაშინ თვით ეს ნახტომი ყალბ ხასიათს იღებს. ჯერ კიდევ შრომაში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ სტალინი აღნიშნავდა, რომ კატაკლიზმების თეორიას არაფერი აქვს საერთო დიალექტიკურ მატერიალიზმთან.¹ როცა ყოველგვარი ნახტომისებური ცვლება ესმით, როგორც აფეთქება, ამით მახინჯდება საერთოდ თვისობრივი ცვალების ნახტომისებური ხასიათი, ცვლება „საფეთქისებური“ აზრით არის გაგებული, და ამას თავს იჩენს სტატეკური მიდგომა ცვალების პროცესის მიმართ. თვისობრივობის ცვალების სტალიალობის მოძღვრებას საერთოდ აქვს მეტაფიზიკური ხასიათი და ის გამოუსადეგარია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნახტომი აფეთქების სახით ზდება.

სტალინის მიერ რაოდენობასა და თვისობრივობას შორის დამოკიდებულების გაშუქებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რაოდენობის ცვლების ფილოსოფიური დახასიათებისათვის, რაც, თავის მხრივ, მოასწავებს მის ამგვარივე მნიშვნელობას მათემატიკის დაფუძნების თეორიისათვის. რაოდენობასა და თვისობრიობას შორის დამოკიდებულების ეს ახალი გაშუქება საშუალებას იძლევა, კერძოდ, გამოახულ იქნას სიმრავლეთა თეორიების პარადოქსების გადაწყვეტის გზა, რაც, როგორც ვარჯად ცნობილია, მეტად არსებითია სიმრავლეთა თეორიის და, მასთან ერთად, მთელი მათემატიკის დაფუძნების საქმის მოგვარებისათვის. არანაკლებია სტალინის შრომების მნიშვნელობა კერძოდ მიკროფიზიკასთან დაკავშირებულ თანამედროვე მეცნიერებისათვის ძალიან აქტუალურ საკითხების ფილოსოფიურად მოგვარებისათვის.

ენის განვითარების ისტორიისადმი ერთი თვისობრივობიდან მეორეში აფეთქების გზით გადასვლის კანონის გამოუ-

¹ ი. სტალინი, თხულებანი ტომი I, გვ. 290.

ყენებლობა შეეხება თვით ენის წარმოშობისა და აგრეთვე აზროვნების წარმოშობის საკითხსაც, კერძოდ მათემატიკისათვის ისეთი ელემენტარული ცნებების წარმოშობას, როგორც არის ნატურალური რიცხვის, სიმრავლის და სხვათა ცნებანი. ისტორიულსა და ლოგიკურს ერთიანობა, რომლის ბუნების გარკვევისათვის სტალონის ახალ შრომებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ, საშუალებას იძლევა სწორად იქნას გაშუქებული თვით ლოგიკური პროცესის ხასიათი თუნდაც იმავე მათემატიკაში. კერძოდ სრულებით მიუღებელია ლოგიკური პროცესისადმი აქსიომატურ-რედუქციული მიდგომა (ამით მიხიზდება აქსიომატური მეთოდის დანიშნულება), რომლის მიხედვით გამოდის, რომ ყველაფერი თავიდანვე ფაქტური აუცილებლობით აქსიომებშია მოცემული და შემდგომი მდგომარეობს მხოლოდ ამ ადრევე მოცემულის „გამოთავისუფლებაში“. ლოგიკურ პროცესს უნდა ჰქონდეს განვითარების და არა „გამოთავისუფლების“ ხასიათი.

მხოლოდ სწორი გაგება რაოდენობისა და თვისობრივობის დამოკიდებულებისა საშუალებას იძლევა დავინახოთ ნამდვილი დიალექტიკური ნახტომი თვისობრივობის ცვალებადობაში, კერძოდ მეცნიერების განვითარების პროცესის მიმართ. არც ევოლუციონისტურ მიდგომას და არც კატაკლიზმების თეორიას არ ძალუქს ახსნას ახალის განხევა; ნამდვილად ორივე ეს მიდგომა ლოგიკურად ერთიმეორას მონათესავეა. მარქსისტულ-ლენინური მიდგომა მეცნიერების განვითარების პროცესისადმი, ისტორიულსა და ლოგიკურს ერთიანობის გათვალისწინება საშუალებას იძლევა სწორად გავიგოთ, კერძოდ, მათემატიკის დაფუძნების პრობლემატიკის დაყენება. რევოლუციური ძვრები მეცნიერების განვითარებაში მეცნიერების განვითარების თანმიმდევრობას სრულებით არ აუქმებს და არ მოითხოვს წარსულის ხელაღებით უარყოფას. სტალინი აღნიშნავდა კავშირს წინამორბედ მეცნიერებასთან ისეთ განსაკუთრებით მძლავრ რევოლუციურ ძვრება მეცნიერების ისტორიაში როგორც იყო მარქსიზმის წარმოშობა. „ნ. ი. მარს და განსაკუთრებით მის

„მოწაფეებს“ ყური რომ დაუგდო, გეგონება, რომ ნ. ი. მარამდე, არაერთგვაროვანი მეცნიერება არ ყოფილა, რომ ენათმეცნიერება მას შემდეგ დაიწყო, რაც გაჩნდა ნ. ი. მარის „ახალი მოძღვრება“. რაოდენ უფრო თავმდაბალი იყვნენ მარქსი და ესგელოსი მათ მიანიხნებენ, რომ მათი დიალექტიკური მატერიალიზმი წინა პერიოდის მეცნიერებათა, მათ შორის ფილოსოფიის განვითარების ნაყოფია“ (გვ. 32). ამხანაგმა კ. ნ. ხარკვიანმა დროულად გაანსენა კერძოდ ქართველ მათემატიკოსებს სტალინის სიტყვები: „ნ. ი. მარმა ენათმეცნიერებაში შეიტანა მარქსიზმისათვის შეუფერებელი კადნიერი, ყოყოჩა, ქედმაღლური კილო, რომელიც იწვევს ყოველივე იმის დაუსაბუთებლად და წინდაუხედავად უარყოფას, რაც ენათმეცნიერებაში ნ. ი. მარამდე იყო“. (გვ. 31). სტალინის შრომები ენათმეცნიერების საკითხებზე თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სწორი მარქსისტული თვალსაზრისის გატარებას ამათუნი სპეციალურ დარგის განვითარებისათვის. კერძოდ, ეს შეეხება მათემატიკასაც. პროფესიონალიზმი, დეკავშირებული ამათუნი სპეციალურ დარგში მუშაობასთან, არამც თუ მოითხოვს ზოგად მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიური მომზადების უზღულეზყოფას, არამედ, პირიქით, საქმე სწორედ სპეციალურ მეცნიერულ მუშაობისა და ზოგადი მეცნიერულობის ერთიანობის განხორციელებაშია. „ახალგაზრდა კადრების აღზრდა და ჩამოყალიბება ჩვენში, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ჩვეულებრივ მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეული დარგების მიხედვით, სპეციალობათა მიხედვით მიმდინარეობს. ეს აუცილებელი და მ. ზანშეწონილია. აუცილებელი არ არის, რომ სპეციალისტი — მედიკოსი იმავე დროს ფიზიკის ან ბოტანიკის სპეციალისტი იყოს, და პირიქით. მაგრამ არის მეცნიერების ერთი დარგი, რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკისათვის, — ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის განვითარების კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის

განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ. ვინაიდან არ შეიძლება შვიჩინით ნამდვილ ლენინულად კაცი, რომელიც თავის თავს ლენინულს უწოდებს, მაგრამ ჩაეტილია თავის სპეციალობაში, ჩაეტილია, ვთქვათ, მათემატიკაში, ბოტანიკაში ან ქიმიკაში და თავის სპეციალობის იქით ვერაფერს ხედავს.¹ სპეციალისტ მეცნიერში უნდა ჩანდეს მეცნიერის ზოგადი საბე. თუ ის მათემატიკოსია, ბოტანიკოსი ან ქიმიკოსი, ასეთად ის უნდა იყოს როგორც მეცნიერის საერთო ხასიათის გამომხატველი ამათუიმ კონკრეტული სახით. ყველაზე ცუდი ამ მხრივ ის იქნება, თუ ვინმე ჯერ მხოლოდ სპეციალისტი მათემატიკოსი, ბოტანიკოსი ან ქიმიკოსია და მხოლოდ ამის გამო და ამის შემდეგ ის ძალაუნებურად მეცნიერად უნდა ჩათვალოს. რასაკვირველია, მეცნიერულ მუშაობას, რომელსაც გარკვეული სპეციალური ხასიათი არა აქვს, ზედაპირულობისა და

დილექტანტობის დალი ვაჭყყაძემ მხრივ შეიძლება სამართლიანად მივიჩნიოთ გოეთეს სიტყვები: „უნდა იცოდეს საკუთარი თავის შეზღუდვა“. მაგრამ ერთი არის, საჭირო შემთხვევაში, თავის თავის შეზღუდვის უნარი, ხოლო მეორეა ის, რომ თავიდანვე დააყანონ თავის თავისათვის შეზღუდულ მდგომარეობაში ყოფნა და ყოველთვის ამ მდგომარეობაში იმყოფებოდეს.

საბჭოთა მათემატიკოსი მხოლოდ მაშინ იქნება თავის მოწოდების სინამდვილეზე, როცა ის ამასთანავე განასახიერებს ზოგადად საბჭოთა მეცნიერს და სანიმუშო საბჭოთა მოქალაქეს.

საბჭოთა მათემატიკის და საზოგადოდ საბჭოთა მეცნიერების განუყრელობა სოციალისტურ პრაქტიკასთან უზრუნველყოფს როგორც მის უდიდეს ქმედით როლს სინამდვილის გაუმჯობესებისა და გარდაქმნის საქმეში, ისე მის ნათელ ლოგიკურ ხასიათს და ღრმა ფილოსოფიურ იდეურობას.

¹ ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, 1939 წ., მე-11 გამოც., გვ. 741.

მოგვკოლდ ეურაიშ ლესინგი

(ბარდაცვალებიდან 170 წლისთავის ბავშვად)



ლესინგი გერმანული ლიტერატურის განათლების ეპოქის გამოჩენილი ფიგურაა, მან მთელი სიცოცხლე, ნიჭი და ენერჯია გერმანული ხალხის სამსახურს შესწირა. ლესინგი თავის დროზე ებრძოდა გერმანულ აზნაურულ აბსოლუტიზმს და რეაქციულ პრუსიელობას; ამ დიდი გერმანელი განმანათლებლის პროგრესული იდეები დღესაც ახლო ეხმაურება გერმანიის ისტორიის თანამედროვე ეტაპის პროგრესულ ტენდენციებს. ლესინგი დღესაც რჩება თავის ქვეყნის ერთგულ შვილად, გერმანული ხალხის თანამებრძოლად ერთიანი და დემოკრატიული გერმანიისათვის ბრძოლაში.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები კ. მარქსი და ფრ. ენგელსი დიდად აფასებდნენ ლესინგს. ისინი ბევრ მსგავს თვისებას პოულობდნენ ლესინგსა და დიდი რუსი დემოკრატის ჩერნიშევსკის, მეორეს მხრივ, ლესინგსა და დენი დიდროს შორის. მათი შეფასებით ლესინგი დიდი შოაზროვნე და გერმანული ლიტერატურის ახალი პერიოდის დამწვებია.

ლესინგს დიდი ხნიდან იცნობს ქართველი მკითხველი. ათეული წლების მანძილზე მის ნაწარმოებთა შესწავლას და თარგმნას სიყვარულით უბრუნდებოდნენ ჩვენი ინტელაგენციის მოწინავე წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, მამია გურიელი, რომანოზ ფანცხვა და სხვ.

ილია ჭავჭავაძე ლესინგს იხსენიებდა „მთელს ქვეყანაში სახელგანთქ-
7. „მთაბი“ № 4.

მულ გერმანულად¹ და „სახელოვან გერმანულ კრიტიკოსად“². ილიას მოყვება ციტატები ლესინგის შრომებიდან. მის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ ლესინგის სიტყვებს: „მწერალმა საზოგადოებაში უნდა იცხოვროსო“³. ამავე აზრს სხვა ადგილას ილია თავისი სიტყვებით გადმოგვცემს: „არ ვარგა მართა წიგნიდან გამოხედვა“⁴.

რომანოზ ფანცხვამ ხომლეღის ფსევდონომით 1899 წელს „აკაკის თეოური კრებულის“ სამ ნომერში⁵ მოათავსა საკმაოდ ვრცელი წერილი „გოტტჰოლდ ლესინგი“, რომელშიც აკტორი დაწერილებით ჩერდება ლესინგის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე.

ქართულ პერიოდიკაში ხშირად იბეჭდებოდა ლესინგის იგავები პროზად. საყმაწვილო ჟურნალები ათავსებდნენ მწერლის არაკებს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში დაცულია ლესინგის „ლაოკოონის“ ქართული თარგმანი — შესრულებული მამია გურიელის მიერ⁶ და ლესინგის დრამის „ემილია გალოტის“ ზოგიერთი ადგი-

¹ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, გვ. 258, ტ. 5, თბილისი.

² ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, თბილისი, 1927 წელი.

³ ამოღებულია ი. გრიშაშვილის წიგნიდან „ქველ თეატრში“, გვ. 27, 1948 წელი.

⁴ აკაკის კრებული №№ III, IV, V, 1899 წელი.

⁵ გრ. ზეთასი, „მამია გურიელის არქივიდან“, ქუთაისის აღ. წულუკიძის სახ. სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, გვ. 300, ტ. 11, 1941 წ.

ლებს ქართული თარგმანი, შესრულებული უცნობი მთარგმნელის მიერ¹.
 ლესინგი პასტორის შვილი იყო. იგი უკუთვნოდა ბიურგერული ინტელიგენციის იმ გვარს, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მესამე წოდების განთავისუფლების საქმეში. ლესინგი დაიბადა 1729 წელს საქსონიაში, ქალაქ კამენცეში, სწავლობდა ლაიფციგის უნივერსიტეტში; შემდეგ ბერლინში გადასახლდა. იქ დაუახლოვდა გერმანიის განმანათლებელთა წრეს. 1767-69 წლების განმავლობაში ლესინგი რეკონსტრუქტა დ მუშაობდა ჰამბურგის ნაციონალურ თეატრში, 1770 წლიდან ვოლფენბიტელში განაგებდა ჰერცოგის ბიბლიოთეკას, დაძაბული შრომის მიუხედავად, ლესინგი ყოველთვის განიცდიდა მატერიალურ ხელმოკლეობას. ფიზიკურად მოქანცული და დაუძლეურებული ლესინგი გარდაიცვალა 1781 წლის 15 თებერვალს.

ლესინგი სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო. იგი როგორც რედაქციის თანამშრომელი წერდა ლექსებსა და ერთმოქმედებიან პიესებს გოტშედის პოეტიკის ნორმებით. მაგრამ ლესინგმა მალე დააღწია თავი კლასიციზტური ლიტერატურის გავლენას, იგი გაბედულად შეებრძოლა ამ სკოლას და მის ფრანგსა და გერმანულ წარმომადგენლებს, განსაკუთრებით — გოტშედს. გოტშედის შემოქმედებაში ქარბობენ რეაქციული ელემენტები. გოტშედმა და მისმა მოწაფეებმა კლასიციზტური ლიტერატურის ნორმები აქციეს თავადების საზოგადოებრივი თვითნებობის გამართლებად, ხელოვნებაში დამკვიდრებული პედანტიზმი და ცარიელი რიტორიკა კი — რეაქციული ძალების ესთეტიკურ იდეოლოგიად. ფილისტერული მსოფლმხედველობით შეზღუდულმა გოტშედმა ვერ გაბედა იფანტურილი სახელმწიფოს

საფუძვლების წინააღმდეგ გალაშქრება. იგი ქედს უხრიდა დესპოტიზმს.
 ლესინგის გამოსვლა გოტშედისა და სხვა კლასიციზტების წინააღმდეგ იყო რევოლუციური დემოკრატიის შებრძოლება გერმანული აბსოლუტიზმის აბოლოგებებთან. საკუთარი კლასის სოციალური ინტერესების თვალსაზრისით ლესინგი როგორც მხატვრულ შემოქმედებაში ისე თეორიული ხასიათის შრომებში ებრძვის კლასიციზმს. ამ ბრძოლის ნიშნითაა დაწერილი ინგლისელი კლასიციზტების წინააღმდეგ მიმართული შრომა „ლაოკოონი“, რომელშიც ლესინგმა ურთიერთისაგან ამიჯნა პოეზიისა და მხატვრობის სფეროები, ხელოვნების აზნაურულ-არისტოკრატიული თეორიას დაუბრძოლა პურჯუაზიულ-დემოკრატიული თეორია, ამხილა შუასაუკუნეებრივი ესთეტიკის რეაქციული მხარეები, დაიცვა აღმომავალი ბურჟუაზიის პოეზია და შეეცადა დაესაბუთებინა ამ პოეზიის ანტიკური ხელოვნებისაგან დამოუკიდებელი არსებობის უფლება.

ლესინგის აზრით, ხელოვნება ბუნების სრულყოფილობის მიბაძვება. მაგრამ იგი სინამდვილის ფოტოგრაფიული ასლი არ არის და, მაშასადამე, არც შემოქმედებითი პროცესია სინამდვილის ზუსტი ფოტოგრაფირება. აღქმული სინამდვილე ხელახლა წარმოქმნამდე გაივლის ხელოვნების შემოქმედებით ლაბორატორიას, სადაც ხელოვნება იცილებს მოვლენათა შემთხვევითსა და არასებებით თვისებებს, მოვლენათა გროვიდან იგი იღებს კანონზომიერსა და საერთოს, დამახასიათებელსა და ტიპურს. „ხელოვნება ბაძავს... მთელ ხილულ ბუნებას“¹ — ამბობს ლესინგი ხელოვნების ორი სხვადასხვა სფეროდან — მხატვრობიდან და პოეზიიდან — ლესინგი უპირატესობას აძლევს პოეზიას. პოეზია მოქმედების თანამიმედვე-

¹ საქართველოს სახ. მეზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 94, თბილისი, 1946 წ.

¹ G. E. Lessing's Sämtliche Werke, Bd — 4, S — 6 1.

რულ ვითარებაში მოვლენებს აღწერს დინამიკური მეტყველების საშუალებით; „მოქმედება პოეზიის ნამდვილი საგანია“¹. ადამიანი ყველაზე მეტად მოქმედა და პოეზიის მთავარი საგანი — ადამიანია. პოეზია ზოგადსა და კანონზომიერს კჰმნის შემთხვევითისა და ვალკეულისაგან. პოეზიაში ასახულსაგნებს გვარეობითის გარდა გააჩნია ინდივიდუალური თვისებანი. პოეზია ანზოგადოებს ინდივიდუალიზაციის გზით.

კლასიციტები უგულობელყოფდნენ პოეზიაში პიროვნების ინდივიდუალობას, არარაობამდე დაყავდათ რიგითი ადამიანების პირად თვისებათა გამოვლენა; მათი აზრით, პოეზიას მხოლოდ მითოლოგიური ტიტანები და გაღმერთებული არისტოკრატები უნდა ეჩვენებია. უბრალო ადამიანი, ჩვეულებრივი ბურჟუა თავისი ყოველდღიური საპირბოროტო საკითხებით, თავისი მისწრაფებებით არ შეიძლებოდა პოეზიის საგანი ყოფილიყო. პოეზიის ამ კლასიციტური ნორმების წინააღმდეგ გაილაშქრა ლესინგი. პოეზიაში იგი იცავს პიროვნების უფლებას.

„ლაოკონის“ პირველ რუსულ თარგმანს ჟურნალ „სოვერენიცი“ სპეციალური წერილი მიუძღვნა დიდმა რუსმა დემოკრატმა ნ. დობროლიხოვმა. იგი წერდა: „ლაოკონით“ ლესინგმა შექმნა პოეზიის ახალი თეორია, რომელმაც პოეზიაში შეიტანა სიცოცხლე და დანგრია მანამდე ყველა ესთეტიკების გაბატონებული მეცდარი ფორმალისტთა. მან უჩვეულო მკაფიობით და აზრის ძლიერებით, უცილო ლოგიკური დამაჯერებლობით დასაბუთა, რომ განსხვავებით სხვა ზელოვნებათაგან და, განსაკუთრებით მხატვრობისაგან, პოეზიის არსებით საგანს შეადგენს მოქმედება.. პოეზიიდან ლესინგი დევნიდა ყოველივე უსიცოცხლოს, უცხო

ადამიანური სულის სამყაროსათვის...“ „ლაოკონის“ გამოცემის შემდეგ სიცოცხლე თავის მდინარებაშია და პოეზიის არსებით შინაარსად არაა აღიარებული უსულო ფორმა“¹. „ლაოკონი“ ილია ჭავჭავაძემ „სახელოვან თხზულებად“² მოიხსენია, რომანოზ ფანცხვამ — „ესთეტიკური კრიტიკის უმესანიშნავეს ნაშრომად“³, ხოლო ვიორჯი წერეთელს იგი ლიტერატურის სფეროში ღირებულებათა საზომად მიიჩნდა. გ. წერეთელი ირონიულად სწერს ერთ-ერთ თავის მოწინააღმდეგეზე: „მან უჩვენა სწავლულთ ქვეყანას პოეზიისა და ლიტერატურის სფეროში იმგვარი კანონები, რომლების მსგავსი არა წარმოთქმულა რა... ლესინგის „ლაოკონში“⁴.

1767 წლის 22 აპრილს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ჰამბურგის ნაციონალური თეატრი. იქ სამუშაოდ მიიწვიეს ლესინგი, რომელსაც თეატრის ცხოვრებაში უნდა ეთამაშა „გერმანელი გოლდონის“ როლი, ე. ი. დროდადრო დასისათვის მიეწოდებინა პიესები. ასეთ საქმეზე ლესინგმა უარი განაცხადა, სამაგიეროდ სიამოვნებით დაიგეგმა რეცენზენტის მოვალეობა. თითქმის ორი წელიწადი თანაშრომლობდა ლესინგი ჰამბურგის თეატრში, რეცენზიებში, რომელთაც იგი ამდროს აქვეყნებდა, ლესინგი იბილავდა წარმოდგენილი პიესების ღირსება-ნაკლოვანებას, აფასებდა მსახიობთა თამაშს და ეხებოდა საერთოდ დრამატურგიის თეორიულ საკითხებს. მას შემდეგ რაც ჰამბურგის ნაციონალური თეატრი დაიხურა ეს რეცენზიები ლესინგმა ორ ტომად გამოსცა და მათ

¹ G. E. Lessing's Sämtliche Werke, Bd — 4, S — 736.

¹ Н. Добролюбов, Полн. собр. соч., стр. 321 — 322, 1941 г.
² ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. V, გვ. 258.
³ „აქაის კრებული“, ტ. IV, გვ. 119.
⁴ გ. წერეთელი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 17, 1931 წ.

„კამბურგის დრამატურგია“ უწოდა. ამ შრომაში ლესინგი აგრძელებს ბრძოლას კლასიციზმის წინააღმდეგ, მაგრამ ამჯერად გამანადგურებელი იერიშებისათვის ნიშანში ამოიღო გერმანული და განსაკუთრებით ფრანგული თავადაზნაურული კლასიციზმის წარმომადგენლები. იგი თავს ესხმის თვით განმანათლებლებს ვოლტერსა და დიდროს — თუ კი ისინი რომელიმე ბუნქტში იჩენენ დათმობას არისტოკრატიული ხელოვნების წინაშე. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლესინგმა ხელოვნებას დიდი როლი მიანიჭა. იგი ხელოვნების საშუალებით ცდილობდა ფეოდალური ტირანიისა და ჩაგვრის გამოაშკარავებას. ლესინგი ფიქრობდა, რომ ფეოდალიზმის მიერ დამახინჯებული და გადაგვარებული ადამიანი ხელოვნებამ უნდა აქციოს ბუნებრივ, ე. ი. საზოგადოებრივ ადამიანად. ლესინგი ხელოვნებას მოუწოდებდა ბუნებრიობისა და რეალიზმისაკენ: „მე დიდი ხანია იმ აზრისა ვარ, — წერდა იგი — რომ სასახლე არაა ისეთი ადგილი, სადაც პოეტი შესძლებდა ბუნების შესწავლას. და თუ მდიდრულმა შედიდურებამ და ეთიკეტმა ადამიანები აქცია მანქანებად, სამაგიეროდ პოეტის საქმეა ეს მანქანები ხელახლად ადამიანებად აქციოს“.¹

„კამბურგის დრამატურგიაში“ ლესინგი აყალიბებს დრამის ხალხურობის პრინციპებს, პიესის მოქმედი პირები, მისი იდეური მოტივი, მისი სიუჟეტი და მორალი უნდა იყოს ხალხური მისი ყოველი ელემენტი უნდა შეეფერებოდეს და აქმაყოფილებდეს მესამე წოდების მოთხოვნილებებს.

თავისი დროის ხელოვნებისათვის მისამდე ნიმუშად ლესინგმა დაასახელა ანტიკური ხელოვნება და შექსპირის შემოქმედება. ანტიკური ხელოვნება ლესინგს მიაჩნდა პოეზიისა და სინამდვილის, კონკრეტულობისა და დრმა განზოგადობის ერთიანობის იდეალად.

ლესინგის აზრით, ძველი საბერძნეთის ხელოვნება, კერძოდ დრამატურგია, მჭიდრო კავშირში იყო თავისი დროის სახელმწიფოებრივ ცხოვრებასთან და ზნეჩვეულებებთან. ანტიკური ტრაგედია რეალიზმის დიდი გამოვლენაა. ლესინგს თავის დროის ლიტერატურის შეფასების საზომად მიაჩნდა ანტიკური ლიტერატურის ნორმები; ჰომეროსს იგი უდიდეს პოეტად თვლიდა, ესქილეს შეუდარებელ დრამატურგად, არისტოტელეს უბაღლო თეორეტიკოსად ანტიკური ხელოვნებას, ლესინგის აზრით, ახასიათებს ბუნებრივობა, უბრალოება და ლაკონიურობა: იგი გამსჭვალულია სიმართლით და თავისუფალია ყოველგვარი პირმოთენობისაგან. სწორედ ასეთ ხელოვნებას მოითხოვდა თავისი დროისათვის ლესინგი.

ანტიკური დრამის შემკვიდრებობაზე პრეტენზიები ჰქონდა ფრანგულ-თავადაზნაურულ კლასიციზმსაც. მართალია, ამ კლასიციზმმა შემკვიდრებულ მიიღო ანტიკური დრამის ზოგიერთი ნიშანი, მაგრამ ეს შემკვიდრებობა მან ცალმხრევად და ვიწრო ვაგებობით აითვისა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ცრურწმენა, — თითქოს ანტიკური ხელოვნება განვლილი და დაბალი საფეხური ყოფილიყოს ვოლტერის თანამედროვე სრულყოფილ ხელოვნებასთან შედარებით. ვოლტერის რწმენით, მისი დროის ცივილიზაციამ და ტექნიკამ საგრძნობლად გაუსწრო ძველს. აქედან მას ის დასკვნა გამოჰყავდა, რომ მისი დროის ხელოვნებაც ისევე მაღლა იდგა, როგორც მისი დროის ცივილიზაცია და ტექნიკა. ცხადია, ვოლტერი და მისი თანამოაზრენი ვერ ამჩნევდნენ, რომ „კაპიტალისტური წარმოება მტრულადაა განწყობილი სულთერი წარმოების ზოგიერთ დარგთან, როგორცაა ხელოვნება და პოეზია“.¹ ამიტომაც ისინი ხელოვნების წარმატებას პირდაპირ სამრეწველო პროგრესს უკავშირებდნენ.

¹ G. E. Lessing's Sämtliche Werke, Bd — 6, S — 279.

¹ К. Маркс и Ф. Энгельс. Об искусстве, стр. 89, 1938 г.

ლესინგი ანვითარებდა ვოლტერის მოსაზრების საწინააღმდეგო დებულებას. რომ ძველი დროის ტრეჟნიკასთან შედარებით მაღლა იდგა ვოლტერის დროის ტრეჟნიკა ეს ლესინგმა ც აღიარა, მაგრამ იგი ამავე დროს ამტკიცებდა, ტრეჟნიკის მაღალი დონე არ განსაზღვრავს ხელოვნების მაღალ დონესო. ლესინგის აზრით, მისი დროის ხელოვნება გაცილებით დაბლა იდგა ძველ ბერძნულ ხელოვნებასთან შედარებით; უკანასკნელი კიდევ დიდხანს დარჩება პირველისთვის მისაბამ ნიმუშადო; არისტოკრატიული კლასიციზმის ხელოვნებამ კი არ გაასწრო, არამედ საგრძნობლად ჩამორჩა ანტიკურ ხელოვნებასო. ეს არის „ჰამბურგის დრამატურგიის“ ერთ-ერთი ძირითადი იდეა. ლესინგი უდავოდ მართალი იყო, როდესაც ხელოვნების განვითარებას არ უკავშირებდა სამრეწველო პროგრესს. კ. მარქსი იძლევა რა ხელოვნების არა თანაბარზომიერი განვითარების ფორმულას, ერთგვარად ეყრდნობა ლესინგსაც (კ: „ამის ვერ გაგებით — ლაპარაკობს მარქსი დისპროპორციის კანონზე — შეიძლება დაეუბრუნდეთ მეთვრამეტე საუკუნის გამოწვავის, რომელსაც უკვე ლესინგმა დასციინა, რადგანაც მექანიკაში და ა. შ. ძველებზე შორს წავედით, მაშ რატომ არ უნდა შევექმნათ, აგრეთვე ებოსი და აი იქმნება: „ქენრიდა“ „ილიადას“ ნაცვლად!“¹

ლესინგის აზრით შექსპირი უდიდესი რეალისტია. შექსპირის შემოქმედებაში ლესინგი პოულობს აზრისა და გრძნობის სიღრმეს, ბუნებრივობას, უბრალოებას. თანამედროვე პოეზიამ შექსპირისაგან უნდა ისწავლოსო — ამბობდა ლესინგი. მაგრამ ამავე დროს იგი მოითხოვდა შექსპირისადმი არა ბრმა, არამედ შემოქმედებითი მიბაძვას. „შექსპირი და მხო-

ლოდ შექსპირი“, ამბობს ლესინგი, ეს ლოზუნგი გერმანელი დრამატურგებისათვის იქცევა სახელმძღვანელო პრინციპად, რომელმაც თავისი შედეგი გამოიღო Sturm und Drang — ის ლიტერატურის წარმომადგენელთა დრამატიულ ნაწარმოებებში.

„ჰამბურგის დრამატურგიაში“ ლესინგი არჩევს იმ პრინციპებს, რომელთა მიხედვით უნდა იყოს აგებული ბურჟუაზიული დრამა; აქვე იხილავს იგი ტრაგედიის, კომედიის, ხასიათების, მსახიობის ხელოვნების და სხვა საკითხებს. ლესინგის აზრით, ტრაგედია არის მიბაძვა შებრალების ღირსი მოქმედებისა. ტრაგედია უნდა შეიცავდეს რაიმე იდეას, მორალს, რადგან მისი მიზანია ადამიანის ზნეობრივი გაუმჯობესება, განწმენდა, კათარზისი. „განწმენდა მდგომარეობს ვენებათა სათნოებად გადაქცევაში“.¹

კ. მარქსი წერდა: „სამი ერთიანობა იმ სახით, როგორც იგი თეორიულად ააგეს ლუი XIV-ის დროინდელმა ფრანგმა დრამატურგებმა ემყარება ბერძნული დრამის (და არისტოტელეს, როგორც მისი განმმარტებლის) არასწორ გაგებას“.²

ლესინგი ილაშქრებდა სამი ერთიანობის კანონის წინააღმდეგ. იგი ამბობდა, ფრანგმა კლასიციზტებმა დაამზინჯეს არისტოტელეს ნააზრეიო. ლესინგის აზრით არისტოტელე და ბერძენი დრამატურგები აღიარებდნენ მხოლოდ მოქმედების ერთიანობას, ხოლო დროისა და ადგილის ერთიანობის საჭიროება სავალდებულოდ მხოლოდ ფრანგმა კლასიციზტებმა მიიჩნიეს ანტიკური ხელოვნების უმართებულოდ გაგების შედეგად. თავისმხრივ ლესინგი იმ აზრისა იყო,

¹ G. E. Lessing's Sämtliche Werke, Bd — 6, S — 359.

² K. Маркс и Ф. Энгельс, Собр. соч. т. XXV, стр. 394 — 395.

¹ K. Маркс и Ф. Энгельс. Об искусстве, стр. 89, 1938 г.

რომ პიესაში მთავარია მოქმედების ერთიანობა. ერთიანი მოქმედების მიღწევა ლესინგის აზრით, შეიძლება დროის მაქსიმალურად შეკუმშვით, მამოძრავებელი მიზეზების გაძლიერებით, მოქმედების მსვლელობიდან შემთხვევითობის გამორიცხვით და ვნებათა აღძვრით¹.

კომედია ლესინგს მიაჩნდა სრულუფლებიან დრამატიულ ჟანრად. მსგავსად ტრაგედიისა კომედიისათვის ამოსავალი წერტილი არის ცხოვრება, სინამდვილე. განწმენდა კომედიაში ხდება სიცილის მეშვეობით. კომედია ახლოს უნდა იდგეს სინამდვილესთან.

ლესინგის ესთეტიკის ქვაკუთხედი მოძღვრება ხასიათებზე. ხასიათი აღებული უნდა იყოს სინამდვილიდან. იგი უნდა იყოს ჩვეულებრივი, ინდივიდუალური და ამასთანავე ზოგადი. ხასიათი განსხვავებული გრძობების თანაარსებაა, იგი უნდა იყოს უაღვრესად ადამიანური, მასში მჭიდროდ უნდა ერთდებოდეს პირადული და საზოგადოებრივი ინტერესები; ხასიათის რაობა უნდა გამოვლინდეს მისივე მოქმედებაში.

თეორიული ხასიათის შრომებთან ერთად ლესინგი წერდა იგავ-არაკებს, ლექსებს, პიესებს, მან განსაკუთრებით სახელი გაითქვა, როგორც დრამატურგმა. ლესინგის დრამები აღსავსეა ჰუმანიური იდეებით და არისტოკრატიული სინამდვილის კრიტიკით.

ახალგაზრდა ლესინგი წერს ტრაგედია „გენცის“. ამ დაუმთავრებელი ნაწარმოების მთავარი გმირი — გენცი — დემოკრატიული პატრიოტი — ქალაქ ბერნში აწყობს შეთქმულებას ოლიგარქიული რეჟიმის წინააღმდეგ. შეთქმულებას გასცემენ და მისი მოთავე გენცს სჯიან. შემორჩენილი ფრაგმენტები მოწმობენ ავტორის თა-

ნაგრძობაზე გენცის პატრიოტული საქმიანობისადმი.

ლესინგის პირველი შინაშენლევანი დრამაა — „მის სარა სამპსონი“. მიუხედავად იმისა, რომ ეს პიესა საკმაოდ რეალისტური არ არის, ჯერ კიდევ იგრძნობა, რომ ავტორი რამდენიმე კლასიციტური ნორმების ტყვეობაშია, იგი მაინც გერმანიის სინამდვილეში პირველი დრამაა, რომელშიც წამოყენებულია მესამე წოდების ზოგადი მორალური პრინციპი. „სარა“ დაწერილია სასაურბო ენით და არა ლექსის ალექსანდრიული მეტრით, როგორც ამას მოითხოვდა კლასიციზმის პოეტიკა. პიესაში შესაძენ წოდებიდან გამოსულ ადამიანთა განცდები უპირისპირდება სასახლის ეთიკეტს. ამიტომაც „სარამ“ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება პოვა. დენი დიდრო ამ პიესის დადგმის გამო წერდა: „გერმანელმა გენიოსმა უკვე მიმართა ბუნებას; ეს არის ჰუმანიტი გზა. დე, იაროს მან ამ გზით“.

„სარას“ წარმატების მიუხედავად, ლესინგმა საკუთარი დრამატურგული ნიჭის გაშლა შესძლო „მინაფონ ბარნჰელში“. ამ პიესაში ყველაზე სრულადაა მიღწეული ხალხურობა. პიესა აგებულია მთლიანად გერმანულ მასალაზე. ნ. ჩერნიშევსკის მართებული შენიშვნით ამ პიესაში გერმანელებმა „პირველად იხილეს თავიანთი თავი და თავიანთი ცხოვრება — მხატვრული წარმოსახვის საგნად“¹; „პირები და ზნეობანი პიესაში წმინდა გერმანულია“.² კომედიის მოქმედების დროემთხვევა შეიღწლიანი ომის დამთავრების პირველ ხანას, როდესაც მეფე ფრიდრიხ მეორემ სამხედრო სამსახურიდან გადააყენა არა ერთი და ორი რაზნოჩინელი ოფიცერი. ერთი ამთავანია მათორი ტელპაში — ალაღმართალი და პატიოსანი ადამიანი. მისთვის გაუგება-

¹ Н. Чернышевский, Полн. собр. соч. т. III, стр. 717, 1906 г.

² აქვე.

რია ოცნება თავაშვებულ ცხოვრებაზე, რომელიც ზოგჯერ სამხედრო საქმესთანაა დაკავშირებული; მას სწამს, რომ „ჯარისკაცი უნდა იბრძოდეს ან სამშობლოსათვის, ან იმ საქმის სიყვარულით, რომლისთვისაც ომი სწარმოებეს. უმიზნო სამსახური დღეს აქ, ხვალ სხვაგან — ყასბობას ნიშნავს და სხვას არაფერს“¹. ტელკაიმს ასიც აკვირებს — როგორ მოხვდა მგერი ოტლო „ვენეციის სამსახურში. განა მას სამშობლო არ ჰქონდა? რატომ შესწირა მან თავისი მკლავი და სისხლი უცხო ქვეყანას“.² თვითონ ტელკაიმი ჯარისკაცი გახდა პარტიულობის კარნახით, თუმცა იგი ემსახურებოდა პრუსიის მეფეს. ფრიდრიხ მეორე იპყრობს საქსონიას და ამ კუთხის მცხოვრებთ ადებს ხარკს. თავის რეაქციული დამპყრობლური პოლიტიკით ფრიდრიხი მხოლოდ ქსაქსავდა გერმანელ ტომებს, აღვიძებდა მათ შორის მტრობასა და შუღლს, მახვილის მეშვეობით გერმანელი ხალხის ფრიდრიხისეულ „გაერთიანებას“ „მინაში“ უპირისპირდება გერმანელი ხალხის ნებაყოფლობით გაერთიანების პროგრესული იდეა. საქსონელი ქალიშვილის მინა ფონ ბარნჰელმის და პრუსიელი რაზნოჩინელი ოფიცრის ტელკაიმის სიყვარული და შეუღლება სიმბოლოა დაქსაქსული გერმანელი ხალხის გაერთიანებისა. გერმანელთა ნაციონალური ერთიანობისაკენ ეს მგზნებარე მოწოდება ისტორიული ვითარების დღევანდელ პირობებშიც აქტუალურად ქდერს.

ლესინგის პოლიტიკურ იდეას კარგად გამოხატავენ მისი სიტყვები ოდიდან „მეცენატისადმი“; არაოდეს შემეძლება ვითამაშო მდაბალი როლი, თუნდაც საამისოდ მომცენ ორდენის ბაფთა; დაე, მეფე ბრძანებლობდეს

ჩემზე, იგი ჩემზე ძლიერია, მაგრამ არა უკეთესი. მას არ მოეპოვება ისეთი-მსკეთე, რომლის გულისთვის დავიმდაბლებდი თავს. ლესინგმა თავისი „მინათი“ მწარედ დასცინა ფრიდრიხ მეორის რეჟიმს, მაიორ ტელკაიმის სიტყვები ნათლად მოწმობენ ავტორის უარყოფით დამოკიდებულებაზე ფრიდრიხ მეორის პრუსიისადმი: მეფეს უბედურება მოაქვს ხალხისათვის, უკარგავს სიმართლეს; „სახიფათოა ამა ქვეყნის ძლიერთა სამსახური; ის არ გვინაზღაურებს იმ შრომას, შევიწროებას და დამცირებას, რასაც თვითონ თხოულობს.“¹ დაკნინებულია და უბადრუკი გერმანიის მაღალი საზოგადოება. ფრ. შერინგის აზრით ლესინგმა ტელკაიმს თავისი აზრები ათქმევინა.²

„მინას“ მნიშვნელობის შესახებ გოეთემ ეყრმანს შემდეგი განუცხადა: „შეგიძლიათ წარმოიდგინოთ როგორ მოქმედებდა ეს პიესა ახალგაზრდა ხალხზე, როდესაც იგი პირველად გამოჩნდა იმ ფერმკრთალ ეპოქაში. ეს იყო ქემმარიტად გაშკაშა მეტეორი. მან გვაგრძნობინა ჩვენ, რომ არსებობს რაღაც უფრო მაღალი, რის შესახებაც ჩვენი მაშინდელი ლიტერატურა არაერთა ცნობას არ იძლეოდა“.³

პოლიტიკურად და სოციალურად კიდევ უფრო გამაზვილებულია ტრაგედია „ემილია გალოტი“. მართალია, ამ პიესის გმირები იტალიელები არიან, გამოწყობილი იტალიურ კოსტიუმებში, მაგრამ ყოველივე ეს საფარია, რომლის შიგნით მოსჩანს მაშინდელი გერმანიის ბეჩავეი სინამდვილე.

„ემილია გალოტი“ გამოყვანილია ტირანი, რომელიც ბიურგერის ქალიშვილის — ემილია გალოტის ხელში ჩასაგდებად ქორწინების დამეს აცვლევინებს ამ ქალის საქმროს. ემილიას კი,

¹ გ. ლესინგი, „მინა ფონ ბარნჰელმ“, გვ. 95, 1946 წ.

² გ. ლესინგი, „მინა ფონ ბარნჰელმ“, გვერდი 136.

¹ გ. ლესინგი, მინა ფონ ბარნჰელმ, გვ. 160.
² Ф. Меринг, Лит. крит. статьи ,1, стр. 384, 1934.

³ Энкерман, Разговора Гёте, ч. II, стр. 353, 1905.

ვითომც გადარჩენის მიზნით, იგი მიყვანილებს თავის სასახლეში. ემილიას ტრაგედია პიესის წამყვანი ხაზია. ემილია იტანჯება, მაგრამ არა იმისათვის, რომ მოხვდა ტირანის ხელში, არამედ იმიტომ, რომ არა აქვს რწმენა საკუთარი ძალებისა. მოსალოდნელი შერცხვენიდან თავის დაღწევის მიზნით, იგი ითანხმებს მოხუც მამას, რათა მან სიცოცხლეს გამოასალმოს საკუთარი ქალიშვილი მანამ, ვიდრე გასთელავდნენ მის პატიოსნებას. ფიზიკურად ემილია დაიღუპა, მაგრამ მორალურად გადაარჩა.

მაგრამ ლესინგის კრიტიციზმში თავს იჩენს ჩამორჩენილობა გერმანელი ბიურგერობისა, რომელსაც არისტოკრატიულ ძალადობაზე მხოლოდ პასიური წინააღმდეგობით შეეძლო გაეცა პასუხი. ემილიას საქციელი — ეს პასიური პროტესტი — მოწმობს გერმანული ბიურგერობის ნახევრადულ ბრძოლას ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ოდოარდო გალოტის საქციელი უფრო თავის პასიური დაზღვევაა ოჯახური შერცხვენიდან, ვიდრე რევოლუციური აქტი. ოდოარდო მზადაა არა მხოლოდ განაგრძოს ცხოვრება, არამედ ჩაბარდეს სატუსალოს დარაჯებს და იქ დაელოდოს თავის მსაჯულებად იმ ადამიანებს, რომელთაც მიიყვანეს ოდოარდო გალოტი დამნაშავეის სკამამდე. ლესინგი იძლევა ფეოდალური წყობის კრიტიკას, მაგრამ ეს კრიტიკა ნახევრადულია და შეზღუდული, იგი მუხლმოდრეკილი ადამიანის ამბოხია.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ლესინგმა დაწერა „ნათან ბრძენი“. ეს პიესა არის მხატვრული ილუსტრაცია იმ თეორიული დებულებებისა, რომელთაც ის ანეითარებდა თავის ფილოსოფიურ შრომებში („ადამიანური მოდგმის აღზრდა“, „ანტი-გეცე“ და სხვ.). ლესინგის აზრით რელიგია არსებობდა ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მასთან დაკავშირებით შეიქმნებოდა

ლიტერატურა. „რელიგიური დებულებები ადრე“, „ბიბლიაში ნათან ბრძენის წყარო და პირველი მიზეზი, არამედ მისი შედეგია“. თავისი რელიგიური შეხედულებები ლესინგმა ჩამოაყალიბა ფილოსოფიურ დრამაში „ნათან ბრძენში“. ამ პიესის გმირი არც შეფეა, არც პრინცი, არც პერცოვი და არც გერმანელი. იგი ებრაელი ნათანია. ნათანის აზრით, რელიგიის ქეშმარიტება მტკიცდება არა რელიგიური დოგმებით, არამედ ამ რელიგიის მიმდევარის პირადი საქციელით და ზნეობრიობით. ზნეობრივად სპეტაკი ადამიანია ნათანი. მას შეუძლია ამადლდეს როგორც რასიულს, ისე ზნეობრივ ცრურწმენებზე. ნამდვილი რელიგია ჰუმანიზმია, ასეთია პიესის ძირითადი იდეა. „განა ებრაელი და ქრისტიანი, — კითხვობს ნათანი, — ჯერ ადამიანები არ არიან და შემდეგ ებრაელი და ქრისტიანი? ეხ, როდის შემძლება თქვენში ვპოვო ადამიანი, ვპოვო კიდეც — თუნდაც ერთი, რომელიც იქნება კმაყოფილი იმით, რომ ადამიანად იწოდება“. ¹ ამრიგად ნათანი უარყოფს ყოველგვარ რელიგიას და მის ნაცვლად აყენებს ადამიანობას. ლესინგის ამბობს, „ნათანის აზრები ჩემი აზრები არისო“.

ლესინგის ასეთი მსჯელობის საფუძველზე ზოგიერთი ლესინგის ნააზრევში ხედავს მატერიალისტურ და ათეისტურ მოძღვრებას, ხოლო მას ფეიბაბის წინამორბედად ასახელებს.

მართალია ლესინგი გამოდიოდა ოფიციალური ეკლესიის წინააღმდეგ, ამტკიცებდა ყველა აღთქმათა პირობითობას, მაგრამ არც იგი, არც მისი გერმანელი თანამოაზრენი, არ იყენენ მატერიალისტები; ლესინგი საბოლოოდ ვერ ჩამოშორდა რელიგიას, ვერ დასტოვა იდეალისტური სამოსელი. განათლების გერმანელი მომხრეებისათვის, თვით ყველაზე მოწინავეთათ-

¹ გ. ლესინგი, „ნათან ბრძენი“ შოქს II, გვ. მოსკო 5.

ვის მათ შორის, მაგალითად ლესინგისათვის, — იგი (რელიგია. შ. რ.) „ადამიანური მოღვმის აღზრდა იყო“,¹ და ლესინგი არაოდეს მისულა რელიგიის სრულ უარყოფამდე. იგი არ იყო მატერიალისტი, მას სპინოზას ფილოსოფია თავისებურად ესმოდა და ზოგიერთ პუნქტში ბრმად უახლოვდებოდა მატერიალიზმს.

გოეთემ ერთხელ სთქვა, „ნათანში“ მწერლის მახვილი მიმართულია ხუცესთა წინააღმდეგო. გოეთეს სიტყვები მხოლოდ ნაწილობრივ არის პართებული. თუ გავიხსენებთ კ. მარქსის დებულებას იმის შესახებ, რომ „რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა არაპირდაპირ ამ საწყაროს წინააღმდეგ ბრძოლაა, რომლის სულიერი სურნელება რელიგია არის“,² მაშინ გასაგები ვახდება, რომ „ნათან ბრძენში“ ლესინგის კრიტიკული მახვილი მიმართულია ისევე თავდაზნაურული რეჟიმის წინააღმდეგ. მე-19 საუკუნის ბურჟუაზიულმა „მეცნიერებამ“ ლესინგის სახელთან დაკავშირებით შექმნა ლეგენდა: ლიტერატურის სარბიელზე „მინას“ და „ემილიას“ ავტორი ემსახურებოდა იმავე მიზნებს, რომელსაც ფრიდრიხ მეორე ემსახურებოდა პოლიტიკაში; ლესინგი ახლო ურთიერთობაში იყო პრუსიის მეფესთან, მან პირველმა აუწყა ქვეყანას ჰოპენცოლერნთა დინასტიის ისტორიული მისიაო და სხვ.

სინამდვილეში ფრიდრიხ მეორეს გაგონებაც კი არაფრისა უნდა ლესინგისა, კლოპშტოკისა და გოეთეს შესახებ. მათი ნაწარმოებები სიმტკიცე-

ლის გრძობას იწვევდნენ. ჰეფეშეიფის გამო, რომ მიმართულნი იყვნენ მბრალუტეზმის წინააღმდეგ. 1781 წელს „დიდმა მეფემ“ დაწერა ტრაქტატი „გერმანული ლიტერატურის შესახებ“ (ცხადია, ფრანგულად) „De la littérature Aliemande“. ლესინგი და კლოპშტოკი მოხსენებელიც არ ყოფილან ამ ტრაქტატში.

მიუხედავად იმისა, რომ ლესინგზე შეთხზული ზღაპრების კლასობრივი ფესვები კარგად ამხილა ჯერ ჩერნიშევსკიმ — მშვენიერ მონოგრაფიაში „ლესინგი და მისი დრო“ და თითქმის ორმოცი წლის შემდეგ ფრანც მერინგმა — „ლეგენდაში ლესინგზე“ — ბურჟუაზიული მჯღაბნელები მაინც კმნიან ამ ძველი, ყბადაღებული ლეგენდის ახალ-ახალ ვარიანტებს.

ფაშიზმის ლიტერატურათმცოდნეები შეეცადნენ ექციათ „მინას“ ავტორი თანამგზავრად იმ რეაქციურ-ფილოსოფიური სისტემებისა, რომლებიც წამოაყენა იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ დემოკრატისა და თავისუფლებასთან ბრძოლაში.

დღეს, როდესაც გერმანელი ხალხი გამსჭვალულია უდიდესი მადლობის გრძობით დიდი საბჭოთა კავშირისადმი, რომელმაც ამხანაგი სტალინის წინამძღოლობით გაახადგურა ფაშიზმი და რომელიც მხარს უჭერს გერმანელი ხალხის სამართლიან ბრძოლას ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნისათვის, — ლესინგი თავისი პროგრესული იდეებით თავის ხალხთანაა და გერმანიის მოწინავე ადამიანებთან ერთად იბრძვის ფაშისტური იდეოლოგიის ნაშთების აღმოსაფხვრელად ერთიანი, დემოკრატიული გერმანიის შესაქმნელად. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თეატრმა თავის რეპერტუარში უკვე შეიტანა ლესინგის დრამები,

¹ კ. პლენანოვის შენიშვნები ფრ. ენგელსის „ლუდვიგ ფეიერბახის“ გამო. იხ. ფრ. ენგელსი, ლუდვიგ ფეიერბახი, ქართ. გამოცემა, 1932 წ., გვ. 125.

² კ. მარქსის, ჰეგელის სამართლის კრიტიკისათვის, შესავალი, სახელგამი, გვ. 6. 1946 წ.

კოლხეთის მელიორაციისა და საგაზრდო ათვისების შედეგები



კოლხეთის სახელით ამა თუ იმ დრო-ში ცნობილი იყო სხვადასხვა ზომის, მაგრამ ყოველთვის ვრცელი ტერიტორია, თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო. ამჟამად კი ეს სახელი მიეკუთვნება დასავლეთ საქართველოს მხოლოდ დაბლობ ნაწილს (5—6 მეტრიანი ჰორიზონტალის დაბლა მდებარე ტერიტორიას).

კოლხეთის დაბლობი წარმოქმნილია შავი ზღვისა და მდ. რიონის, ხობის, კოდორის, ენგურის, ცხენისწყლის, აბაშის, ტეხურის, ცივას, სუფსას და სხვათა გეოლოგიური მოქმედებით. იგი შეიცავს მრავალ ათას ჰექტარ ფართობს, თითქმის თანასწორფერდობიანი სამკუთხედის ფორმისაა, რომლის შავ ზღვაზე მიბჯენილი ფუძე გადაშლილია — ჭორხიდან სოხუმამდე, ხოლო სიმაღლე აღწევს. ქ. სამტრედიამდე.

კოლხეთის დაბლობი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ან გაშლილ ტიპურ ღია ჭაობებს, ან ძალზე დაჭოპებულ ფართობს. იგი ზოგჯერ დაფარული იყო სპეციფიკური ჭაობის მცენარეულობით, ბარდ-ეკლით და ხვიარათა ლელიან-ლაქაშებით; ზოგჯერ კიდევ უსარგებლო მენხერ ტყე-ბუჩქნარებით, უპირატესად თხმელნარით. სულ ბოლო ხანებამდე გააფუხრებული იყო ხსენებული ლანდშაფტი და აქ მჭინვარე პირობები ხელს უშლიდა ძვირფას სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა გავრცელებას.

ასეთივე ჭაობებს ეკუთვნოდა ქობულეთისა და კახაბერის დაბლობები აჭარაში, ხობულის, ცხემი-გეგეთის, სეფიეთ-ვედითკარის მასივები და ინგურ-ხუმულშკური თუ სიღა-ნაბაკევი აფხაზეთში. ამ და ზოგ სხვა დაჭოპებულ ნაკვეთებთან ერთად კოლხეთის

ჭაობები მოიცავს კიდევ უფრო მეტ ფართობს.

ეს ფართობი საქართველოს მთელი ტერიტორიის ოცდამეათეედია, დამუშავებული მიწების ერთი მეხუთედ და ტენიანი სუბტროპიკული ზონის სივრცის მესამედია. მაგრამ თუ მოვიგონებთ აქ ისეთი კულტურების გავრცელების შესაძლებლობას, რომელთა ერთი ჰექტარის სამეურნეო მნიშვნელობა უდრის 30—40 ჰექტარს სახნავის ეკონომიკურ მნიშვნელობას, მაშინ დაინახავთ, რომ კოლხეთის დაბლობის სას.-სამ. მნიშვნელობა აჭარბებს სხვაგან — მეშინდვრეობის რაიონებში, — რამდენიმე მილიონ ჰექტარ მიწების სამეურნეო მნიშვნელობას.

კოლხეთის მთელი დაბლობიდან ნამდვილი ტიპური ჭაობი იყო წარმოდგენილი მდ. რიონის მარჯვენა მხარის ძირითად მასივზე. ეს მასივი იყო და არის ყველაზე რთული მეთოდებით (ღრმა ღრენაფი, წყლის გადატუმბვა, კოლმბატაცია) ამოსაშრობი. ყველა სხვა მასივებში, იმათივედ იყო მნიშვნელოვანწილად ათვისებული ბუნებრივი და ხელოვნური სავარგულებით; იყო გაცილებით უფრო იოლი ამოსაშრობი წყალგამტარი არხებით. მთის კოლექტორებით და მთავარ მდინარეთა ნაპირების გასწვრივ დაბლობის აგებით, რათა მდინარეების ადიდებისას წყალი არ გადმოსულიყო ნაპირებზე.



კოლხეთის დაბლობი ათასეული წლების წინათ წარმოადგენდა ზღვის უბეს. მრავალი საუკუნის განმავლობაში შავი ზღვა მოიწვედა კონტინენტისკენ (ტრანსგრესია). კოლხეთის მიწების ასეული და ათასეულ კვ. კმ. მოცუ-

ზღვის ქვეშ. შემდეგ კი, კიდევ მეტი ხნის განმავლობაში, ეს უბე ივსებოდა სამი მხრით შემომდგარველნი მთავარი კავკასიონისა და მისი განშტოებების—ლიხისა და აქარა-ახალციხის მთაგრეხილების კალთებიდან მთის მდინარეთა მიერ ჩამონატანი ღორღით, რიყითა და შლამით; ზღვის ფსკერი მალე იწყვდა და თანდათანობით ჩნდებოდა ხმელეთი.

ადამიანის მიერ კოლხეთის ათვისება დაიწყო უხსოვარი დროიდან. წინათ აქ იქმნებოდა პატარა-პატარა სოფლები, კომლთა მეტწილად მცირე რაოდენობით. ხალხი სახლდებოდა ყველაზე შემადლებულ რელიეფიან ხაკვეთებზე — უმთავრესად ამ დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში, აგრეთვე მდინარეების ამაღლებული კალაპოტის გასწვრივ. გლეხობა ცდილობდა თავი დაეღწია ქაობებიდან და რამდენადმე ჯანმრთელ ადგილებს ეძებდა დასასახლებლად.

კოლხეთის მოსახლეობის რევოლუციამდელ სამეურნეო საქმიანობაში გადამწყვეტი იყო თითქმის ერთადერთი სიმინდის კულტურა. სიმინდი კოლხეთის მდიდარ ლამიან ნიადაგებზე იძლეოდა შედარებით მაღალ მოსავალს; მაგრამ მიწათმოქმედს არ შეეძლო დაიმედებული ყოფილიყო, რომ უშეშვლად მიიღებდა მოსავალს... ნიაღვრები, წყალდიდობა ხშირად ერთიანად სპობდა მისი მიძიმე შრომის შედეგს. არც შინაური პირუტყვი გააჩნდა ადგილობრივ მოსახლეობას მნიშვნელოვანი რაოდენობით. აქაურ ტყვისა და ბუჩქნართა შორის სპორიებს მეტწილად იყენებდნენ მოსულნი მეჯოგეები ზამთრობით და ესეც შესაძლო იყო ერთიან ქაობთა შორის აქა-იქ თაზისებოვით გაფანტულ მასივებზე. საერთოდ კი — „ძველი კოლხეთი“, რომლის სურათი ამჟამად მხოლოდ აქა-იქ შემორჩა, წარმოადგენდა ეკლიანი ხეიარებით შეკრულ და თხმელნარ ტყეებით დაფარულ ადგილებს. ეს ადგილები მდინარეთა პერიოდული ადიდების გამო იფარებოდა წყლით. არაერთარი სასოფლო-სამეურნეო კულტურა ასეთ ადგილებში არ ხარობდა



კოლხეთს საუკუნეების ბურუსში მიმალული, მდიდარი ისტორიული წარსული

ლი აქვს. დიდი ხნით ადრე კოლხეთში არსებულ შესანიშნავ კულტურას — ტრე-ყუარად მოგვითხრობს „საბჭოთა საბჭოელოლოგიის წარმატებული მუშაობის შედეგები (ექსპედიციები: ფოთის, ყულუვის, ანაკლიის, ვახის და სხვ.).

ჯერ კიდევ მომეროსის თქმულებებში აწერილია კოლხეთში ოდისევის სტუმრად ცირცესთან ყოფნისას ნახულ ზღაბრულ სიმღერებთან შესახებ.

ამ სიმღერებში და მოსახლეობის ლეგენდურმა სილამაზემ მოიხილა „ოქროს ვერძის“ მაძიებელი ძველი ელინელნი, რომელნიც გამოეშურნენ კოლხეთის საზღვრებისაკენ გემ „არგოთი“ და თან წამოიღეს კასრები აქაური განთქმული ღვინოების წასაღებად. არგონაიტები განცვიფრებული დარჩნენ კოლხთა მეფე აეტესის მარმარილოთი ნატიფ-ნაგები იშვიათ ჩუქურთმიანი სრა-სასახლეებით. თეთრი და წითელი ძვირფასი ღვინოების შედარებები ამოჩუხჩუხებდა დარბაზებში და მზის უხვ სინათლეზე ათასფროვან ოქრო-ვერცხლის წინწყლებად ეფიენებოდა ფერად მარმარილოს აუზებს. ლალი ბალ-ვენახები და ბოსტანყანები შრიალებდნენ და ბიბინებდნენ მინდრებზე. აუარაცხელი ნებიერი პირუტყვის ჯოჯი, ნახარი და ფარა სძოვდა ნოყიერ მდელო-საბალახობებზე...

სხეულისა და სულის ამაზრზენი ბოროტება ჩაიდინეს პირველმა „საბატო“ სტუმრებმა. აქაურ სიმღერებთან გაძარცვის სურვილითა და ღვინოსთან ერთად მეფის ქალის — თვალწარმტაც მედეას სილამაზით დამთვრალმა ბერძენთა მეფისწულმა იაზონმა, რალატით მზაკერულათ მოკლა კოლხთა მეფე აეტესი მისი ვაჟითა და ქურდულად გაიტაცა ამ საქმეში მისი ხელისმეშყობი მედეა. ეს ბედვრული ქალი იაზონმა, მხეცური ჟინის პირველსავე დაცხრომის შემდეგ, უცხოეთში უპატრონოდ დააგდო.

შემდეგში კი, ამ „სტუმრობამ“ თუ ექსპანსიამ, სისტემატური, დაჟინებითი ხასიათი მიიღო. ძველი ელინელები, რომელები, სპარსნი და მრავალნი მათნი მსგავსნი, სპეციალურ ექსპედიციებს გზავნიდნენ შავი ზღვის სანაპიროებზე; აქ სავაჭრო ფაქტორიებს აარსებდნენ (პეტრა, ფაზისი, დიოსკურია, ბიჭვანთა-პიტეუნტი, ანაკოპია და სხვა), რათა უძველეს საქარავნო გზებზე — ვერო-

პასა და ინდოეთს, თუ ირან-არაბეთ-ეგვიპტიდან რუსეთისაკენ მიმავალ გზა-ჯვარედინებზე დასაყრდენ პუნქტები-დან მარჯვედ ეწარმოებიათ ამჟამად თუ შენიღბული ძარცვა-გლეჯა.

სოფელ-ქალაქების დაზარალებულნი და მასთან ერთად იმდროინდელი სპეციალური სამედიცინო-საგანმანათლებლო მოშლამ გამოიწვია კოლხეთის ხელახალი დაფარვა ქაობებით.

ათეული წლების, ზოგჯერ საუკუნეების, შემდეგ ბრუნდებოდნენ უკან კირა-მოშლილი, გადარჩენილი მოსახლეობის ნაშთები... ნაფუძვარს კვიარ პოულობდნენ ბარდ-ეკლნარსა და ლაქაშ-ლეღანში. ირგვლივ დაბლობზე 2—3 მეტრით მაღლა გავლებულ კლავილ კალაპოტში ზანტად მიმდინარე წყლებს ნაპირების გასწვრივ კაფავდნენ ტყე-ბუჩქნარებს, აქ კერას გაიჩენდნენ, სომინდს სთესდნენ, პირუტყვის ამრავლებდნენ.

აქეთვე მოისწრაფოდა საუკუნეების განმავლობაში თავად-ახნაურთა, მემკვიდრეთა და მეფეების მოხელეთაგან მხეცური ექსპლოატაციით განაწამები გლეხობა და ასე წარმოიშვა კოლხეთში აქა-იქ მიმოფანტული პატარ-პატარა სოფლები: სამიქაო, საბოკუჩაო, საბუკუო, საღვამიჩაო და სხვა. ბუნების სტიქია აქაც არ ასვენებდა მათ. წყალდიდობა ზშირად წალეკავდა ნათესებს, დააქცივდა ქოხმანებს, გაიტაცებდა პირუტყვის. იშვიათი როდი იყო ადამიანის მსხვერპლიც.

ყველაფერ ამას წინ უძღოდა, ან თან ერთვოდა ისიც, რომ საუკუნეების განმავლობაში კოლხეთი წარმოადგენდა კოლონიას — საბერძნეთის, რომის, თურქეთის და ბოლოს მეფის რუსეთის მტაცებელთა ხელში. ათასეული წლების განმავლობაში გავერანებულ — გაპარტახებულ კოლხეთში ბუდობდა მილიარდობით მალარიის კოლოები. იგი განუწყვეტლივ რჩებოდა ქანცამომლევი ფეთვსებთან მალარიის ბუდიდ. ამ სენით იწამლებოდა მის ირგვლივ მდებარე დასავლეთ საქართველოს სხვა მრავალი რაიონიც.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კოლხეთის დაბ-

ლობის ამოსაშრობად არ გატარებულა რაიმე, რამდენადმე მნიშვნელოვანი ღონისძიება არც საზოგადოებრივი უწყის ციტივისა და არც მით უფრო მეფის-დროინდელი თვითმპყრობელური მტაცებლური მთავრობის მიერ. საკითხი კოლხეთის ამოშრობის შესახებ პირველად დაისვა 1902 წელს სოფლის მეურნეობის მრეწველობის ქუთაისის კომიტეტში. 1913 წელს კვლავ წამოიჭრა ეს პრობლემა შავი ზღვის სანაპიროების მოღვეწეთა ყრილობაზე. მის ირგვლივ აინჰოლოდნენ ყველა გურის ჯიბესქელი „საქმოსნები“. ისინი ცდილობდნენ სპეკულაციისა და პირადი გამდიდრების საგნად გაეხადათ ეს წამოწყება. ისეთი აზრიც გამოითქვა, რომ ეს საქმე კონცესიით გადაეცათ უცხოელების, კერძოდ — იტალიელებისათვის; მაგრამ ეს „საქმოსნები“ ვერ მორიგდნენ და არაეითარი ღონისძიება არ გატარებულა.



რეალური მუშაობა კოლხეთის დაბლობის ამოშრობის გრანდიოზული პრობლემის გადასაქრელად საქართველოში დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ამიერკავკასიის ნეთსადგურების განყოფილებისა და ფოთის აღმასკომის ინიციატივით 1923 წელს ჩატარებულ იყო კვლევამებითი სამუშაოები მდ. რიონსა და სუფსას შორის. შემდეგში ეს საქმე ვითარდებოდა და 1926 წელს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოში ჩამოყალიბდა „კოლხეთის ამოშრობის სამმართველო“. ამ სამმართველომ დიდი და სასარგებლო საქმე გააკეთა, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ერთგვარი შემზადება იყო ამ სამუშაოთა მომდევნო ფართოდ გაშლისათვის. მუშაობა წარმოებდა მდ. რიონის ბასეინის მთელ ტერიტორიაზე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ამიერ-

კავკასიის პარტორგანიზაციითა მუშაობის შესახებ, საფუძველი დაუდო კოლხეთში მუშაობის გაშლას. კოლხეთის ამოსაშრობად სამუშაოთა განსაკუთრებული გაქანება დაიწყო 1932 წლიდან, როცა ამ საქმის ორგანიზაციას უშუალოდ ხელი მოკიდა დიდი სტალინის თანამებრძოლმა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ. ხალხთა ბელადის სტალინის მითითებათა განხორციელებას საფუძველზე კოლხეთის სამუშაოები გაიშალა უდიდესი მასშტაბით. სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში ჩამოყალიბდა სპეციალური ორგანიზაცია — „კოლხილმშენი“.

ჯერ კიდევ 1936 წლის აგვისტოში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის V პლენუმზე ამხანაგი ლ. პ. ბერია აღნიშნავდა: „კოლხიდის დაბლობის დაშრობის მუშაობა ყველაზე დიდი სამუშაოა იმ სამუშაოთაგან, რომელიც ჩვენ საქართველოში გვაქვს. იგი ერთერთ უდიდეს სამუშაოს წარმოადგენს მთელს საბჭოთა კავშირშიაც“.

ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ აღნიშნა აგრეთვე, რომ: „ამხანაგმა სტალინმა მიგვითითა, რომ სამუშაოები არ გადახატოთ და თავი მოეწყაროთ კოლხიდის ძირითად მასივზე, რათა მივიღოთ უფრო სწრაფი ეფექტი“... „ამხანაგ სტალინის ამ მითითებათა შემდეგ ჩვენ უშუალოდ უფრო მაგრად მოვიდეთ ხელი კოლხიდის დაბლობის ამოსრობის საკითხებს“. „კოლხიდაში დასახული ყველა სამუშაოების ჩატარების შედეგად ქალაქ ფოთის ირგვლივ შეიქმნება ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების მდიდარი სასოფლო-სამეურნეო რაიონი“.

პარტიისა და მთავრობის მიერ კრემლში საქართველოს დელეგაციის მიღების დროს ხალხთა დიდი ბელადის სტალინისაგან მოცემული მითითებების შესაბამისად, კოლხეთის დაშრობის მიევი სამუშაოები თავმოყრილ იქნა ყველაზე მეტად დაჭაობებულ ე. წ. პირველ რიგში დასაშრობ მასივზე, რომელიც უდრის მთელი კოლხეთის დაახლოებით ერთ მეოთხედს. ამ სამუშაოთა პროექტირებისა და შესარულების შემდეგ გადავადილებულია შემდეგი რიგის სამუშაოთა ჩატარება კოლხეთის დანარჩენ მასივებზე. კერძოდ, მეორე რიგის სამუშაოებად მიჩ-

ნეულია მდ. რიონის, ბათუმის რეინგზისა და შავი ზღვის შორის მოქცეული მიწები. ხოლო მესამე რიგში ჩაითვალა, გაცილებით უფრო ადვილად შესასრულებელი სამუშაოები კოლხეთის დანარჩენ მასივებზე.

ი. სტალინმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმ გარემოებას, რომ არ არსებობდა ამ დიდ სამუშაოთა შესრულების ერთიანი ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტი.

ამხანაგ სტალინის ამ მითითებათა მიხედვით ლ. პ. ბერიას თაოსნობით 1936 წელს შესდგა და 1938 წელს დახუსტდა კოლხეთის პრობლემის გადაწყვეტის ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტი. ამისათვის კოლხეთის ამოსრობის სამუშაოთა მდგომარეობის ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის პაურომ დაამტკიცა დავალებანი ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტის შესადგენად. მუშაობაში ჩაბმულნი იყვნენ კოლხიდ-შენის და საქართველოს სსრ მიწახკომის კადრები, საკავშირო მიწსახკომის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ გზით შედგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტი საკითხების სამ ძირითად კომპლექსს შეიცავდა — აგრომელიორაციულს, ჰიდროტექნიკურსა და აგროეკონომიკურს.

პროექტის ორგზის განხილვისას (1936 წ. და 1938 წ.). საესეებით ენობილ იქნა არა მხოლოდ პრობლემის გადაჭრის ტექნიკური შესაძლებლობა და ეკონომიკური უდიდესი ეფექტურობა, არამედ მოწონებულ იქნა აგრეთვე გაშლილ ღონისძიებათა ის სისტემები, რომელიც ისახებოდა პროექტით ჰიდროტექნიკის, აგრომელიორაციისა და სოფლის მეურნეობის წარმოების დარგში. საკავშირო მთავრობის მიერ ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტის დამტკიცებისას და პირველი რიგის ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა ჩატარებისათვის საქართველო თანხა განისაზღვრა 199,3 მლნ. მანეთის რაოდენობით.

მომდევნო წლებში სამუშაოები გეგმის მიხედვით და წარმატებით სრულდებოდა. კოლხილმშენს მუდმივ ხელმძღვანელობას და დახმარებას უწყობდნენ ამხანაგი ლ. პ. ბერია, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ამხანაგი კ. ჩარკვიანი. საქართველოს ბოლშევიკების ყრილო-

ბებზე დაწერილებითი სახელმძღვანელო მითითებები ისახებოდა კოლხეთის დაშრობის სამუშაოთა წარმატებით შესრულების დარგშიაც.

შემდეგ 1940 წლის აპრილში სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და სსკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით: „საქართველოს სსრ ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“—VII მუხლის § 3-ში, ჩაწერილია: „დაწესდეს კოლხიდის დაბლობის ამოშრობის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1940 წლისათვის 17 მილიონი მანეთის რაოდენობით და 1941 წლისათვის 30 მილიონი მანეთის რაოდენობით“... „გადასახლება - დასახლების სამუშაოთა მოცულობა 1940—1941 წლებში განისაზღვრა 4.976 კომლით“.

სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობდა. მაგრამ სამამულო ომის წლებში ეს საქმე დროებით შეჩერდა. განახლდა სამუშაოები მნიშვნელოვანი მოცულობით 1945 წლის ბოლოსა და 1946 წლის დასაწყისიდან.

კანონში „სსრკ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი 1946—1950 წ. წ. გეგმის შესახებ“, მუხ. 61, ჩაწერილი იყო: „განახლდეს კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები. გადაეცეს საექსპლოატაციოდ 20 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა“.

1949 წლის 25 იანვარს საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა აღნიშნა: „რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოებმა დიდ ყურადღებას აქცივეს კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოებს. ხუთწლიის პირველი სამი წლის გეგმა კოლხიდშიშენმა გადაკარბებით შეასრულა როგორც სამუშაოთა მოცულობის, ისე ამოშრობილ ფართობთა მიღების მხრივ. შესრულებულია 27,6 მილიონი მანეთის სამუშაოები, გეგმით გათვალისწინებული 24 მილიონის ნაცვლად, და გადაცემულია 10.319 ჰექტარი ამოშრობილი მიწები,

გეგმით გათვალისწინებული — 9.500 ჰექტარის ნაცვლად“.

ამჟამად ხუთწლიედიმგზავთვალისწინებული 20 ათასი ჰექტარი ახალი მიწის ამოშრობა გადაკარბებით არის შესრულებული. მანამდე კი, ამოშრობილი იყო კოლხეთის სხვადასხვა მასივებზე დაახლოებით ამაზე სამჯერ მეტი ფართობი.

კოლხეთის დაბლობის ამოშრობის ამოცანაა აქაური განსაკუთრებით მდიდარი ქიმიური შემადგენლობის ნიადაგების დაქაობების მუდმივ მოქმედი მიზეზების აღკვეთა, ამ ნიადაგების სტრუქტურის აღდგენა-გაუმჯობესებისა და მათი დაუსრუტელი სიმდიდრის გადაქცევა მაღალნაყოფიერებად. ამ ამოცანის გადასაჭრელად დასახულ ღონისძიებათა მიზანშეწონილობის ხარისხის შესაფასებლად, საჭიროა დაქაობების მუდმივმოქმედი მიზეზების დახასიათება. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ დაქაობების მუდმივმოქმედი მიზეზებია:

1. ხშირი და უხვი ატმოსფერული ნალექები (1200—2400 მმ),

2. ამ ნალექების ნიადაგ-ქვედაგში გაეონვისა და ზედაპირული გამდინარების ნაკლები უზრუნველყოფა.

3. აქაური ნიადაგების მცირე წყალგამტარუნარიანობა,

4. პერიოდულ წყალდიდობათა დროს მდინარეების ნაპირებიდან წყლის დიდი რაოდენობის ხშირი გადმოსვლა, მისი უფრო დაბალ, ვაკე ადგილებში ჩადგომა და უკუდინების შეუძლებლობა.

ამ მოვლენას ხშირად კატასტროფიული ხასიათი აქვს. ვრუნტის წყლები, როგორც წესი, კოლხეთის ნიადაგების დაქაობებაში მონაწილეობას არ იღებენ. იმის წარმოსადგენად კი, თუ რაოდენ დიდი წყალდიდობების მნიშვნელობა კოლხეთისათვის, საქმარისია რამდენიმე მაგალითის მოტანა მდ. რიონის შესახებ.

მდ. რიონის კალაპოტის ნორმალური წყალგამტარობა უდრის 1300 კუბურ მეტრში. წყალდიდობისას კი ეს დებიტი იზრდება ოთხჯერზე მეტად (5.500 კუბურ მეტრში). ასეთ შემთხვევაში წყლის მთელი ეს ნაჭარბი გადმოედინა ნაპირებიდან და დგებოდა კარმიდამო-

ებში, ყანებში, ტყე-ბუჩქნარებში. დამახასიათებელ შემთხვევათაგან ორი ასეთი იყო: 1921 წლის წყალდიდობისას ფოთის ქუჩებზე მიდიოდა 1,5 მეტრი სიღრმის წყალი, 1923 წელს კი, მდ. რიონი და ხობისწყლები შეერთდნენ და დაფარეს მთელი მასივი მათ დაბლობ ქვემო ნაწილში.

ამასთანავე უხდა აღინიშნოს, რომ კოლხეთის დაბლობზე ხშირი კოკისპირული წვიმები იცის და მათ აუარებელი ნალექები ახლავთ თან; ასე, მაგალითად, ზოგჯერ დღე-ღამის ჩამონადენი 150—200 მმ უდრის; კერძოდ 1932 წლის 16 ივნისს, კ. ფოთის რაიონში, წვიმის დროს ჩამოედინა 267 მმ დანალექი წყალი. ეს ნალექები და სხვა სათანადო მოვლენები კოლხეთის დაბლობზე წარმოშობენ ე. წ. პარაზიტულ მდინარეებს. ამგვარ და ზოგ სხვა მდინარეთა დინების ძალა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ გაარღვიოს და ზღვაში გაიტანოს ტალღათა მოქცევების შედეგად მათ შესართავებში შექმნილი რუყე-ქვისა და ხრეშის საკობები, რითაც მდინარეთა წყლები ვხას გაიკაფავდა ღია ზღვაში. ეს წყლები ხშირად უკან ბრუნდება, ნაპირებიდან გადმოდის და ფარავს ცოტად თუ ბევრად ვრცელ მასივებს.

კოლხეთის დაბლობის დაქაობების სხეულულ მიზეზთა აღკვეთისათვის, საკვამირო მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკურ-ეკონომიური პროექტით გათვალისწინებულია შესაბამისი პირობებში ტექნიკურ-მელიორაციული სამუშაოები შემდეგი ხასიათისა:

1. მდინარეთა ნაპირების გამაგრება დამბების გავლების საშუალებით და ზოგჯერ მათი კალაპოტის გაღრმავება,
 2. მთებზე წყალშემგროვი არხების, ე. წ. მთის კოლექტორების გაყვანა,
 3. წყალგამტარ არხთა, კოლექტორებისა და მაგისტრალუმების (ღია საწარები არხების) მთელი ქსელის გაკეთება,
 4. ზოგი ნაკვეთების კოლმატაცია (მოხილვა-მორიყვით ნიადაგის დონის ამაღლება),
 5. დამღვარი წყლის გადაქაჩვა, ანუ გადატუმბვა.
- სხეულულ სამუშაოები მოკლედ შემდეგი შინაარსისაა:
1. დ ა მ ბ ე ბ ი—გაულებულია ძირითადი მდინარეების გასწვრივ (რიონი, ხობი, ცივა, ტეხური, აბაშა და სხვა). ერთ-

ერთ პირველთაგან აგებული იქნა დამბა კ. ფოთის ირგვლივ და ამით ფეხ მტკიცედ არის დაცული წყალდიდობისაგან. დამბა წარმოადგენს მიწაყრილს. დამბათა შორის მანძილი და სიგრძე ისეთია, რომ გაატაროს წყლის მთელი მასა მაქსიმალური ძალის ე. წ. კატასტროფული წყალდიდობისას, წყალი არ გადაიღვაროს და არ დაგროვდეს დაბლობ არეებში. ასეთი წყალდიდობა სულ ბევრი საშუალოდ 3-5 წელიწადში ერთჯერ ხდება; ამიტომ ის მნიშვნელოვანი მიწის ფართობი რომელიც დამბების შორის არის მოქცეული (მთელ კოლხეთის დაბლობზე დაახლოებით 15 ათასი ჰექტარი), ამჟამადაც გამოყენებულია და მომავალში კიდევ უფრო შემოსავლიანი მცენარეებით იქნება დაკავებული. აქ გამჩნდება უმთავრესად მინდვრის ერთწლიანი სასურსათო და საკვები მცენარეები და ბოსტნის კულტურება.

2. მთის წყალშემგროვი არხები (მთის კოლექტორები)—შენდება კოლხეთის დაბლობის ირგვლივ მთების კალთების შუა ზოლში იმ გარუდით, რომ ამ მთებს რაც შეიძლება მეტი არეებიდან არხებმა ვხა გადაუჭრას. წვიმების დროს ავარდნილ ღვართქაფებს, წყალი გაატაროს სათანადო მიმართულებით და არ დაუშვას მათი ჩასვლა დაბლობებში, ტბებად გადავრება და მიწების დაქაობება.

მთის კოლექტორების მშენებლობაც დიდი მოცულობით იყო ჩატარებული. საკმარისია აღინიშნოს, რომ მათი გაშენება დაკავშირებულია, დაახლოებით 1,5 მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაოებთან.

კარბი წყლის მთლიანად და სწრაფად გატარება დაბლობზე და ზღვაში ჩაშვება აქვს ამოცანად მდინარეთა კალაპოტის გაღრმავებას. აქედან ამოღებული გრუნტით ხდება ჩავარდნილი ადგილების ამაღლება ეს საქმე სრულდება რეფულირების (შესრუტვის) საშუალებით. თვით მდინარეების (განსაკუთრებით რიონის) კალაპოტი მეტად კლაკილია—შენადრირებული. კალაპოტის გასწორება თითქმის ორჯერ შეამოკლებს მის საერთო სიგრძეს, მნიშვნელოვნად გაადიდებს დაქანებას— ვარდნას და ააჩქარებს ამჟამად წყლის მეტად მღორე დინებას. ეს დიდად შეუწყობს ხელს დაქაობების მულმივმოქმედ მიზეზთა აღკვეთას.

3. წყალგამტარი დია არხების ქსელი—მედგება მაგისტრალებისა და სატრანსპორტო წყალმომარაგ არხთაგან. ისინი შენდება ყველა პირობათა დაწვრილებით გათვალისწინებით და დაკავშირებულია დაახლოებით 3,5 მლნ. კუბურ მეტრ მიწის სამუშაოების შესრულებასთან.

მაგისტრალური არხები ატარებენ წყალს ან უშუალოდ ზღვაში, ან უფრო ხშირად მთავარ მდინარეებში. ისინი ზედათ ბუნებრივად ჩაღრმავებული ადგილებზე და მათში წყალი შევა შემგროვებელთა არხების მქონე ქსელიდან. ეს უკანასკნელი ვაკეებზე ერთი მეორისაგან 200, 400 და 600 მტ მანძილზე და განლაგდება მაქსიმალურად სწორი კონფიგურაციით მიწის ზედაპირის დაქანებათა შესაბამისად. ამ დროს ცდილობენ იშვიათად გამოიყენონ ორი პირველი ინტერვალი, რადგან ისინი აფერხებენ სას. სამ. სამუშაოთა მექანიზაციას. ეს არხები, რელიეფის სირთულის მიხედვით, მაგისტრალებში ჩასვლამდე ხშირად ერთვებიან შუალედ კოლექტორებსაც. ორთავე შემთხვევაში ისინი გავლებული არიან მაგისტრალების, ან შუალედ კოლექტორების პერპენდიკულარულად. ამ არხების ორივე მხარეზე გაივლება გზები, ქარსაფარი ნარგავები და მანქანათა მოსაზრუნებელი ზოლები; მიწის თარგვიდან თარგზე გადასვლისათვის აიგება ხიდები; არხების ყრილების გასწვრივ გაშენდება ხეივანების ტიპის ნარგავები.

ამ არხების გადაკვეთით იქმნება საექსპლუატაციო (ე. ი. ნათესებისა და ნარგავთა გასაშენებელი) ფართობების ხელახლურად ფიქსირებული ნაკვეთები ანუ თარგები. ამ საყურადღებოა ის, რომ აუცილებელია თვით ამ თარგთა ფართობის შესაფერი მოწესრიგება; ამით საჭიროა მათზე შეიქმნეს მცენარეთა ვეგეტაციისათვის ოპტიმალური პირობები.

კოლხეთის საცდელ-მელიორაციული სადგურის მრავალწლიანი დაკვირვებით, თარგთშეგნითა დაშრობ ყველაზე ხელსაყრელ ღონისძიებად მიჩნეულია მათი დაქანების მიმართულებების გარდობადობის ნახევრად სფეროვანი კვლების გაკეთება და ამ კვლებზე კულტურების გაშენება. მიწის ასეთი გოფირებული ზედაპირი-

დან წყალი უფრო ინტენსიურად აორთქლდება; ასევე დროს უკუდარღული წყალი კვლებსშორისი პატარა ქარხებზე ჩაედინება სატრანსპორტო წყალმომარაგ არხებში. ეს ღონისძიება ხელს უწყობს აგრეთვე ნიადაგის პერეაცია და საერთოდ უმჯობესდება წყლის ჩაღრმების პირობები.

4. კოლმატაცია არის დეარდნილ-დაქობებულ ფართობის მიწის ზედაპირის ამაღლება მდინარეთაგან მოტანილი ღორღითა და შლამით, რომელთა დალექვა ხდება ხელახლურად შემოზღუდულ ტერიტორიაზე; აქედან დაწმენილი წყალი წყალსამეგობით გაიშვება ზღვაში და აქვე მიიღება მღვრიე წყლის ახალი პარტია. რაც უფრო მეტჯერ გამოიყენება ეს ოპერაცია, მით უფრო მაღლა აიწეეს გრუნტი, ფართობი დაშრება.

აქთურ ტიპურ ჰობებზე ე. წ. „მცოცავ ტორფებზე“, სუბტროპიკულ კულტურებისათვის საჭირო ნიადაგის შესაქმნელად, სათანადო მასივების ირგვლივ დამბები ააშენეს და მასში მიუშვეს მდ. რიონის უხვი დამიანი წყალი. მდ. რიონის გახსნილი სახით მოაქვს მინერალური ნაწილაკები წყლის ყოველ კუბომეტრზე 3 კგ რაოდენობით; მამინ როცა, როგორც ცნობილია, მდ. ნილოსს ასეთი ნაწილაკები მხოლოდ 1,5 კგ მოაქვს. აქედან, ცხადია, მდ. რიონის უდიდესი საკოლმატაციო უნარი. გამოანგარიშებულია რომ ყოველწლიურად მას მოაქვს 10 მილიონი ტონა ქვიშა და ლამი.

ხსენებულ საკოლმატაციო ნაკვეთების ირგვლივ დამბებისაგან მიმავალი ოთხი არხი გაიყვანეს მდ. რიონიდან, მათზე მოაწყვეს რამები 10 კუბური მეტ. გამტარუნარიანობით წაშში. მოწინააღმდეგე მხრებიდან გააკეთეს 25 წყალსამეგობი და აწარმოეს წლების განმავლობაში რიონის ჩვეულებრივი წყლის შეშვება და დაწმენილი წყლის გამოშვება. ამ ფუნქციად ლაგდებოდა ნოყიერი დანალექი ნიადაგი, მაღლდებოდა მიწის ზედაპირი.

ორი საკოლმატაციო ნაკვეთიდან პირველზე კოლმატაცია დაიწყო 1929 წელს. შეიღო წლის შემდეგ რიონმა მასზე უკვე მოიტანა 14 მილიონი კუბური მეტრი გრუნტი და მიწის ზედაპირი 1,5—2 მეტრით ამაღლა. ამჟამად ამ ნაკვეთზე კოლმატაცია დიდი ხანია

დამთავრებულია, მოტანილია დაახლოებით 30 მილიონი კუბური მეტრი გრუნტი და მიწის ზედპირი ამაღლებულია 3—5 მეტრით.

5. წყლის გადაქაჩვა - გადატუმბვა სწარმოებდა 6.000 ჰექტარ დასაშრობ ფართობზე. აქ გამართულია ელექტროენერჯიაზე მომუშავე სატუმბავი დანადგარები, რომელთა მუშაობა საჭიროა წელიწადში მხოლოდ 60 დღეს.

პილროტეკნიკის სამუშაოთა შორის ცალკე უნდა აღინიშნოს ის ღონისძიება, რომელიც ჩატარდა ქ. ფოთის წყალდიდობისაგან დასაცავად და მის გასაჯანსაღებლად. ამ მიზნით ჯერ ქალაქს ირგვლივ გაუყეთეს დამბები. შემდეგ საჭირო შეიქმნა მდ. რიონის კალაპოტის შეცვლა, მიმართულების მიცემა ნაბადასკენ. ამისათვის ძველ კალაპოტში, რომელიც ქალაქზე გადიოდა, ააგეს კაშხალი და წყალი გაუშვეს მოკლე და პირდაპირი არხით ზღვაში.

კოლხეთის დაბლობის ჯერ დაშრობისა და შემდეგ სამეურნეო ათვისებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და დიდი მუშაობაც არის ჩატარებული გზების მშენებლობის დარგში. ეს მუშაობა მომავალშიც დიდი ინტენსივობით იქნება წარმოებული.



როგორც დღემდე შესრულებულ, ისე მომავალში ჩასატარებელ სამუშაოებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და ექნება მექანიზაციას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1932 წლამდე ყველა სამუშაო ხელით წარმოებდა და შესრულებული იყო მხოლოდ 340 ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები. 1932—1939 წლებში შესრულდა 8 მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები. ამ ხანებში ყველა მძიმე სამუშაოები მექანიზებულად სრულდებოდა. კოლხიდ-შენის ობამდე ჰქონდა 24 ექსკავატორი; მ. შ. 16 სხვადასხვა ტიპის ფორმისა, საქმოდ გაცვეთილი იყო და საჭიროებდა სერიოზულ შეკეთებას. ამჟამად მექანიკური ბაზა დიდად განმტკიცებულია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოლხეთში ე. წ. მცირე მექანიზაციას.

8. „ნათობი“ № 4.

აქ შედის წერილი დამშრომბი არხების თხრა და ტყის გაკავება-ამოღება 30—35 ათას ჰექტარზე, მიწის ზედპირული წყლების გადასაფენად (სტენოგრაფიული კვლების მოწყობა, ყამირის გატეხვა და გამოყენებისათვის 40 ათას ჰექტარზე. აქ საჭიროა როგორც არსებული, ისე ახალი კონსტრუქციის მანქანა-იარაღების შექმნა კოლხეთის სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით.

აუცილებელია სოფლის მეურნეობაში ათვისებული მიწების ოდენობა დროსა და სივრცეში არ ჩამორჩეს იმ ფართობთა ოდენობას, რომელიც თანდათანობით გამოდის მელიორაციიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის ელექტრომრეწველობის სამინისტროს მიერ გათვალისწინებულია მდ. რიონის, ცხენისწყლისა და სხვა მდინარეთა რეგულირების შესაძლებლობა მათი პოტენციის ენერგეტიკული გამოყენებისათვის.

„გენერალური ხარჯთაღრიცხვით 199,3 მილიონი მანეთად ღირებულ მთელ სამუშაოებიდან 1940 წლის 1 იანვრისათვის შესრულებულია 70 მილიონი მანეთის სამუშაოები“.

მაგრამ 1941 წლის გაგვირის სამუშაოები და ხარჯი, აგრეთვე საერთოდ დასახული ღონისძიებანი ბოლომდე არ იყო მიყვანილი. პიტლერული გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ დროებით შეაწერა ეს დიდი საქმე.

მუშაობა განახლდა სამამულო ომის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრების შემდეგ, 1946 წელს, კოლხიდშენის გეგმა ორჯერ იქნა გადიდებული წინა წელთან შედარებით. ხუთწლედის განმავლობაში ამოშრობილი 20 ათასზე მეტი ჰექტარი მიწის ექსპლოატაციამ გადასაცემად კოლხიდშენმა შეასრულა 80 მილიონი მანეთის ღირებულების სამუშაო.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ მდ. რიონის მარცხენა მხარეზე მიწების მელიორაციის გატარების მიზანშეწონილობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები საქართველოს ბოლშევიკების XIII ყრილობაზე: (სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 284):

„1. რიონის დაბლობის მარცხენა ნაპირის მიწები, როგორც რაოდენობისა და ხარისხის, ისე კლიმატური და ნიადაგობრივ-გეოლოგიური პირობების

მხრივ არაფრით არ ჩამოუყარდება მარჯვენა ნაპირის მიწებს. ამიტომ, თუ მარჯვენა ნაპირის მასივის ამოშრობა ითვლება მიზანშეწონილად და სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით ფრიად ხელსაყრელად, მაშინ მარცხენა ნაპირის მასივის ამოშრობაც არანაკლებ მიზანშეწონილია, მით უმეტეს, რომ ამ ფართობების მეტი ნაწილი (18 ათასი ჰექტარი) ამჟამად კოლმეურნეობათა სარგებლობაშია.

2. მარცხენა ნაპირის მასივის თითოეული ჰექტარის ამოშრობის ღირებულება მარჯვენა ნაპირის მასივთან შედარებით შეადგენს არა უმეტეს 60—70 პროცენტს. ეს აიხსნება იმით, რომ იქ ბევრი არ არის ისეთი მდინარე, რომელიც მოითხოვს ზვინულებზე გავლებას, რაზეც ნაპირზე; მაგალითად, თუ მარჯვენა ნაპირის მასივამ წყალდიდობის დროს ნაპირებიდან წყლის გადასვლის თავიდან აცილებისათვის ზვინულების გავლება მოითხოვს 200 კილომეტრის სიგრძეზე, მარცხენა ნაპირზე ზვინულების სიგრძე 80 კილომეტრს არ გადააჭარბებს.

და ეს სამუშაოც წარმატებით შესრულდება ვინაიდან ზემოაღნიშნულ სამუშაოებს აკეთებდა და აკეთებს ისეთი მძლავრი სამეურნეო ორგანიზაცია, როგორიც არის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტრესტი „კოლხილმშენი“. ამას ხელს უწყობს ის ვარემოებაც, რომ კოლხეთის დაშრობა, ბოლოს და ბოლოს, არ მოითხოვს რთულ და ძვირად ღირებულ საინჟინერო ნაგებობებს, ან არა და დეფიციტური მასალების დიდ რაოდენობას, როგორსაც თუნდაც სამგორის მშენებლობა. აქ მთელი დამართბინათვის საჭირო სამუშაოები და ნაგებობანი, უმთავრესად, მდგომარეობს მიწის — რბილი გრუნტის — გათხრა, ამოღება და გადაყრამი.

ამიტომ ამ საქმეში ადვილია მექანიზაციის ფართო დანერგვა და გამოყენება. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სამუშაოებზე მექანიზაცია აღწევს 80-90-100 პროცენტს. ჯერ კიდევ 1933 წელში შეიქმნა „გრეს“ — ექსკავატორთა საქართველოს რაიონული სადგური. ეს სადგური თანდათან ვითარდებოდა და ძლიერდებოდა როგორც მექანიზმებით, ისე მექანიზმებს დაუფ-

ლებული სუბიარტესად ადგილობრივი კადრებით.

ათეულობით ექსკავატორები, რომლებიც გამწეები, ორმოთხრელები, უძმლავერესი მიწისმთხრელი და სასრუტი მანქანები, რეფულაორები; ასობით ვაგონეტები, ავტომანქანები, უძმლავერესი ტრაქტორთა პარკი, საგზაო-მელიორაციული მანქანები და ყველაფერ ამისათვის სათანადოდ გაწყობილი სახელოსნო და სარემონტო ბაზა, აი მკრთადად აწერილი სურათი იმ ტექნიკური აღჭურვილობისა, რომელიც გააჩნია კოლხილმშენს.

ამის შემწეობით არის, რომ კოლხეთში უკვე ამოღებულია 10 მილიონამდე კუბური მეტრი მიწა. ეს რომ ერთბაშად რკინიგზის ვაგონებში ჩაყრილი წარმოვიდგინოთ, შემაღველობები 6.000 კილომეტრზე გაიქიმებოდა.

ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა ჩატარების შემდეგ იწყება (ხოლო ცალკეულ მასივებზე დიდი ხანია დაწყებულია) და მის პარალელურად მიმდინარეობს ჯერ აგრომელიორაციული და შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ათვისების სამუშაოები. ეს საქმე უკვე თვით კოლმეურნეობათა მოსახლეობის ამოცანაა უმთავრესად. მათ აქაც სახელმწიფო უწყვეს ორგანიზაციულ-ტექნიკურ და ფინანსურ ხელშეწყობასა და დახმარებას.

ბოლოს და ბოლოს მთელი ჰიდროტექნიკური მშენებლობა წამოწყებულ-შესრულებულია, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის და ეს იმიტომ, რომ კოლხეთის დაბლობი წარმოადგენს მთელს საბჭოთა კავშირში მეტად იშვიათ რაიონს ბუნებრივ „საკავშირო სათბურს“, სადაც წარმოებრივი პირობების მიხედვით შეიძლება მიღებულ იქნას ძვირფასი სუბტროპიკულ-ტექნიკური კულტურების უხეც პროდუქცია. ამასთანავე აქ და მხოლოდ აქ შეიძლება დაბლობისათვის დამახასიათებელი კულტურების წარმოება; მაშინ, როცა მთაგორაკიან ზოლში მთავარია ჩაი, ციტრუსები, ტუნჯო და სხვა და ბარის მეურნეობა ტექნიკური სუბტროპიკული კულტურები იქ ვერ იხეირებენ.

კოლხეთში წარმატებით შეიძლება, სათანადოდ გაადგილებისა და წარმოე-

ბის პირობებში გავრცელდეს ძვირფასი კულტურების ფართო ასორტიმენტი: 1. ხაი, 2. ციტრუსოვანთაგან — მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, გრეიპფრუტი, კლიმენტინი, კინკანი, ბიგარადია; 3. სუბტროპიკული ხეხილი და — აღმოსავლური ხურმა, მუშმულა, ფეხხა და სხვა; 4. ზეთოვანთაგან — ტუნგო, სოია, არახისი, ლინი-დენდროხი; 5. ეთერზეთოვანთაგან — გერანი, ლიმონის სორგო, ევკალიპტი, ლიმონის ევკალიპტი, ანანასი, სპანის ხე, ქონის ხე; 6. ტანინოვანი — მუკის-კის მუჟუნა, აკაცია დელბატა; 7. კონტინენტური ხეხილი — ატამი, საადრო-ვაშლი, მსხალი, ბალი, ალუბალი, ლელვი და სხვა; 8. ტექსტილური — ახალ-შელანდის სელი, ლუფა, დრაცენა, რამი, იუკა; 9. ზოგი ტექნიკური მერქნიანი — კორპის მუხა, ბამბუკი და სხვა; 10. მეყვავილეობა და დეკორაციული მეზღებობა. 11. საადრო და ზამთრის ქორფა და საკონსერვო ბოსტნეული, ბოსტნის მეტესლეობა; 12. მარცვლეული — სიმინდი, ხორბალი, ურწყავი მრინჯი, ლობიო, მუხლადი, ცერცვები, ბატატი და სხვა; 13. ნათეს ბალახები — ალექსანდროული სამყურა, მცირე აზის იონჯა, კონინდარი და სხვა; 14. სიდერატები — სოია, ხავერდოვანი ცერცვი, ხანჭკოლა, კროტოლარია და სხვა.

ამ კულტურათა გავრცელების შესაძლებლობა დადასტურებულია მათი იქ მრავალი წლის განმავლობაში არსებობით და საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობით. ამასთანავე მათ პროდუქციასზე საბჭოთა ქვეყანაში არსებობს უდიდესი და სულ მძარდი მოთხოვნილება, რომელიც დღემდე ნაწილობრივ იმპორტით კმაყოფილდება. ხსენებულ კულტურების განვითარება საიმედოდ დასაყრდენია ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და კულტურული ღონის სწრაფი აღმავლობისათვის.

აღსანიშნავია, რომ სუბტროპიკულ-ტექნიკურ კულტურების განვითარება დასავლეთ საქართველოში სასურსათო და საფურცელ კულტურების განდევნის ხარჯზე როდი ხდებოდა. მათთვის ფართობის მეტი წილი ახალი მიწების ათვისებით მიიღებოდა — იკაფებოდა მცირე ღირსების ტყე-ბუჩქნარი, მიწათმოქმედებაში შედიოდა ქანობები

ტრასირებითა და ტრანშეების გაყვების საშუალებით და სისტემატურად ამოიშრობოდა ჭარბტენიან და დატვირთული მიწები. ამ უკანასკნელი მხრით კოლხეთში კვლავ არსებობს უდიდესი შესაძლებლობა.

სახელმწიფოს მიერ ამოშრობილი მიწები გადაეცემა არსებულ და მოახალშენე კოლმეურნეობებს. ისინი დაუყოვნებლივ შეუდგებიან ამ მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისებას. პირველ რიგში ატარებენ წინასწარ აგრო-მულიორაციულ სამუშაოებს და სახელდობრ: ტყე-ბუჩქნარის გააფხვა-ამოძირკვა, ცემად მოხვნა, სფერული კვლების გაკეთება, წინამორბედ და სისიდერაციო კულტურების თესვა და სხვა. მხოლოდ ამის შემდეგ (2-3 წელი) გახდება ხოლმე შესაძლებელი კოლხეთის ამოშრობილ მიწებზე ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების გაშენება.

დადგენილია კოლხეთში არსებულ პატარა სოფლებსა და მოახალშენე საკოლმეურნეო სოფლებისათვის ოპტიმალური ოდენობანი, გამოყოფილია შესაბამისი წესიერი კონფიგურაციის ფართობები. ტარდება სასოფლო-სოფლის და შიდაკოლმეურნეობრივი გადრმავებული მიწათმოწყობა — სავარგული მიწების გაადგილება, გზებისა და მინდორდამცველი ტყენარგავების ქსელი, წყლითმომარაგება, ელექტროფიკაცია, ელსმენი, რადიოფიკაცია.

შექმნილია როგორც არსებულ მცირე მოსახლეობიან სოფლებში შესაბამისი სოფლის საკოლმეურნეო სოფლებად დასახლებით ახალმონაშენე კეთილმოწყობილი სოფლები ქალაქში, ნაბადაში, ფოთის გარეუბნებში, ხობის წყლის ნაპირებზე, რკინიგზის გასწვრივ: პატარა ფოთი, ყორათი, ნოჯიხევი, ხობი, „ოზეტი“, ახალი ხორვა და სხვა. პირველი რიგის სამუშაოთა ტერიტორიაზე ტარდება არსებული ათათასამდე საკოლმეურნეო კომლის მეურნეობის სრული რეკონსტრუქცია და ამის ნახევარი რაოდენობის ახალი კომლის დასახლება. უკვე დასახლებულია ათასამდე ახალი საკოლმეურნეო კომლი.

ახალი სოფლების მშენებლობისათვის განგეგმები დამუშავებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტრესტის — „საქსოფლოპროექტის“ — მიერ

მშენებლობას აწარმოებს „საქსოფლ-მშენი“. ამ საქმეს ხელმძღვანელობას უწყვეს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული გადასახლება-დასახლების სამმართველო. მოსახლეობის კონტინგენტი ჩამოყავთ უმთავრესად დასავლეთ საქართველოს მცირემიწიან რაიონებიდან (მთიანი სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი; საჩხერის, კვიათურის და სხვა რაიონებიდან).

სხენებულ სამუშაოებს თან სდევს აგროკულტურულ და საკრედიტო ღონისძიებათა მთელი სისტემა. მოსახლეობა რამდენიმე წლის განმავლობაში სრულიად თავისუფლდება გადასახლებისაგან. მათთვის ეწყობა ჯანდაცვის, განათლებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის სათანადო დაწესებულებანი.

• • •

კოლხეთის მიწების გამოყენების გარავალდებულებებმა სტალინურ ხუთწლიელების პერიოდში მიმდინარეობდა. ამ ხანებში გაჩნდა აქ სუბტროპიკული ძვირფასი მცენარეები, ვითარდება სამრეწველო მეტოქნეობა და საადრეო მშენებლობა ქალაქებისა და კურორტების მახლობლად (ფოთი, ბათოში, სოხუმი და სხვა). მეცხოველეობასაც მიეცა უფრო გეგმაშეწონილი ხასიათი — შერბოების სტაციონალური მეურნეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა და საერთოდ პროდუქტიული მეცხოველეობის წილი თვალსაჩინოდ იზრდება; თუმცა მუშა პირტუყვის ხვედრითი წონა ჯერ კიდევ ზომაზე ბევრად მაღალია აქაურ ნაზრში.

ვინაიდან კოლხეთის მიწების დიდი ნაწილის დამრობა ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, აქ მიწების ათვისება მრავალწლიანი კულტურებით მიმდინარეობს შერჩევითი წესით. კულტურები პირველ რიგში შენდება მაღალი რელიეფის ნაყოფებზე.

მაგრამ არსებული შეთანაბრებაც მკირედი ზომით შეეფერება კოლხეთის დაბლობის უდიდეს წარმოებრივ შესაძლებლობებს. ბევრად უფრო გაბედულად და მეტი მოკულებით უნდა დაინერგოს მეღორეობის მიწებზე ინტენსიური სუბტროპიკული მეურნეობა. მიმდინარეობს კალაპოტის გასწვრივ ალუვიურ ნიადაგებზე დიდი ადგი-

ლი უნდა დაეთმოს ზამთრისა და საადრეო მეტოქნეობას. ამის წილი მაღალი უნდა იყოს აგრეთვე ქალაქებისა და კურორტების მახლობელ მიწებზე და ცნობილია პირობებისა და მიკროკლიმატის მხრით მისაღები ფართობები უნდა დაეთმოს ჩაის, ციტრუსებს, სუბტროპიკულ ხეხილსა და სხვა ძვირფას მრავალწლიან ტექნიკურ კულტურებს.

პროცენტულად ყველაზე მეტ ადგილს დაიკავებს კოლხეთში მეძინდერეობა სასურსათო (შემოდგომის პური, სიმინდი) და უფრო მეტად საკვები მიმართულებისა. ამ უკანასკნელსა ბიწებზე წილიწადში თითქმის განუწყვეტილი კულტურით უნდა მოიყვანონ უპირატესად წვნიანი და უხეში საკვების შესაძლო მაქსიმალური რაოდენობა. მას მაღალმთიან ზონებში გათიბული და ბარში ჩამოხიდილი თივის დიდი რაოდენობა უნდა დაემატოს, ყუათიანი საკვების (მარცვალი, ქატო, კობტონი) სათანადო რაოდენობა უნდა შემოიზიდოს. ასე შეიქმნეს საკვები ბაზა იმისათვის, რომ განვითარდეს მეცხოველეობა მოუხდელი რძის, რძემთავა პროდუქტების, ახალი კვერცხისა და ნაწილობრივ ხორცის საქმარ რაოდენობით მისაწოდებლად ადგილობრივ, ქალაქებისა და კურორტების მოსახლეობის დასაყუთილად. ასევე გადამწეობა, რამდენამდე მაინც, საერთოდ სუბტროპიკულ ზონაში მეტად მწვავე ორგანული სასუქების, კერძოდ პატისის ბალანსის საკითხი.

ამ ამოცანათა სასურველად გადაჭრის ინტერესებისათვის „დიდი კოლხეთის“ მთელი ტერიტორია ფართოდ იქნება ათვისებული: ჩაის, ციტრუსების, სუბტროპიკული ხეხილის, კონტინენტური ხეხილის და ვაზის, დანარჩენი ტექნიკური კულტურების, სატყეო-ტექნიკური მცენარეების, ქარსაფარების, — ბოსტნის, სახანავ-სათვისის, კულტურულ სამოვარ-საბაღოებისა და სხვა ამგვარი კულტურების მრავალფეროვანი ასორტიმენტით.

მიწების შესაფერი განაწილებისას, როცა კოლხეთში საესებით გაშლილი ჯანსაღი და სისხლქიარბი მეურნეობა გვექნება, აქედან მიიღება რამდენიმე მილიარდი ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი, 50 ათასზე მეტი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ათეულათასობით ტონა სუბტროპიკული ხილი, დაფნა, ეთერ-



შეთები და სხვა ნაირნაირი ტექნიკური ნედლეული.

კოლხეთიდან დაიძვრება სსრ კავშირის ცენტრებისაკენ სოფლის მეურნეობის ძვირფასი პროდუქტია: ყოველგვარი ხილეული, მზა ჩაი, სამკურნალო მცენარეები, მერქანი და, ეთერზეთოვანი პარფიუმერიისა და მედიცინისათვის, ნაირნაირ ტექნიკური ნივთიერებანი მრეწველობის სხვადასხვა დარგისათვის, ექსტრატები საკონდიტრო ფაბრიკებისათვის, მრავალფეროვანი ნედლეული საკონსერვო მრეწველობისათვის და სხვადასხვა.



კოლხეთის დაბლობის მელიორაციისა და სამეურნეო ათვისებას აქვს უდიდესი სახალხომეურნეობრივი ეფექტიურობა. ამ ეფექტიურობის ზოგი ყველაზე თვალსაჩინო შედეგია:

1. კოლხეთში ძველად არსებულ ათასობით გლეხური კომლის მეურნეობის სრული რეკონსტრუქცია და კულტურული, შეძლებული ცხოვრების დამკვიდრება; ასეთივე პირობებში კიდევ მეტი ახალი საკოლმეურნეო კომლის დასახლება და კეთილმოწყობა.

2. საგარეულების პროგრესული ტრანსფორმაცია—სუბტროპიკულ ზონაში მნიშვნელოვნად გადიდდება დამუშავებული ფართობი, მრავალწლიანი ნარგავები, კერძოდ სუბტროპიკული კულტურები (ციტრუსები — 40-ჯერ, ჩაი — 30-ჯერ, სუბტროპიკული ხეხილი 10 — ჯერ, კონტინენტური ხეხილი — 15-ჯერ, მებოსტნეობა — 20-ჯერ).

3. საერთო შემოსავლის ზრდა 25-

ჯერ, დამომუშავებულ შრომადღეთა როდენობა 5-ჯერ და ანაზღაურება — 5-ჯერ.

4. ადგილობრივი მოსახლეობის მოხმარებისა და საერთოდ კულტურულ-ეკონომიკური დონის მრავალჯერ ამაღლება.

5. მაღარიის მოსპობა, მოსახლეობის გაჯანსაღება, შრომისუნარიანობის გადიდება.

6. ადგილობრივი მრეწველობის სწრაფი განვითარება აქვე მოპოებული ნედლეულის ბაზაზე.

7. სსრ კავშირის სამრეწველო ცენტრების მომარაგება ძვირფასი სუბტროპიკული, ქორფად მოსახმარი და სანედლეულო პროდუქტით და სათანადო იმპორტის მკვეთრი შემცირება — ვალუტის ეკონომია.

8. ტრანსპორტის — სახმელეთო (რკინიგზა, ავტოტრანსპორტი), წყლის (სახლვაო და სამდინარო) და საჰაერო ტვირთზიდვის — მკვეთრი გადიდება.

9. მსხვილი ნავთსადგურის მშენებლობა ქ. ფოთში. დანარჩენ ნავთმისადგომთა რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება.

10. კოლხეთისა და მოსაზღვრე რაიონების სრული გაჯანსაღება, ზღვისპირა და შინაგანი სხვადასხვაგვარი კურორტების მთელი ჯაჭვის შექმნა და კეთილმოწყობა.

კოლხეთის დაბლობი, წინანდელი გაუვალი ქაობებისა და აეთვისების მაღარიის კერიდან, ნაწილობრივ უკვე გადაიქცა და ახლო მომავალში მთლიანად გადაიქცევა აყვავებულ წალკოტად, სუბტროპიკულ ბაღნარად. ასეთია ქართველი მშრომელი ხალხის მისწრაფება, პარტიისა და მთავრობის ხაზი, ხალხთა ბელადის დიდი სტალინის ნება-სურვილი.

ბიბლიოგრაფია.



ბ. კახანიძე. „ახალი ლექსები“, „საბჭოთა მწიბრობა“, 1956 წ.

გიორგი კახანიძე ლირიკოსი პოეტი. მას ახასიათებს თავისებური მისეული თემასთან, მოვლენების თავისებური აღქმა. ეს თავისებურება მისი პოეზიის განუყოფელი თვისებაა. მაგრამ გიორგი კახანიძის ლირიკული ამოცანა არასოდეს არ ყოფილა ისე შერწყმული ახლოს გრძნობასთან — როგორც ამ წიგნშია.

ამის ილუსტრაციას, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს ბელადისადმი მიძღვნილი ლექსები. სტალინი — მთელი ჩვენი სამშობლო ხალხის, სამშობლო ადამიანების, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საუკეთესო ბელადია. ბელადი და სამშობლო ხალხი ფოლადისებური სიმტკიცითაა შედუღებული ერთმანეთთან. „ბელადის ყველა დაბანის კარი ჩვენი ფიქრისთვის ღიაა მუდამ“. ეს ორგანული სახალხოვ და ურღვევი კავშირი ბელადსა და ხალხს შორის ნათლად გამოხატული პოეტის ორ პატარა ლირიკულ ლექსში „ბელადი კრემლი“ და „ბელადი ჩვენი“. პირველ ლექსში პოეტი გამოხატავს ბელადისადმი ყოველი სამშობლო ადამიანის უსაზღვრო სიყვარულს:

„ღამით რომ ვხედავთ ლავიარდში ნათელს,
ულვარება მღვიმეებ კრემლის;
ბელადს არ ძინავს, ღამეებს ათეხს,
რომ დააფიწვოს ქვეყანას ცრემლი.
ის არის ჩვენი აზრი და ვანცდი,
მკურნალი ხალხთა ყველა ტკივილის.
საქმით ყოველდღე შევდივართ მასთან
და იგი მუდამ ვხედავთ ღიმილით“.

მეორე ლექსში თბილისის „სწივითა და მადლით“ ამღვრებული პოეტი აშხობს:

„თბილისში ვხარობ, სამშობლოს ევტრფი,
ხარობენ ჩემი ბაღის ნერგებიც,
აქ ხალხის გუგუნს ჩემი ხმაც ერთობს,
მზეს დილით მუდამ აქ ვეხატები.
მაგრამ, როდესაც ბელადი ჩვენი
დიდ ტრიბუნაზე კრემლის წინ აღის,
მე მოსკოველთა მწერებებში ვხედავ
ჩემი თბილისის სწივით და მადლით“.

ასე მადლდება პოეტის ლირიკული განცდა ზოგად, ტიპურ განცდამდე. ასე გამოხატავს

იგი თავის ლირიკულ სიმღერებში ჩვენს გულისტქმასა და მისწრაფებებს, ფიქრებსა და აზრებს, სიხარულსა და აღტაცებას.

ახალი საქართველოს აღმშენებლის, ქართველი ხალხის საუკეთესო შვილის ლავიარდის ბერძანს ყოველი ჩამოსვლა საქართველოში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. პოეტი ამ ფაქტს საკვებით სიშარბილიანად აფასებს, როგორც ჩვენი ძალებისა და შემოქმედებითი ენერჯიის ამამაღლებელს. იგი ასე მიმართავს ახლ. ლავიარდის ბერძანს:

„დიდს და პატარას გვაგებებს ძალოვნს,
გვზრდი დღენათელი საქმის თაოსნად;
მუდამ გვაძალადებს, მუდამ გვაძლერებს
საქართველოში შენი ჩამოსვლა“.

დიდ სამამულო ომში სხვა მომე ხალხის შეილებთან ერთად გვიარულად იბრძოდნენ ქართველი მებრძობნი. არა ერთი ქართველი ვაჟაკი შეეწირა გერმანულ ფაშისტებთან გამართულ სამყვდრო-სასილოცებო ბრძოლას. გიორგი კახანიძე კონკრეტული ფაქტის, კონკრეტული სურათის დასატებით, თუ ერთის მხრივ, იწვევს მწუხარების გრძნობას დაღუპულ გმირთა გამო, ამოვე დროს გვაფრთოვანებს მათი სიმამაცისა და სულთა სიმტკიცის მაგალითებით, მოგვწოდებს წმინდად შევიანებით მათი სხონისა. ამ მხრივ შეტად საყურადღებოა ლექსები „წამება მამულიშვილისა“ (გრიგოლ სულუხიას სხონისა), „ყმაწვილი დედა“, „წმინდა ადგილი“ და სხვ.

ლექსში „ქართველი მეომარი კარპატებში“ გამოხატულია ქართველი მეომრის ვაჟაკობა. კავკასიის კარიბჭეებთან მომდგარი მტერი მამაც ქართველ მეომარს ახლა კარპატების მთებში შეუმწყვდევი:

„გულმტკიცობა დარიალის კლდის ახლავს,
მშფოთოვარება მშობლიური მოისქარის.
სად იბრძოლა და სად იბრძვის ის ახლა,
რა შორს არის საქართველოს ჭიშკარი!“

აქაც თითქმის ამირანის ანრდილი თან სდევს გმირ ქართველ ვაჟაკს, ძალასა და მზნობას მატებს მას საქართველოს მოგონება და გამარჯვების მტკიცე რწმენით გულანთებული

„იბრძვის გმირი და, ვით ხსნა და დიდებო, მიაქვს დროშად ჩვენი ქვეყნის სახელი“.

განსაკუთრებული ღირებულება სიბოძით და უშუალოდ ჩასათარგმნებელია ის ლექსები, რომლებიც სოციალისტური სოფლის თემბატაკას ეჭობიან. ეს თემბატაკა ვითარცა კაპიტალის ღირებულ პოეზიაში თანდათანობით მტკიცედ იკედლებს ფეხს. „კეთილ მხენელ-მთესველთა“ და მუდამ სიღარიბესთან ბრძოლაში წყევლებილი გლეხის ნაკვალავი ახლა კრიალა იდებოთ დამშვენებულ იმერულ სოფელს ტრაქტორები და გუთნები შესვლია. სოფლად მომადარი ეს უდიდესი ცვლილებანი ვითარცა კაპიტალის გადმოცემული აქვს მიმზიდველ ღირებულ სურათებში. ამის დასტურებაა მისი ლექსები „გუთნები მინდვრად“, „ყანაში“, „სოფლად სიკეთედ დამკვიდრებული“, „აგრონომი ქალი“ და სხვ.

ოსტატურად გადმოვეცემს ვითარცა კაპიტალის კომუნისტურეთა შრომის პათოსს ღირებულ ლექსში „შეადლე ქალაში“. ამ ლექსის ყოველ სტროფში თქვენს წინაშე იხატება ახალ-ახალი სურათი, ახალ-ახალი სახე თითქმის ათასჯერ ნახული და ათასჯერ განცდილი, მაგრამ იმედ დროს სრულიად ახლებურად დანახული და წარმოდგენილი პოეტის მიერ. ლექსის იდეური ჩანაფიქრი — უხე მისავლისათვის ბრძოლაში სოფლის ავტატორის დამრჩეველი როლის ჩვენება დასამახსოვრებელ მხატვრულ ხორც-შესხმას პოელობს მეტად საინტერესო სურათს სურათში. შუადღეა. ქალს თვლება მორევია. ძლიერა სუნთქავს მწვერი ჩინებთან განაბულა. სიციხს ვაძო თითქმის წყალსაც დამკარგვია ძალი — უხეოდ მიდის ქვეზე ცივი ნაკადული“.

მოხმენლები ისვენებენ მუხის ძირას, ზოგი წევს და ამოუდღვს თავქვე მკლავი. მომარბოთ ბრძეადიანს შერას სძინავს და ბალახში დაუშალავს მშვიდად თავი. ხშირ ფოთლებში სხივს აპარებს მზე თამაშით, დაუწინწკლა მუხას ჩრდილის გრილი კალთა და ხმელ ტოტზე დაიდებულ ჭველ კალთში

ლენის სურა ვარდისფერად გაანათა. ამ კალთს მუხის კენწეროდან „ურცხვი“ ყვავი ეთვალთვალავს, ყველს ხედავს, ღამობს დაფრიალავს და გაიტაკის. ამ დროს

ყანის თავში, ტრიაფების იჭით, მკრთალად თავსაჯარი აფარფარდა ვით პეკელა, ავტო ზობის ფრთების მსვავსად ვიშალა და მოიწვევს სიმინდლის ზღვაში წელა. ეს სოფლის ავტატორი-მასწავლებელია.

შუადღისას ვახეთებით მინდვრად მარტო დღეს პირველად მოდის ვანა ის კეთილი? ყანის მუშა ხალხთან, როგორც ავტატორის საუბარი უუვარს როგორც ვაკეთობლი.

ავტატორი ესაუბრება კომუნისტურ მთხენელებს, სოციალისტური შრომის, კმერების, სახელეოეან წარმატებებზე. ამ საუბარში, უხე მტკიცე ცა ისინი, რომ

სიყვარულით თვალს ავლებენ ფართო მინდორს — სოფლის ბეღელს და დოვლათის ნამდვილ დედას... ფიქრში საღლაე აციამციბა შრომის ჯიღლი, — უნებლად ყველამ მკერდზე დაიხდა. მოსაუბრის ხმა საგმირო გრძობით

ავსებთ, ყველას მკერდში გმირის გული იმალება, და ხედავენ, როგორ მოაქვს ხელის გავლას მათი შრომის და ღირსების ბრწყინებულა.

როგორც ვხედავთ, გ. კაპიტალის ამ თემას მოუნახა ერთგვარი სიუვეტური ქარა. ამისა და სურათების ლოკური, დამნიმდვერული განვითარებით, ხატოვანი გამოთქმებითა და წინადადებებში სწორად შერჩეული სიტყვებით პოეტმა შესწავლია რელიეფურად გამოვსახა ლექსის იდეა.

გასაგებია, რომ ლექსის გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა არა მარტო თემის სახალბე, ამ თემაში ჩაქსოვილმა კარგმა იდეამ, არამედ ამ შინაფიქრის ოსტატურად შესრულებამ, ლექსის ტექნიკურად გარანდებამ, ენობრივმა დახვეწილობამ, და, რაც მთავარია, საშქოთა ადამიანების სულისკვეთების საფუძვლიანმა ცოდნამ, ასე მივიღეთ ნაშარბოებში ფორმისა და შინაარსის ერთიანობა.

წიგნში შეტანილია აგრეთვე ლექსების ციკლი საერთო სათაურით „მეგობრები“ (მათ შორის აღსანიშნავია „დასავლეთ უკრაინელ და ბელორუს ძმებს“, „შეხვედრა ბაქანზე“, „დღე ბავშობიდან ნაოცნებარი“ და სხვ.) და „წინაპრები“, (რომელშიც წარმოგვიჩინია „ბატონაშვილის ანრდილი“, „ააკაი“, „გოგებაშვილის დედა ვანა“, „ქონჭაქე ბაღში“ და სხვ.)

გ. კაპიტალის „ახალი ლექსები“ მოწმობენ პოეტის უტყუარ ზრდას. იგი მტკიცედ მოფლავდა პოეტური ხელოვნების ტექნიკას და ღირებული უშუალოდ გადმოვეცემს ყოველივე იმას, რაც ახალი, მზარდი და ტიპური ჩვენს ცხოვრებაში.

ამს. კ. ნ. ჩარკვიანმა თბილისის XX პარტიკონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებისა და განვითარების საქმეში საშქოთა მწერლობის როლზე და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად დასახა ბრძოლა სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის.

ამ თვალსაზრისით ვიორჯი კაქაბიძის წიგნი საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ მაინც გვებეჭება ზოგი გაუმართავე და არა-ზუსტი გამოთქმა. მაგალითად: „მოავლო ნამუშევარ ვანას თვალი“. (აგრონომი ქალი). ლექსში „მამა“ პოეტი წერს: „შინ რომ დამარუნდა ჰვავდა შთების ვადიდების მსახველს,

რისვანაც გულში დეკაცობის გრძნობა დევნდება“. სიტყვები „მთების ტრანსპონს“ „მსახველს“ ვერ ქმნიან გარკვეულ „წარმოდგენას“. ზუსტად ვერ გამოსახავენ აზრს.

ვიორჯი კაქაბიძის ლექსების წიგნი ქართულ საბჭოთა პოეზიის უდაოდ კარგი შენაძენია.

ა. თოფურია

დ. სულიაშვილი, „მეორე დღე“, საბჭოთა მწიკალი. 1960

★

დავი სულიაშვილის რომანი „მეორე დღე“ ვეხებატყვს წარსულის რევოლუციურ მოძრაობას. ავტორს ეს თემა საკმაო მხატვრულ ისტატივით აქვს დამუშავებული. მკითხველი კარგად გრძნობს რევოლუციამდელი ბრძოლების უშუალო კავშირს დღევანდელ ეპოქასთან. ნაწარმოებში რევოლუციის მამოძრავებელი ძალა სწორად არის გაგებული. მოქმედი პირები გამსჭვალული არიან ლენინის და სტალინის უცვლადი იდეებით. ისინი მუშაობენ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. რელიეფურად არის ნაჩვენები დიდი სტალინის ხელმძღვანელობა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციების ჩამოყალიბების პროცესში.

ნაწარმოებში მდიდარია საინტერესო ეპიზოდები. ცოცხალ სურათებში აღბეჭდილია რევოლუციამდელი სოფლის ინტელაგენციის ბევრი დასამბსოვრებელი სახე. დამაჯერებლად და მხატვრული ზომიერებით არის ნაჩვენები სოფლის დღეობა. განსაკუთრებით საინტერესოდ არის გამოჩენილი დეკადენტური ტიპი პოეტი გუცა ელიაშვილი და ნაციონალისტურად ვანწყობილი მედუნენ ბეკა სურგავა.

ავტორი მოზერბებულად თყენებს უანდარბუროის ოფიციალურ დოკუმენტებს, მენშევიკ-ბოლშევიკთა დისკუსიის მასალებს, ნიკოლოზ ბარათაშვილის და შოთა რუსთაველის ლექსებსა და აფორიზმებს.

ნაწარმოებში იწყება ვადასახლებიდან გამოქცეული ლევან თანდიშვილის თბილისში ჩამოსვლით. ლევანი თავდადებული ბოლშევიკია. იგი თბილისში მიიჩნება, რომ შეხედეს და იმუშაოს იმ აღამიანის ხელმძღვანელობით, რომელიც მაშინ მეთაურობდა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. მაგრამ იგი თბილისში ჩამოსვლამდე გზაში გაიკვებს, რომ ეს აღამიანი ამკავდა თბილისში არ იმყოფებოდა და ბაქოში მუშაობდა. ლევანი სადგურიდან პირდაპირ შექ-

არ ბექურაულთან მიდის, მისი მეშვეობით დაუკავშირდება ამხანაგებს და გაჩაღებს პარტიულ მუშაობას.

ლევანის სახით ავტორმა მოგვცა პროფესიული რევოლუციონერის და პარტიული მუშაკის ტიპი, რომელიც „აღსაესე იყო ენთუზიაზმით და რომელსაც იმ თაგითვე სწამდა, რომ მხოლოდ შეიარაღებული აჯანყებით შეიძლებოდა თვით-მშურთებლობის დამშობა, რომ მხოლოდ მუშათა კლასის მეგეშონით და გლეხობასთან კავშირით შეიძლებოდა რევოლუციის ნამდვილი გამარჯვება“.

ავტორს რელიეფურად და მხატვრული დამაჯერებლობით აქვს ნაჩვენები რეაქციის ხანა, რაც 1905 წლის რევოლუციის დამარცხებას მოყვა, რადგანაც აწვევე რეაქციამ ბევრი ამხანაგი ჩამოაცილა რევოლუციურ მუშაობას, ბევრი ვადასახლეს, ბევრი კატორღაში ვაგზაუნეს. ზოგიც თავის ნებით მოშორდა არაღვეალურ მუშაობას, ჩინოვნიკობას მოჰკიდა ხელი, ინტელიგენცია დაფრთხა...“

ამ ნაწარმოებში სწორად არის ნაჩვენები მენშევიკების პოლიტიკური საქმიანობა. მენშევიკები ლიკვიდატორები, რეაქციის დროს ისინი პარტიულ არაღვეალურ მუშაობაზე ხელის აკლასს და არაღვეალური მუშაობის გაღვივებისა, არამედ საჭიროა შეთანხმებული მუშაობა ლეგალური ვაზეთების საშუალებით, ლეგალურ დამწებებულეებში“. მენშევიკები არსებითად ბურჟუაზიის მხარეზე იდგნენ. ნაწარმოებში ეს მხატვრულად კარგად არის გამოხატული. მუშათა ერთ-ერთი კრებაზე დაყენებულია გაფიცვის საკითხი. მენშევიკების პოზიციას ამ საკითხში გრძობითი მენშევიკი ორატორი ასე ვანარ-

ტავს: „ამხანაგებო, საქმეს თუ დავუდვიტრდებით და ერთარებას თუ განვიზილავთ, დავინახავთ, რომ ახლა გადვიცვა დროული არ არის. ჩვენ უნდა ჩვენს შორის ავირჩიოთ ძველი გამობრძეული მუშები, რომლებმაც უნდა აწარმოონ მოლაპარაკება აღმინისტრაციასთან და მოითხოვონ დათხოვნილი ამხანაგების უკან დაბრუნება. ყურს ნუ დავუდებთ იმ ორატორებს, რომლებიც ჩვენ გაფიცვისაკენ მოგვიწოდებენ. დავუჯეროთ ჩვენს უფროს ამხანაგებს“.

სხვა ადგილს მენშევიკი ასე ლაპარაკობს: „ჩვენ კავშირი უნდა შევკრათ ბურჟუაზიასთან. შვიარაღებული აჯანყება კი დააფრთხობს ბურჟუაზიას. ის მიეშრება მთავრობას, აი რატომ უნდა მივეყვდლოთ ჩვენ რევოლუციურ ბურჟუაზიას, და უნდა ვეცადოთ, რომ არ დავრჩეთ ვანკაყვებულნი ამ რევოლუციაში“. ბურჟუაზიასთან კავშირისაკენ მოუწოდებდნენ მენშევიკები მუშებს.

მთელ ნაწარმოებში, თავიდან ბოლომდე, ნაწვევებითა მენშევიკების მოლაღატობა, მათი ლიკვიდატორობა, თბილ ადგილებსაკენ ლტოლვა. ლევანი და ის მუშები, რომელნიც მის გარშემო არიან შემოკრებილი, რევოლუციის გამარჯვების იმედით ცოცხლობენ. მაგრამ რევოლუციის გამარჯვებისათვის ისინი მუშაობენ და გულზე ხელმედაყრფილნი კი არ შესცქერიან მომავალს. ლევანის სახის ჩამოყალიბებისას ავტორი სწორი ვას დაადგა, ლევანი არ არის მოწყვეტილი ცხოვრების სხვა მხარეებსაც. ნაწარმოების მიხედვით ლევანი ყოველმხრივ კულტურული აღმიაწია, მის ცხოვრებაში ყველაფერი იმ დიად ადუების გამარჯვებას ემსახურება, რომლებითაც იგი შთაგონებულია. მეთოს თავის მხარეზე ვადამირებაც ზდება არა მარტო პირადი ოჯახური ცხოვრების მოწყობის განზრახვით. წვრილ ბურჟუაზიულ წრეში ვაზრდილი მეთო ლევანის წყალობით ებმება რევოლუციურ მუშაობაში.

ნაწარმოებში ნათლად ჩანს დიდი სტალინის უფრო ზელმძღვანელობა. მისი მითითებანი, მისი დირექტივები წარმართავს პარტიულ მუშაობას, რევოლუციურ მოძრაობას. კობას სახელთან და მის ზელმძღვანელობასთან არის დავიწვირებული არალეგალური სტამბის მოწყობა, პარ-

ტიული კონფერენციის გამართვა, სომხ ტრუშენში პარტიული მუშაობის განაღება და სხვ.

ნაწარმოები მდიდარია მუშაობით მენშევიკების სახეებით. განსაკუთრებული მნიშვნელობის მხატვრული დამატებებით ნაჩვენებია შაქრის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი „მუშური ილლო ადვილად იგებდა მუშაობა კლასის ზღვადეობის განმარტებას და ადვილად ითვისებდა მათ“.

ნაწარმოებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტრამევის მუშების რევოლუციური მოძრაობის აღწერას. ცოცხლად არის ნაჩვენები ტრამეველთა ვადიევა, დირექტორ ბატაილის მოქმედება, რევოლუციონერ მუშების დათხოვნა და მუშაობა უკმაყოფილება. მხოლოდ ეს მოძრაობა ავტორს შემდეგ თავისებურად აქვს განვითარებული. მაგალითად, არ შეიძლება ისტორიულ სიმართლედ ჩაითვლოს ის ამბავი, რომ მუშები მიდიან ბოლშევიკურ ორგანიზაციაში და თხოვლობენ ვადიევის გამოცხადების ნებათვას, ხოლო მათ ბოლშევიკები ეციობებიან „რატომ ვინდათ ვადიეკოთ, რა არის ამის მიზეზი, რა მოხდით?“ ასეთი გულმბრყვილო შეკითხვებს ცხადა ადგილი არ ექნებოდა.

ნაწარმოებში შეხედვით ზოგიერთ არასწორ გამოთქმებს. მაგალითად: „კრების მსმენელობა თანდათან გამახვილდა“, „აღლეველი ტავო გამოიდველ გამოსვლას ვვლარ იომენდა“, „შავი თვალბი მუდამ შორს ვასწრავებულნი“, „ჩამწკრივებული შავი კარბენი ქანაობდნენ“, „გალობაში დამწყვედეული მკლებივით ბოლიარბდნენ“. ვეხედება ასეთი სახეებიც: „ფიჭებისაკან ისე განთავისუფლდა, როგორც შერხული ცაცხვის ტრტი ფუტკრისაკან“ ანდა „შავი თმა კისერზე ბუჩქად ჩამოკიდებოდა“.

1907 — 8 წლებში თბილისში ტრამევის გასასული კარბები არა ჰქონდა, იყო მხოლოდ ასასული და ჩამოსასული ერთთვლანი გვერდითი კიხე. ტრავის სიყვარული ამბავი და სხვისი დარბევითი სატრფოს ერთბაშად შეძლება არ არის დამატებელი.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, რომანი „მეორე დღე“ ავტორის თვალსაჩინო შემოქმედებითი წარმატების მანიწენებელია.



დავით ფანჯულიძე. „წერილები ლიბერატურაზე“, საბჭოთა მწერალთა კავშირი. 1960 წ.

ამ კრებულში შესულია 6 წერილი, რომელთაგან ხუთი (ი. ბ. სტალინი ლიტერატურის შესახებ, მარქსი და ენგელსი ბალზაკის შესახებ, ელ. მიაიკოვსკი და საზღვარგარეთელი პროგრესული მწერლები, გრიგოლ აბაშიძის „სამკობის ველზე“ და პროსპერ მერიმე) სხვადასხვა დროს (1948 — 50 წ) — დაბეჭდილი იყო ქართულ ეტრნალ-გაზეთებში, ხოლო შეექმნა ავტორთა პიუგოს „აღმოსავლური ჰანგები“ პირველად გამომქვეყნდა.

დ. ფანჯულიძე ლიტერატურის ახალგაზრდა მკვლევარია. მას, გარდა საბჭოთა ლიტერატურისა, კვლევის საგნად გაუხდია დასავლეთ ევროპის, უმთავრესად, საფრანგეთის კლასიციზმის ლიტერატურული შემოქმედება.

კრებული იხსნება წერილით — „ი. ბ. სტალინი ლიტერატურის შესახებ“.

საყოველთაოდ ცნობილია, მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის დიდი ინტერესი მხატვრულ ლიტერატურისადმი. ისინი პირადად, მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ თავიანთი დროის მოწინავე და ნიჭიერ მწერლებთან, მხატვრული სიტყვის ოსტატებთან. ზელადები მშრომელთა სამსახურში აყენებდნენ მათ, ხელმძღვანელობდნენ, წარმართავდნენ მათ ნიჭს უკეთესი მომავლისათვის, მშრომელთა საქმისათვის ბრძოლისაკენ. ასე, მვალითად, ჰინე, ჰერვეერი, ევერტი და სხვები აბო თანამშრომლები იყვნენ მარქსისა და ენგელსის „რაინის ახალი გაზეთისა“, ისე როგორც უახლესი შეგობრობაში იყო ლენინთან და სტალინთან ჩვენი ეპოქის ისეთი დიდი სიტყვის ოსტატი და მოქალაქე, როგორც იყო მაქსიმ გორკი.

სწორად იქცევა ავტორი, როცა მცირე გესკურის მაინც აკეთებს კრებულის ამ პირველ სტატიას მარქსის, ენგელსის და ლენინის დამოკიდებულების შესახებ ლიტერატურისადმი, მათი შეხედულებებისა და გამოთქმების შესახებ, სადაც ისინი, სრულად სამართლიანად, დიდ მნიშვნელობას მიაწერდნენ პროგრესულ მხატვრულ ლიტერატურას საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისა და მისების აღზრდის საქმეში.

ამის შემდეგ, შედარებით ფართოდ, როგორც კი ეს შესაძლებელია მოკლე მიმოხილვაში, ავტორი ჩერდება ი. ბ. სტალინის, ლენინის ამ უბაძლო თანამებრძოლისა და მისი საქმის გენიალურ განმგრძობის, ბრძოლაზე, რომელიც მან, მაშინ ახალგაზრდად, ჩაატარა ლენინის

წინაშე — „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ — გამოთქმულ დებულებების დასაცავად ვაზეთ „კავკასიის მუშათა ფურცელში“, აგრეთვე მის აღრინდელ შრომებში („ნარჩენები თუ სოციალიზმი?“, „უპარტიო ახორებულნი“ და სხვ.).

კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზები: „ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლა“, „კავკასიის მუშათა ფურცელი“, „ელვა“, რომლებიც გამოდიოდნენ სტალინის უშუალო ზელმძღვანელობით, ისევე, როგორც სტალინური პროკლამაციები, ლენინ-სტალინის პარტიულობის პრინციპებს ახორციელებდნენ. ამავე დროს ამხანაგი სტალინი ზრდიდა, გაბედულად აწინაურებდა მუშათა კლასიდან გამომხლ მწერლებს, აქეზებდა მათ ლიტერატურული შრომისათვის, რადგან, „...ლიტერატურული მუშები მზამზარულად როდი ცვივიან ზეციდან, მათი გამოქმედა ზდება მხოლოდ თანდათანობით, ლიტერატურული მუშობის მსუელელობაში, იღონდ საჭიროა უფრო გაბედულად მოჰკიდო ხელი საქმეს: ორიოდეჯერ წაიბორჩიებ, და ამასობაში წერას ისწავლი“ (გვ. 15 — 16).

მწერალი, „აღმომის სულის ინეინერია“, ვაღებულაა ღრმად იცნობდეს ცხოვრებას, იგი „უნდა იღვეს რეალური ცხოვრების ნიადაგზე, ის საფუძელიანად უნდა ფლობდეს ლიტერატურული საქმის ტექნიკას, აქტიურად უნდა ბრძოდეს ენის კულტურისათვის, ნაწარმოების ხარისხისათვის“ (გვ. 19).

ავტორი სოციალისტური რეალიზმის, საბჭოთა მწერლობის ტენდენციურობის, სინამდვილის შემდენებისა და სხვა პრობლემების გაცნობის შემდეგ, გააღდის ნიმუშებზე ამხანაგ სტალინის მიერ ლიტერატურული ნაწარმოებების გამოყენების შესახებ თავის უკედეგ შრომებში.

წერილი „მარქსი და ენგელსი ბალზაკის შესახებ“ მიზნად ისახავს გააცნოს მკითხველს მარქსისა და ენგელსის შეხედულება სიტყვის ოსტატებზე საერთოდ და კერძოდ ბალზაკზე, რომლის „შემოქმედებაში დიდი რეალისტური ძალით არის წარმოსახული XIX საუკუნის ბიბელი ნახევრის საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრება“ (გვ. 46).

ბალზაკისადმი მარქსისა და ენგელსის ესოდენ ყურადღება იმითაც არის გამოყვეული, რომ ბალზაკმა მხატვრული სიმართლით წარმოსახა ბურჟუაზიული წყობილების მანკიერებანი,

ფულის მიენე ვაგლენა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში აღამიანთა ურთიერთობაზე, აღამიანის სულიერი და მორალური სიმბინჯე. ყველა ამის გამო მარქსი ბალზაკს „სოციალურ მეცნიერებათა დოქტორს“ უწოდებდა.

ავტორი ასახელებს ბალზაკის შთავაზნაწარმოებებს, რომელიც 1829 წლიდან ქვეყნდებოდა, მოკლედ არჩევს მათ და ამით შეიძლება უადვილებს რამდენადმე მაინც გაიცნოს ეს მითარგუნე. მისი შეხედულებები მწერლობაზე, ბელოვებზე, ლიტერატურაზე, საზოგადოების სემოქმადებულ ძალებზე.

„მთავრესი იყო და რჩება ზეწი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო უნივერსეს პოეტად“. დიდი სტალინის ამ შეფასებით იწყება კრებულის მომდევნო წერილი „ვლ. მაიაკოვსკი და საზღვარგარეთელი პროგრესული მწერლები“.

ვლ. მაიაკოვსკი დიდი ოქტომბრის უნივერსის მომდევნალი. მან შექმნა საკუთარი, მისთვის დამახასიათებელი სტალი წერისა, მის ჰქონდა საკუთარი ხმა, იგი უმღეროდა მუშათა კლასის მებრძოლ ბოლშევიკებს ბარტახს, მის საგმირო საქმეებს, საბჭოთა ქვეყანის, მის ხალხს, დიდ ლენინსა და სტალინს. მაიაკოვსკი, ოქტომბრის რევოლუციის პოეტა, შეიყვარა და შევიწრო ხალხზე. მისი ლექსები აღფრთოვანებდნენ ხალხს არა მარტო ოქტომბრის დღეებში, არამედ სამამულო ომის მძიმე წლებშიც, როცა ბოლკადაში მოქცეული ლენინგრაძელები გმირულად იცავდნენ ყოველ გოჯა მიწას, ყოველ სახლს, ყოველ ქუჩას.

მაიაკოვსკის ასეთი დიდი პოეტობა ვახცილდა საბჭოთა კავშირის საზღვრებს. მას ყაყვს მიმდევრები დედამიწის ყოველ კუთხეში.

ავტორი მაიაკოვსკის შემოქმედების მიმოხილვის იძლევა, განიხილავს მასალებს, რომლითაც აღიარებულია მაიაკოვსკის დამსახურება, ჩერდება მაიაკოვსკის მოგზაურობაზე საზღვარგარეთის ქვეყნებში, იმ პატრიოტიზმზე, რომელიც მაიაკოვსკიმ გამოხატა თუნდაც ორ სტროქონში:

„ჰა, წიყითხეთ, შერით აღივსეთ,
საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე!“.

ამის შემდეგ, მკითხველი იცნობა ამერიკელი მწერლის მაიკლ ვოლდის, ინგლისელი ჯიმ ლინდსეის, გერმანელი ანტიფაშისტო პოეტების ბეზერისა და ვინერტის, ჩინელი ემი სიასი, ზანგი ლენგსტონ პიუსის, ესპანელი სესარ არკონადის, პოლონელი ჰშიბისის, ბულგარელი ვეს მილვეის, ზრისტო ვასილევისა და ბევრ სხვათა დაშოილებულებს ვლ. მაიაკოვსკის

პოეზიისადმი. ისინი თავიანთ თავს თვლიან მაიაკოვსკის მოწაფედ და მიმდევრედ. მაიაკოვსკის — ბოლშევიკური რუსეთის „ტრუბადურის“ შემოქმედება თარგმანლია „სოციალისტთქმის ყველა ენაზე. მაიაკოვსკის ხმა გაისმა ჩინეთში, პოლონეთში, ესპანეთში, ბულგარეთში და სხვაგან და ეს ხმა მოწოდებისა, შრომლოურთა თითოეული პროგრესული აღამიანისათვის. მაიაკოვსკის მქუხარე ხმა აღფრთოვანებს მათ თავისუფლებისათვის, შემოქმედებითი შრომისათვის.

ავტორი ეტება ვლ. მაიაკოვსკის მზარდ შემოქმედებით ვაგლენას თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს პოეტ ლეი არავინზე.

როდესაც საქართველოს ბოლშევიკების ნაკადმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა კანდიდ ზარკიანიმა საქართველოს საბჭოთა მწერლებს წინაშე დააყენა საკითხი დიდ თემაზე ლექსების ციკლის შექმნის აუცილებლობის შესახებ, ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა — გიორგი ამაშიძემ შექმნა ციკლი ლექსებისა თანამედროვე ოგმაზე. კრებულის ავტორი განიხილავს გიორგი ამაშიძის ლექსების ციკლს „სამგორის ველზე“.

ავტ. ამაშიძის ლექსების... ციკლი „სამგორის ველზე“ პოეტის ახალ გამარჯვებას წარმოადგენს. იგი გვარწმუნებს, რომ პოეტმა სწორი გზა აირჩია, გაბედულად მიჰყვება ამ გზას და გამოხატავს ჩვენი ხალხის მისწრაფებასა და სულისკეთებას“ (გვ. 85). გვ. ამაშიძის პოეზიის ასეთი შეფასების შედეგად, ფანტოვად განიხილავს ამ ციკლის თითოეულ ლექსს, მოჰყავს ადგილები ლექსებიდან, რომლითაც მკითხველში იწყებს ინტერესს ახლოს გაიცნოს პოეტის შემოქმედება საერთოდ და კერძოდ „სამგორის ველზე“.

წერილში „პროსპერ მერიმე“, ზოგადად განხილულია გამოჩენილი ფრანგი მწერლის მერიმეს ცხოვრებისა და შემოქმედების უმთავრესი მომენტები.

ავტორი იძლევა მერიმეს ბიოგრაფიულ ცნობებს, შედეგ ვეცნობით ამ დიდი ნოველისტის უმთავრეს ნაწარმოებებს, რომელთაც სიუჟეტის მიხედვით ავტორი ჰყოფს სამ ჯგუფად: ეგზოტიკური ხასიათის, დანტასტიკურის და „მესამე კი ისეთი ნოველები, რომლებიც აგებულია იმ დროინდელი საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების აღწერაზე“ (გვ. 95). ავტორი სათანადოდ არჩევს თითოეულ ჯგუფს.

დიდი ადგილი აქვს დამოხილი პროსპერ მერიმესა და რუსი მწერლების, კერძოდ, პუშკინის ურთიერთობის საკითხს. მერიმე თავყანისმცემელი იყო პუშკინისა; იგი აღტაცებული

იყო მისი რეალიზმით, მისი პოეზიის ღრმა იდეურობით, მაღალმხატვრულობით. თავის მხრივ პუშკინი დიდად აფასებდა მერიმეს, მის ნიქსს, სიმახილეს, მოქალაქეობრიობას.

როგორც აღენიშნეთ, წერილი „ვიქტორ პოეზის“ აღმოსავლური პანგები“ პირველად იბეჭდება.

„პოეტი რომ არ ვყოფილიყავი, ჯარისკაცი ვუნებოდიო“ იტყობდა ხოლმე პოეტო...“ (გვ. 104). პოეტო იმედობული შეიქნა სამშობლოდან გაქცეულიყო როგორც ღლი ბონაპარტეს დაუძინებელი მტერი. 18 წლის ვადასახლვაში ყოფნის შემდეგ იგი უბრუნდება სამშობლოს დედაქალაქს — პარიზს, ხოლო მისი ჩამოსვლა გადაუქცა ზალხის ზეიმიად.

ავტორი საქმით ადგილს უთმობს მარქსისა და ენგელსის შეხედულებებს მწერალზე. აღნიშნავს, რომელიც აკრიტიკებდა რეაქციულ რომანტიკოსებს, მაღალ შეფასებას აძლევდა მებრძოლ, პროგრესულ რომანტიკოს მწერლებს, პირველ რიგში პოეტოს. ხოლო ამხანაგ სტალინისათვის სემინარიაში ყოფნის წლებში „აღმოუჩენიათ“ პოეტოს ნაწარმოები. სემინარიის ინსპექტორის თანამშრომელი ასმენდა რა სტალინს, წერდა: „გამოირჩევა, რომ იტყობდა რა აქვს სააბრეშენო ფურცელი „აფფასიანი ზღაპროთეისა“, საიდანაც ის სარგებლობს წიგნებით. დღეს მე მას ჩამოვართვი ვიქტორ პოეტოს თხზულება“ (გვ. 112).

ავტორს განხილული აქვს პოეტოს ადრინდელი ნაწარმოებიდან მოყოლებული შემდგომი წლების მთავარი თხზულებები ქრონოლოგიის დაკვირვებით. ბოლოს, ჩერდება თემაზე — „აღმოსავლური პანგები“, რომელიც იყო „ახალი,

მაღალი საფეხური ვიქტორ პოეტოს შემოქმედებაში“ (გვ. 120).

ლექსების ამ ციკლით პოეტმა მსოფლიო დიდება მოახდინა მის აურაცხელ მკითხველზე. გადაუშალა მათ ახალი, პოეტური ქვეყანა. „აღმოსავლურმა პანგებმა“ ახალი პოეტის წარმოშობა გვაჩვენო, ახალი თემატიკით, ახალი ფორმით, მხატვრული თქმის ახალი ნაირობით. ეს ლექსები ნათელი მანვენებელია პოეტის მობრუნებისა კონსტრუქტორულ-რეაქციული რომანტიზმიდან პროგრესული რომანტიზმისა და რეალიზმისაკენ“ (გვ. 120).

პოეტის ამ ნაწარმოების განხილვას თან ერთვის პოეტოს მებრძოლ განწყობილებას, კერძოდ საბერძნეთის დასაჯავად პოეტის მხედრობისათვის ამსახველი დეტალები. პოეტო, მსგავსად ბაირონისა და სხვათა, თავის თავს თვლიდა მებრძოლად ლაშქარში ჯარისკაცად თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ.

„აღმოსავლური პანგების“ თითოეული ლექსი თანამედროვეობით არის განიხილული, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ამ ლექსებში მოცემული იდეების შეგრძობას, აცხოველებს მკითხველის ინტერესს პოეტოსადმი.

ვინაიდან წიგნში მოცემულია ბევრი ცნობა ლიტერატურულ მოღვაწეებზე, სასურველი იყო დართოდა მას მოხსენებულ პირთა საძიებელი.

კრებული ვერაწმუნებს, რომ დავით ფანულაძე ნიჭიერი მკვლევარია, ის კლასიკოსების შემეყიდრეობას განიხილავს თანამედროვეობასთან დაკავშირებით.

3. გოგოლაძე

დვიბირი ალექსიძე — „სახიროვის ალზადის საქითხისათვის“.

გამომცემლობა „ხელოვნება“, 1950 წ.



ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ წიგნი წარმოადგენს „სტალინისა და სკოლის პედაგოგებთან სწავლით მოსკოვში შეძენილ და სასცენო ხელოვნებაში პირადი, პრაქტიკული გამოცდილების შედეგს“.

წიგნის დასაწყისში ავტორს მოჰყავს მარტინოვის კლასიკოსების შეხედულებანი ხელოვნებაზე და ვ. აბაშიძის, ი. ჭავჭავაძის, ივ. მაჩაბელის, მ. შნებელიის, ლ. მესხიშვილის აზრები თეატრალური ხელოვნების შესახებ.

შეხვედრაში ავტორი ფართოდ აშუქებს ხელოვნების მიზანდასახულობას საბჭოთა ქვეყანაში,

მაში, მოჰყავს ციტატები პარტიისა და მოთხოვნის დადგენილებებიდან ხელოვნების საკითხებზე და იხილავს ხელოვნების, კერძოდ თეატრალური ხელოვნების, როლს მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ამასთანავე ავტორი არ ივიწყებს ადრეულ პერიოდში ქართული თეატრის მოღვაწეთა ბრძოლას ხელოვნების ხალხურობისათვის. ამ მხრივ სათანადო დეაქტივიზაციით ვასო აბაშიძეს, სერგეი მესხს, ვანო მაჩაბელს, ლადო მესხიშვილს, ვალერიან გუნიას, კოტე მარჯანიშვილს და სხვ. ავტორი ზუსტად უსვამს მსახიო-

ბის შემოქმედების რეალისტურ მეთოდს და აღნიშნავს მისი განვითარების მთლიან საფეხურს საბჭოთა კვყანაში. მაშინ, როდესაც ხალხისაგან ხელოვნების ჩამოშორებამ, ლოზუნგმა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ იმპერიალისტური სახელმწიფოების თეატრი ჩიხში მოაქცია.

თეატრალურ ხელოვნებაში ძირითად ძალს წარმოადგენს მსახიობი. ავტორი წიგნის პირველსავე წერილში არყვეს მსახიობის ამოყენას. მსახიობი სცენის მეუღეა, ამიტომ სცენაზე ყველაფერი უნდა იყოს მსახიობისათვის. ავტორი არყვეს საბჭოთა თეატრის მიზანდასახულობას, აღნიშნავს მის მკიდრო კავშირს მასებთან და მოჰყავს ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებანი, რომელიც საწინდარია საბჭოთა რეალისტური თეატრალური ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორი ზახს უსყავს იმ დიდი ენერჯისა და შრომისმოყვარეობის აუცილებლობას, რომელიც მსახიობს სჭირდება თავის შემოქმედებაში. ამავდროულად წვეთაფში დამაჯერებლად არის გარკვეული მსახიობთა კოლექტივის ამოცანები.

შემოქმედების პროცესში „მსახიობი ერთ და იმავე დროს არის მასალა და შემოქმედი“. (გვ. 23). თავისი დებულების დასაბუთებლად ავტორს მოჰყავს ცნობილი ფრანგი მსახიობის კოლეწის (უფროსი) აზრი მსახიობის გარდასახვის შესახებ. მსახიობის შემოქმედების სპეციფიკობად ავტორი სთვლის გარდასახვას, ე. ი. მსახიობმა უნდა გააცოცხლოს, ააშტყველოს დრამატურგის მიერ მოცემული ტიპი და მოგვესს ამ ტიპის მხატვრულ-სცენიური სახე.

შემდეგ ავტორი იხილავს მსახიობის შემოქმედების ბუნებას და მოჰყავს სამსახიობო ხელოვნების თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელთა (დ. დიდრო, დ. გარიკო, კოკლუნი, თომასო სალენი, ტალმა, ჰენრი ირვინგი, შტეპკონი, ლენკა და სხვ.) შეხედულებანი მსახიობის მიერ მხატვრული სახის შექმნაზე. ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარდასახვას. მსახიობმა გარდასახვის საშუალებით უნდა ჩააყენოს თავისი თავი დრამატურგის მიერ მოცემული გმირის მდგომარეობაში. ეერ დავეთანხმებით ავტორს, რომ თითქმის ყოველი თანაგრძნობა გემოდინარეობს უქვეყნად წინათ ვანცილი გრძნობის აღდგენით“ (გვ. 43).

რა თქმა უნდა, მსახიობი მესხიერების საშუალებით აღადგენს ოდესღაც ვანცილს, მაგრამ, ვანცილის აღდგენა მხოლოდ დამხმარე ელემენტია. ასევე ვერ დავეთანხმებით ავტორს იმის შესახებ, რომ ყოველი თანაგრძნობა გემოდინარეობდეს ვითომ წინათ ვანცილი გრძნობების აღდგენით ემოციური მესხი-

ერების საფუძველზე. მსახიობის შემოქმედებაშიათვის ემოციური მესხიერება, სპეციალურად, რომ იგი მინც გადაწყვეტილი არასაშეგანდისათვის ავიღოთ თვით ავტორის მიერ დადგენილი სპექტაკლი „პირველი ნაბიჯი“. ზემოხსენებული დებულების თანახმად ბახვა ფულავას როლის შემსრულებელ მსახიობს ცხოვრებაში ან უნდა ჩაედინა მკვლელობა ან უნდა ენახა იგი, რომ ემოციური მესხიერების აღდგენის საფუძველზე განებორციელებინა სცენაზე ერებია წარბას მკვლელობა. მსახიობს ცხოვრებაში ასეთი რამ არ ზაუდენია, და შესაძლებელია ასეთი შემთხვევა არც კი უნახავს, მაგრამ იგი ამ როლს მინც დამაჯერებლად ასრულებს.

მსახიობი მაშინ დამაჯერებს მყურებელს თუ თვითონ სჯერა იმისი, რასაც აკეთებს სცენაზე და რაც გამართლებულია შექმნილი სატრუციით. ამ შეხმხვევაში საქმე გვაქვს სცენიურ სიმართლესთან. მსახიობს განსაზღვრულ დროს მანძილზე სჯერა იმისა, რასაც ის სცენაზე ანხორციელებს. მსახიობი უკერ თავის თავს აჯერებს რომ სცენაზე შექმნილი პირობითობა სინამდვილეა, ხოლო შემდეგ მის მიერ სინამდვილედ შეცნობილი პირობითობა დაჰყავს მყურებელს.

ავტორი ამუქებს მსახიობის შემოქმედებისათვის დამახასიათებელ თვისებებს, ანხევაებს ცხოვრების სინამდვილეს სცენიურ სინამდვილისაგან, აღნიშნავს ემოციურობისა და ფანტაზიის მნიშვნელობას ხელოვნებაში. საბჭოთა ხელოვნება, რომელიც ხელმძღვანელობს სოციალისტურ რეალიზმის მეთოდით, შემოქმედებითი ფანტაზიის აუცილებლობას მოითხოვს. შემოქმედი ვალდებულია დღევანდელ რეალიზმზე დაყრდნობით განწყობილს ზეალინდელი დღე, მომავალი, სწორედ ამის გამოსავლენად ზეალთან სჭირდება ფანტაზია მხატვრული სახის შესაქმნელად. მსახიობმა თავის შემოქმედებაში მიზნად უნდა დაისახოს არა მარტო იმ ტიპის ზუსტი ასახვა, რომელსაც იგი ანახაიერებს, არამედ მან უნდა წარმოიღვინოს დრამატურგის მიერ მოცემული ტიპი განვითარებაში. ამისათვის კი საჭიროა ფანტაზია. „უნდა ემოციონებოთ, — წერდა ლენინი თავის წიგნში — „რა ვაკეთოთ“ და იხსენიებდა სპირიტუის სიტყვებს: „ჩემს ოცნებას შეუძლია წინ გაუსწროს მოკლენათა ბუნებრივ მკვლელობას... მას შეუძლია გამაზაროს და გააძლიეროს კიდევ მშრომელი ადამიანის ენერჯია. ამგვარ ოცნებაში არავფროსა ისეთი, რასაც შევლილ შერყენას ან მოადუნოს სამუშაო ძალა, სრულიად პირიქით. ადამიანი რომ სავსებით მოკლებული იყოს ამგვარად ოცნებობის უნარს, მას რომ არ შეეძლოს ხანდახან წინ გაუსწროს და ვანცილი

წარმოიღვინოს მთლიან და დასრულებულ სურათში, სწორედ ის ქმნილება, რომელიც ეს-კნა ისახება მის ხელში — მაშინ მე სრულე-ბით არ ძალმიძს წარმოვიღვინო რა აღმქერე-ლი მიზეზი აიძულება აღამიანს დაეწყო და დაესრულებინა უდიდესი და დაშანცეული სა-მუშაოები ხელოვნების, მეცნიერებისა და პრაქ-ტიკული ცხოვრების სფეროში... უთანხმოებას, ოცნებასა და სინამდვილეს შორის არავითარი ზიანი არ მოაქვს, თუ კი მეოცნებე პიროვნებას სერიოზულად სწამს თავისი ოცნება, თუ ის ყურადღებით უყვირდება ცხოვრებას, თავის დაკვირებას აღარებს თავის საოცნებო კოშკებს და საზოგადო კეთილსინდისიერად მუშაობს თავისი ფანტაზიის განსაზღვრავი ძეგლებად". (ე. ი. ლენინი, „რა ვაკეთოთ“, გვ. 211).

ემოციური მეზობელების საფუძველზე მსახიო-ბი თავის ცნობიერებაში აღადგენს ცხოვრება-ში ნახულ ან განცდილ მოვლენებს და ვადა-მუშაობს მის. ფანტაზიისა და ემოციური მეზ-ობელების სინთეზი საშუალებად მისცემს ჩამო-ავალიანობს მხატვრულად სრულყოფილი სახე-ავტორი სათანადო მსჯელობითა და მავალიან-ობით ნათელყოფს მკითხველისათვის ემოციური მეზობელებისა და ფანტაზიის როლს შემოქმე-ლებში.

სცენარე მსახიობი უნდა მოქმედებდეს ისე, როგორც ცხოვრებაში მოქმედებდა მის მიერ განსასახიერებლად აღებულ ესა თუ ის ტიპი. მსახიობი უნდა გარდაისახოს, შეიჭრას სხვის არსებაში, უნდა შევისისლხორცოს იმ პირო-ვნების თვისება და საქმიანობა, რომელსაც ის ანსახიერებს სცენაზე. დროის გარკვეულ ნა-ეფთში პირადი „მე“ უნდა შეადგლოს სხვის „მე“-ობასთან. ამავე დროს მსახიობისათვის სა-ჭიროა თვითონეტროლი. ყველაზე კულმინაციურ წერტილში მსახიობს არ აფიქვდება, რომ მას პირადი „მე“ გააჩნია.

სცენარე მოქმედების დროს საჭიროა მსა-ხიობმა აგრეთვე პარტნიორთან, რეალურ ან-მიანთან დამყაროს ურთიერთობა. ეს ურთი-ერთობა ძალიან განსხვავდება საყოფაცხოვრებო ურთიერთობისაგან. საკმარისი არ არის როლის დაზეპირება და მისი გადაცემა პარტნიორისა-თვის, არამედ საჭიროა სულიერად მსათან და-კავშირება.

ავტორი აშუქებს მსახიობის როლზე მუშაო-ბის ბირითად ამოცანებს და იძლევა იმის ანა-ლიზს, თუ რა არის საჭირო, რომ სპექტაკლი აყოს ანსამბლური და სრულყოფილი. მსახიობს თავისი შემოქმედების გამოსავლენად გააჩნია როლი — დრამატული ნაწარმოების ტექსტი.

დრამატურგის მიერ მოცემულ პარტნიორულ უნდა ჩაუდგას, ამბუყველოს და ჩამოყველოს, დრამატურგი ცხოვრებიდან იღებს მსახი-ობის თვისების ნაწარმოებისათვის, ასევე იქცევა მსა-ხიობიც. ეს ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად ქმნის მხატვრულ სახეს. მსახიობმა უნდა იყო-დეს ამათიმი როლით, რისი თქმა სურს დრამატურგს. „როლზე მუშაობა პიესის პირველი კითხვადანვე იწყება“, — წერს ავტორი, „მსახი-ობმა უნდა გააზაროს, თუ რა მიზნითა და ხერ-ბით უნდა ამაღლოს სახის უნაკლოდ შექმნას“.

საჭიროა წყაიბების დროს განჭვრეტელი იქნას პიესის სცენიურობა და პიესაში მოცემული ყო-ველი მეორე დეტალიც კი უნდა გავაზროთ სცენიურად. თავისი დებულების დასამტკიცებ-ლად ავტორს მოჰყავს პირადი პრაქტიკული გა-მოცდილებიდან მავალით: კარლო გოდონის პიესის „სამატარძლო აფიშით“ დადგმა. ავტო-რი ეხება ახალი პიესების წყაიბების მნიშვნე-ლობას თეატრალურ კოლექტივში.

როგორც ზემოთაღ აღენიშნეთ, ცხოვრება არის ის მსახიობი, რომლიდანაც მსახიობი ავა-ლიბებს თავის შემოქმედების ნაყოფს — მხატვ-რულ სახეს. დრამატურგი თუ ცხოვრების სა-ნამდვილადან ქმნის ტიპებს, მსახიობიც ვალ-დებულია ცხოვრებას იცნობდეს, რათა უფრო გაამდიდროს ის ტიპი, რომელსაც დრამატურგი იძლევა. მსახიობი საერთოს ეძებს ავტორის მიერ მოცემულ ტიპსა და მის მიერ ნახულ ტიპს შორის, ავლებს პარალელს და მათი შე-ჯამების შედეგად გამოიყვანს ახალი, მხატვრუ-ლი სახე. სპექტაკლის სრულყოფისათვის დი-და მნიშვნელობა ენიჭება პიესის იდეური მხატვრული ანალიზს. რეჟისორის მიზანია ნაწარმოების თემა და იდეა მკაფიოდ გამო-აელინოს, ხოლო მსახიობმა კი მავურებ-ლამდე დაიყვანოს. როცა დრამატურგი რამდენ-იმე თემას ეხება, მაშინ რეჟისორისა და მსა-ხიობის მიზანია მოძებნოს მთავარი თემა მხა-ტვრული ანალიზის საშუალებით. მსახიობმა უნდა იციოდეს პიესის მიზანდასახულება, თან-რი, მოქმედების განვითარება, საჭიროა აგრეთ-ვე ისტორიული ეპოქის გააზრებაც. ავტორს მოჰყავს გეშს გოფსა და ა. დიუსოს „ღრმა ფესვების“ და მ. მრველიშვილის პიესა „ნ. ზა-რათაშვილი“-ს თემისა და იდეის განსაზღვრის მავალითება.

სასცენო ხელოვნებაში პირობიტეტი ენიჭება გარდასახვის მომენტს, ამიტომ ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს და ვრცლად აშუქებს სცენიური გარდასახვის საყიბებს. მოყავს ბ. ზე-ლინსკის და ი. კევეკავაძის შეხედულებანი მსა-

ზიობის, როგორც შემოქმედის შესახებ. ნემი-
როვიზ-დანიენკოს აზრით, არიან მსახიობები-
შემოქმედნი და მსახიობები-მოთამაშენი. მსა-
ხიობი-შემოქმედი ქმნის სხვადასხვა სახეს, „მო-
თამაშენი“ კი არიან მიმბაძველები — შტამპის
მსახიობები, რომლების თამაშში, დ. დიდროს
სიტყვით რომ ვთქვათ, „ვერც რამესა საქმესა
ნახავთ, ვერც რასზე დასაწუნს“.

მატერული სახის შესაქმნელად მსახიობისა-
თვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს
ტიქსტზე მუშაობის მეთოდის ჩამოვლიძება.
ტიქსტზე მუშაობა ყველაზე რთული მოვლე-
ნაა. პიესა ნაკვეთება ნაწილებად, ეს ნაკვე-
თები კი უნდა ღვოს არა იზოლირებულ, არა-
მედ შეფარდებული თვით პიესის დედაზრთან,
ძირითად იდეასთან. პიესას კითხულობს ჯერ
რეჟისორი, მერე მსახიობებთან ხდება წყაითება.

როლზე მუშაობის ნათელსაყოფად ავტორი იძ-
ლევს როლის პარტიტურას (ცნობა [ტექსტი] და
ა. დიუსოს პიესა „ღრმა ღმრთებრივი“ ქადაც
გასაგებად და ნათლად აყალიბებს თვითთული
მოქმედი გმირის მიზანდასახულებას.

ავტორი აღნიშნავს სცენიური მოქმედებისა
და მსუქრების ურთიერთ დამოკიდებულებას.
თუ მსახიობმა ვერ დაამყარა კავშირი მსუქ-
რებელთან, მაშინ მსუქრებელი ეთიშება სპე-
ტაკლს.

წიგნი დაწერილია გასაგები, მკაფიო ენით,
მასში გარკვეულია მსახიობის აღზრდისათვის
საჭირო საკითხები. წიგნი დიდ ღახმარებას გა-
უწევს საბჭოთა ქართულ თეატრს, პროფესიუ-
ლი კადრების მომზადებისა და აღზრდის
საქმეს.

ი. რ. შაჩუღია.

**შ. კეკელია. „ქართული ენის სახელმძღვანელო უმაღლესი
სკოლების რუსული განყოფილებისათვის“. 1950.**



საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების
რუსულ განყოფილებათა სტუდენტებისათვის
ქართული ენის შესასწავლი სახელმძღვანელო
დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა. სა-
ქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სა-
მეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა 1949 წელს
გამოსცა შალვა კეკელიას „ქართული ენის სა-
ხელმძღვანელო უმაღლესი სკოლების რუსული
განყოფილებისათვის“. ვახულ წელს ეს წიგნი
შეესებული სახით ხელახლა გამოქვეყნდა. აღ-
ნიშნული სახელმძღვანელოს გამოცემა მისასალ-
მებელი იქნებოდა, რომ მის მნიშვნელობას არ
ამცირებდეს მრავალი სერიოზული ნაელი, ამ
ნაკლფანებათა აღნიშვნა, შედგომში მათი გა-
მოსწორების მიზნით, აუცილებლად საჭიროა.

დოც. შ. კეკელიას „ქართული ენის სახელ-
მძღვანელო“ რთი ძირითადი ნაწილისაგან შედ-
გება: პირველ ნაწილს შეადგენს ქართული ენის
გრამატიკული მიმოხილვა, დაწერილი რუსულ
ენაზე, ხოლო მეორე ნაწილს — საკითხავი მასა-
ლა ლექსიკონითურთ. უმჯობესი იქნებოდა,
ჯერ საკითხავი მასალა ყოფილიყო მოთავსე-
ბული, რადგან სახელმძღვანელოს ძირითად ნა-
წილს სწორედ იგი წარმოადგენს, ხოლო გრა-
მატიკული მიმოხილვა შემდეგ დარჩებოდა.

გრამატიკული მიმოხილვისას სახელმძღვანე-
ლოში ძლიერ მკრთალადაა გაშუქებული ქარ-
თული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის ზო-
ვიერითი არსებითი საკითხი. ასე, მაგალითად,

რთულ ქვეყნობილ წინადადებას სახელმძღვანე-
ლოში სულ რაიოდე გვერდი აქვს დამოზიბილი,
ასევე არასრულადაა განიხილული ქართული
ზმნის კატეგორიები, უღვლილების ტიპები და
სხვ. ამას თვითონ ავტორი თემის სირთულით
ხსნის. კერძოდ, წიგნის წინასიტყვაობაში ნათქ-
ვამია, რომ ავტორმა „გაითვლისწინა ის თავე-
სებურებანი, რომელიც დააკვირებულაა ქარ-
თული ენის სწავლების პროცესთან, ამიტომაც
სახელმძღვანელოს შედგენისას, საესებით შეგ-
ნებულად, გვერდი აუარა ქართული ენის გრა-
მატიკის ზოვიერითი საკითხის ვერც დაწმოდ-
ვევას. მაგალითად, მორფოლოგიიდან ზმნა, ხო-
ლო სინტაქსიდან რთული ქვეყნობილი წინადა-
დებები შეეყმშულადაა წარმოდგენილი“. ხო-
ლო ზმნათა უღვლილებას ასეთი შენიშვნა ახ-
ლავს: „თემის სირთულის გამო არ არის წარ-
მოდგენილი ზმნათა უღვლიების ნიმუშები ყვე-
ლა სერიის, მწკრივისა და დროთა მიხედული;
ნაწვენებია მხოლოდ ძირითადი სახეები“ (ვ. გ.
82).

ეს საკითხები, რომლებიც ავტორს მეტისმე-
ტად ზერულად განუზილავს, გრამატიკის ყვე-
ლაზე რთული და ამასთანავე ყველაზე მნიშ-
ვლოვანი საკითხებია. ავტორს ყურადღება
განსაკუთრებით სწორედ მათზე უნდა გაემახ-
ვილებოდა.

თბილისის მე-20 პარტიულ კონფერენციასზე
გაკეთებულ მოხსენებაში მიმდინარე წლის 10

ინვარს ამხ. კ. ზარკეიანი აღნიშნავდა, რომ „ჩვენ ერთ-ერთი უმდიდრესი და კულტურული ენის პატრონი ვართ“. ქართული ენის სიმდიდრე და „გრამატიკული წყობის მოქნილი ფორმები“ უნდა გამოიწიდას გრამატიკული მიმოხილვის დროს. ამ სახელმძღვანელოს მიხედვით კი სწორედ არსებითი რაც არის, ის რჩება შეუსწავლელი. მაგალითად, სტუდენტური გათვებს რა ფორმებია; „ეხატავდე“, „დაეხატო“, „დაამხატავს“, „დაამხატოს“, „დაეუხატე“ და ა. შ. ან კიდევ — რა განსხვავებაა „ეხატე“ და „ეხატინებ“ ფორმებს შორის და სხვ. ზნის ამ მწკრივითა შესაბამე გრამატიკულ მიმოხილვაში არაფერია ნათქვამი, ხოლო საეარჯიშოებსა და საკითხავ მასალაში კი ამგვარი ფორმები უხვად გვხვდება.

საჭირო იყო სახელთა ბრუნებაში ცალკე ყოფილყო გამოყოფილი ამჟამობებიანი სახელები, მაგ.: დედოფალა, მეტეცა, მტარალა, ბელურა, თეორგულა, და სხვ. ამგვარი სახელები, ა-ზე დამოლოებული სხვა სახელებისაგან განსხვავებით, ბრუნების დროს ფუძეს არ იკვეცენ (მაგ.: მამა-მისი, მავრამი დედოფალა — დედოფალასა...). ამის აღნიშვნა სახელმძღვანელოში მით უფრო საჭირო იყო, რომ ერთერთ საეარჯიშოში (საეარჯიშო მე-4) ბევრი ამგვარი სახელია.

ზოგიერთი გრამატიკული კატეგორია სწორად არაა გაშუქებული. ეს ითქმის, პირველ რიგში, ქვეყნის შესახებ: ავტორს ჰგონია, რომ უ სასხვისო ქვეყნის ნიშნად იხმარება სამივე პირთან (ცვ. 80), რაც არაა სწორი. — უ სასხვისო ქვეყნის ნიშანი მხოლოდ III პირთან და ეს დიდი ხანია, რაც ცნობილია (საუბარი იხუბა ობიექტურ პირს და არა — სუბიექტურს).

ასევე, შეცდომა გვხვდება ზნის გვართა დახასიათებაშიაც (ცვ. 78), სადაც ენებით გვარის ზნათა მთელი ჯგუფი, ე. წ. უნიშნო ენებითი“ (ცვდება, ქრება, დნება, შრება და სხვ.) საშუალო გვარის ზნათა ჯგუფშია მოქცეული.

სახელმძღვანელოში ხშირად გვხვდება არა-სწორი და არაზუსტი დებულებანი, რასაც შეუძლია დააბნოს და შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი. მაგალითად, 39-ე გვერდზე ნათქვამია: „და — კავშირიან რიცხვით სახელებს რიცხით რიცხვითი სახელის ფორმა აქვთ მხოლოდ მეორე ნაწილი: 1-დან 20-მდე ამბობენ — მეორე, მეხუთე, მეათე, მეთექვსმეტი, მეცხრამეტე, მეოცე; ხოლო 20-ის შემდეგ — ოცდამეშვიდე, ოცდამერვა, ორმოცდა მეთორმეტე და ა. შ.“ სინამდვილეში კი ამ წესს არამართო და — კავშირიანი, არამედ ზოგი უკავშირო რთული რიცხვითი სახელიც ემორჩილება (მაგალითად: ას-მეოცე, ასშეოხმეოცე, ათასმეშვიდე, ორათას-მეათე და ა. შ.). ასევე დაუზუსტებელია შერ-

წყმული წინადადების ერთგვარ წევრებით ერთნაირი თანდებულების ხმარებზე (წყნო ცდვი 138), მრავალპირიანობის განსუფუთვა (ცვ. 139) და სხვ.

49-ე გვერდზე ავტორი წერს: ვინ და რა ნაევალსახელთა ფუნქცია და გამოყენება რუსული КТО და ЧТО-ს ანალოგურიანა, ხოლო უფრო ადრე კი თვითონვე შენიშნავდა: „რუსული ენისაგან განსხვავებით ქართულ ენაში ყველა არსებითი სახელი, რომელიც ცოცხალ სავანის აღნიშნავს, არ უხასულებს კითხვაზე — ვინ? (КТО?)“ (ცვ. 11).

ამგვარი შეუსაბამობა სხვა ადგილსაც გვხვდება. სახელდობრ, 71-ე გვერდზე ნათქვამია „ქართულ ენაში... I და II პირის ნიშნები ყოველთვის პრეფიქსებია, III პირისა კი სუფიქსები“. გამოდის, რომ III პირის ნიშნად ქართულში პრეფიქსები არ გვხვდება. ორიოდ გვერდის შემდეგ კი კეთილყოფილთ: „ობიექტური წყობის ზნათა პირის ნიშნებად ყოველთვის პრეფიქსებია“ (თუნდა ეს დებულებაა არააზრობრივად გამართული. — უნდა იქმულიყო: ზნათა ობიექტური პირის ნიშნებად).

ქართულ დამწერლობაში პატარა და დიდი ასოები განირჩევიან ერთიმეორისაგან მხოლოდ ზომით“, — წერს ავტორი მე-4 გვერდზე. ამ ფრასის მიხედვით, რეალური ვითარების არმცოდნე მკითხველს შეიძლება შეეშინება მდებრი შეხედულება, თითქოს ერთნაირი მოსაზრლობის მიუხედავად, ქართულში მაინც არსებობდეს დიდი და პატარა ასოები (ე. ი. ასომთავრული და ჩვეულებრივი). სინამდვილეში კი, როგორც ცნობილია, ქართულში ყოველი ასო, სიტყვისა თუ წინადადების თანხი იქნება, შუაში თუ ბოლოში, იწერება ერთნაირად, თანაბარი ზომით.

ასეთივე ხასიათის შეცდომა დაშვებულია გრამატიკული მიმოხილვის პირველსავე სტრიქონში, სადაც ვკითხულობთ: „ქართული თანამედროვე ენის ბგერები გამოიხატება ასოებით“. ასო საზოგადოდ ბგერის წერილობითი ნიშანი და რა საჭირო იყო აქ ამის აღნიშვნა.

ტაბელოლოგიას წარმოადგენს ამგვარი „განმარტება“: „თუ კუმშვადდუქიანი სიტყვები ბოლოდებნიან ა-ზე, ამგვარი სახელები ფუძე ბრუნების დროს კიდევ იკუმშება და კიდევ იყვავება“ (ცვ. 23).

ავტორის სტილის დასაბასათებლად კიდევ ერთ მაგალითს რუსულადვე მოვიყვანა: „В грузинском так-же, как и в русском, в некоторых предложениях, кроме главных и второстепенных члена(?), могут быть такие слова, которые вообще могут быть(?) членами предложения, но грамматически не связаны с его членами.

а потому они членами предложения не являются" (გვ. 143)

ცხადია, სახელმძღვანელო ასეთი ერთი არ უნდა იყურებოდეს.

გრამატიკულ მიმოხილვას სახელმძღვანელოში თან ახლავს საილუსტრაციო მაგალითები. ეს მაგალითები არაა ყოველთვის სათანადოდ შერჩეული. კავშირიან რთულ ქვეყნობილ წინადადებებში გამოტოვებული კავშირის ნაცუ-ლად ტირებს ხმარების საილუსტრაციოდ მოყვანილია შემდეგი წინადადება ა. ყაზბეგის „ელი-სოდან“: „მე ელსო ისე მიყვარს, როგორც თევზს — წყალი, როგორც ფრინველს — ჰაერი“. ამ წინადადებაში კავშირი სრულიადაც არაა გამოტოვებული, ხოლო ტირებ ნახშირია გამოტოვებული შემასმენლის მაგივრად. აქვე აღსანიშნავია, რომ საილუსტრაციოდ მოყვანილ მასალას მხოლოდ ავტორის ინიციალები უზის, რომლებიც არაად არაა ვახსნილი. ზოგჯერ ერთნაირი ინიციალებითაა მოხსენებული სულ სხვადასხვა ავტორი. ასე, მაგალითად, ი. გ. ნიშ-

ნავს როგორც იაკობ გოგებაშვილს, ისე იოსებ გრიშაშვილსაც.

ნაკლოვანებებისაგან დაზღვეული არაა ქართული მძღვანელოს მეორე ნაწილიც: საკითხავი მასა-ლა სირთულე-სიადვილისა და მოცულობის მიხედვით არაა სავსებით სწორად განლაგებუ-ლი. სახელმძღვანელოში ადგილი ვერ უპოვია ბევრ ქართულ კლასიკოსსა და თანამედროვე შერჩაულს. საქმარისია ითქვას, რომ ქართული საბჭოთა პროზაიკოსებიდან სახელმძღვანელოში შეტანილია მხოლოდ ა. ბელიაშვილისა და მ. გარიყელის მოთხრობები.

ყველა ეს ნაკლოვანება იმას მერყველებს, რომ შ. კეკელიას მიერ უმადლესი სკოლების რუსული განყოფილებისათვის შედგენილი „ქართული ენის სახელმძღვანელო“ ვერ დგას მის წინაშე დასმული ამოცანებისა და თანა-მედროვე ქართული ენათმეცნიერების სიმად-ლეზე. სახელმძღვანელოს საფუძვლიანი გადა-მუშავება ესაბიძგება.

ზურაბ ზუმბარაძე.

აკოლონ ნუსხები. „ფინანსური კაპიტალი სოფლის მეურნეობაში“. 1950 წ. სახელმძღვანელო.



ნაშრომი შეეხება მეტად აქტუალურ საკითხს, ფინანსური კაპიტალისა და მონოპოლიების გა-ბატონების კაპიტალისტური ქვეყნების სოფლის მეურნეობაში; საერთოდ, ყველა კაპიტალის-ტური ქვეყანაში და ერთად ამერიკის შერ-თებულ შტატებში მშრომელ ფერმერთა უკა-დერვის გალატაკებას და სოფლის მეურნეობის დეგრადაციას.

ავტორი წინასიტყვაობაში წერს: „ამერიკის შერთებულ შტატებში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ერთი მეტეა მილიარ-დების, მსხვილი ბანკირების ბატონობამ ყველაზე უხეში, ამჟამა ძალადობისა და ბანდი-ტისის ხასიათი მიიღო“. ვასავებია, რომ ეს გარემოება დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობაზე, სადაც არ არსებობს სოფლის წერილ მშარმოებელთა და-მონების არავითარი ისეთი საზოგადოარი საშე-ალება, რომლის გამოყენებაზეც ფინანსურმა კა-პიტალმა უარი თქვა“.

1914 — 1915 წლებში ამერიკის შერთებულ შტატების სოფლის მეურნეობის მაგალითზე, სტატიაში „ახალი ცნობები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესა- 9. „მთაბო“ № 4.

ზე“ ლენინი წერდა: „ფერმერების დამოკიდე-ბულებას ფინანსური კაპიტალისაგან შექცეო და უნდა მიეპყრო მეკლევარების შეუღარებლად უფრო მეტი უკრადლება. მაგრამ საკითხის ეს მხარე, მიუხედავად მისი უდიდესი მნიშვნელო-ბისა, ჩრდილში დარჩა“ (წ. ი. ლენინი. რჩეულ-ნაწერები ტ. 6. გვ. 251). ლენინს შემდეგშიაც არაერთხელ აღვნიშნავს ფინანსური კაპიტა-ლის დამომონებელი გავლენა კაპიტალისტური სოფლის წერილ და საშუალო მშარმოებლებზე. თავის შესანიშნავ სტატიაში — „პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის“ ლენინი მიუ-თითებდა, რომ „წერილი ხელისნები, გლეხობა, ბამბის წერილი მშარმოებლები კოლონებში და სხვა ჩივარდნენ ბანკებისა და სერ-თოდ ფინანსური კაპიტალისაგან დამოკიდე-ბულებაში“ (ლენინი. ტ. 21 გვ. 308) ფინანსუ-რი კაპიტალისა და მონოპოლიების განსაკუთ-რებით მეწვევ გავლენა კაპიტალისტური სოფ-ლის მეურნეობაში დამახასიათებელი ვახს-უჯანისკნელ ხანებში; რაც უფრო მეტ სიმე-ლეებს და წინააღმდეგობებს ეუჯახება კაპიტა-ლიზმი, მით უფრო მძიმე და აუტანელი ხდება მშრომელი მასების მდგომარეობა, როგორც ქა-

ლაქად, ისე სოფლად, მით უფრო სიმძიმის მეტ ტვირთს ადებს ფინანსური კაპიტალი და მონოპოლები კაპიტალისტური ქვეყნების შრომელ გლეხობას.

კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობაში ფინანსური კაპიტალის შეჭრისა და ვაბატონების ფორმების, წერილ და საშუალო შწარმოებელთა დამონების შესახებ სპეციალური მონოგრაფია ქართულ ენაზე დღემდე არ მოგვეპოვება, ამ შხრივ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ა. ნუკუბიძის შრომა წარმოადგენს პირველ სერთოზულ ცდას. ავტორი მარქსისტულ-ლენინურ დებულებათა საფუძველზე, სათანადო კონკრეტული ციფრებითა და მასალებით ნათლად გვიხატავს წერილ და საშუალო შწარმოებელთა გამოყოფალ მდგომარეობას, ფინანსური კაპიტალისა და მონოპოლების მიერ სოფლის შწარმოელ მოსახლეობის მხეცურ ექსპლოატაციას.

„კაპიტალის ვანეთარებამ, — აღნიშნავს ავტორი, — საქმა სიძლიერით მოიცვა სოფლის მეურნეობა, ფინანსური კაპიტალის ვაბატონება აქაც ფაქტი ვახდა... მსხვილი შიწათმგლობელებისა და ფინანსური კაპიტალის მიერ სასოფლო-სამეურნეო მეშეშისა და მთელი შწარმოელი მასების ექსპლოატაცია, მათი ჩაკვის ვაუგონარი ვადიეხეზა — აი, რით ხასათდება სოფლის მეურნეობის ვანეთარება იმპერიალიზმის ებოქაში“ (გვ. 109). ავტორი საესეშით საშართლიანად აკრიტიკებს ამერიკის ბურჟუაზიული ეკონომისტის ზემანის შეხედულებას, თოქოს სოფლის მეურნეობაში ადგილი არ ჰქონდეს ფინანსური კაპიტალის ვაბატონებას.

იმისათვის, რომ ნათლად გვიჩვენოს, თუ როგორ აღატაკებს კაპიტალისტური სოფლის შწარმოელ მოსახლეობას ფინანსური კაპიტალი, როგორ ჩამორჩება სოფლის მეურნეობა მრუწველობას, როგორ ძლიერდება სოფლის მცხოვრებთა უკულტურობა, უციკობა და სხვ. ავტორი კონკრეტული ციფრობრივი მასალებით დაწერილებით იხილავს სოფლის მეურნეობის ვანეთარების კაპიტალისტურ კანონებს: კონკურენციას, კაპიტალის კონცენტრაცია-ცენტრალიზაციას, მონოპოლიას და მათგან გამომდინარე ყველა შედეგს.

როგორც ვიკით, ფინანსური კაპიტალის შეჭრა სოფლის მეურნეობაში უკიდურესად ამწავებს წინაღმდეგობებს, აძლიერებს მიწის საკუთრების კონცენტრაციას, ამცირებს მიწების შესაკუთრეთა რაოდენობას. ეს ნათლად დასტურდება ავტორის მიერ გამოყენებული მასალებით ამერიკის სოფლის მეურნეობის ცენზე-

ბის შესახებ (გვ. 64 — 66). შრომაში სინტერესო ციფრობრივი მასალებია „შიტხნოლო“ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ჰხდებოდა მიწების კერძო საკუთრების კონცენტრაცია წერილ და საშუალო შწარმოებლების მიწებიდან აკრის წესით და მათი დღიურ დაქირავებულ მეშეშად ვადაქცევა, რაც კაპიტალიზმისათვის ზვეულებრივ მოეღუნას წარმოადგენს.

წარმოების კონცენტრაციას, ისე როგორც მრუწველობაში, სოფლის მეურნეობაშიაც, მონოპოლიამდე მიუყვართ. ამ საკითხს ავტორმა მიუძღვნა სპეციალური თავი — „მონოპოლები“, სადაც დასაბუთებულია მსხვილი მონოპოლების რილი სოფლის მეურნეობის წერილ და საშუალო შწარმოებელთა ვადატაკების საქმეში. მათგან აღნიშნავია „ფობოქა ფერმა“ კალიფორნიამ — „ერფურტი კომპენი“, რომელიც რამდენიმე ათასობით მეშას ჰქირაობს, „კალიფორნია ჰკინგ კორპორეიშ“ მრაველი ჰარბნით, მიწებით და სხვ; „იუნაიტეტი სტიტს შუ-მარ კორპორეიშ“, რომლის პლანტაცია 25 ათას აკრ ფართობზე ვადაქიშული, „ამერიკენ სუმატრა ტრაბუტი კორპორეიშ“, რამელზეც მოივს მთელი კონკრეტუტის თამაქოს პროდუქციის 1/2 ნაწილი და სხვა. ესა და მთელი რივი სხვა მონოპოლები სასტიკ ექსპლოატაციას უწევენ სოფლის წერილ და საშუალო შწარმოებლებს სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით.

შრომის ვრცელ და საინტერესო ნაწილს წარმოადგენს საერთოდ კაპიტალისტური სოფლის მეურნეობაში, კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატების სოფლის მეურნეობაში, ფინანსური კაპიტალის შეჭრის ფორმები და მათი დახასიათება. ამ ფორმათგან ავტორი იხილავს საკრედიტო სისტემას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, სტანდარტიზაციას, სელექციტრო სისტემას, სასოფლო-სამეურნეო შანქანების ვავიდე-ვაქირავებას, პროდუქტების ვადამეშეშებას, დაზღვევას, საკინეზო კომპანიებსა და მონოპოლურ ფასებს.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ამეამად ამერიკის შეერთებული შტატების შერმერთა საპოლიტიკო კრუდების 60 — 70 ნაიცენტი სხვადასხვა ბანკის ხელშია. ეს ვარემოება აშკარად ვეინვენებს ფერმერთა შიშე ვადალიანების ფაქტს“ (გვ. 123). მართლაც სათანადო მონაცემებიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ფერმერთა მართო საპოლიტიკო ვადალიანება, წლების მიხედვით, შემდეგ სურათის ძილეთ: 1910 წელს ის უდრიდა — 3,320 მილიონ დოლარს, 1920 წელს 7,858 მილიონ დოლარს, 1930 წელს — 9,241 მილიონ დოლარს, ხოლო 1950 წელს 10 მილიარდ დოლარს, მაშინ როდესაც ფერმერთა შემოსავალი წინა წელთან შედარე-

პით 5—6 მილიარდი დოლარით შემცირდა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბაზოტეკო დავალიანების ტერითი შეიშუბუქეს მხოლოდ მსხვილმა ფერმერებმა, წერადი და საშუალო ფერმერებმა კი ისევ დავალიანების მძიმე უღელქვეშ იმყოფებოდნენ (გვ. 123).

დავალიანებულ ფერმერებს პროცენტების სახით დიდი რაოდენობის თანხების გადახდა უხდებოდა ბანკებისათვის ეს თანხა ხშირად ისე დიდია, რომ იგი გაცილებით აღემატება მთელი დავალიანებული მეურნეობის ღირებულებას. ამის შედეგად დავალიანებული ფერმები მასობრივად გადადიან ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების ხელში. ახალ მესაუფროსის როლში გამოდის უწინარეს ყოვლისა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვა.

ამერიკის შვერთებული შტატების ფედერალური სამაშაღმომქმედო ბანკების საკუთრებაში გადასულ ფერმათა რაოდენობა 1926 წ. იყო 1598, 1927 წელს — 2763, 1934 წელს — 22,078.

ბანკების ხელში ფერმათა მასობრივად გადასვლის შესახებ ლენინი ჯერ კიდევ 1914 — 1915 წელს აღნიშნავდა: „ვისაც ხელში უჭირავს ბანკები, იმას უშუალოდ უჭირავს ხელში ამერიკის ყველა ფერმის მესამედი, ხოლო არაუშუალოდ ბატონობს მთელ მათ მასაზე“ (ლენინი, რჩეული ნაწერები ტ. VI გვ. 258).

როგორც ცნობილია, 1929 — 1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ბანკებს ეკუთვნოდა ამერიკის ფერმების არა მარტო ერთი მესამედი, არამედ თითქმის ნახევარზე მეტი. მსოფლიო აგრარულმა კრიზისმა დიდად დააჩქარა ბანკების ხელში ფერმების გადასვლის პროცესი.

ფინანსური კაპიტალის ეპოქაში ბანკებისა და მსხვილი კომპანიების მიერ მეურნეობიდან აყრილი და განდევნილი გლეხი პროლეტარად იქცევა. იგი სტრუვებს სოფელს და სიმუშაოს საქმენად ქალაქად მიემგრება, სადაც ისედაც დიდი უმუშევრობის აქვს ადგილი. მიწათმოქმედების დეპარტამენტის ცნობით, 1940 წლის იანვრიდან 1945 წლის იანვრამდე ამერიკის ფერმერი მოსახლეობა 5 მილიონი კაცით ანუ 17 პროცენტით შემცირდა.

ამერიკის შვერთებული შტატების სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მომუშავეთაგან, რაც 11 მილიონს შეადგენს, 1/3 ანუ 2,8 მილიონი მუშებია. მათ ხელფასი ძლიერ დაბალია, სამუშაო დღე კი 11 — 12 საათს უდრის. განსაკუთრებით მაღალია სასოფლო-სამეურნეო მუშაო ექსპლუატაცია სამხრეთში, სადაც 1946 წელს ხელფასის კვირული გამოქმუშავება შეადგენდა არაუმეტეს 10 დოლარისა. მათი გაჭირვება და სიღატაკე იწვევრელია.

ამერიკის შვერთებული შტატების ფერმერული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი — 30 მილიონიდან 20 მილიონი — მოკლებულია სწორ-მალურ ადამიანურ პირობებს. სიღატაკე, უმუშევრობა, შიმშილი, რაც ამერიკის შვერთებული შტატების ფერმერებისათვის ჩვეულებრივი მოკლენაა, იწვევს დაჩაივებასა და გადაგვირებას. მშრომელი მოსახლეობა ვერ სარგებლობს საქმიო დახმარებით, ბევრი დაავადებული განუკურნავი სენით. ფერმერთა შვილებისათვის მიუწვდომელია სწავლა-განათლება და კულტურა.

ყოველივე ამას ამერიკის შვერთებული შტატების რეაქციული იმპერიალისტური ბურჟუაზია ტრუმენის მეთაურობით ფერმერთა ცხოვრების „სიმტკიცედ“ და „აყვავებად“ ასაღებენ.

კაპიტალისტურ სოფელს მეურნეობის წერილ და საშუალო მწარმოებლებზე ფინანსური კაპიტალისა და მსხვილი სამრეწველო მონოპოლიების გამბატონების ერთ-ერთ ფორმად ავტორს მონოპოლიური ფასები მიანიშნა. ავტორს მრავალი ციფრობრივი მასალა მოჰყავს იმის ნათესაყოფად, თუ ფინანსური კაპიტალი რა რაოდენობის ღირებულებას ართმევს არა მარტო სოფლის წერილ და საშუალო გლეხურ მწარმოებლებს, არამედ ქალაქის მომხმარებელსაც მაღალი მონოპოლიური ვასისყიდი და დაბალი მონოპოლიური შესასყიდი ფასებით. ამის საილუსტრაციოდ, ავტორს მოჰყავს მასალები წიგნიდან „ფაქტები ამერიკის შვერთებულ შტატებში მწარმოებელთა მდგომარეობის შესახებ (1947 — 1948 წწ.)“, სადაც აღნიშნულია, რომ 1947 — 1948 წლებში ფერმერთა წინდა შემოსავალი გაიზარდა მხოლოდ ერთი პროცენტით. მაგრამ ფერმერების მოსახმარი პროდუქტების ფასები ამ პერიოდში გაიზარდა 12 პროცენტით. ამგვარად, ფერმერთა მოხმარებელი უნარი 1948 წლის ბოლოსათვის ფაქტობრივად შემცირდა 11 პროცენტით და გონაგობდა შემცირებას 1949 წლის დასაწყისისათვის.

1949 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ასე, მაგალითად, 1949 წლის ივლისში ამერიკის შვერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სამმართველოს ბულეტენი იუწყებოდა, რომ ფაეები პროდუქტებზე, რომელთაც ფერმერები უიღდენ, 1948 წელთან შედარებით დაეცა 14 პროცენტით, მაშინ როდესაც სამრეწველო ნაწარმზე, რომელსაც ფერმერები უიღდებდნენ, შემცირდა მხოლოდ 2 პროცენტით (გვ. 228).

მოჰყავს რა მონოპოლიური ფასებით წერილ და საშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციის მაგალითები, ავტორი საესებით სამართლიანად

დაასკენის, რომ „მონოპოლიური ფასები ძარცვის იარაღია მონოპოლიების ხელში, მონოპოლიური ფასებმა მონოპოლიები უღარავსად აღიდგებენ შრომელთა ექსპლუატაციას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად და კიდევ უფრო ზრდიან თავიანთი ზემოგებას“ (გვ. 237).

შრომის ერთ-ერთ საყურადღებო თავს წარმოადგენს „სავაჭრო და სავაზში კაპიტალი“, როგორც ცნობილია, კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობის წვრილ და საშუალო შწარმოებულთა ექსპლუატაციას ეწევა არა მარტო ფინანსური კაპიტალი, ბანკები, მონოპოლიები, კომპანიები და სხვა, არამედ ადგილობრივი მევახეშეები, ვაჭრები, კულაკები, მღვდლები და სხვა. აეტორი დამწერილებით იხილავს, თუ რა ზომიანა სავაზში პროცენტო კაპიტალისტურ სოფელში, განსაკუთრებით კოლონიურ ქვეყნების სოფელში, და რა რაოდენობის თანხებს უხდიან სოფლის შრომელები მევახეშეებს და სხვებს პროცენტების სახით. ამ წინადაცხვ გლუხი ხშირად მთელი წლის განმავლობაში მევახეშის სასარგებლოდ მუშაობს, თვითონ კი სიღატაკში დაფარს სულს.

წარმოების ვრცელი ნაწილი მიძღვნილია კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ ქვეყნებში ფინანსურ კაპიტალის მხეცური გავლენისადმი. კოლონიური ქვეყნების შრომელი მოსახლეობის დამონების უველა ბერკეტი ამჟამად უველაზე უფრო მწვევე ფორმით ინგლისამერიკის რეპუბლიკული იმპერიალისტების, ამ ქვეყნების ფინანსური კაპიტალის მავნატების ხელშია თავმოყრილი.

აეტორი დამწერილებით იხილავს ამერიკის შვერთებული შტატების მისწრაფებას მსოფლიო ბატონობისაკენ; ამავე დროს ახასიათებს იმ წინააღმდეგობასაც, რომელიც არსებობს ინგლისსა და ამერიკის შვერთებულ შტატებს შორის.

შრომის ერთ-ერთ საინტერესო თავს წარმოადგენს „კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის მოწყობის რეგულაციები“ ცდები,“ რაც ფინანსური კაპიტალის ინტერესებთანაა დაკავშირებული და რასაც ფინანსური კაპიტალის ბატონობის გაძლიერების მიზნით ცდილობს განახორციელოს ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ. აეტორი კონკრეტული მაგალითებით გვიჩვენებს კაპიტალისტური სახალხო მეურნეობის, როგორც მრეწველობის, ისე სამწიფადმჭიმელო წარმოების დავგვმის შეუძლებლობას.

ბურჟუაზიული მთავრობების, განსაკუთრებით ამერიკის შვერთებული შტატების მთავრობის არა ერთგულისა ცდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების „მოწყობის რეგულაციების“ მისი შეწყობის

გზით — საუკეთესო მაჩვენებელია ამერიკის შვერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დევრადაციისა, სოფლის მეურნეობაში ლაბრის პროცენტის შემცირებისა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირებაზე და პროდუქტების განადგურებაზე ამერიკის შვერთებულ შტატებში მრავალი მილიარდი დოლარი იხარჯება ნაცეულად იმისა, რომ ეს მილიარდები დახარჯულიყო სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. აეტორი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ ამერიკელი მეცნიერებებ უარს არ ამბობენ იმაზე, რომ გაამრავლონ სუციალური უცმის კალეები (კოლორადოს ხოქო და სხვა), რომლებიც მეტი რაოდენობის „კარბ“ მოსავალს გაანადგურებენ, მოსახლეობა კი იზიშმშილენს. ამერიკულად ამას „სოფლის მეურნეობის დახმარება“ ეწოდება.

წარმოების დასკენით თავში, სად არის გამოსავალი — აეტორი კონკრეტულად უჩვენებს ამ გზას, რომლითაც კაპიტალისტურ ქვეყნების შრომელი მოსახლეობას შეუძლია თავი დააღწიოს ფინანსური კაპიტალის მავნატებისა და მსხვილი მონოპოლიების ბატონობას.

ეს არის რევილუციური გზა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ფინანსური კაპიტალისა და მემამულეების ბატონობის დახმობისა, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა.

სსრ კავშირში წარმოების სოციალისტური წესის პირობებში შესაძლებელი გახდა კოლმეურნეობების ფართო მასშტაბით მოწყობა და მათი განვითარება. ამ გზით საბჭოთა გლუხობამ საბოლოოდ დააღწია თავი სიღატაკს და გაქორვებულ ცხოვრებას, საბოლოოდ გათავისუფლდა კაპიტალისტებისა და მემამულეების მხეცური ექსპლუატაციისაგან. მტკიცედ დარწმუნებული იმ გზის უპირატესობაში, საბჭოთა კავშირის კოლმეურნე გლუხობის მაგალითის მიხედვით, — ახალ მედნიერ ცხოვრების მოწყობას შეუდგნენ გლუხები სახალხო დემოკრატობის ქვეყნებში, რომლებშიაც წინათ არა ნაკლებ, ვიდრე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ფინანსური კაპიტალისა და მემამულის კაპიტალისაგან იტანჯებოდა სოფლის შრომელი მოსახლეობა.

ა. ნუცუბიძის წიგნი მეტად საინტერესო და სასარგებლო ნაშრომია. მის შეუძლია დახმარება გაუწიოს მკითხველს თეორიული ეკონომიური ცოდნის შექენაში.



ალ. ზაჩიშვილი „ნარკვევები მართლმადიდებელი სამართლის ისტორიიდან“,
I და II ტ.

ინტერესი შრომა სამართლის ისტორიის საკითხებს ეხება. ბურჟუაზიული სამართალი იცნობს კვლევის სხვადასხვა მეთოდებს: ე. წ. ისტორიულს, დოკუმენტურს, სოციოლოგიურს, შედარებითს და სხვა. თითოეულ ამ მეთოდთან განს თავის დროზე ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა. მაგალითად, კვლევის შედარებითი მეთოდი სამართლის განვითარების შესწავლა საშუალებას იძლეოდა ფაქტურით მასალების დავარდების, სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივი ნორმების შედარების და სხვა. მაგრამ მოვლენების შესწავლა ზღვებდა სტატიკურ მდგომარეობაში, განყენებულად, საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი კანონების შედგენლობაში მიუღებლად. რასაკვირველია, ასეთი მეთოდით კვლევა არ იძლეოდა სოციალური მოვლენის მეცნიერული შესწავლის საშუალებას.

შრომის ავტორი სწორედ ამ შედარებით მეთოდს იყენებს. მოვლენებით თვითონ მას. „ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისას გამოყენებულია შედარებითი მეთოდი, რადგან ამა თუ იმ ბურჟუაზიული ისტორიკოსის არსი და მისი განმარტებელი, დამახასიათებელი თვისების გაშუქება და შემეცნება ყველაზედ უკეთ სწორედ ამ მეთოდის გამოყენების საფუძველზედ შეიძლება“, (წინასიტყვაობა). „ნარკვევების“ ავტორი იცნობს მრავალ „მეთოდებს“ და მათ შორის ყველაზე უკეთესი, ავტორის აზრით, შედარებითი მეთოდია. როდესაც ავტორი ეხება კომპრომიტების სისტემას, მას ამ შეფუძლია საკანკებოდ არ მიუთითოს იმ ფაქტზე, რომ „შედარებითი მეთოდი არკვევს“ ამ საკითხს, ე. ი. შედარებითი მეთოდით შესაძლებელი ზღუდა ამ მოვლენის ისტორიული განვითარების სათანადო შესწავლა. „ნარკვევების“ ავტორის აზრით, ცდებიან ის მკვლევარები, რომლებიც „თანამედროვე მეცნიერებაში მიღებული“ მეთოდით წარსულს სწავლობენ (I, გვ. 19), რადგანაც „ის მეთოდები და მხედველობები, რომლებიც ახლანდელი ცხოვრების ნაყოფს შეადგენს“ წარსულს შესასწავლად არ გამოდგებიან (I, გვ. 19), კერძოდ, როცა ლაპარაკია „ჩველ სამართალზე“, მის შესასწავლად „თანამედროვე ცნებები და მიღებული მეთოდები ყოველთვის არ გამოდგება“ (I, გვ. 13).

ავტორს თითქოს უგრძობია კიდევ თავისი აზრის უმართებულობა და მოუნდომებია მისი

„შერბილება“, რისთვისაც ჩაუმატებია სიტყვა „ყოველთვის“, მაგრამ მეტისმეტად უადგილოდა მართლაც; თუ ლაპარაკია დიდიეტიკურ-მატერიალიზმის მეთოდზე, ის არის ერთადერთი მეთოდი წარსულის მეცნიერული შესწავლისა და მასთანამე, ისტორიული მოვლენების შესასწავლად „ყოველთვის“ გამოდგება, ხოლო თუ ლაპარაკია თანამედროვე ცნებების წარსულში გადატანაზე, დღევანდელი საზოგადოებრივი წარსულის შეფასებაზე, ამ გზით წარსულის შესწავლა არასოდეს არ გამოდგება, ასე რომ აქ რაიმე შემარჩევებელი ხაზის ძიება შეუძლებელია. ყველაფერი ეს „ნარკვევების“ ავტორისათვის შემთხვევითი როლია. „ნარკვევები“ აწვებულა ყალბ მეთოდოლოგიურ საფუძველზე.

შრომა ეხება ფეოდალურ ეპოქის სისხლის სამართალს. სისხლის სამართალი საერთოდ, და ფეოდალური სისხლის სამართალი კერძოდ, მიზნად ისახავს გაბატონებული კლასის ინტერესების დაცვას; სისხლის სამართალი არის იარაღი გაბატონებული კლასის ხელში ექსპლოატირებული მასების დასამორჩილებლად. ასე, რომ კლასთა ბრძოლის გარეშე სისხლის სამართლის შესწავლა შეუძლებელია. „ნარკვევების“ ავტორისათვის კი კლასთა ბრძოლის ცატეგორია არ არსებობს. სავსე იმაში კი არ არის რომ „ნარკვევების“ ავტორი არ ხმარობს სიტყვებს „კლასთა ბრძოლა“ (დამახასიათებელია, რომ ავტორს არ მოყავს ციტატები მარქსიზმის კლასიკოსების ნაწარმოებებიდან), არამედ იმაში, რომ „ნარკვევები“ მეთოდოლოგიურად მცდარ საფუძველზეა აწვებულნი. მაგრამ ამასთანავე საბჭოთა მეთოდული არ შეიძლება არ გააკვიროს იმ გარემოებამ, რომ ისტორიული ხასიათის საკმარისი მონადილ შრომაში, რომელიც ფეოდალური საზოგადოების სისხლის სამართალს ეხება, ავტორს არ ესპირიოება კლასთა ბრძოლის ცნება, ავტორი არ მიმართავს მარქსიზმის კლასიკოსების შრომებს. მხოლოდ ერთხელ, სქოლიოში დასაბუთებულია ფ. ენგელსის შრომა (I, 43) და ისიც არა რაიმე პრინციპული საკითხის გასარკვევად, არამედ სხვათა შორის, და სრულებით უადგილოა (ავტორი მოგვითხრობს, რომ დაურევის სისტემა არსებობდა სხვადასხვა ქვეყნებში და ასახელებს ამის შესახებ ლიტერატურას, სქოლიოში, სხვა ავტორთა შორის, იხსენებს ფ. ენგელსსაც), მაშინ როდესაც 219 გვერდიან შრომაში ავტორს მოყვანილი

აქვს 600-მდე მოსაზრება თუ შეხედულება სხვადასხვა ავტორებისა.

ყაღბი მეოთხეოლოგიური საფუძვლებით აიხსნება სასჯელის მიზნის ის გაგება, რომელიც „ნარკვევებშია“ მოცემული: ავტორის აზრით X — XII საუკუნეების ქართული „სისხლის სამართლის პოლიტიკაში მიღებული უნდა ყოფილიყო ის შეხედულება, რომელსაც სასჯელის სისტემის მიზნად საერთოდ საზოგადოების წევრთა და ყოველ დამნაშავეს შეშინება მიიჩნდა“ (1, 88); მარქსისტული თვალსაზრისით კი სასჯელის მიზანი ყოველთვის გაბატონებული კლასის სამსახური იყო და არა „საერთო საზოგადოების წევრთა“.

ავტორი სრულად უკრიტიკოდ იმეორებს ბურჟუაზიული სისხლის სამართლის მკვლევარებს. მისი აზრით, XVII საუკუნის რუსეთის სისხლის სამართლის პოლიტიკაში „პირველი ადგილი ეკავა დამნაშავესაგან საზოგადოების უზრუნველყოფას, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უვნებელყოფას მავნე პირებისა, რასაც ძველები გამოხატავენ სიტყვებით: „УТОМЫ ЛЮДИХ АУДЕМ ВЫВЕСТИ“ და რასაც სახელმწიფო ახორციელებდა დამნაშავეთა სიკვდილით დასჯით“ (1, 87). XVII საუკუნის რუსეთის სისხლის სამართლის პოლიტიკა ფიდაიათა კლასის სადარჯილო იდგა; ის იყო გაბატონებული კლასის იარაღი ექსპლოატრებული მსახურ დასაურგუნავად, სტებან რაზინისა და მისი მომხრეების დასახველად. ავტორი კი XVII საუკუნის ძველებს ენით ვეჯდაპარაკება.

ავტორის აზრით, ხალხის მართლმწიგნების საფუძვლზეა წარმოშობილი ფეოდალური საკანონმდებლო ძველები (1, 141); ავტორის მტკიცებით სახალხო სასამართლოები წინაქალაქობრივ საზოგადოებაში არსებობდა (11, 124, 142). კომენტარები ზედმეტია.

უმართებელი შეხედულებას აეთარებს ავტორი კათოლიციზმის შესახებ, კათოლიციზმი მებრძოლი რეაქციის წარმომადგენელი იყო. ავტორი კი კათოლიციზმს ისე გვიხატავს თითქოს ის ებრძოდა შუა საუკუნეების სიბნელეს, თითქოს ის იყო ერთადერთი ძალა, რომელიც კოკორიობის კულტურად წინსვლას უმართავდა ხელს. „ფეოდალურ პერიოდში ჩვენ ვხედავთ ერთ ძალას, რომელიც რომის კულტურის, მისი მეცნიერების წარმომადგენელი და შემნახველი იყო. ეს ძალა არის კათოლიკური ეკლესია“ წრის ავტორი და იმოწმებს ფრანკ იურისტ-ისტორიკოს ესმენს. (1, 143).

კათოლიციზმი ხალხთა მასების დამონების იარაღი იყო; ის ღვთის ავტორიტეტით ამტკიცებდა ფეოდალიზმის მუდმივობას, ნერგავდა ცრუმორწმუნეობას, ბოროტი და კეთილი სულების არსებობას და სხვ. კათოლიციზმი ებრძოდა

თავისუფალ აზრს ეშაფორტებით, კოცონებით, ინკვიზიციით. ასეთვე ბნელი რეაქციონერული მადგენელია კათოლიციზმი დღესაც. ჩვენ ვხატავთ, რომ ავტორი კათოლიციზმის სახით ფეოდალურ პერიოდში ხედავს ისეთ ძალას, რომელიც მეცნიერების წარმომადგენელი და შემნახველი არის.

ავტორისათვის უცხოეთის გავლენა ქართული სამართლის განვითარებაზე ვადამწვევტი ხასიათისა არის. ამასთანავე რაც კარგია, რაც მაღალი კულტურის მაჩვენებელია, ის უწყველად უცხოური წარმოშობისა.

ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბრალეულობის საკითხს სისხლის სამართალში: „შეიძლება ითქვას, რომ ბრალეულობის ცნების დამუშავების ხარისხი საზოგადოებაში თუ იმ საზოგადოების იდეური და ეთიკური განვითარებისა, იმის მაჩვენებელია, თუ რა საფეხურზე დგას მოცემული საზოგადოება თავისი მოთმუხედელობით, წინედეულობით და საერთოდ თავისი კულტურით“ (1, გვ. 137). ბრალეულობის პრობლემის „ამა თუ“ იმ სახის გადაჭრა მოცემული ერის იდეური და ეთიკური განვითარების უშუალო მაჩვენებელი და საზომია“ (1, გვ. 169); ჩვენ არ ვხეებით იმის, თუ რამდენად მართალია ავტორის შეხედულება ბრალეულობის საკითხისათვის ასეთი მნიშვნელობის მინიჭების შესახებ; ჩვენთვის ამკამად საინტერესოა ის გარემოება, თუ რით ხსნის ავტორი, რომ ბრალეულობის საკითხის დარგში ჩვენი ერთგული სამართალი განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა (1, გვ. 20). ავტორი წერს: „იბნდება კითხვა: ეს იურიდიული კულტურა ქართველმა ერმა დამოუკიდებელი გზით შეიმუშავა, თუ სხვა უფრო განათლებული ხალხის ცხოვრებიდან ვაღმოლო და შეითვისა“ (1, გვ. 163). მის მიერვე დამშობ კითხვას ავტორი ასე უპასუხებს: „შეუდომლად შევიძლია ვთქვათ, რომ ქართული სამართალი საზოგადოება იმ ცნებებით და მასლით, რომლებიც რომელ სამართალს ეკუთვნის. იმ წარმოიშენ და განვითარდნენ“ (1, გვ. 169). მაშასადამე, ბრალეულობის ცნება წარმოშობილია და განვითარებულია რომში, ქართულ სამართალში ის გადმოვილით; რომელი სამართალი საქართველოში ბიზანტიის მეშვეობათ შემოდის (1, გვ. 144). „ბიზანტიის სამართალი ღრმა გავლენას ახდენდა ქართულ სამართალზე და ეს გავლენა მარტო თეორიული ხასიათის საკითხების დამუშავებით კი არ განისაზღვრებოდა, არამედ ყოველდღიურ, პრაქტიკულ ურთიერთობათა სფეროშიც იჭებოდა“ (1, გვ. 144). მაშასადამე, რომის სამართალი ქართულ სამართალზე უფრო გავლენას ახდენდა, ამიტომ ბრალის ფორმების განსხვავების უკანასკნელი ფესვები

რომის სამართალში უნდა ეყიბათ“ (1, გვ. 2) მაგრამ საქმე რომის ან ბიზანტიის გავლენით არ თავდება. „როცა ვლასარავიძთ ქართულ სამართლის უცხოურ წყაროებზე ზეენ, რასაკვირველია, მართოდენ ბიზანტიური სამართლის გავლენის აღნიშვნით ვერ დავკმაყოფილებდით“, რადგანაც საქართველო „იღებურ და პოლიტიკურ გავლენათა გზაჯვარედინზე“ იყო (1, გვ. 4). ავტორის მნიშვნელოვნად მიაჩნია კარსტის აზრი საქართველოს და სპარსეთის ისტორიის პარალელის შესახებ სამართლის და მართლმსაჯულების დარგში (1, გვ. 132). ავტორი სწებს, რომ არაფერი შეუძლია თქვას დანამდვილებით ქართული და სპარსული სამართლის პარალელის შესახებ უძველეს ხანაში, ვინაიდან სათანადო მასალები არ აქვს, „მაგრამ უდავოა, რომ სპარსული სამართალი გავლენას მოახდენდა საქართველოს სამართლის და მართლმსაჯულებაზე. ეს ბუნებრივია“, დაძმებს ავტორი (1, გვ. 133).

საქართველოში ბერძნულ-რომაული სამართლის იდეების შემოტანის შესახებ ავტორი იმჟმებს სოკოლსკის (1, 1707, 1194), და კორკუოზეს, რომლის აზრითაც, ვარდა ბერძნულ, სომხურ და შიშეს კანონებისა საქართველოში რუსეთის კანონებიც მოქმედებდა — აღეკის მიხეილისძის 1649 წლის სამართლის კრებულისა და 1716 წ. სამხედრო დებულების სახით (1, გვ. 4). აღნიშნავს სომხურ სამართლის „ავტორიტეტის სარგებლობას“ საქართველოში (1, გვ. 194). მაგრამ მაინც საეკველ მიაჩნია, რომ ქართულ სამართალზე უცხოური გავლენა ჩამოთვლილი ხალხების სამართლით განისაზღვრებოდა და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ, რადგან საქართველოს შვიდრო ურთიერთობა ჰქონდა ძველ დიდ სახელმწიფოებთან — ასურეთთან, ბაბილონთან, სპარსეთთან და შვეიცარიის სანაპიროებზე ბერძნების ახალშენებთან, ამიტომ „ამ გზითაც შესაძლო იყო ამა თუ იმ იურიდიულ ცნებების და ინსტიტუტების შემოღება ქართულ ცხოვრებაში“ (1, გვ. 170).

„ნარკვევების“ ავტორისათვის დიდ ავტორიტეტს წარმოადგენს კარსტი, როგორც ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარი და ერთადე ვადმოგვეყვს მის შეხედულებებს. კარსტის აზრით, ქართული „ადგილობრივი“ სამართალი დაუმუშავებელი დარჩა, მისი ადგილი დაიჭირა უცხოურმა სამართალმა, რომელიც შემოიტრია საქართველოში „ან ითვლიადური ან ფარული ევლტურული ზემოქმედების გზით“, სასჯელთა სისტემაც საქართველოში უცხოეთიდან შემოვიდა და სხვა. (1, გვ. 128). ასე, რომ ქართულ სამართლის ისტორიაში ერთგულნი სამართლისათვის ადგილი არ არის. კარსტის ეს შეხედულება შრომაში მოყვანი-

ლია არა თუ დარწმუნებით, არამედ ქართულ თარგმანში შიგადაშიგ ფრანგულ ტერმინებს ქართვითაც.

ბიზანტიზმი

ავტორი მოგვიბრბობს, რომ ბრალის ბრბობებმა, როგორც ეს ექვითიმე ათონელის ნათარგმნ ძველებიდან ჩანს, საქართველოში XI საუკუნეში ყოფილა ცნობილი უცხოეთის შემოტანის გზით. ავტორი ფიქრობს, რომ მასხვისმგებლობის სუბიექტური საწყისი საქართველოში XI საუკუნეზე ადრეც ეცილინებოდა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ამ ადრინდელ პერიოდში ერთგული იურიდიული აზროვნება ღებულობდა მონაწილეობას ამ ბრბობების დამუშავებაში? ავტორის აზრით სუბიექტური საწყისის მოქმედება საქართველოში XI საუკ. უწინაც „უნდა დამყებულებო იმის გამო რომ ბიზანტიური ევლტურის გავლენა წინათაც ძლიერი იყო“ (1, გვ. 170). ავტორი წერს: „შესაძლოა, რომ ქართულ ხალხს შორეულ წარსულშიც ბიზანტიის გავლენის ვარგმუც ჰქონდა აღნიშნული საწყისის რაიმე ელემენტები, მაგრამ ამ ვარაზრს არავითარი სათანადოდ შემოწმებული ისტორიული საბუთი არ ამკარებს. ბიზანტიის საერთო ევლტურის და კერძოდ სამართლის გავლენა კი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქართველი ერის ცხოვრებაზე უდავო ფაქტს წარმოადგენს“ (1, 170). როგორც ვხედავთ, ავტორს არ შეუძლია წარმოადგინოს ქართული სამართალი უცხოური გავლენის ვარგმუც.

ექება რა ქართული კანონიკური სამართლის საკითხს „ნარკვევების“ ავტორს კანონიკური სამართლის საწყისად ექვითიმე ათონელის წინა პერიოდი იმიტომ მიაჩნია, რომ საქართველოსა და ბიზანტიის შორის „მქედრო ურთიერთობა“ არსებობდა. ქართულ ეკლესიის შინაგანი ურთიერთობისა ან სახელმწიფოსა და ეკერბო ბრბობთან დამოკიდებულებისათვის „იურიდიულ ნორმებს ეკლესია უკვე მომზადებული საბით ბიზანტიიდან ვადმოიღებდა“ და თუ ქართული ეკლესია „თავისი ადგილობრივი ძალების მეშვეობით დაადგენდა რაიმეს“, ამ შემთხვევაში იგი თავიდან მაინც ვერ აცილებდა ბიზანტიური სამართლის გავლენას“ (1, გვ. 167). ავტორი ვანაგრძობს: „ამ ელემენტების ვარგდა, რაც ქართულ სამართალს უცხო წყაროებიდან ჰქონდა ნახესებები და შეთვისებული, მის რა თქმა უნდა, თავისი საკუთარი დამოუკიდებელი შინაარსიც ექნებოდა, ის თავისებური სამართლებრივი ფონდი, აღათებისა თუ კანონების საბით, რაც ძველისძველი ერთგული ვითარების ან ახალი მოთხოვნილებისა და მიხნების გამოხატულებას წარმოადგენდა“ (1, გვ. 5). მაშასადამე, ავტორი ვარაუდობს, რომ ქართულ სამართალს დამოუკიდებელი შინაარსიც „ექნებოდა“.

შეგრამ მაინც რას ნიშნავს ეს „დამოუკიდებელი შინაარსი“? ჰქონდა თუ არა ქართულ სამართალს რაიმე თავისი, საკუთარი ვრცელნი შემოქმედების ნაყოფი? ისეთი რამ, რაც უცხოეთიდან არ იყო შემოტანილი?

„ნარკვევების“ მიხედვით ასეთი არის ორდალები (მუხა საუკუნეების ბარბაროსული სამაროცესო წესი ბრალეულობის გამოსარკვევი, ვ. წ. „საღვთო სამართლის“ საშუალებით: ცეცხლით, წყლით, გახურებული რკინით და ორთაბრძოლით გამოცდი). ავტორი წერს: „...გაქვს საუფიქროსი ვიფიქროთ, რომ ორდალები ევროპიან ქართულ ადათობრივ სამართალს, მათი შორეული ფესვი აქ უნდა ეჭვიოთ... ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ვახტანგ VI ორდალები ვითომც ესესხოს უცხოური სამართლიდან; ამის საჭიროება მას არ ჰქონია, ვინაიდან თვით ქართული ადათობრივი პრაქტიკა იცნობდა ასეთ წესებს“ (II, გვ. 127). ორდალების შესახებ ავტორი წერს: „რაც უფრო მაღალ საფეხურზე დვას საზოგადოება, მით უფრო ნაკლები ნიადაგი არსებობს იმ პრიმიტიული საპროცესო წესებისათვის, რომელთაც ისტორიკოსი ორდალები ეწოდება და რომლებიც აუცილებლად რელიგიურ საფუძველზეა აღმოცენებული“ (II, გვ. 127). მაშასადამე, ქართული იურიდიული აზროვნებას თავისი საკუთარი გზით ორდალებამდე, „პრიმიტიულ სამაროცესო“ წესებამდე მიუღწევია. ზოლო მაღალ საფეხურზე მდგომ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ბრალის კონსტრუქცია, ავტორის „შეუღრმობილი“ მოსაზრებით საქართველოში უცხოეთიდან შემოსულა. ასეთივე შეხედულების იყვნენ ქართულ სამართალზე უცხოეთის ბურჟუაზიული მკვლევარები, რომელთაც კვალდაკვალ მისდევს „ნარკვევების“ ავტორი.

როგორ უყურებს აკად. ივ. ჯავახიშვილი ბიზანტიის გავლენას ქართულ სისხლის სამართალზე?

აკად. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით დანაშაულის შესახებ ზოგადი მოძღვრება არ იყო არც საეკლესიო სამართალში, არც ბიზანტიის სამართალში და არც დასავლეთ ევროპის საბერძნო-ფილოზოფების სამართალში მე-19 საუკუნემდე. ზოლო X—XI საუკუნეების ქართულ სამართალში „ისეთი რთული და პასუხსაგები, მძიმე დანაშაულის შესახებ, როგორც მკვლელობა იყო, საკმაოდ ვრცელი და მეტად საგულისხმო ზოგადი ხასიათის მოძღვრება მოგვეპოვება, რომელიც ეჭვითვე მთაწმინდელს ეკუთვნის“. (ქართული სამართლის ისტორია, II, 263).

მაშასადამე აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული იურიდიული აზროვნება ე არ მისაჩინებლად ვისმეს უკან, არამედ თვითონ ის იყო მოწინავე. „ნარკვევების“ ავტორი კი, რო-

გორც ენახეთ უარყოფს ქართული იურიდიული განვითარების საკუთარ გზებს, ვინაიდან ავი ქართული სამართლის, ინსტიტუტების შესახებ ვადა, ძირითადად უცხოელ ავტორებს ეყრდნობა: კარსტის, პოლდაის, ალენს და სხვა. ეს ავტორები საქართველოს ისტორიას მხოლოდ აკადემიკოს ბროსის შრომებით იცნობენ და უშუალოდ ქართულ წყაროებზე ხელი არც მიუწვდებიან. უცხოელი ავტორი ისეთ განსაკუთრებულსა და დიდს ავტორიტეტს წაამოადგენს „ნარკვევების“ ავტორისათვის, რომ ის ცდილობს ყველაფერს დაესტეოს მის. მაგალითად ავტორს მოუყავს პოლდაის ასრის ვახტანგის კანონთა კრებულში შემავალი უცხოური სამართლის წიგნების მნიშვნელობის შესახებ.

ავტორი მოგვითხრობს, რომ საქართველოში სამეფო ზღვისუფლების მიერ აღებული პოლიტიკურ გეზს მხარს უჭერს ვალესია, რომელიც თავისი ავტორიტეტით ამაგრებს მას, გამოდის მისი თანამშრომლის რაულში, ავტორი სქოლიოში მიუთითებს ინგლისელ ისტორიკოს ალენზე, რომელიც „ამ თანამშრომლობის ფაქტს აღნიშნავს“ და ამას მოყვება ალენის შრომიდან გრძელი ციტატი (I, გვ. 8). რა ავტორიტეტს წარმოადგენს ალენი ქართული ეკლესიისა და მეფის ზღვისუფლების დამოკიდებულების საკითხის შესახებ?

„ნარკვევების“ ავტორი სიტყვა-სიტყვით გადმოგვცემს ფრენკელის მოსაზრებას ვახტანგის კანონთა კრებულში შემავალ სამართლის წიგნების მოქმედების ძალის შესახებ და ამ გადმოცემისას შევადამე მოუყავს ფრენკელის საკუთარი სიტყვებიც. დასასრულ ავტორს სქოლიოში მოუყავს ფრენკელის შრომიდან სრული ციტატი (I, 13).

ფრენკელი არის ვახტანგის კანონთა კრებულის რუსულ ენაზე გამოცემელი. გამოცემას მან წინასიტყვაობა უძღვნა, სადაც გამოთქვა თავისი მოსაზრება „საეპარულით“ (როგორც თვითონ წერს, Сборник Груз. царя Вахтанга VI, გვ. II.) ვახტანგის კანონთა კრებულის მოქმედების შესახებ. ეს ზოგადოდ გამოთქმული „უარაუდი“ არ ემყარება რაიმე ფაქტებს და არც აქვს მას რაიმე მნიშვნელობა.

ასეთივე წესით მოუყავს „ნარკვევების“ ავტორს კარსტის (I, გვ. 6—7), კორკუნოვის (I, გვ. 4—5) და სხვების მოსაზრებანი.

ავტორს საჭიროდ მიაჩნია გაგვაცნოს ფრანგი მკვლევარის დარესტის შეხედულება ქართულ სამართალზე: „სამართლის ისტორიკოსი დარესტი ვახტანგ VI კოდექსის შეფასებისას ყურადღებას აქცევს ამ კოდექსის იმ მხარეს, რომლითაც იგი პრიმიტიულ კანონმდებლობებს უახლოვდება, და მიუთითებს,

რომ ეს კოდექსი, თუმცა XVIII საუკუნეშია შედგენილი, მაგრამ გვიანდობს იმის ვაგეზას, თუ რას წარმოადგენენ ბერძენები პომპროსის დროს, რომელთა წინასტორიულ ხანაში, ვალევი იუდიუს კეისრის წინ, გერმანელები შემოსევის პერიოდში, რუსები იაროსლავის მთავრობის დროს და სკანდინავიელები XIII საუკუნეში" (1, გვ. 68). დარსტი ამჟღავნებს საქართველოს ისტორიის სრულ უკოდინარობას. „ნარკვევების“ ავტორი დარსტის ამ სისულულეს დასაბუთებასაც კი უძებნის: დარსტის ასეთი დასევა ვახტანგას კოდექსის „პრიმიტულ“ მხარეს ეხარება. ბურჟუაზიული მკვლევარები — კარსტი, ალენი, პოლდავი, დარსტი და სხვები, რომელთაც ეყრდნობოდა ავტორი, საქართველოს ისტორიას არ იცნობენ. ასევე უკოდინარი არის საქართველოს ისტორიის საკითხებში დღემდე არაბული მოვინისტები კარკუნოვი, რომანოვსკი და სხვები, რომელთაც ავრეთვე იმეფებს „ნარკვევების“ ავტორი.

უმრავლეს შემთხვევაში ავტორს მოყავს სხვადასხვა მკვლევარების მოსაზრებანი ყოველგვარა კრიტიკისა და განმარტების გარეშე (უბოფრასად ეს შეეხება უცხოეთის მკვლევარებს), ზოგჯერ კიდევ აყენებს თითქმის თავის მოსაზრებებს, მაგრამ ეს მოსაზრებანი ან მისი არ არის, ან კიდევ მათ არა აქვთ არავითარი ღირებულება.

დ. ბაქრაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ორდაღები საქართველოში ვახტანგ VI-მდე არ იკოდინენო; „ნარკვევების“ ავტორს, ამის საწინააღმდეგოდ, მოყავს ა. ლამბერტის ცნობა, საქართველოში ვახტანგ VI-ლე ორდაღების არსებობის შესახებ (11, გვ. 126). საბუთი დამაჯერებელია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იმავე დ. ბაქრაძის წინააღმდეგ, იგივე დასაბუთება, პირველად მ. კოვალევსკი წამოაყენა. „ნარკვევების“ სხვა ადგილას და სხვა კონტექსტში, ავტორი თვითონვე წერს ამის შესახებ, მაგრამ საინტერესოა, თუ როგორ წერს: „კოვალევსკი სამართლიანად შეინშნავს, რომ დ. ბაქრაძის აზრი, რომ თითქმის ვახტანგმა ახლად შემოიღო ორდაღები, საფრთხელს მოკლებულია, თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ ლამბერტის მოწმობით, ორდალი მდღერით უკვე XVII საუკუნეში, ე. ი. ვახტანგის კოდექსის შედგენამდე, არსებობდა სამეგრელოში“ (11, გვ. 132). ამ წინადადებაიდან ჩანს, რომ კოვალევსკი დ. ბაქრაძის წინააღმდეგი ყოფილა, მაგრამ მ. კოვალევსკი დამოწმა თუ არა ა. ლამბერტი, ამის შესახებ წინადადებაში არ არის სრული გარკვეულობა. უფრო საინტერესო ის არის, რომ „ნარკვევების“ ავტორი იმეფებს რა

მ. კოვალევსკის შრომას — „Закон в обычаи“ მოუთითებს ამ შრომის გვერდებზე (გვ. 114) სწოლითი და იქვე განაგრძობს: „საქართველოში, რომ ლამბერტის სიტყვით, ცეცხლის ასანთებად საკირო იყო „bois de serment“. ძველ ირანშიც ცეცხლის ასანთებად უნდა მოეტანათ შუშა განსაკუთრებით ამ მიზნისათვის განკუთვნილ ტყიდან“ (1, გვ. 132) ისე გამოადს, რომ თითქმის სწოლითი მოთავსებული ეს განმარტება „ნარკვევების“ ავტორს ეულოვნის. სინამდვილეში კი ის მოლიანად მ. კოვალევსკის ხსენებულ შრომიდან არის ამოღებული. ზოგჯერ ავტორი ედილობს ახვეწის მკითხველს, რომ მისაც იქვე საუთარი მოსაზრება, რომ ისიც აყენებს თავის „პიზოთვს“.

ავტორს მოყავს აკად. ივ. ჯავახიშვილის, აკად. კ. კეკელიძისა და პროფ. გ. თავეშვილის შეხედულებანი — ქართული სკოლების შესახებ ძველად. ხსენებული ავტორები ავითარებენ იმ აზრს, რომ სწავლა-განათლების საქმე მოწინააღმდეგის ხელში იყო ამ შეცდურთა აზრით შუა საუკუნეების საქართველოში ეკლესიამონასტრებთან არსებულ სკოლებში, სხვა საგანთა შორის, შესაძლებელია, იურიისპრედესციასაც ასწავლიდნენო. ავტორი წერს: „აღბათ სკოლებში... საკანონმდებლო აქტების ტექსტის განხილვა და შესწავლა წარმოადგენს მეტწილად ეკლესიის მსახურთა შემეყოებით... მოსწავლე ამ ტექსტის განხილვის გზით იძენდა ვნის, ვრამატყული ფორმების ცოდნის და იმავე დროს ეცნობოდა იურიდიულ მსალას. ამგვარად ზვენ მიერ წამოყენებულ პიზოთვში არაფერია ისეთი, რაც დაუშვებლად უნდა იქნეს მიხედული, როგორც ისტორიული ისე პედაგოგიური თელასაზრისით“... (1, გვ. 76). დაუშვებელი აქ არაფერია, მაგრამ ასეთ „დაშვებას“ მეცნიერებისათვის არავითარი ღირებულება არ აქვს.

გარდა ამისა, „ნარკვევების“ ავტორს ქართული სამართლის ძველბის შინაარსი არ ესმის; ამის საწინააღმდეგოდ მოყვივანთ შემდეგ მავალით: დანტურლამალის მუ-24 პარაგრაფში, სხვათა შორის, სწერია: „...სამართალი ბატონის მოსაქმე მქნას“. „ნარკვევების“ ავტორი ამის შესახებ წერს: „...გაურკვეველია თუ ვის გულისხმობს კანონმდებელი „ბატონის მოსაქმე“. შესაძლებელია, რომ იგი ამ ტერმინით თვალისწინებს ფეოდალის სასამართლოს და „მოსაქმე“ უწოდებს იმ პირს, რომელიც ფეოდალის დავალებით ასრულებს სასამართლოს ფუნქციას“ (11, გვ. 44); მასადაივე ავტორს, დანტურლამალის „ბატონი“ — ფეოდალი, შემამულე პეონია, მაშინ როდესაც „დანტურლამალის“ „ბატონი“ — ქართლის მეფეა.

„ნარკვევების“ შესაშე თავეში ავტორი მოგვითხრობს კომპოზიციების სასტემის შესახებ

ვახტანგის სამართლის მიხედვით. ჯერ ავტორი აღწერს თუ რა დანაშაულისათვის როგორი სისხლის ფასია დაწესებული ვახტანგის სამართალში, შემდეგ ის გადადის კომპოზიციების სისტემაზე „დასავლეთ ევროპის ხალხთა შუა საუკუნეების საკანონმდებლო“ ძეგლებში, (1, გვ. 40). დაწვებული ფრანკების სახელმწიფოთი ავტორი ეხება ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებს, ესპანეთსა და ირლანდიასაც კი. შედარებას მაშინ აქვს ფასი, როცა შესადარებელ საზოგადოებათა სტრუქტურა იქნება გამოირკვეული: თუ არსებობს სხვადასხვა ქვეყნების ინსტიტუტების შორის მსგავსება, უნდა გამოვარდნობთ არის ის ვამოწვეული. რა მსგავსება შეიძლება იყოს ირლანდიასა და საქართველოს შორის? ან რა უნდა მოგვეცეს ფრანკების სახელმწიფოს მე-9 საუკუნის ძეგლებში მე-18 საუკუნის საქართველოს დასახსიათებლად?

იმვე თავში (1, გვ. 56—57) ავტორი ლაპარაკობს სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე, იმოწმებს ტაციტს, რომ ვერმანელმა ტომებმა იციოდნენ ეს ინსტიტუტი. მითითებებს სალიდარო სამართალზე და შემდეგ გადადის ვახტანგის კანონებზე. რასაკვირველია, სოლიდარული პასუხისმგებლობა იციოდა სხვადასხვა ხალხებში. მაგრამ რა კავშირი აქვთ ტაციტის დროის ვერმანელ ტომებს XVIII საუკუნის საქართველოსთან? რით ასაბუთებს ავტორი ტაციტის მოყვანას და სალიდარო სამართალზე მითითებას? მივცეთ სიტყვა ავტორს: „ჩვენ საჭიროდ მიგვიჩნია რამდენიმე სიტყვით შევიჩრდეთ ქართულ სამართლის იმ თვისებაზე, რომელსაც ჩვენ ვნახულობთ სხვა ხალხთა იურიდიულ ცხოვრებაშიც, მათი ცხოვრების გარკვეულ საფეხურზე და რომელიც უეჭველად მშობრობს არის დაკავშირებული ქონებრივი და საზღაურის სისტემასთან“. ეს არის „ოჯახის პასუხისმგებლობა“ განაგრძობს ავტორი, და ეს დამახასიათებელია „სახელმწიფოს განვითარების პირველ საფეხურზე სხვადასხვა ხალხთა“ სამართლისათვის (1, გვ. 56). შემდეგ მოყავს ტაციტის ციტატა და გადადის ვახტანგის სამართალზე, რატომ მიიჩნია „საჭიროდ“ ავტორს „სახელმწიფოს განვითარების პირველ საფეხურზე“ მეოფი ხალხებისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტის მე-18 საუკუნის ქართულ სამართალთან შედარება?

მეთხე თავში ავტორი ეხება სასჯელის მიზნებს. ეგრემ ვცირის შემდეგ ავტორს მოყავს — პლატონის, არისტოტელის, სენეკას შეხედულებების სასჯელზე, მანუს კანონები, რომელიც კანონმდებლობა და ფეოდალური პერიოდის ფეგლები. შემდეგ იგი დაწვრილებით ჩერდება პროფ. სერგეევსკის შეხედულებაზე ალექსი მიხეილისძის 1649 წლის დებულების შესახებ

და განმარტავს, თუ რად დასჯიდა. რუსულ სამართალზე მითითება: „ჩვენ შექმნილ შემთხვევაში მე-17 საუკუნის რუსული სამართალში მტკიცდომ მოსახრებით, რომ იგი წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს იმისას, თუ როგორ იყო მოგვარებული რურესიული სისტემა სახელმწიფოში, რომელიც სისხლის სამართლის დარგში თავის წინაშე უმთავრესად მისწავლილი იქნა და რამდენად სარგებლობის მიზნებს ისახავდა. რასაკვირველია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი თითქოს სამაგიეროს მიზლვას იყენებდა, პირიქით, როგორც ენახეთ ამ უკანასკნელსაც ჰქონდა დათმობილი ადგილი სისხლის სამართლის სფეროში“ (1, გვ. 87). მერე რა? რას გვამდევს ეს ქართული სამართლის შესასწავლად? ესთქვათ, რომ რუსეთში მართლაც ისე იყო, როგორც ავტორი ამბობს. მერე ამას რით აყავშირებს იმ საკითხთან, რომელზედაც პასუხის გაცემა ავტორს მიზნად დაუსახავს? თავი დავანებოთ იმას, რომ მეოთხეოთხეოვრად სრულად ნათლდება სერგეევსკის განმარტება სასჯელის მიზნების შესახებ, რა მიზანს ისახავს ყველაფერი ეს: მანუს კანონები, პლატონის, არისტოტელის, სენეკას შეხედულებანი, ალექსი მიხეილისძის 1649 წლის დებულება, სერგეევსკის მოთვლმხედულება და სასჯელი: მიზნება ქართულ სამართალში. აქ ყველაფერი არეულია: პერიოდებიც, ხალხებიც, ავტორებიც, საენებიც და სხვა ასეთ შედარებას მეყენიერებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

მე-5-ე თავში ავტორი ეხება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს „ქართულ სამართალში“. ავტორი იწვევს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის „გადახედვას“ (1, გვ. 138). დაწვებული მახილონის სამართლიდან ავტორი იხსენიებს ზეთების, ებრაელების, ბერძენების, სპარსელების, რომაელების და სხვა ქვეყნების სამართლის (1, გვ. 138—140) ეს „გადახედვა“ თავისთავად სასარგებლო საქმე იქნებოდა, რომ „გადახედული“ მასალების ანალიზი მიიჩნავს კავშირში ყოფილიყო ავტორის მიერ დასმულ საკითხთან.

„ნარკვეების“ მერე წიგნის 10 თავიდან, ხუთი სრულებით არ ეხება ქართული სამართლის ისტორიის საკითხებს (1, II, IV, VII და IX).

ყველა თქმულის შემდეგ შევიძლია შემდეგი დასკვნის გაკეთება:

„ნარკვეები“ ყალბ მეოთხეოთხეოვრ საფუძველზე აგებული. იგი კომპილაციური შრომაა.

კომპილაციის ძირითადი წყარო კი უცხოეთის ბურჟუაზიული მეცლევარებია, რომლებიც უარყოფენ ქართული სამართლის განვითარების საკითხს გზას. „ნარკვეების“ ავტორი მათი მძმდეგარია.

პ.ო.ვ. ი.ს. სვავულაძე.

ლექტივის სახელით სთხოვა მონაწილეობა მიეღო და დახმარებოდა მათ ვენახის მოვლაში. სარდონის დაუმომხინდა ნატყენი გული და ისიც სიხარულით დასთანხმდა არჩილის წინადადებას. ის მთელი თავისი მონღალებითა და გულთ ჩაება კოლექტივის ცხოვრებაში. სარდონი ახლა კი მიხვდა: საოცრად შეეცვალა ხალხი კოლექტიურ შრომას. ასეთ საქმეს ვინ გაუცუტებდა წინააღი თვალი ყველას ვაიბეზე ეჭირა. ამ წუთში თვითონაც საოცარმა სურვილმა მოუარა ვისმეს მოხმარებოდა, გულიანად დატრიალებულიყო სხვის ვენახში, ო, რა შევებით ამოისონთქავდა ნაჯაფი და დალილ-დაქანცული“ (242).

არჩილის, დათიკოს, ირინესა და სხვათა სწორი მოქმედებით კოლექტივი გაერთიანდა ერთ ოჯახად, რომლის ზრდა ერთნაირად ახარებდა თითოეულ მათგანს. ავტორი ყოველივე ამასთან ერთად გვიხატავს კოლექტიური შრომის ძალას და შემოქმედებას ადამიანის ბუნებაზე. ნაწარმოებში ნაჩვენებია, როგორ ავითილ-შობილებს და ამაღლებს ადამიანს საერთო საქმიანთვის თვდალება და ზრუნვა.

არჩილი იმ შესანიშნავ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის მოქმედებამ სამაგალითოა: „უცუორდა დაეთოს, საიდან ასწრებდა არჩილი ყველაფერს, როგორ ახერხებდა ასე ახლოს მისვლას ხალხის გულთან. დაეთოს უნდოდა თვითონაც ასეთი უოფილიყო“ (232). ასევე ფიქრობდა ირინეც, რომელმაც: „ღრმად შეიგნო წინდახედული მეგობრის სისწორე. არჩილი მართალი იყო: ამ მდღეარე ცხოვრებაში ნეტავი ვისა აქვს დასვენების დრო“ არჩილმა თავისი თანასოფლელებისა და თანაშრომლების სიყვარული და პატივისცემა დაამახატრა.

ახალგაზრდობასთან ერთად შრომის ფერხულში ჩაბმულან და ახალ-ახალი მიღწევებისკენ მისწრაფებან ჩანსესული და მოხუცა ადამიანები. ვასილის, გეტუას, თადელასა და სხვათა სახეებს სიყვარულით ხატავს ავტორი.

სასებით სწორად სწევებს ავტორი საბჭოთა ოჯახის საკითხს. გერასიმესა და გალინას ოჯახს მოსალაღნელ დაწერევეს ზიანის მოტანი შეეძლო, როგორც გერასიმესა და გალინასთვის, ასევე მთელი კოლექტივისათვის, განსაკუთრებით კი პატარა ბიძინასათვის. არჩილი მთელი კოლექტივის შემწეობით ახერხებს ამ ხიჯათის თაველან აუღენას. ავტორს გერასიმეს დაბრუნება და მისი სულიერი განცდება დამაჯერებლად აქვს დახატული. როცა მთელმა სოფელმა ზურგა აქცია გერასიმეს და იგი დამნაშავედ ჩასთვალა, გერასიმესთვის აღრანელი ვახტანგს მდგომარეობა, ის თვით მივიდა არჩილთან და გულწრფელად სთხოვა: — „უნდა მიშველო, არჩილ, უნდა შემიბრავო სოფელთან, აქა ვარ

დაბადებული. შენ რომ გგონია, ისე არ არის საქმე. ქვის გული კი არა მჭებს, მცეც მსუფიერს ჩემი ხალხი. სადაც უნდა წაფიდე, მწარედ და და ჩამრჩეს გულში ის, რომ ამითვალწუნეს ჩვენებურებმა. ჩაუციარილი ამას, მცეც ადამიანი ვარ“... (292). ხოლო გერასიმესთან ოპოლი ბიძინას მისვლა, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თვით გერასიმეზე, უდაოდ მოთხრობის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილს წარმოადგენს. ავტორის ღირსებად უნდა ჩაითვალოს პატარა ბიძინას საბის გამოკვეთა.

საერთოდ, მოთხრობა ინტერესით იკითხება. ავტორი მოხერხებულად შლის სიუჟეტს, კარვად აქანდაცებს მოქმედ პირთა სახეებსა და ხასიათებს. მშვენიერად გვისურათებს საქართელოს ბუნებას, ქართველი ხალხის ზეგნულელებებს, კარვად იცნობს სოფელსა და მის ცხოვრებას.

ყოველივე ამასთან უნდა აღინიშნოს რომ ავტორის არა ჰყავს გამოყვანილი კომკავშირული ახალგაზრდობა. თვით ირინეს საქმიანობაც მაინცდამაინც არ არის სრულყოფილად მოცემული. ნაწარმოებში აქა-იქ შეგხედებათ ზოგიერთი ენობრივი შეცდომაც: „ირინეს ვაცილება უნდოდა არჩილი, მაგრამ სრულიად გადავიარა გულთან“, „შეა ზავხელის უწყლო თაკარი მზე ყველაფერს ერთაშად აჩანავებდა“ (147). გვხვდება ასეთი გამოთქმებიც: — „სიტყვა ვის ექნება“ (165), „როგული იყავი“ (282) და სხვა.

ახალგაზრდა მწერლის, ელიზბარ მისურაძის მოთხრობა აღწერილია მშვიდობიანი პერაოდის ცხოვრება, შემდგომ, გერმანიელ ფაშისტების შემოსევა, ვეკაცების წასვლა სამშობლოს დასაცავად, ფრონტის დასამზარებლად შონ დარჩენილი ახალგაზრდების, ქალებისა და მოხუცების თვდალება შრომა, ბოლოს, ომის დამთავრება და გამართა სამშობლოში დაბრუნება.

ძირითადად მოთხრობა აგებულია ნუნუს, ველსა და ოთარის ურთიერთდამოკიდებულებაზე. გელა მოწინავეთა შორის მოწინავეა. მისი მოქმედება მაგალითის მიმცემა სხვებისათვის. მან სამამულო ომის ფრონტზედაც ისახელა თავე, ოქროს ვარსკვლავით მყარდამშვენებულ გმირად დაუბრუნდა თავის სოფელს. ნუნუს ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის წარმომადგენელია. ჭკვიანი, გონიერი ქალიშვილი შესანიშნავი კომკავშირელი მუშაკია. ის თავის პირადი მაგალითით გზას უჩვენებს სხვებს. ნუნუს სიყვარულის გრძნობითა დაკავშირებული გერლასთან. ოთარის მიმართ მისი მოქმედება საეხებით გამართლებულია. ნუნუს ამ შემთხვევაში საოცარი მოსაზრებულობა, სულიერი წინასწრობა და სიმტკიცე გამოიჩინა. სამამულო ომის დროს ნუნუს ახდენს სასწაულს პარხლის მოყვა-

ნაში და იმსახურებს შრომის გმირის საპატიო სახელწოდებას.

კარგად აქვს ავტორის დახატული კოლექტიური შრომა, ახალგაზრდობის საქმიანობა და მათი სულიერი საშუალო. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ადგილი მოთხრობისა არ არის დამაჯერებელი. ავიღოთ ოთარის თავგადასავალი. ოთარის წუნუსადმი სიყვარული და ძლიერი მეტოქის გამოჩენა საბაბი ვახდება, ასე ვთქვათ, მისი „ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნისა“. თუმცა ისიც ცხადია, რომ ეს მხოლოდ საბაბი იყო და ოთარის თავიდანვე მიღრეკილება ჰქონდა უსაქმური ცხოვრებისაკენ: — „ჩა ჩემი საქმეა მუშაობაო, — უთხრა ერთხელ ოთარმა სანდროს, — ჩემს სიცოცხლეში ოთხი და ბარი ხელში არ მჭერია და ახლა კოლმეურნეობის ჰარხალში კინდით მამუშაობო“ — შემდეგ ავტორი დასძენს: — „შრომის მიუჩვეული და ნებეგრად გაზრდილი ოთარი სულ გარეგარე დახეტებოდა ექვსად. სწავლასაც მიაჩნდა თავი და ერთთავად ქვეფსა და დროსტარებას უწოდებოდა. მშობლებს აწუხებდათ თავწასული შვილის საქციელი, მაგრამ ვერ იქნა ვერ გამოასწორეს“. სად იყვნენ ამ დროს ოთარის მუგობრები, მისი მასწავლებლები და ხელმძღვანელები? ნუთუ მათ არ შეეძლოთ წინ გადასდგომოდნენ ოთარის მოსალოდნელ დაღუპვას, თუ კი წუნუსაგან მიცემულმა იმედმა შესძლო მისი გამოასწორება, მყარ ნიადაგზე დაყენება, როგორც ამაში გვარწმუნებს ავტორი?

ოთარის შემდგომი მოქმედება სოფლიდან გაპარვა, უვხო-უყვოდ დაკარგვა და მერე სამი წლის დუმილი — დაუჯერებელი ამბავია. ნუთუ ოთარი, ეს ჩვენი ეპოქის ახალგაზრდა, გაბედული, ნიჭიერი, ცეცხლგანი გულის პატრონი, ისე გააქვავა წუნუსადმი სიყვარულმა, რომ სამი წლის მანძილზე მშობელი დღეაც კი არ მოჰგონებია. ვფიქრობთ, ასეთი ადამიანი შორს ვერ წავიდოდა, და ისეთ წარმტებებსაც ვერ მოიპოვებდა, როგორც თურქე ოთარის მოუპოვებია. თავისი მოვალეობის დაუწყებლად (ოთარი იმ ხომ სოფელს მისთვის ყველასგ საჭირო წუთებში უღალატა!) და დედის ვახტედღებუბა არ მიგვანია სატებურად. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ოთარის დაბრუნების ამბავიც ვერ არის მაინცდამაინც დამაჯერებლად მოცემული. თუკი ოთარი ვახდა ისეთი სახელოვანი, რომ მიადგინა საბჭოთა კავშირის გვირობას, ყველასათვის ცხადია, რომ ეს ამბავი არ დაიმალებოდა. სხვა რომ არა იყოს რა, გაზეთიდან მაინც გაავებდნენ ან სასიხარულო ამბავს. ხოლო ოთარის მოულოდნელი დაბრუნება თვითმფრინავით, სწორედ ზეიმის დღეს, არ არის ბუნებრივი, ჩანს ავტორის უფრო ეფექტურობა იტაცებს, ნაწარ-

მოებში გვხვდება ენობრივად გაღმარათვი ადგილებიც: „ოკისპირულმა წვიმამ დაქმნა“ (49), „თვალეზე მომდგარ კრემლუმსა დაქმნა“ (50), „რად იქმნებოდა“, „შვილის ნეტრავით გაურბოდა ჰაბუქს“ (61), „ყელშეღვრებული ახალგაზრდა გოგოები“ (107).

საკოლმეურნეო ცხოვრების თემანზე დამწერილი ავრეთვე როსტომ ბეგანიშვილის მოთხრობა — „ოსტატი“. მაგრამ, უნდა შევნიშნოთ, რომ ახალგაზრდა მწერალი არ იჩენს სათანადო დაკვირვებულებას და არ ცდილობს საკითხების ღრმა და საფუძვლიან გაშუქებას. ავტორის სურს გვიჩვენოს ახალგაზრდობის სახე შრომის ფრონტზე, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ის ცდილობს ჩვენი სინამდვილის წარმოსახვას მსუბუქი სურათებით. საერთოდ ეს მოთხრობა მხატვრულ სიმღიერესა და კომპოზიციურ მილიანობას მოკლებულია. ამჟამად, რომ ნაწარმოებს აკლია დამუშავება.

ავტორი ხატავს მხოლოდ და მხოლოდ სურათებს, მაგრამ ამ სურათებს შორის არ არის ორგანული კავშირი. ნაწარმოებს აკლია მილიანი სურეკტური ხაზი. მოთხრობაში ძალიან ბევრი მოქმედი პირია, ხოლო მათი ხასიათები ზერეულდაა გამოხატული. მიშასა და მამამისის შეხვედრის სცენასაც ხელოვნურობა ემჩნევა. მამა-შვილი, რომელთაც ერთმანეთი არ უნახავთ ვერ წლის განმავლობაში, ერთ სოფელში არიან. მამამ იცის, რომ ამ სოფელში ჩამოსულია ვოლაც რუსი ჰაბუქი, ტრაქტორისტი, შვილს არც გვარი გამოუცვლია და არც სახელი. ნუთუ ვლადიმერს არ შეეძლო მისი სახელისა და გვარის გაგება და თავის პირშიც ცნობა მანამ, სანამ ავტორი მიშის სცენაზე არ გამოიყვანს და იმავე კულში ვლადიმერსაც არ მიიყვანს? ამჟამად, რომ მოთხრობის ეს ადგილი სრულიად არ არის დამაჯერებელი. მოთხრობის ფინალში ვლადიმერის გაქრობაც გაკვირვებას იწვევს.

მოთხრობაში გვხვდება ზოგიერთი უხერხული გამოთქმა და ენობრივი ნორმების დარღვევა. მაგალითად, არის ასეთი გაუგებარი ადგილი: „ოთარის კარები შედო, მაგრამ არ შესვლა, ოთარში დაგუბებულმა ჰაერმა უკან დაახევინა გარეთ გამოიტანა ლოცინი და ტახტზე გაშალა“ (41). „გამარჯვებით, — გადმოსახა ნიკომ და ცხენი დაღვდრა“ (19), „აბეშუები მდინარეზე გამოიფინდნენ და ლახტობანა გაუმართეთ (34), „ჯიქანდაესებული ფურები მოსიყვარულე ბლავლით ესაუბრებინ შინდატოვებულ ხბორებს“ (35), „მიშამ ცეცხლივით შეავლო თვალი მის სახეს“ (40), „ნებეგრი მუხსაყვით გამარჯვული“ (45).

მეოთხე მოთხრობა — „გუშავები“ — თენგიზ გოგოლაძისა — ეტება საბჭოთა არმიელების

ომისშემდგომი პერიოდის ცხოვრებას. ავტორი გვისურათებს მათ ყოველდღიურ საქმიანობას, წყონახა და აღზრდას. მაგრამ ყველაფერი ეს მეტად ღარიბ და უფერულ მხატვრულ ფორმებშია წარმოდგენილი. ავტორს უღაოდ შეეძლო მოთხრობის სიუჟეტის ვაციობლება, გაფართოება. არმეღელა მშვიდობიანი ცხოვრება — ჩვენი მკითხველისათვის მეტად საინტერესოა. ამიტომ იგი მეტი პასუხისმგებლობითა და მონდობით უნდა მოკიდებოდა მოთხრობის სრულყოფას.

კრებულში წარმოდგენილია ივანე ურგუშვილაშვილის ნარკვევი — „დღეება კორეაში“.

ნარკვევი ეხება მეტად საინტერესო თემას. ავტორი ნათლად ხატავს კორეელი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, იმპერიალისტების მიერ მათ ჩაგვრასა და მონობას. ნარკვევში კარგადაა წარმოდგენილი საბჭოთა არმიის როლი ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების საქმეში. ავტორი უღაოდ კარგად გადმოგვცემს კორეელი ხალხის სიხარულსა და აღფრთოვანებას. გამოწვეულს

მით, რომ საბჭოთა ჯარმა იხსნა ჩინური იმპერიალისტების უღლისაგან.

ავტორი რამდენიმე შტრიხით მშვენიერად ახერხებს იმპერიალისტების ყაჩაღური ბუნების დახატვას. მათ იმათივე ბოროტი განზრახვა ამოქმედებდათ. რის შედეგადაც მათ აშეამად კორეელ ხალხს მოახეიეს ომი. მაგრამ ჩვენ, როგორც მსოფლიოს ყველა მშრომელს, გვწამს ამერიკელი იმპერიალისტების სრული განადგურება, მშვიდობისა და ხალხთა კეთილდღეობის გამარჯვება; გვწამს კორეაში ინტერვენტების განადგურება, რადგან კორეელი ხალხის ბრძოლა სამართლიანია, რადგან „ომი კორეაში შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ინტერვენტების დამარცხებით“ (ი. სტალინი).

საერთოდ, კრებული კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, მისი გამოცემა უღაოდ კარგი მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში.

მადია კვარაცხელია

ახალი წიგნები



საპარტოვლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

- ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 4, პეგ. რედ. პ. გუგუშვილი, გვ. 293, ფასი 20 მან.
- ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 5, რედ. ა. დიდებულაძე, გვ. 224, ფასი 18 მან.
- აბახოშინის ასტროფიზიკური ობსერვატორია მთა ყანობი, ბიულეტენი ტ. II, რედ. ე. ხარაძე, გვ. 196 ფასი 15 მან.
- იესე ბარათაშვილი — ცხოვრება — ანდერძი. რედ. მ. კახაძე, გვ. 120, ფასი 10 მან.
- თბილისის ბოტანიკური ბაღის მოამბე, ტ. 59, რედ. ე. გულისაშვილი, გვ. 150, ფასი 10 მან.
- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელწერათა აღწერილობა, ტ. 4, რედ. ა. აფაქიძე, გვ. 500, ფ. 40 მან.
- ივ. ჯავახიშვილი — ქართული ერის ისტორიის შესავალი. წიგნი პირველი (საქართველოს, კავკასიის და შახლანბელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები). რედ. ვ. ჩიტაია, გვ. 338, ფასი 25 მან.
- მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის შრომები, ტ. 7, რედ. ლ. ყანაშვილი, გვ. 268, ფასი 20 მან.
- ლიონინა და სამთო საქმის ისტორიის შრომები, ტ. 2, რედ. რ. აგლაძე, გვ. 287, ფასი 20 მან.
- ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 9, რედ. ვ. ზაიცივი, გვ. 251, ფასი 18 მან.
- აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 16-B, რედ. ა. აფაქიძე, გვ. 282, ფ. 25 მან.
- ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 8, რედ. ს. ნარიკაშვილი, გვ. 295, ფ. 20 მან.
- ფსიქოლოგია. — რედ. დ. უხინაძე, გვ. 295, ფასი 20 მან.
- ლიტერატურული ძიებანი, ტ. 5, პეგ. რედ. აქტორი უ. რაღანი, გვ. 300, ფასი 25 მან.
- სატყეო ინსტიტუტის შრომები, ტ. 3, რედ. ვ. ჭულუნიშვილი, გვ. 230 ფასი 18 მან.
- მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის შრომები, ტ. 6, რედ. გ. ბერიძე, გვ. 252, ფასი 20 მან.
- მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგურის შრომები, ტ. 2, რედ. ა. გვიგინიშვილი, გვ. 278, ფასი 20 მან.
- ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 3, რედ. ალ. ნათიშვილი, გვ. 232, ფასი 15 მან.
- გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 2, რედ. ა. ჯანელიძე, გვ. 187, ფასი 15 მან.
- აკად. ივანე ჯავლიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო ხსენის მოხსენებათა კრებული, რედ. ს. ნარიკაშვილი, გვ. 130, ფასი 10 მან.
- საქართველოს ფლორა, ტ. 6, გვ. 531, ფასი 35 მან.
- მემანდრეობის ინსტიტუტის შრომები, ტ. 5, რედ. გ. აბესაძე, გვ. 174 ფასი 15 მან.
- გ. მანანაშვილი — ფილოქტერის გამძლე ვაზის საღების გაშენება და მოვლა. რედ. ნ. აბულაძანი, გვ. 82, ფასი 4 მან.
- შ. ჩხაიძე — შის სხივები და მათი გამოყენება. რედ. ე. ხარაძე, გვ. 93, ფასი 4 მან.
- გ. თვალთაძე — დედამიწის აღნაგობა და მისი ფიზიკური თვისებები, რედ. ბ. ბალაძე, გვ. 70, ფასი 3 მან.
- ვ. მუხლაძე — მუშვნენების ფიზიკა. რედ. ვ. ანდრონიკაშვილი, გვ. 62, ფასი 3 მან.
- წ. ახუტედიაშვილი — ახალი ვენახის გაშენება, რედ. დ. ტაბიძე, გვ. 111, ფასი 5 მან.
- გ. თვალთაძე — მიწისძვრა. რედ. ბ. ბალაძე, გვ. 87 ფასი 4 მან.
- ი. ანჯაფარიძე — აკად. ვ. რ. ვილამსის მოძღვრება მიწათმოქმედების ნათესაბაღიანი სისტემის შესახებ. რედ. გ. ტალაძე, გვ. 120, ფასი 5 მან.

შ. სუპატაშვილი — ტყის კულტურებისა და სანერგეების მიენე მწერები და მათთან ბრძოლა. რედ. ლ. კალანდაძე, გვ. 106, ფასი 4 მან.

ვ. ესტაშვილი — საქართველოს მოწინავე მებაღეების გამოცდილება, რედ. ფ. შამფორია, გვ. 86 ფასი 3 მან.

ზ. ბაღდასარიშვილი — ვაზის კლოროზი, მისი გამომწვევი მიზეზები და ბრძოლის ზოგიერთი საშუალება, რედ. ი. ნაკაიძე, გვ. 131, ფასი 5 მან.

კ. ზავრიავი — ნაგებობათა ანგარიში ზღვრული მდგომარეობის მეთოდით, რედ. ვ. მუხაძე, გვ. 23, ფასი 1 მან.

ვ. კოკონაშვილი — მენდელეევის პერიოდული სისტემა, რედ. ვ. მამასახლისოვი, გვ. 163, ფასი 5 მან.

დ. ცხოშარია და ა. კვანტალიანი — სიმინდის შალაი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების შესახებ, რედ. ვ. ბაღრიშვილი, გვ. 41, ფასი 3 მან.

ნიდაგმცოდნეობის ტერმინოლოგია — რედ. ვ. ბერიძე, გვ. 44, ფასი 3 მ.

განსვორება

„მნათობის“ აწ. მე-3 ნომერში მე-3 გვერდზე ეპიგრაფის მეორე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: „იგემე ქრისეს წიაღის გველი“.



საპ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და ბამბოცმალობის საქმეთა სამმართველოს განდებითი სიტყვის კომპიანატი

თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

წიგნში დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, გთხოვთ დააბრუნოთ წიგნი ამ იარაღთან ერთად.

3060 8 а.

3. 4/116

2/72

И В А Т
РЕСПУБЛИЧ. Е. К А

2 12

6



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„И В А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ